

ლევან პენაბლე  
შ

სუბნან-საია  
ოზიქიანი

ემნოქაზია

19 საბლიტაში 53



# სუღხან-საბა ორბელიანის ცხოვრების გზა

## სუღხან ორბელიანის წინაპრები

დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე სუღხან-საბა ორბელიანი დიდ ქართველ ფეოდალთა შთამონავალი იყო. მამის მხრივ იგი უკავშირდება ბარათაშვილ-ორბელი-შვილთა უძველეს და უძლიერეს გვარეულობას, დედის მხრივ — არაგვის ერისთავთა სახელგანთქმულ სახლს. მისი ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური ოჯახი იყო ქართლში. ის ახლო კავშირში იყო სამეფო კართან და აქტიურად იყო ჩაბმული ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურსა და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. მწერლის ცხოვრების გზის დახასიათებამდე საჭიროა წინაპართა ნაკვალევის აღდგენა და მოგონება.

„საქართველოს წინათაც ბევრი მტერი უნახავს და ბევრი შემოსევა განუცდია, — წერდა დიდი ქართველი მეცნიერი აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მაგრამ არასოდეს ისეთი საშინელი უბედურება არ დასტყდომია თავს, როგორც მე-14 საუკუნის დამლევს.“

თემურ-ლენგის შემოსევებმა ქვეყნის აოხრებითა და დაძალი ხალხის დაღუპვით საქართველო ისე დაასუსტა, რომ ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეთა განმავლობაში გამოკეთება ვეღარ შესძლო. გაპარტახებული მეურნეობის, გაკათული ბალ-ვენახების აღსადგენად მშვიდობიან პირობებშიაც დიდი დრო და დიდი ძალა, აუარებელი მუშახელი იყო საჭირო. თემურ-ლენგის შემოსევებმა კი ატრაცხელი ხალხი იმსხვერპლა. თანაც მე-15 — მე-16 საუკუნეებში საქართველოს განუწყვეტელი საგარეო ომების წარმოება მოუხდა. ამიტომ

იყო რომ თემურ-ლენგის ურდოებისაგან გაოხრებული მრავალი ადგილი მე-15 და მე-16 საუკუნეებშიაც უკაცრიელად იყო დარჩენილი“.

ძნელბედობის ხანაში მოსახლეობა, განსაკუთრებით ბარში, ძალზე შემცირდა, ეკონომიური ცხოვრება მოიშალა, კულტურული დონე დაეცა. საქართველოს საზღვრებს თურქმანები მოუახლოვდნენ. ქართველთა მეფეებმა გიორგი მეშვიდემ (1393 — 1407) და კონსტანტინე პირველმა (1407 — 1411) მთელი თავისა ძალა და ენერჯია ახალ მტერთან ბრძოლას შეაღიეს და სამშობლოს დაცვას გამირულად შეეწირნენ.

ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერებისა და ეკონომიური მოღონიერებისათვის თავდადებით იღვწოდა კონსტანტინეს შვილი ალექსანდრე I (1412—1443). მას მოუხდა ზრუნვა საქართველოს ძველი მიწების მტერთაგან გათავისუფლებასა და შემოერთებაზე. 1431 წელს ალექსანდრემ საქართველოს შემოუერთა ლორეს ველი. ამას მოჰყვა სივნიეთისა (დღევანდელი ყარაბაღი და მასი მეზობელი თემები) და სხვა თემების შემოერთება. ახალი ტერიტორიის შემოერთება-შემომტკიცებამ ძალზე გაზარდა მოსახლეობას რიცხვი.

საქართველოში გაჩაღდა დიდა აღდგენითი მუშაობა. დაიწყო ქალაქებისა და სოფლების, ეკლესიებისა და მონასტრების, ციხეებისა და სასახლეების მშენებლობა თუ აღდგენა. მეფის ბრძანებით მოსახლეობა სპეციალურ გადასახადს იხდიდა აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

ალექსანდრე პირველი დიდ ყურადღებას აქცევდა გაუკაცრიელებული ადგილების დასახლებას, ფეოდალური უფლებების გადანაწილებას, ახალი ფეოდალური სახლების წარმოჩენას.

„იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს, განსაკუთრებით ლიხთ - ამერეთს, ლანგ - თემურმა დაატეხა თავს წინა საუკუნის დამლევეს, საუკეთესო ნიადაგი შექმნა ფეოდალურ უფლებების ხელახალი განაწილებისათვის, მათი გადაჯგუფებისათვის, ძალთა ახალი განლაგებისათვის“ (აკად. ს. ჯანაშია).

ალექსანდრე პირველმა აბულახტარასძეთა მამული, „ყამთა ვითარებისაგან უსჯულოთა აგარის ნათესავთა ხელით განრყენილი

და ოხერქმნილი“, აღსადგენად და გასაშენებლად ზეედგინისძეს მისცა.

„მეფეთაგან დიდად და საბატოოდ შეწყალებულმან აბულეთის-ძემან ამირახორმან ხიმშაამან“ მიიღო უძველესი ფეოდალური სახლის ამომწყდარი და გაუკაცრიელებული მამული.

ბარათაშვილთა გვარეულობაც ამ საუკუნეში ყალიბდება, ხოლო შემდგომ ეპოქაში ადგილი აქვს მის პოლიტიკურსა და ეკონომიურ გაძლიერებას, რამაც შესაძლებლობა მისცა ამ გვარეულობას შეექმნა ქვემო ქართლში ძლიერი სათავადო („საბარათიანო“).

საქართველოში ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში თუ მის წინამორბედ პერიოდში (X—XIII ს. ს.) ქართველთა ცხოვრებაში ადგილი აქვს ერთ ფრად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, სახელდობრ, ფეოდალურ „კოლონიზაციას“ ან „იმმიგრაციას“.

დასავლეთ საქართველოს, ლიხთ-იმერეთის, მკვიდრნი სტოვებენ საკუთარ სამყოფს და აღმოსავლეთ საქართველოს, ლიხთ-ამერეთს გადმოდიან.

დასავლეთ საქართველოდან მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ლიხთ-ამერეთს გადმოვიდა ლიპარიტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კლდეკარის ერისთავთა უძლიერეს სახლს. დასავლეთ საქართველოდან მოვადნენ ბარათაშვილთა წინაპრები ქაჩიბასძენიც.

ქაჩიბასძე-ქაჩიბაძე-ბარათაშვილთა შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ბეთანიის გუჯარში. საყურადღებოა დიდი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონისა და გამოჩენილი პოეტის მანუკა ბარათაშვილის ჩვენებანიც. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ბარათაშვილნი ქაჩიბაძეთა შთამომავალნი არიან.

კიდევ უფრო სანდო და სარწმუნო ცნობებს ძველ სიგელ-გუჯარებში ვპოულობთ. მათი გაანალიზებით ხერხდება ამ გვარის ისტორიული განვითარების შესწავლა.

აღუქსანდრე პირველის დროს ცნობილი მოღვაწე იყო ბარათა ქაჩიბასძე, რომელმაც სვეტიცხოველს სოფ. ყორანთა (მაშავრის ხეობაში) შესწირა. მის ოჯახს ხელი ალგეთის ხეობაზედაც მიუწვდებოდა. ბარათას „დიდ ბარათას“ უწოდებდნენ.

ბარათას „სიდიდე“, „თვით საგვარეულოს წევრთა შეგნებაში,

საფაქრებელია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ განსაკუთრებულ დამსახურებასთან, რომელიც ბარათას მიუძღოდა საბარათიანო სენიორის შექმნის საქმეში. რომ ეს სენიორია არსებითად სწორედ მე-15 საუკუნეში ყალიბდება, ამას საუკეთესოდ მოწმობს თვით ფაქტი ახალი საგვარეულო სახელის ჩამოყალიბებისა“ (აკად. ს. ჯანაშია).

ბარათას მამული მეგვიდროვით მიიღო მისმა ვაჟმა დავითმა. იგი მე-15 ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მის დროს ქაჩიბასძენი საშვილდესაც ფლობდნენ.

დავით ქაჩიბასძის ოჯახიდან დაწინაურდა ქავთარი, რომელიც უკვე ბარათაშვილად იხსენიება.

ქავთარ ბარათაშვილის სახლის მამულები მიმოფანტული იყო დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონში, ალგეთისა და ბედენის ხეობებში (ენაგეთი, ერტისი, ტბისი...). ქავთარს ჰქონდა სასახლეები (ენაგეთს, ტბისს...), ჰყავდა 100-ზე მეტი აზნაური და მრავალი კომლი გლეხი. როგორც ჩანს, ქავთარ ბარათაშვილის ოჯახი ეკონომიურად საკმაოდ ძლიერი იყო. იმავე პერიოდში ცნობილი იყო ბარათაშვილების რამდენიმე ოჯახი. მე-15 საუკუნის ბოლოსათვის ბარათაშვილთა გვარეულობას უკვე რამდენიმე შტო გააჩნდა.

ბარათაშვილთა ეკონომიურმა გაძლიერებამ გამოაწვია მათი დაწინაურება ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზეც. უკვე ალექსანდრეს მეფობაში მეფის ძალაუფლება დასუსტდა და დიდგვარიანთა ძლიერება გაიზარდა. დიდებულები მეფეს „ღვთის სწორად“ აღარ მიიჩნევდნენ და ყოველთვის აღარც მორჩილებდნენ. ფეოდალთა წარმოდგენით „ქვეყანა საფეოდალოთა კრებულია. ქართლი, მაგალითად, ამ წარმოდგენით იქნებოდა ქაჩიბასძე-ბარათიანთა, ჯავახიშვილთა, ციციშვილ-ფანასკერტელთა, გაბელისძეთა, ჩიჯავაძეთა, ზევდგენიძეთა, ქსნის ერისთვისა, შაბურისძეთა, აბულეთისძე-აბაზასძეთა და სხვათა „მამულების“ ჯამი“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ბარათაშვილები, ქვემო ქართლის დიდი საფეოდალოს პატრონები, საკმაოდ გაძლიერდნენ და დაწინაურდნენ. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ქართლის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილენი ყოფილიყვნენ.

მართლაც, მე-15 საუკუნეში ბარათაშვილები საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბარათაშვილთა გვარეულობა არა ერთხელ გამოსულა მომხდური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ აღსანიშნავია ბარათაშვილთა ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების — უზუნ-ჰასანისა და იაყუბ-ყაენის ველური ურდოების წინააღმდეგ.

კონსტანტინე მეორის (1479 — 1505) დროს ბარათაშვილთა გაძლიერებაზე მეტყველებს ერთი საგულისხმო ფაქტიც: ბარათაშვილები მეფესაც კი უმოყვრდებიან. მეფის ძემ, დავითმა, ცოლად შეირთო ბარათაშვილას ასული. უფლისწულის მიერ ბარათაშვილის ასულთან შერთვა ცოლად ბარათაშვილთა სოციალურ აღზევებას მოწმობს.

ანრიგად, ბარათაშვილთა ეკონომიურსა და პოლიტიკურ ძლიერებას მე-15 საუკუნის ბოლოს სოციალური აღზევებაც დაემატა.

ბარათაშვილთა ძლიერება კიდევ უფრო გაიზარდა მე-16 საუკუნეში. ამ პერიოდის ძველ დოკუმენტებში მრავალი საინტერესო ცნობა მოიპოვება ბარათაშვილთა პოლიტიკური საქმიანობისა თუ ეკონომიური ყოფის შესახებ.

1523 წელს გაყრილან ზემოხსენებულ ქვეთარ ბარათაშვილის შვილები. „ბარათაშვილთა სახლისა და მამულის“ გასაყრელად დამსხდარან მეფე დავით მეათე (1505 — 1525), მისი ძე ლუარსაბი და დიდებულები. მეფე დავითის დაინტერესება ბარათაშვილთა საქმითა და მათ გაყრაში მონაწილეობის მიღება მართო იმით არ აიხსნება, რომ მისი მეუღლე ბარათაშვილის ქალი იყო; მეფის ჩარევა ბარათაშვილთა შინაურ საქმეში ამ გვარის სიდიდესა და სიძლიერეს მოწმობს.

დავითის დროს მოხდა ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია. ქართლი დაიყო ოთხ ნაწილად, ოთხ „სადროშოდ“. თითოეულს თავისი ლაშქარი გამოჰყავდა. ყველაზე მნიშვნელოვანი სომხთ-საბარათიანოს „სადროშო“ იყო. ამ „დროშას“ მეტწილად ბარათაშვილები სარდლობდნენ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაძლიერა ეს გვარეულობა.

ბარათაშვილები თანდათან დაიყვნენ სხვადასხვა შტოდ; მათგან

წარმოიშვნენ სხვადასხვა გვარეულობანი (გერმანოზიშვილები, აბაშიშვილები, ზურაბიშვილები, იარალიშვილები...).

1536 წელს ერთმანეთს გაეყარნენ ორბელ და იოთამ ბარათაშვილები. გაყრის შედეგად ორბელ ბარათაშვილმა სანახევროდ მიიღო 42 სოფელი (აკაურთა, ფიტარეთი, გუდარეხი, ბალახაური, ქვაბევანი...), სრულად — 17 (წითელი ეკლესია და სხვა). მასვე შეხვდა ლოქის მითს ნახევარი, ფიტარეთის საყდრის ნახევარი, გუდარეხის მონასტრის ნახევარი, დმანისის ეკლესიის ნახევარი... ამ გაყრის შემდეგ ორბელ ბარათაშვილმა საფუძველი დაუდგა ორბელიშვილთა გვარს და შექმნა დიდი სათავადო.

ბარათაშვილები მე-16 საუკუნეშიც დიდ როლს ასრულებდნენ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სამეფო კარის ყურადღებას ისინი ერთგულობით პასუხობდნენ. ლუარსაბ პირველს (1534 — 1558) დროს ბარათაშვილები თავგამოდებით ებრძოდნენ შაჰ-თამაზის (1524—1576) მეომრებს, ზოლო სიმონ პირველის (1558 — 1600) დროს დაუთ-ხანის სპარსელებსა და ჯაფარ-ფაშის ოსმალებს აეღებდნენ მუსრს. ამ პერიოდში ბარათაშვილთა გვარეულობაში შეინიშნება არაერთსულოვნება. ზოგი მოღალატე თავადი მტრის ბანაკს ეკედლება და ქართლის საერთო ინტერესს პირად ანგარებას ანაცვალებს...

საკმაოდ ჩანდნენ ბარათაშვილები ლუარსაბ მეორის (1600—1615) დროსაც. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 1609 წელს ყირიმელ თათართა ლაშქრის განადგურების საქმეში.

სიმონ მეორის (1619—1631) მეფობის დასაწყისში ბარათაშვილთა გვარში ატყდა სასახლიკაცო ბრძოლა. საბარათიანოს სარდალმა ბარათა ბარათაშვილმა ტანძიაში თავისი ახლობლები ამოხოცა. ცოცხალი გადაარჩა ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის პაპა. მან სპარსეთს შეაფარა თავი.

1624 წელს ყაფლან ორბელიშვილი სპარსელთა ლაშქარს მოჰყვა და მონაწილეობა მიიღო მარაბდის ცნობილ ბრძოლაში. მისი მიზანი ბარათა ბარათაშვილის დამარცხება და შურისძიება იყო.

ბარათა ბარათაშვილი შაჰ-აბას პირველის (1587 — 1629) მხედრებმა მოკლეს, მისი მამულები ყაფლანმა მიიღო...



ყაფლან ორბელიშვილი განსაკუთრებით დაწინაურდა როსტომ მეფის (1632 — 1658) კარზე.

როსტომ მეფე თავისებურად მართავდა სამეფოს. ის შაჰ-სუფის (1629 — 1642) დაუკითხავად არას აკეთებდა, ამიტომაც „აქენდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველნი მცირეთაგან კიდე, ყოველნი ერთგულობდნენ.“ ქართლში ქრისტიანები არ იღვევებოდნენ. სამეფოში შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა. ყიზილბაშთა გაუთავებელ თარეშს, როგორც იქნა, ბოლო მოეღო. თავისი საქმიანობით ქართლის მპაჰადიანმა მეფემ „მოირთო ქართველნი ყოველნი და ყიზილბაშნი მონებდენ, ფითარცა ყეფნსა“.

გამაჰმადიანება და ყიზილბაშურ წესთა მიღება მეტწილად დიდებულებს შეეხო. მშრომელმა ხალხმა მშვიდობიანი შრომა დაიწყო. აღდგა სამეფო, გაცოცხლდა გაპარტახებული ქალაქები და სოფლები, გაცხოველდა ზელოსნობა, იმატა ვაჭრობამ.

ვახიზნული ხალხი, თავადთა შორის ბრძოლს მინელებისა და სპარსელთა საექსპედიციო-დამსჯელი ჯარების მოუსვლელობის შედეგად, თავის სამსკვიდროს დაუბრუნდა.

სპარსეთიდან დაბრუნდნენ სასახლიკაცო ბრძოლის დროს გადახვეწილი ბარათაშვილები. მათ დახვედით ნაოხარი მამულები, ნასოფლარები. მეფე ძალზე მფარველობდა ბარათაშვილებს, ეზმარებოდა მათ, უბოძებდა ყმებსა და მამულებს, უხვად აჯილდოებდა ერთგულებს.

ყაფლანი მალე დაწინაურდა როსტომის კარზე, გახდა მდივანბეგი და სახლთუხუცესი. ეს საკმაოდ დიდი თანამდებობანი იყო.

ის იღებდა „სასახლთუხუცესოსა“ და „სამდივანბეგო“ სარგოს. ეს მას ძალზე ამდიდრებდა და აღიდებდა.

ყაფლანმა დაიწყო ახალი სათავადოს შენება (ძველი აოხრებულნი დახვდა). მან დიდი აღმშენებლობითი მუშაობა ჩაატარა. საინტერესოა მისი ეპიტაფია, რომელიც ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვას შემოუნახავს.

„ქ. წყალობითა და შეწეწენითა ღმრთითათა, მე, ორბელის შვილმან ყაფლან მეორეთ შევამეგ მონასტერი ესე და ბარსა და მთაში შტრისაგან გაოხრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე, სოფელი და (61). და ამას გარეთ შენი მამებრა სოფელი იზ (17). ესე

ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთა ე (5) და დავემკვიდრე ამასა შინა, ქორონიკონსა ტნთ (1671 წ.).“

ამროვად, ყაფლანს 17 სოფელი დახვდა დასახლებული, 61 თვით ააშენა და დაასახლა. მანვე განაახლა ფიტარეთის საყდარიც. ყოველივე ეს 1627—1671 წლებში გააკეთა. ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო ეკონომიურ აღმავლობას განიცდიდა.

ყაფლანის სახლი საკმაოდ ძლიერი იყო. ყაფლანმა მძლავრი სათავადო შექმნა. მას შემდეგში „საორბელო“ ან „საყაფლანიშვილო“ ეწოდებოდა. ის იყო ძირითადი, წამყვანი სოციალ-ეკონომიური ერთეული სომხთა-აბაზართიანოში. მის გვერდით არსებობდა საგომჭაშაბიშვილო, საგერმანოზიშვილო, საზურაბიშვილო და სხვა.

საყაფლანიშვილოს საგვარეულო ციხე დმანისი იყო. შემდგომში—ქვეშის ციხეც. მისი ტერიტორია იფარგლებოდა ქციის, ზურჯაკერტის, დმანისის ხეობებითა და ტაშირით. ყაფლანიანთ მამულები ჰქონდათ სომხთსა და ალგეთშიც. მათი კუთვნილი დმანისის ხეობა ვახუშტის ასე აქვს აღწერილი: „... მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვაილოვანნი და წყაროიანნი. აქა არს ყვაილი სუმბული, ფერათ სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი“. აქ ითხრებოდა „ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“.

„ხოლო დბანის ქვეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი და შინაურნი. ზამთარს თბილი და მშვენი, ზაფხულს შეზავებული, წყარონი ცივნი, მშვენი, ქალა-ტყენი, ბალახნი და ყვაილნი მრავალნი“.

საყაფლანიშვილოს მიწა საკმაოდ ნაყოფიერი იყო, ამიტომაც აქ ჯეროვნად იყო განვითარებული მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურების მოყვანა, მევენახეობა): მოჰყავდათ ტექნიკური კულტურებიც (სელი, ბამბა, ბრინჯი...). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობასაც. ყაფლანიშვილებს შემოსავალი ჰქონდათ საბაჟოებიდანაც (დმანისი, ქვეში).

ყაფლანის მემკვიდრენი ყაფლანიშვილებად იწოდებოდნენ, მაგ-

რამ სხვა გვარებითაც იყვნენ ცნობილნი: ბარათაშვილი, ორბელი-  
შვილი, ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ორბელისძე ყაფლანიშვილი,  
ორბელიშვილ-ყაფლანიშვილი...

ყაფლანიშვილებს ქართლის სამეფო კარზე დაუმკვიდრდათ  
სამემკვიდრეო სახელოები. ამ გვარეულობიდან ცნობილი არიან  
სახლოუბუცესები (ყაფლანი, ლუარსაბ ასლანის-ძე, ერასტი ვახ-  
ტანგის-ძე), მდივანბეგები (ყაფლანი, ვახტანგ ყაფლანის-ძე, ერასტი  
ვახტანგის-ძე), სომხითის მოურავები (პაპუნა ყაფლანის-ძე, ასლან  
ყაფლანის-ძე) და სხვა.

ყაფლან ორბელიშვილს დარჩა ხუთი ვაჟი და ერთი ასული:  
პაპუნა (საორბელოს პატრონი და სომხითის მოურავი), ასლანი  
(სომხითის მოურავი), ვახტანგი (მდივანბეგი), თამაზი (საბარათია-  
ნოს სარდალი), გიორგი (სამეფო ზოფლძის აიდარბეგის მოურავი)  
და როდამი (ვახტანგ V-ის მეუღლე).

ყაფლან ორბელიშვილის მესამე ვაჟი ვახტანგი (— ორბელი)  
იყო მამა სულხან-საბა ორბელიანისა.

ვახტანგ ორბელიშვილი (ზოგ დოკუმენტებში ასე იხსენიება:  
ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ყაფლანიშვილი...) დიდი თავადი და  
დაწინაურებული მოხელე იყო. ის ერთგულად ემსახურებოდა  
ქართლის მეფეებს — ვახტანგ მეხუთესა და გიორგი მეთერთმეტეს.

1676 წელს ვახტანგ მეხუთემ „ერთგულსა და წესისებრ მრავალფერად თავდადებათ წამსახურსა ყმასა“ ბარათაშვილ-ორბელიშვილ ვახტანგს მისცა მამის თანამდებობა, ქართლის მოსამართლეობა. ვახტანგმა მიიღო „მდავანბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა“. მეფემ მას „სამართლის ქნა“ დააგალა.

ვახტანგი წიადაგ ცდილობდა თავის სამფლობელოს გაზრდასა და განმტკიცებას. ამ მიზნით ის იძენდა მამულებს. 1677 წ. იყიდა ზემობოლნური მამული; 1678 წელს შეიძვიდა შიომ ბარათაშვილის წილი მამულები სოფ. ღორისთაფსა და ჯალდამს, ზოლო მომდევნო წლებში სხვა ბარათაშვილთა წილიც იყიდა; 1685 წელს მამულები შეიძინა სოფ. კრეშში, ასევე სოფ. თაფანსა და სხვაგან. დიდი გავლენის მქონე თავადს სურდა თბილისშიც კარგად

მოწყობილი სახლ-კარი ჰქონოდა და მეფის ახლოს ყოფილიყო. ჯერ კიდევ 1679 წელს გიორგი მეთერთმეტემ მისცა მას ქალაქში მებაღეთუხუცესის ნაქონი სასახლე, ხოლო 1684 წელს ვახტანგმა ზაალ ციციშვილისაგან საბაზიერო შეისყიდა.

ვახტანგის „სამკვიდრო“ იყო სოფ. ტანძია. აქ მან 1683 წელს ეკლესია ააგო.

„სამკვიდროს სასახლესა შინა“ აგებული კარაჲს ეკლესია ვახტანგმა შეამკო. უბოძა წიგნები. ერთი სვინაქსარის შინაწერი გვაუწყებს, რომ „საქართველოს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთის ხელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამ“ ვახტანგმა ეკლესია ააგო ცოდვათა მოსაწანიებლად და „რვათა ძეთა და სამთა ასულთა“ სადღეგრძელოდ. სხვათა შორის, ეს სვინაქსარი ზელთ ჰქონია გიორგი მეთერთმეტის მეუღლეს თამარს.

1696 წლისათვის ვახტანგ მდივანბეგი ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ამ დროის დოკუმენტებში ის აღარ იხსენიება.

ფიტარეთის მონასტრის სასაფლაოზე ერთ ქვაზე მშვენიერი ასომთავრული ზვეულით არის შესრულებული შემდეგი წარწერა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითა უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

აკად. ექ. თაყაიშვილი წერს: ეს „მოწითანო ქვა თავის ღირსებით, სიღადით, სიმაგრით, ფერით, მოყვანილობით და სილამაზით მატობს ყველა სხვა დაცულ სასაფლაოს ქვეშს. შემდეგ: წარწერა ამობურცულს ანუ გამოქანდაკებულის ასომთავრულის დაქსელვით (ზვეულით) შესრულებული ერთობ საუცხოოა, ბოლოს შინაარსი წარწერისა მართო ფაალმუნის ტექსტს შეიცავს, მიცვალებულის ვინაობის აღუნიშნავად, ისე როგორც დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე სწერია. აქ ვინმე დიდად წარჩინებული ორბელიანი უნდა ემარხოს“. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს ვახტანგ ორბელიშვილის საფლავი.

სულხან-საბა ორბელიანი დედის მხრივაც დიდ ფეოდალურ ჯვარს ენათესაებოდა. მწერლის დედა თამარი იყო ასული ზაალ

ერისთავისა, შვილიშვილი არაგვის მრისხანე მეხატონის ნუგზარ-  
ერისთავისა.

არაგვის ერისთავთა ახალი სახლის წარმომადგენლის ნუგზარის  
სახელი საკმაოდაა ცნობილი. მემხოზე ფეოდალი, ურჩი ვასალი  
ქართლის სამეფო კარისა, პატივმოყვარე და შეუბრალებელი დი-  
დებული — აი, ასეთი იყო ნუგზარა. მის სახელს შემდგომ ხანაშიც  
ხშირად ჰქონდა ზენება:

„ნუგზარ ერისთავს დროსაო,  
სისხლის წვიმების დროსაო“...

ასე იგონებდა ხალხი სასტიკი ერისთავის ბატონობას ხანას. ნუგ-  
ზარის შემდეგ ერთ ხანს ერისთავად მისი უფროსი ვაჟი ბაადურ  
იყო, მაგრამ მალე, საერისთავო მეორე ვაჟმა ზურაბმა იგდო ხელთ.  
მან თავისი პატივმოყვარეობით, დამპყრობლური საქმიანობითა და  
სიმკაცრით მამას გადააჭარბა. განდიდებული ფეოდალი თეიმურაზ  
პირველსაც არ ემორჩილებოდა, რისთვისაც თეიმურაზმა ის მოაკვ-  
ლევინა (1629 წ.) და მისი თავი შაჰს აახლა. ასეთივე ბედი ეწვია  
მის ძმას დათუნა ერისთავსაც. ის როსტომ მეფემ დასაჯა ორგუ-  
ლობისა და განდგომისათვის და მისი თავიც შაჰს გაუგზავნა  
(1635 წ.).

არაგვის ერისთავთა სახლს ამის შემდეგ ნუგზარის მომდევნო  
ვაჟი ზაალი განაგებდა. ეს იყო სულხან-საბა ორბელიანის პაპა-  
ზაალი როსტომის მოწინააღმდეგე იყო, დიდხანს მტრობდა მას,  
მაგრამ ბოლოს შაჰს ეახლა და ერთგულება აღუთქვა. მალე ის  
როსტომის ბანაკში მოექცა. მეფემ ერთგული სამსახურისათვის  
ზაალს ერწო-თიანეთი უბოძა.

ზაალი შემდეგში მტრობდა და ებრძოდა ვახტანგ მუხრან-  
ბატონს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი გამეფდა, არაგვის ერისთა-  
ვი ღუშეთში გამაგრდა და იქიდან ეწეოდა ანტისპარსულ საქმიან-  
ობას...

1659 წელს ზაალი სათავეში ჩაუდგა კახეთის საყოველთაო  
აჯანყებას და მუსრი გაავლო თურქმანთა ტომებს. ვახტანგ V მემ-

ბოხე ზაალი მოაკვლევინა (1661 წ.) და მისი თავიც სპარსეთს გაგზავნა.

ზაალ ერისთავის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო სპარსეთის მოწინააღმდეგე ქართველებსათვის; მისმა სიკვდილმა გასტეხა მეამბოხენი.

ზაალ ერისთავი მარად დაუცხრომელი სულისა და შეუღრეკელი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანა იყო.

აი, ასეთი ადამიანის ასული იყო ჩვენი დიდი მწერლის დედა.

ვახტანგ ორბელიშვილსა და თამარ ერისთავის ასულს ძალზე კულტურული ოჯახი შეუქმნიათ. ვახტანგი საკმაოდ იყო დაინტერესებული ლიტერატურული საქმიანობით. მან სკადა ბიბლიის წიგნებს შეკრება-გავრცელება.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია ბიბლიის წიგნების რამდენიმე ხელნაწერი, გადაწერილი ვახტანგის დავალებათ. მათი შესწავლა ცხადყოფს, რომ ვახტანგ ორბელიშვილს და მის ოჯახს უკვე მე-17 საუკუნეში დაუწყია ბიბლიის, კერძოდ, ძველი აღთქმის წიგნების შეკრება, აღდგენა და შესწავლა...

ვახტანგ ორბელიშვილის ოჯახის წევრები სხვადასხვა საქმიანობის პირები იყვნენ. ამ ოჯახიდან გამოვიდა მდივანბეგბ, სახლთუხუცესი, დიპლომატი, სარდალი, სტამბის მუშაკი, მღვდელმთავარი, ლიტურგისტი, ლექსიკოგრაფი, პოეტი, კალიგრაფი, მემუარისტი, იგავთმწერალი...

ვახტანგს 11 შვილი ჰყავდა, სამი ასული და რვა ძე (სულხანი, ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ზურაბი, დიმიტრა, ნიკოლოზი, ზაალი), ზოგი მათგანი საკმაოდ გამოჩენილი პირი იყო.

ვახტანგ ორბელიშვილის ოჯახი დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი იყო. იქ დაიბადა ქართული კულტურის გულწრფელი მოყვარული და დიდა მოამაგე სულხან-საბა ორბელიანი, იქაურ კულტურულ გარემოში გაიზალა ამ დიდა მწერლისა და მეცნიერის შემოქმედებითი გენია.

## დაბადება და აღზრდა. ჭაბუკობის წლები

ქართული სიტყვის დიდოსტატი სულხან ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 4 ნოემბერს (ახალი სტილით). მისი ლექსიკონის ზოგიერთი ნუსხა გვაცდევს ზუსტ ცნობას: „დაბადებულა სულხან-საბა ორბელიანი ქართულსა ქორანიკონს ტმვ (1658), ოკდომბერს კლ (24), რომ ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება, დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუალამისასა“.

სულხან ორბელიანის დაბადების ადგილი—სოფელი ტანძია, როგორც აღენიშნეთ, მამამისის „სამკვიდრო“ იყო. ვახტანგ მდივანბეგს იქ ჰქონდა აგებული სასახლე. ტანძია მდებარეობს ქვემო ქართლში, მაშავერის ხეობაში. ის აღრიდანვე ყაფლანიანთა საკუთრებას წარმოადგენდა. იქ იყო ყაფლანის შვილების სასახლეები და ეკლესიები.

პატარა სულხანმა ბავშვობა ტანძიაში გაატარა. აქვე იზრდებოდნენ მისი ძმებიც: ერასტი, ვახუშტი, დიმიტრი, ნიკოლოზი, ზაალი...

ცხოვრების შემდეგი წლები სულხან ორბელიანმა გაატარა დმანისში. ეს მისი მამული იყო.

დმანისი აღრიდანვე ცნობილი პუნქტი იყო. ძველად ას შედიოდა გაჩიანის, შემდეგ სამშვილდის საერისთავოს ფარგლებში. ამ ციხე-ქალაქს მრავალი ბრძოლა გადაუხდია და მრავალი ჭირი უნახავს. სხვადასხვა დროს აქ იყვნენ არაბნი და მონღოლნი. ოსმალნი და სპარსელნი. ჟამთა სიივემ ძველი მძლავრი ქალაქი დასცა და დააცინა. შემდეგში დმანისი ორბელიანთა გვარეულობას კუთვნილებად იქცა.

მომავალმა დიდმა მწერალმა შესაფერისი განათლება მიიღო. დიდი ფეოდალის ვაჟსა და დიდი კულტურულ-ლატერატურული ტრადიციების მქონე ოჯახის შვილს ყველა ხელს უწყობდა, ყველა ეხმარებოდა. სულხანის აღზრდა-განათლების საქმეს ვახტანგ მდივანბეგთან ერთად ქართლის უფლისწულებიც ხელმძღვანელობდნენ.

სულხანს ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა, ამიტომაც შესანიშნავად შეისწავლა სასულიერო დისციპლინები და საერო ზნეობანი.

პატარა სულხანის აღზრდაში მამამისს უშუალო მონაწილეობა მიუღია და მისთვის დაქსელილი და ხვეული მრგლოვანი დამწერლობა უსწავლებია. სულხანმა მშვენივრად შეისწავლა წერა-კითხვა, გაიწაფა საღვთო წერილის კითხვაში, დახლოვნდა გალობაში. მის მუშაობას თვალყურს ადევნებდა მამამისი. მწვრთნელად სულხანს მიჩენილი ჰყავდა ბერუკა ზედგინიძე, მცხეთელი, ხოლო გალობის მასწავლებლად — გიორგი იაშვილა.

სულხანის სწავლა-აღზრდის შესახებ საინტერესო ცნობები შემოუნახავს ერთი ძველი ხელნაწერის ავტოგრაფულ მინაწერს:

„ქ. მე, ბარათიანთ დიდს ორბელის შვილის ყაფლანის ძის, საქართველოს ბრჭედ მთავრისა და მოსამართლეთ უხუცესის, პატრონის ორბელ ვახტანგის პირმშობა ძემან, ჯერეთ ყრმა კაცმა სულხან, დავიწყე ძილის პირთა და გალობათა სწავლა...“

მწვრთიდა მცხეთელი ზედგინიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერას სრულობას მწვრთიდა იაშვილი გიორგი. მზდიდა სათუთად და ნებიერად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა... ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე და ჩემის ოსტატის დიაკვნები მაჯავრებდნენ“...

სულხანს ადრევე გულმოდგინედ დაუწყია სწავლა. ცნობილი ქართველი მეფისა და გამორჩენილი პოეტის ვახტანგ მეექვსის სიტყვით, სულხანი „სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი“.

როგორც ჩანს, სულხანს კარგად შეუსწავლია ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, სათანადოდ შეუთვისებია ბუნებისმეტყველება, მაგრამ განსაკუთრებით ფილოლოგიას დაწაფებია.

ლექსიკონის შესავლიდან, ავტორის ანდერძანამაგიდან ვგებულობთ, რომ სულხანს ბრწყინვალე განათლება მიუღია. ლექსიკონზე მუშაობის დროს, — წერს ავტორი, — „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე: სამღთო წერილთა და ღვთისმეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ღვთისმეტყველებათა კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირას კათილორიათაგან გამოვიღე, ნემე-





სულხანი ახალგაზრდობაში



სიოს და იოანე დამასკელის პლატონურის სიტყვის საქცევები აღვწერე...”

სულხანმა დიდი ნიჭი გამოიჩინა ენათა შესწავლაში; დიდებულად შეისწავლა მშობლიური ენა. კარგად იცოდა უცხო ენებიც. მართალია, ერთგან მოჩიდებით შენიშნავდა, „თუ ქართულსა ენისაგან კიდევ, სხვა ენა არ ვიცოდით“, მაგრამ ლექსიკონიდანვე ვგებულობთ, რომ სულხანმა იცოდა თურქული, სომხური, უფრო ნაკლებად — ბერძნული, ლათინური, იტალიური და სხვა ენები. სიცოცხლის ბოლო წლებში მას რუსული ენაც შეუსწავლია.

ამრიგად, მომავალმა უებრო აგავთმწერალმა და სწორუპოვარმა ლექსიკოლოგმა მიაღო ენციკლოპედიური განათლება. დიდი ფეოდალს შვილი სათანადოდ გაუწაფავთ სამხედრო-პრაქტიკულ დისციპლინებშიც. სულხანს შეუსწავლია იმდროინდელი ქართველი დიდებულისათვის სავალდებულო სამხედრო ხელოვნება, გაუვლია სათანადო რაინდული წვრთნა.

სულხან ორბელიანის, როგორც მომავალი დიდი მწერლის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ თვისებათა წრთობასა და ხასიათის გამოკვეთაზე ძალზე დიდი გავლენა აქონია ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, ქართლის სამეფო კარმა.

„XVII საუკუნის მე-2 ნახევარში, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — საქართველო „აღდგომისა და გამოსხნისათვის“ ემზადებოდა, საამისოდ ძალებს რაზმავდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად, ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე დროს მისი გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

დიდბრძოლაგადახდელი ქართველი ხალხი ახლა, „მშვიდობიანობის“ ხანაში, გამოვლილ ომებს იგონებდა, მეზობლთა შეფასებას ახდენდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახედა.

1) ფიზიკურ საქმელებათა გვერდით თანდათან შემუშავდა აგრ

რუსიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი. თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასა: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მებრძოლი მოტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამიანოდ „გაიმართა“ ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ პროპაგანდა (გიორგი მეთერთმეტე, იაკობ შენოქმედელი). დაიწყო ქრისტიანობის აღდგენისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI).“

როსტომის შემდეგ ქართლის ტახტზე აღის მისი შვილობილი, თეიმურაზ მუხრან-ბატონის ვაჟი ვახტანგი. ნისი განუფებით იწყება მუხრან-ბატონების, — ბაგრატიონთა გვარეულობის გვერდითი შტოს. — ბატონობა ქართლის ტახტზე. ამ შტომ მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მისცა სამშობლოს. აქედან იყვნენ ცნობილი სარდლები, მწერლები, მეცნიერება (გიორგი მეთერთმეტე, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი...).

ვახტანგმა აღრევე გაითქვა სახელი, როგორც ჩინებულმა მეომარმა, ბრწყინვალე სარდალმა და ტახტს ერთგულმა. მან დიდად შეაყვარა თავი ქართლის მეფეს — როსტომს. ვახტანგი, გამაჰმადიანებული შაჰ-ნავაზი, ჯერ ქართლის გამგედ იქნა დანიშნული, ხოლო შემდეგ. როსტომის გარდაცვალებისთანავე, — ქართლის მეფედ.

ვახტანგ მეხუთე (1658 — 1675) ენერგიულად ებრძოდა თურქთა მოწინააღმდეგეებს, ყოველგვარ ზეობს მიმართავდა ურჩი ფეოდალების ახალგამავად. ამავე დროს ძალზე ცდილობდა ერთგულთა შემოკრებას, სათავადოების შემომოტიკებას. მან სულხანის პაპა, არაგვის ერისთავი ზაალი, მოაკვლევინა, არაგვის ერისთავობა ოთარს მისცა, დააწინაურა მისი ძმებიც და ამით არაგვის საერისთავო შემომოტიკა. ასევე შემომოტიკა ქსნის საერისთავო, — სადაც იესე გააბატონა. ამის შემდეგ ვახტანგმა „დაიპყრა უმეტეს ქართლი, რამეთუ ერთგულმდღენ ესენი ფრიად“ (საგულანხმობა რომ მიუხედავად წყალობისა, ეს ერისთავნი შემდეგში მაინც განუდგნენ ქართლის მეფეს...).

მომხრეთა საშოვნელად და შემდგომი ძლიერების მოსაპოვებ

ლად ვახტანგი ნათესაურ კავშირს ამყარებდა დიდ გვარეულობებთან. მას ჯერ ცოლად ჰყავდა ყაფლან ორბელიშვილის ასული, სულხან ორბელიანი-ს მამიდა როდამი, ხოლო შემდეგ შაჰის ბრძანებით შეირთო როსტომ მეფის ნაცოლარი, ლევან დადიანის და მარიამი. თავის უფროს ძეს—არჩილს ცოლად შერთო ქეთევანი, თეიმურაზ პირველის შვილის დათუნას ასული (ამით არჩილმა კახეთის ტახტის პერობის უფლება მოიპოვა), ლევანს — ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა, ლუარსაბს — რევაზ არაგვის ერასთავის ასული მარიამი, დისწული რაქის ერასთავის შოშიტაი.

შაჰ-ნავაზს ახლო კავშირი ჰქონდა შაჰის კართანაც. იქ ისპაანის მოურავად იყო მისი ძე ალექსანდრე, რომელსაც „ყოველნი ყრმანნი ყეენისანი, ვითარცა ყეენსა, ეგრეთ პატივს სცემდნენ“; თავისი ასული ანუკა ვახტანგმა მიათხოვა ირანის შაჰს — აბას მეორეს (1642 — 1666).

ვახტანგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ქართლის მართვით. მან დასავლეთ საქართველოსა და კახეთსაც მიხედა. ქართლის გავლენა ქართულ სამეფო-სამთავროებზე ძალზე გაიზარდა.

ვახუშტის თქმით, ვახტანგმა „მოიწყო ქართლი და კახეთი. იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ“.

ვახტანგი საეკლესიო საქმეებშიც ერეოდა. გარეგნულად მაჰმადიანი მეფე დადად ცდილობდა ქრისტიანული ეკლესიის ჯეროვნად წარმართვას. 1660 წელს მან კათოლიკოსად დანიშნა თავისი ბიძაშვილი — ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ძე დომენტი. ამით ქართლის ეკლესიას ერთგული კაცი დაუნიშნა ხელმძღვანელად და საფუძვლიანად შემოიმტკიცა იგი.

ვახტანგის საქმიანობა შრავალმხრივი იყო. მან „აღაშენა და განავროცო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი...“ მის დროს ქართლში შედარებით მშვიდობიანობა იყო, გარეშე მტერთა თავდასხმას აღდილი აღარ ჰქონია, მაგრამ სპარსელთა ბატონობა და თავადთა ძალმომრეობა კვლავ სულს უხუთავდა მშრომელ მოსახლეობას.

ქართლში სპარსთა გაბატონებამ საზოგადოების მაღალი ფენების გახრწნა გამოიწვია. ხშირი იყო დიდებულთა გამაჰმადიანების

შემთხვევები. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643—1713), რომელიც საქართველოში იყო მეჩვიდმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, წერს: „ქართველთა კეთილშობილნი გარეგნობით უმეტეს ნაწილად მაჰმადიანები არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმატომ მიუღია, რომ მეფის კარს ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირი ჰქონოდა...“ ქართველ ფეოდალთა გახრწნა-გადაგვარება კათოლიკე მისიონერებსაც აქვთ აღნიშნული. პატრი კარლო სანმარინელი 1668 წლის 28 ნოემბერს სწერდა რომს: ქართლში „ბევრა მაჰმადიანობას ღებულობს, თუ სიგლახაკის მიზეზით და თუ ხარისხის შეძენისათვის, და თუ კიდევ იმისათვის, რომ სპარსეთის მეფეს აამონ...“

მშრომელი მოსახლეობა ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა. ჩამოსახლებული სპარსელები და შეუბრალებელი ქართველი თავადები უმოწყალოდ ყველფდნენ გლეხობას. იმავე შარდენს შეუნიშნავს, რომ „მებატონეებს ძლიერ დიდი უფლება აქვთ ყმებზე. მებატონენი მთელი თვეების განმავლობაში რამდენიც უნდათ, იმდენს ამუშავებენ ყმებს და არც ჯამაგირს და არც საზრდოს აძლევენ. მებატონეთ ხელი მოუწვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებსა და ან მონებად ჰყავთ სახლში...“

დაახლოებით ასეთსავე სურათს ხატავს საქართველოში მყოფი პატრი იოსებ რომელი: „აქაური ბატონები უღმრთონი და მრავლად არიან... ამათ განუსაზღვრელი უფლება აქვთ თავიანთ ქვეშევრდომებს რაც უნდათ, ის უყონ, ასე რომ, დამწლელი არავინა ჰყავთ. ბატონების ხელშია ყმათა ქონება, სიცოცხლე და ნამუსი...“

ვახტანგ მეხუთის დროინდელ თბილისს ვრცლად აღწერს შარდენი:

„თბილისი ერთი უკეთესი და უმშვენაერესი ქალაქია... უმეტესი ნაწილი სახლებისა სალ კლდეზე დგას. ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისაკენ კი უკედლოა...“

თბილისში რამდენიმე ეკლესიაა, 6 მათგანი ქართველებისაა, დანარჩენი სომხებისა. დედა ეკლესია, რომელსაც საონს უწოდებენ, დგას მდინარის პირზე, მშვენიერი თლილი ქვით არის ნაშენი...

თბილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა, აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა

ქარვასლებიც, რომელშიაც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით. თვათონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხეშია. ამ აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი. კარგად მყოფებას გარდა, აქ ბანაობენ, აგრეთვე, სნეულებიც სამკურნალოდ... დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად შენახული და მალლობზე დგას, დიდი მოედნის პირას.

მეფოს სასახლე ერთ უმშვენიერეს შენობას წარმოადგენს თბილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარეს და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა... სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, ამ მოედანზე ათას ცხენამდე დაეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარია სასახლის პირდაპირ. მშვენიერია საწახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან...

თბილისის მიდამო შეკრულია რამდენიმე სალხინო სახლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფოს ბაღია. ხეხილი ცოტაა, მაგრამ ამისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენიებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ..."

შარდენს მეფის დარბაზიც აღუწერია: „დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი იყო, სიგანით ორმოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მტკვრის დარბაზი ახლილი იყო. საროთი ნაკეთებს დარბაზის ჭერს რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი იმაგრებდა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40 ფუტამდე ჰქონდა. მთელი დარბაზი მშვენიერია ორხოებით იყო მორთული..."

სულხან ორბელიანი ამ ეპოქაში აღიზარდა, ამ ხანაში დავაუკაცდა, ამ გარემოში დაუნჯდა მისი გონება. სამეფო კარზე მიიღო სათანადო აღზრდა, შაჰ-ნავაზისა (მამიდას მეუღლისა) და ბატონი-შვილების (— მამიდაშვილების) ახლო.

ვახტანგ მეხუთის კარზე, დროის შესაფერად, კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. მემატიანის ცნობით, ვახტანგმა თავისი შვილები აღზარდა „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნემეცნიერებითა. პირველად განსწავლნა სამღთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ; ხოლო უმეტესად სა-

ერთთა და სავაეკაცოთა მხედრობითა გამოცდილობითა ყოვლი-  
თურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არ  
აღზრდილ-არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფე-  
თანი და არცა დიდებულთანი“.

უთუოდ სათანადო კარგი სწავლა-აღზრდის შედეგი იყო ვახ-  
ტანგის ძეთა ჩინებული განსწავლულობა, ბრწყინვალე განათლება  
და ლიტერატურული მოღვაწეობას მრავალმხრივობა.

ვახტანგ მეხუთის შვილები ფიზიკურად ძლიერი, გონებამახვი-  
ლი და ფრიად განათლებული მოღვაწენი იყვნენ. მათგან განსა-  
კუთრებით გამოიჩინებოდა სამი: არჩილი, გიორგი და ლევანი.

არჩილი იყო „ქსკას, შვენაერ, მობურთალი, მოისარი“. ფიზი-  
კურ სიძლიერესა და მოხდენილ გარეგნობასთან ერთად მას გააჩნ-  
და დიდი ლიტერატურული ნიჭი და მაღალმხატვრული გემოვნება.  
ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში მას უაღრესად  
თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავს. ის იყო ახალი ლიტე-  
რატურული მოძრაობის მეთაური, ისტორიულ-ნაცაონალური თე-  
მატიკის ბრწყინვალედ დამუშავებელი, ენის სიწმიდისათვის თავ-  
გამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მო-  
რალისტი.

არჩილი ძველი ქართული აწერლობის დიდი მცოდნე და მის სა-  
ხელოვან ტრადიციებზე აღზრდილი შემოქმედი იყო. ცნობილია არ-  
ჩილის მეცენატობაც. მისი დაეალებით ფეშანგის გაულექსავს  
„ფარმალისანი“, ჩოლო იოსებ სააკაძეს—„დიდმოურავისანი“.

შაჰ-ნავაზის კარს მყოფი სულხანი საკმაოდ სარგებლობდა არ-  
ჩილის დახმარებით. ნიჭიერი მგოსანი, რომელმაც შთამომავლობას  
ზნეობათა კოდექსი „საქართველოს ზნეობანი“ დაუტოვა, ზრუნვას  
არ აკლებდა თავის ბაძაშვილს, სულხან ორბელიანს. აღსანიშნავია,  
რომ სულხანსა და არჩილს ლიტერატურული პაექრობაც ჰქონიათ.  
ჩვენამდე შემონახულია სულხანის ანბანთ-ქება და არჩილის  
პასუხი.

კიდევ უფრო მეტა როლი სულხანის აღზრდაში ითამაშა ვახ-  
ტანგ მეხუთის მეორე ძემ — გიორგი ბატონიშვილმა, შემდეგში  
გიორგი მეთერთმეტემ (1676 — 1688, 1703 — 1709).

გიორგი იყო „ძლიერი გოლიათებრ, სამხედროთა საქმეთა სრუ-



ლი და ხელგამომავალი. ასეთი სიტყვა ჰქონდა, მტერნი მოყვრად შეცვალის“. სეხნია ჩხეიძის ცნობით, მის „ხუმრობასა და სიტყვის მარჯობას არა გაეწყობოდა რა.“ ვახუშტი ბაგრატიონი გიორგის ასე ახასიათებს: „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, შვენიერ-ჰაეროანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოაჰპარეზე უებრო...“

გიორგი ლიტერატურითაც საკმაოდ დაინტერესებული იყო, თვით იღებდა მონაწილეობას ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. მას უნდა ეკუთვნოდეს ერთი საინტერესო თხზულება: „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთჲს, თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ.“

გიორგი ცნობილი მეცენატი იყო. მისი დავალებით იაკობ დუმბაძეს გაუღებდას ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური შრომა. თხზულების სათაური ასე იკითხება: „დასაწყისი უსჯულოს მაჰმადიანთა და ქრისტიანთა გაბაასებისა, ნათქვამი იაკობ შემოქმედელისაგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შანაოზისათა.“

გიორგი ზრუნავდა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზეც, თხზულებათა პოპულარიზაციაზე. ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი, გადანუსხული 1680 წელს გიორგის ბრძანებით. ხელნაწერი კალიგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მისი გადამწერი, ძალზე დახელოვნებული კალიგრაფი ბეგთაბეგი საგანგებოდ შენაშნავს: „მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკია წიგნი ვეფხისტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩვენისადო.“

სულხანა გიორგი ბატონიშვილის ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა. გიორგი მომავალი დიდი მწერლის საპატიო აღმზრდელად ითვლებოდა. ვახტანგ მეექვსე ერთ მოგვიანო ხანის წყალობის წიგნში სულხან ორბელიანს „მეფის გიორგის გაზრდილს“ უწოდებდა. სულხან ორბელიანი, უკვე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და დახელოვნებული მწერალი, „ქალილა და დამანას“ წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ის „გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შეალურად გაზრდილი და გასწავლებული.“

გიორგიმ აღრევე შენიშნა სულხანს დიდი ნიჭი, გამოარჩია ის და განსაკუთრებული გულწყურით ზრუნავდა მასზე. მისივე დავალებით დაიწყო სულხანმა ლექსიკონის შედგენა. „გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელყოფაო“, — წერს ლექსიკონის ავტორი.

გიორგისა და სულხანს შორის მუდამ მტკიცე კავშირა და ტკბილი, მეგობრული განწყობილება იყო. გიორგი „სანატრელ ძმას“ უწოდებდა სულხანს.

არჩილი და გიორგი, — ცნობილი მეფეები, გულადი რაინდები და ნიჭიერი მწიგნობრები, — დიდად ეხმარებოდნენ სულხანს, აქტიურად მონაწილეობდნენ მის გონებრივსა თუ ფიზიკურ აღზრდაში.

სულხან ორბელიანის აღზრდაში წილი უდევს ვახტანგ მეხუთის მესამე ვაჟს ლევან ბატონიშვილსაც. ეს უკანასკნელი, მემატრიანეთა სიტყვით, იყო „ბრძენი და მეცნაერი, შორდამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნიეროთა წიგნითა... ღრმად გამსინჯველი და მოუბარი.“


სულხანი გიორგისთან ერთად არჩილსა და ლევანსაც იხსენიებს ლექსიკონის შემკვეთად.

ქართლის მეფის კარზე ყოფნა და ბატონიშვილებთან სიახლოვე გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა სულხან ორბელიანს. მას თავასუფლად შეეძლო გაეცნო უძველესი ხელნაწერები, ჩაბმულიყო კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში და თავისი წვლილი შეეტანა ეროვნული კულტურის საგანძურში.

სულხან ორბელიანმა შესანიშნავად გამოიყენა ქართლის მეფის კარზე მოპოვებული მდგომარეობა. ორბელიანთა ძლიერი გვარეულობის ბრწყინვალე წარმომადგენელმა და სამეფო კართან ძალზე დაახლოებულმა პირმა მეუღლეც შესაფერი მოძებნა: ჯერ შეერთო დარეჯან ბაგრატიონი, ზოლო მისი გარდაცვალების (1683 წ.) შემდეგ — სამცხის ათაბაგის ასულა თამარი.

## სულხანის მონაწილეობა ქართლის განხილვისათვის გაჩადგმულ ბაქოლაში

ღრმად განსწავლული და ფრიად განათლებული სულხან ორბელიანი აქტიურად ჩაება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბატონიშვილთა დახმარებასა და მფარველობას ის ერთგულებით



ბარბილი



პასუხობდა. მთელი თავისი შემდგომი საქმიანობა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა. მან ვახტანგ მეხუთის წაამომაკლობა კეთილდღეობისა და ქართლის ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლას დაუკავშირა.

გიორგი ბატონიშვილმა ადრევე გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე. მან ჯერ კიდევ ქაბუჯობაში მოაკვლევინა საბარათიანოს სარდალი ზაზა ციციშვილი, რომელაც „იქცეოდა ამაყად მეფესა ზედა“ (საბარათიანოს სარდლობა მიიღო გამოჩენილმა მეომარმა თამაზ ყაფლანის ძე ორბელიანმა — სულხანის ბიძამ). როდესაც შაჰ-სოლეიმანის (1666 — 1694) კარს წარემართა ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე, მან ქართლის გამგებლად გიორგი დატოვა და მას დააეალა „უკუმიდგარი“ იესე ქსნის ერისთავის გაძევება. გიორგის ადრევე მოეყვანა შალვა ერისთავის ძე დათუნა და თან ჰყავდა, ხოლო ახლა თავისა ძმა ლევანი შიდა ქართლის „დროშით“ გაგზავნა ქსანს და გააძევებინა იესე. ქსნის ერისთავობა გიორგის ერთგულმა დათუნამ მიიღო.

გაიგო რა შაჰ-სოლეიმანმა ვახტანგ მეხუთის გარდაცვალება (1675 წ.). დაიბარა გიორგი, „რათა მისცეს ქართლი და მეფობა“. გიორგიმ ქართლის გამგედ ლევანი დატოვა, თვით შაჰს ეახლა. ცბიერი და ვერაგი სოლეიმანი დახვდა „მზიარულისა პირითა“, მოეწონა „სიკეთე და სიმხნე მისი“...

შაჰის კარზე იმ დროს მოღვაწეობდა შიხალი-ხანი, რომლის სიტყვა შაჰისათვის კანონი იყო. შიხალი-ხანი ქართლის მეფის სახლს მტრობდა (როცა სოლეიმანმა შაჰ-აბას მეორის ცოლის — ანუკა ვახტანგის ასულის გაჩუქება მოინდომა, ორი პირი ითხოვდა ქართველი მეფის ასულს: ლორისტანის ხანი და შიხალი-ხანი. ვახტანგ მეხუთის თხოვნით შაჰმა ანუკა ლორისტანის ხანს მისცა. შიხალი-ხანი გაწბილებული დარჩა. ეს წყენა გულს ჩაიხვია შაჰის ვერაგმა მრჩეველმა და ქართველებს მტრობა დაუწყო). ამჯერადაც მან შეუშალა ხელი გიორგი ვახტანგის-ძის გამეფებას. მისი რჩევით შაჰმა გადაწყვიტა ქართლი თეიმურაზ პირველის შვილიშვილისათვის მიეცა...

ამ დროს გიორგის ძმა არჩილი იწყებს ქართლის დაპყრობას, „არა თუ თვისად“, „არამედ რათა სცნას ყვენმან და მოსწრაფედ

წარმოავლინოს“ გიორგი. შაჰ-სოლეიმანი შეეფოთდა, „მოუწოდა გიორგის“, მისცა ქართლს შეფობა, დააჯილდოვა დიდად, გაამაჰ-მადიანა და გამოისტუმრა. გიორგი მეთერთმეტე მოვიდა თბილისს და დააჭირა ტახტი (1676 წ.). ახალმა მეფემ მტყიცედ მოჰკიდა ხელი ჰამეფოს მართვას, იწყო ორგულთა დასჯა და ერთგულთა შემოკრება. ქსნის საერისთავოს უფრო მეტად შემომტყიცების მიზნით მან თავისი ახული მარიამი დათუნა ერისთავს შერთო; არაგვის ერისთავად იასონ გიორგის-ძე დასვა და სხვა.

შაჰმა მოითხოვა გიორგის ძმა. მეფემ ლუარსაბი აახლა... იმ დროს არჩილმა იმერეთი დაიპყრო. შიხალი-ხანმა შეასმინა შაჰს, გიორგი ოსმალეთს გვამტყრებს, არჩილი მასი დახმარებით იპყრობს იმერთ ქვეყანასო. სოლეიმანმა გამოგზავნა სპასალარი აჯი-ალი-ხანი, „რათა გარდააბირნოს ქართველნი გიორგი მეფისაგან“. არჩილი გადავიდა დვალეთს, შემდეგ რუსეთს. შაჰი მაინც არ დაცხრა, აჯი-ალი-ხანს უბრძანა მტრობა გიორგისა, ისიც „მცდელობდა შემოსურასა მისსა“, „წარიბირნა მთავარნი“. ამოქმედდა მეფისა და ტახტის ორგულნი. უკუდგნენ იასონ არაგვის ერისთავი, სომხითის მელაქი ქამარ-ბეგი, ერეკლე მუხრან-ბატონი და ძმანი მაჩაბელნი. მეფემ მოღალატენი დასაჯა, მისი ბრძანებით ქამარ-ბეგი კოჯორს მოკლეს, ერეკლე მუხრან-ბატონი და მაჩაბლები შეიპყრეს, იასონ ერისთავი საბლით მოაშთვეს...

გიორგი დაუკავშირდა არჩილს და იმერთა და კახთა მეფედ მოიწვია. შაჰმა გაიგო მისი საქმიანობა, დაიბარა ლევან ბატონიშვილი, „რამეთუ ეუწყა... არს იგი საქმისა მისისა (ქართლის მეფისა — ლ. მ.) წარმართებელიო.“ შეწუხდა მეფე. შაჰს აუწყა, ძეს — ბაგრატს გამოგვიგზავნიო. ბოროტმა შაჰმა ორივე იწვია... 1698 წლის მარტში გიორგი მეფემ ბაგრატი და ლევანი აახლა შაჰს.

გიორგიმ აქტიურად დაიწყო ანტიოსმალური საქმიანობა, აჯანყების სამზადისი. მიიმხრო კახნი. ჯარით უნდა შეერთებოდა მათ ლაშქარს. დათქმულ ღამეს გაიპარა თამაზ ორბელიანი (სულხანის ბიძა), მივიდა სპარსელებთან და გასცა აჯანყება...

განრისხებულმა შაჰ-სოლეიმანმა ბაგრატი და ლევანი პატიმრად გაგზავნა ჰერათს, ხოლო მეფის ძმა ლუარსაბი ქირმანს; იხმო გიორგი, მოდი, „მოგცე ქვეყანა სხვა“, ქართლი ერეკლესთვის მი-

ნიციაო... ტახტიანორთმეული და დამარცხებული მეფე ცხინვალს მივიდა, ხოლო იქიდან რაქას გადავიდა...

სულხან ორბელიანი გიორგის ერთგული ქვეშევრდომი იყო, მისი ჭირსა და ლხინის თანაზაარი. ის სახელმწიფო საქმეებით საკმაოდ გადატვირთული იყო. მისივე სიტყვით „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო.“ ერთგულებისათვის და კეთილანდისიერა სამსახურისათვის გიორგი მეთერთმეტემ სულხანს უბოძა სოფელი შოშილეთი (ქციის ხეობაში).

განათლებულსა და წარჩინებულ სულხან ორბელიანს ლევან ბატონიშვილის ძმის ვახტანგის აღზარდა დაევალა. ეს დაევალება მან პირნათლად შეასრულა. ამან კიდევ უფრო დიდი სახელი და ავტორიტეტი მოუპოვა მას (ამავე პერიოდში მტშობდა ის „სიბრძნესიცრუეზე“). მისიონერი რიშარი სულხანის შესახებ წერდა: „ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისათვის ისეთ პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა; აგრეთვე მთელ საქართველოს მამად მიაჩნია“.

სულხანი ერთგულად ემსახურებოდა ვახტანგ მეხუთის მემკვიდრეებს და დიდად ეხმარებოდა მათ ქართლის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებული დინასტიური ბრძოლების დროს. გიორგი მეფის ნათესაეები ხშირად აღნიშნავენ სულხანის დამსახურებასა და ღვაწლს.

ლევან ბატონიშვილი სულხანსა და მის ძმებს იხსენიებს. როგორც „ერთგულთა და მრავალფერად ნამსახურთა“.

გიორგი მეფის ძმისშვილი ქაიხოსრო მეფე 1710 წელს გაცემულ წყალობის წიგნში შენიშნავდა, რომ „სულხან — ყოფილი საბა, კურთხეულსა და ამიღლებულს სახელოვანს ბიძა და მამა ჩვენზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილი იყო“. ის საგანგებოდ აღნიშნავდა სულხანის „ნამსახურობას“.

ვახტანგ მეექვსე რამდენჯერმე აღნიშნავს სულხან ორბელიანის დიდ დამსახურებას. 1726 წელს გაცემულ ჭითარხნის წიგნში წერს: „ბიძა ჩვენი სულხან — ყოფილი საბა ორბელიშვილი კურთხევით ხსენებულთ ხელმწიფეთ, ჩვენთა მამა ბიძათა ზედა დიდად ნამსახური და გარჯილი იყო.“

შაჰმა ტახტი მისცა თეიმურაზის შვილიშვილს — ერეკლე პირველს. ის დათუნა ბაგრატიონის ვაჟი იყო. მამამისი ყიზილბაშებთან ბრძოლას შეეწირა 1648 წელს. პატარა ერეკლე და დედამისი ელენე თეიმურაზმა რუსეთს გაგზავნა. 1653 წლის ბოლოს ისინი რუსთა მეფის კარს მივიდნენ. მეფე ალექსი მიხეილისძე ქართველ ბატონიშვილს მწყალობელი თვალით უცქერდა, ახლო ჰყავდა. თეიმურაზის შვილიშვილი ქართლ-კახეთის უფლისწულად ითვლებოდა. მას ნიკოლოზს ეძახდნენ.

1659 წელს, როდესაც კახეთი აჯანყებამ მოიცვა, ერეკლე მოისწრაფის აქეთ და კახეთის აღებას ლაშობს, მაგრამ ამოდ. 1666 წელს ის კვლავ რუსეთს, მოსკოვს ეწვია, ხოლო შემდეგში სპარსეთის შაჰის კარს, სადაც დაჰყო 14 წელი, გამაჰმადიანდა და ნაზარალი-ხანი ეწოდა. შაჰმა ის ქართლს მეფედ დანიშნა.

მე-17 საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს „ქართველობისათვის მებრძოლთა პოლიტიკური იდეალა თითქო ზორცს ისხამდა“, ქართველა მამულიშვილები გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. ისინი ანტიისპარსულ და ანტიოსმალურ საქმიანობას ეწეოდნენ კახეთსა და იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. აქტიურად მოქმედებდა თეიმურაზის მომხრეთა დასი ქართლშიც, მაგრამ ამას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს გაერთიანება და მოძალებულა მტრის წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლის გაჩაღება არ მოხერხდა. „ამ პოლიტიკური მარცხის ეპილოგი იყო, რომ თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე, ხელმწიფის კარზედ მძევალი, XVII საუკუნის 70-იან წლებში წამოიყვინდა „პატრონს“ და ირანის შაჰს ეყმობდა და მისგან მიიღო თავისი „სამკვიდრო“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ქართლისკენ მომავალ მეფეს შაჰმა, მასივე თხოვნით, მწედ უჩინა აჯი-ალი-ხანი და კახეთს მჯდომი ხანი, თუშნი და ქიზიყელნი; ახალი მეფე თბილისს მოვიდა 1688 წელს.

ერეკლე იყო „ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი“, ამასთანავე, „ლირწთა და უშეერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე“. მან ქართლში ახალი წესები შემოიღო, ერთგულნი შემომტკიცია.



ერეკლეს დროს განსაკუთრებით დაწინაურდა სულხან ორბელიანის ბიძის — ასლან ყაფლანის-ძე ყაფლანიშვილის ოჯახი. ასლანის მეუღლე თამარი, მეფის დედის — ელენე დიასამიძის და იყო. ეს გარემოება დიდად უწყობდა ხელს ასლანის სახლის გაძლიერებას. სულხანის ბიძა ასე იწოდებოდა: „ორბელიშვილი სომხათის მოურავი ასლან“ ან „საქართველოში უფროად დადგინებული და დიდად პატივცემული ბატონი ასლან“. სომხთის მოურავი დიდად ერთგულობდა ერეკლეს. მეფეც წყალობის თვალთ უცქერდა, მის შვილებს აწინაურებდა.

ერეკლემ გამეფებისთანავე ლუარსაბ ასლანის-ძე ყულარადასად დანიშნა, დომენტი ასლანის-ძე — თბილელად, მსაჯულთუხუცესად — ბარძიმ (გიორგი არაგვის ერისთავის ძმა), ვეზირად — ყაასა. მათ „მიადრო საქმენი ყოველნი ქვეყანისანი და თვით მარადის იშვებდა და იხარებდა“...

ერეკლე შაჰის ერთგული ნიხელე იყო. ის ებრძოდა გიორგის მომხრეებს, მის სახლიკაცებს, მის ახლობლებს. მისმა მხედრებმა დიგორამდე სდიეს არჩილის შვილებს.

ერეკლე „ამცირებდა ერთგულთა მეფის გიორგისათა და განადიდებდა კახთა და ვინამეთა ქართველთაცა“. მან დაამდაბლა გივი ამილახვარი, დავით ერისთავი, აშოთან მუხრან-ბატონი. ახალ მეფეს ერთ ხანს ერთგულად ემსახურებოდა სულხანის ბიძა — თამაზ სარდალი, მაგრამ მალე განუდგა. ამიტომაც მეფემ „უმეტეს დაამდაბლა“ ის.

ერეკლეს დროს დიდ პატივში იყვნენ ყიზილბაშნი. ქართლის მაჰმადიანმა მეფემ „ალაზგავენა მცველნი ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რამეთუ ჰკლვიდენ და წარუხმიდენ კაცთა ცოლ-შვილთა, სხვათთა ჰყიდდნენ და სხვათა მოჰმედიან ჰყოფდნენ“... ერეკლეს მეფობამ შეაწუხა ქართველობა. განსაკუთრებით მძიმე ყოფაში იყო მშრომელი გლეხობა. ქართლის გლეხები და აზნაურნი „გარდაშენდებოდნენ კახეთს“, კახეთის დასახლება კი ერეკლეს მიზანს წარმოადგენდა.

ქართლიდან ლტოლვილი გიორგი მეთერთმეტე რაჭიდან ოდიშს გადავიდა, შემდეგ გურიასა და სამცხეს. სოლეიმან შაჰმა ხონთ-

ქარს ქალბალი-ხანი გაუგზავნა დესპანად და გიორგის თავი სთხოვა. ქართლის მეფე აენგიჩარებს შეეფარა ახალციხეში.

ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველნი უკავშირდებიან გიორგის და მას ქართლში იწვევენ. ქართველი დიდებულები (აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახვარი, ნიკოლოზ მაღალაშვილი) თავიანთ მეფეს საგანძურსაც უგზავნიდნენ ოსმალთა მოსასყიდად. ქართლის დიდებულები „უბატო იყვნენ“ ერეკლესაგან, ამიტომაც აღარ ინებეს მასი ბატონობა.

ახალციხიდან ღამით გამოპარული გიორგი მეთერთმეტე მივიდა ოშორას, აჰყარა თავისი და ლევანის სახლეულნი, დააყენა სადგერს და თვით ქართლს მოვიდა (1691 წ.).

გიორგიმ შემოიკრიბა ერთგული თანამებრძოლები. მივიდა შიდა ქართლს, იქ შეუერთდნენ „ყოველნი სახარულითა“. გიორგისთან წავიდა გივი ამილახვარი. თიანეთში დახვდნენ გიორგი არაგვის ერისთავი და მისი ძმა ბარძიმი. მათ „რა სცნეს პატრონისა მათისა მისვლა, გაიხარეს სიხარულითა დიდითა“, მიეგებნენ, შენდობა სთხოვეს, შეუერთდნენ. შეიყარა ქართველთა დიდი ჯარი. ერეკლე იმ დროს კოჯორში იდგა, აიყარა და თბილისის ციხეში შევიდა. მასთან მივიდნენ მისი ერთგულნი, მათ რიცხვში სულხანის ბიძაშვილი პაპუა გიორგის-ძე ორბელიანი.

გიორგი მოვიდა დიდგორსა და კოჯორს. „რა კოჯორს ჩასვლა შეიტყვეს ბარათიანთა, წამოვიდა სარდალი თამაზ და ჯარი საბარათაშვილოსა, შემოეყარნენ მეფე გიორგის, შეიქნა სიხარული თვისის გამზრდელის პატრონის ნახვისათვის“. გიორგის „მოერთვნენ სრულიად სომხით-საბარათიანონი“. მის ლაშქარში იყვნენ სულხან ორბელიანი და მისი ძმებიც.

გაიგო რა შაჰმა გიორგის ქართლს მოსვლა, ალლო აულო ვითარებას. შეიცვალა გეგმა, დაიბარა ქირმანს პატიმრადმყოფი ლევანი და ლუარსაბი (მეფის ძე ბაგრატი ჰერათს გარდაცვლილიყო), პატივი მიაპყრო. ქართლს მოვიდა შაჰის მიერ გიორგის ძმების „შეწყალები“ ამბავი, გიორგის მომხრეებს იმედი მიეცათ.

გიორგის ჯარი თბილისს მოადგა, „შეამკირვა ფრიად“. ტახტის პრეტენდენტებს ხშირი შეტაკება ჰქონდათ. გიორგი საკმაოდ აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა (ბარძიმ მსაჯულთხუცესი იმერეთს გაგ-

შაკვა არჩილის დასახმარებლად, გივი ამილახვარი და თამაზ ორბელიანი კახეთს გაგზავნა, შანშალის შემოერთება სცადა, პაპუა მუხრან-ბატონი და გიორგი ერისთავი აბაზ-ყული-ხანის ჯარის წინააღმდეგ გაგზავნა თიანეთს და სხვა).

შაჰ-ოლეიმანის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთის ტახტი მისმა შვილმა შაჰ-სულთან-უსეინმა (1694—1722) დაიკავა. მან „იწყინა ძალად დაქერა ქართლისა“ და თბილისს მყოფ ყიზილბაშებს შიშველები გაათრევა. ამით ქართველი სოცევენი და „ნოსრნეს სრულიად“.

ერეკლემ შაჰს აახლა ლუარსაბ ყაფლანიშვილი და აბაზ-ყული-ხანი დაამინა, გიორგის ემხრობაო. სულთან-უსეინმა დიდი ჯარი გამოგზავნა ქალბალი-ხანის მეთაურობით და ერეკლეს მოსწერა აბაზ-ყული-ხანი შეიპყარ და გამოძიგზავნეო. ახალი ლაშქრის გამოჩენა ართულებდა გიორგის მდგომარეობას. მართალია, ის უკვე რამდენიმე წელს ბატონობდა ქართლში და საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ ქალბალი-ხანს ურიცხვი მეომარი ახლდა და მასთან ბრძოლა ძნელი იყო.

1695 წლის ზაფხულს მტრის ლაშქარი მოვიდა ხუნანს. თბილისის ციხიდან გამოვიდა ერეკლე, „შემოეყარენ კახნი“, ზოგიერთი ქართლელი დიდებულები (ლუარსაბ სარდალი, ავთანდილ ამილახვარი...) მასთან იყო. გიორგი დიდგორს მოვიდა, საომრად გაემზადა, მაგრამ არაგვისა და ქსნის ერისთავები ველზე ბრძოლის წინააღმდეგნი იყვნენ და არც თამაზ ორბელიანმა იწება „ხინწს შემოსრულთა ყიზილბაშთა ბრძოლა, რამეთუ იყო მამული მისი“.

ერეკლე და ქალბალი-ხანი მოვიდნენ სომხითს. მათ კარგად ესმოდათ საბარათაშვილოს მნიშვნელობა. იცოდნენ თამაზის, სულ-ხანისა და სხვათა საქმიანობა გიორგის სასარგებლოდ, ამიტომაც „შემოვლნეს“ „დბანის ხევი“ და დადგნენ ყარაბულახს.

გიორგი კლდეკარს მივიდა. ქართველი დიდებულები ბრძოლას გაურბოდნენ, დაზამთრებას ელოდნენ, თოვლი გააქცევს ყიზილბაშებსო. მრავლად იყვნენ მოლაღატენიც. გიორგის ბრძოლა სწაღდა, „აიძულებდა ქართველთა ბრძოლად“, მაგრამ „არა იწებეს კვალად ქართველთა“. გულნატკენი და „ულონო ქმნილი“ გიორგი მი-

ვიდა კრკონს, აპყარა იქ მყოფი სახლეულნი და იმერეთს გადავიდა (1695 წ.).

იმერეთს გახაზნულ გიორგი მეთერთმეტეს თან გაპყვენენ მისი ერთგული თანამებრძოლნი, ზოგიც შემდეგ მიუვიდა. მემატიანის ცნობით, „მეფეს გარდაყვა ერთ-პირად ერისთავი გიორგი, ამილახორი გივი, ძმა ამილახორისა, კათალიკოზი ნიკოლოზ, ყორჩიბაში მუხრანის ბატონიშვილი დათუნა, ზურაბასშვილი ზურაბ, სხვანი თავადნი და აზნაურნი მრავალნი“.

გიორგის მომხრენი ქართლში სასტიკ დევნას განიცდიდნენ, მათ აღარ ედგომებოდათ საკუთარ მამულში, ამიტომაც გარბოდნენ ლიხთ-იმერეთსა თუ სამცხეს.

სულხან ორბელიანი და მისი ძმები, რომლებიც გიორგი მეთერთმეტის მხარეზე იბრძოდნენ ერეკლე პირველის წინააღმდეგ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ დინასტიურ ბრძოლებში, კვლავ გიორგას ერთგულნი დარჩნენ. ისინი გიორგის „შერჩნენ და გარდაყვენენ“.

გიორგის დამარცხებას შემდეგ სულხანი გაიხიზნა, ახალციხეს დადგა და სიწმირის ოჯახს შეაფარა თავი. მასთან იყო მისი ბიძა თამაზაც. გახიზნულები იქაც აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდნენ, გიორგის მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთმა მოქმედებამ სათანადო შედეგი გამოიღო: სულხანმა ათაბაგი გადმოიბირა და გიორგი მეფეს გაუერთგულა.

სულხანი ერთ ხანს სიწმირთან დარჩა. ერეკლე მეფემ მას ქართლში მამულები ჩამოართვა და სხვას უბოძა. შემომწყვრალი მეფე შურს იძიებდა გიორგის ერთგულ ორბელიანზე.

გიორგი მეთერთმეტის ბრძოლას ტახტისათვის წარმატება არ მოჰყოლია. გიორგის ერთგულნი დაიქსაქსნენ. ქართლში გაძლიერებულმა ერეკლემ გიორგის მომხრეებს მამულები ჩამოართვა. ზოგი მებრძოლი მოტყდა, ერეკლეს ქედი მოუხარა და სპარსელთა სარდალს ჩაბარდა. ქალბალი-ხანმა შემორიგებულნი დიდებულები: პაპუა მუხრან-ბატონი, დავით ქსნის ერისთავი და სულხან ორბელიანს ბიძა — თამაზ ბარათაშვილი, — ერეკლეს რჩევით, — შაჰს გაუგზავნა, ხოლო მან დაატყვევა ისინი და ქირმანს წარგზავნა. დი-

დი თავადების შემდეგ ერეკლესთან „მივიდნენ ყოველნი ქართველნი“. ბრძოლა მანელდა, ერეკლე გაძლიერდა.

გიორგის მომხრეთა რიცხვი შემცირდა. დევნილი მეფე სხვა გზას დაადგა, ჯიქურ ბრძოლას თავი დაანება და დიპლომატიურა ხერხი იხმარა. მან გადაწყვიტა შაჰთან წასვლა. შეამბოხე მეფის შემორიგებით გაზარებულმა შაჰმა მემანდარი (—მესტუმრე) აახლა მას და მიიწვია. გიორგი მეთერთმეტე გადმოვიდა იშერეთიდან; მეფეს მისი ერთგული მეზობლებიც გადმოჰყვენენ. დიდებულები ერეკლემ თავ-თავის მამულებში ჩააყენა, რადგან ასეთი იყო შაჰის ბრძანება. გიორგის თანამებრძოლმა თავადებმა მამულებში ცოლ-შვილი დაასახლეს, თვით კი გიორგის გაჰყვენენ შაჰთან.

გიორგის ერთგულთა შეწყნარება ერეკლე პირველს თავისი სურვილის წინააღმდეგ მოუხდა. 1696 წლიდან იწყება გახიზნულთა დაბრუნება და სამკვიდროში დასახლება.

ამ დროს ქართლში დაბრუნებას ცდილობს სულხან ორბელიანიც. მისი ნათესაეები და ახლობლები ცდილობენ ერეკლე პირველის გულისწყრომის დაცხრობას და შეამბოხე სულხანისათვის პატიების გამოთხოვას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხანის ბიძის ასლანას ოჯახის საქმიანობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასლანის მეუღლე თამარი იყო ერეკლე პირველის დედის — ელენეს და. ამ გარემოებამ გარკვეული როლი ითამაშა ამ ოჯახის დაწინაურების საქმეში და რამდენადმე გადასწვდა ახლობელთა ბედსაც.

თამარ დიასამიძე - ორბელიანისა თავის დისწულს — ქართლის მეფეს ერეკლეს, გახიზნული სულხანის შემორიგებასა და დანაშაულის პატიებას სთხოვს. ნათესაურმა კავშირმა და, შეიძლება უფრო მეტად, შაჰის ბრძანებამ გიორგის მომხრეთა შეწყნარება-შეწყალების შესახებ ფაქრა და სულხანს ეპატია დანაშაული.

1696 წლის გაზაფხულზე სულხანი უკვე თავის სამკვიდროშია. დანაშაული ეპატიათ სულხანის ძმებსაც. ერეკლე პირველმა ქართლში დაბრუნებულ ორბელიანებს მამულები დაუბრუნა. მეფემ თამარ ერისთავ-ორბელიანისას (სულხანის დედას) 1700 წელს შემდეგი სიგელი მისცა:

„ესე წყალობის წიგნი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქვენ, ორბე-

ლიმვილის მდივანბეგის ვახტანგის ცოლყოფილს, ზაალ ერისთავის ქალს ბატონს თამარს ესრეთ, რომე ამოწყვეტილი სააკაძის მკვიდრი მამული ჯალდამი და ლორისთავი როსტომ მეფეს ბარათაშვილ თაშაშაშვილებსათვის ებოძა და გიორგი მეფის ბრძანებით შენის ნამზითვის სამკაულით გეყიდა. მერმე გიორგი მეფე რო ჩამოვიდა. შენი შვილები იმას შერჩნენ და გარდაყვნენ. ჩვენ გაუწყურით და ეს მამული გავეცით, მერმე გავსანჯეთ და ნასყიდი მამული არ წაირთმეოდა. მერმე თქვენი შვილები, სულხანი და მისნი ძმანი შემოვირიგეთ, შეუნდევით და შენი ნასყიდი სოფლები. ჯალდამი სრულებით და ლორისთავი სრულებით, წყალობა გიყავით მისის სამართლიანის სამზღვრით. ზურაბისშვალს რევას ამ მამულებსა ჩვენგან ნაბოძები სიგელი ჰქონდა და ის ამ სიგლით გავგვიცუდებია...”

სამშობლოში დაბრუნებულმა სულხან ორბელიანმა ხელი აიღო პოლიტიკურ საქმიანობაზე და ქართლში გამეფებული რეჟიმის პროტესტის ნიშნად თავის საგვარეულო მამულში ჩაიკეტა. ერთ ხანს ის აღარ ჩანს პოლიტიკური ცხოვრების არენაზე. მას მხოლოდ იმედი ასულდგმულებდა. სულხანი სპარსეთის შაჰის კარზე მყოფი გიორგი მეტაორომეტის საქმის გამოსწორებასა და ქართლში დაბრუნებას ელოდა, მაგრამ ამაოდ. გიორგი იგვიანებდა. შაჰი მას თავის საქმეს აკეთებინებდა და ქართლში გამოსტუმრებას სულ არ უპირებდა...

ქართლში ერეკლე პირველი გაძლიერდა. მას მაგარი ზურგი ჰქონდა სპარსეთიდან. ქართლს მყოფი სპარსელთა ჯარის შემოსამტეიციებლად მეფე ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. თბილისის მცველნი „განალაღნა და მკვიდრ-ჰყო“.

სპარსელთა თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. „იპარვიდინა სილაღითა მცველნი ციხის თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჰყიდინა და შეერიათ ქართველთაცა ყიდვა ტყვეთა და იცვალებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწყესობითა...“

ქართლის მაჰმადიანმა მეფემ მალე დაიწყო გიორგის მომხრეთა დევნა და შევიწროება, მათი მამულების კონფისკაცია. „ვეალად

დაამდაბლნა ერთგულნი გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხენა მამულნი და აღამაღლნა კახნი უმეტეს პირველისა და მისცნა მამულნი მათნი“... გიორგის მომხრეთა ნაცვლად ერეკლემ მისი ერთგული დადებულები წამოსწია. აღრე იმერეთსა და სამცხეს გაქცეული, ხოლო შემდეგში პატიმრად თუ გიორგი მეფის მხლებლად სპარსეთს წასული თავადების მამულები მან თავის ერთგულ მებრძოლებს მისცა; არაგვის ერისთავად ბაინდური განაჩინა, ქსნის ერისთავად — დავითი, მუხრან-ბატონად — კონსტანტინე, ამილახვრად — იოთამი, სომხით — ზაბარათიანოს სარდლად — სულხანის ბიძაშვილი ლუარსაბ ასლანის-ძე ყაფლანიშვილი და ა. შ.

გიორგი მეფერთმეტის ერთგულ დიდებულებს ქართლში აღარ ედგომებოდათ. გასაგებია, რომ შევიწროება შეეხებოდა ვახტანგ ორბელიშვილის ოჯახსაც. სულხანის პოლიტიკური იდეალი დამარცხდა და სანატრელი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. ამიტომ მან გადაწყვიტა მონასტრისათვის შეეფარებინა თავი.

თავის მომავალ სადგომად სულხან ორბელიანმა გარეჯის უდაბნოს მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი აირჩია. სხვათა შორის, ამ მონასტერს ის აღრევე, ბერად შედგომამდეც ეხმარებოდა (— ხელნაწერ წიგნებს სწირავდა). ჩვენამდე შემონახულია მის მიერ ნათლისმცემლის მონასტრისადმი შეწირული ხელნაწერი ასეთი მინაწერით: „მე ... დიდის ორბელის შვილმან სულხან და თანამეცხედრემან ჩემმან. მანუხარ ათაბაგის შვილასშვილმან, მხევალმან თამარ შემოგწირეთ...“ ეს ხელნაწერიო.

ბერად შედგომამდე სულხანმა საკუთარი მამული თავის ძმებს უბოძა. ფრანგი მისიონერი რიშარი საგანგებოდ შენიშნავს, რომ სულხანმა „მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პრევიცია, რომელიც მისი საკუთრება იყო“.

1698 წლის 18 მარტს სულხანი გარეჯას დამკვიდრდა, ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა. მრავალტანჯული მამულაშვილი და ღვაწლმოსილი მწერალი ბერად შედგა. იწყება მისი დრამატიზმით აღსავსე, მშფოთვარე ცხოვრების მეორე პერიოდი. გულადი მემბოხე და მამაცი მებრძოლი პოლიტიკური სარბიელიდან საეკლესიო-სასულიერო ასპარეზზე გადადის.

## გარეჯის უღბნობი

მე-17 საუკუნის მიწურულსათვის გარეჯის უღბნოს მონასტრები დანგრეული და გაპარტახებული იყო. ქვეყნის ძნელბედობამ უღბნოსაც დააჩნია კვალი. ძველი სადგომები „ქამთა ვითარებისაგან მოოხრებულიყო“.

სპარსთაგან აკლებული ეკლესია - მონასტრების აღდგენას ხელი მიჰყო თეიმურაზ პირველმა. მისი წამოწყებული საქმე მეფე-პოეტმა არჩილმა განაგრძო, მაგრამ ფერულადქცეული სენაკებისა და დანგრეული ტაძრების აღდგენა არც ისე ადვილი იყო. ბერთა კრებულიც საგრძნობლად იყო შემცირებული. ერთი სიგელი შენიშნავს, რომ თავდამსხმელებმა „ასწყვიტეს ქვეყანა, დააქციეს მონასტრები... და უღბნოცა ესე გარეჯისანი მას შინა აღოხრდეს და მრავალ ჟამ და მრავალ წელ დარჩა უმკვიდროდ კაცთაგან და აღარავინ იყო ბერთაგან...“

1690 წლის 12 მარტს კათოლიკოს იოანე დიასამიძის წარდგენით საეკლესიო კრება გარეჯის წინამძღვრად ნიშნავს ონოფრე მაჭუტაძეს. იწყება მონასტრების აღორძინება, ცოცხლდება სამონასტრო ცხოვრება, ჩაღდება აღმშენებლობითი მუშაობა, მრავლდება ბერ-მონაზვნობა.

ონოფრე მაჭუტაძემ ააშენა ახალი გალავნები, გაამაგრა კოშკები, შეაკეთა გზები, გააძლიერა თავდაცვითი ნაგებობანი, რადგან იმ დროს ლეკიანობა იყო, მოთარეშე მძარცველი ბრბოები მოსვენებას არ აძლევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და ზოგჯერ ბერთა სადგომებსაც არბევდნენ.

განსწავლულმა წინამძღვარმა წიგნებიც მრავლად შეაგროვა. საბას გარეჯაში ყოფნისას იქ უკვე იყო სახარება, დავითნი, ჟამნი, ტაბიკონი, სვინაქსარი, ბალავარიანი, მამათა ცხოვრება...

ონოფრემ ხანგრძლივი და მუყაითი შრომით გაამაგრა ნათლისმცემელი, ლავრა, დოდოს-რქა და სხვა. დაუღლელ წინამძღვარს „მეორედ აღმამენებელს“ უწოდებდნენ. მან ისი გააძლიერა ცალკეული მონასტრები, რომ წინამძღვრების დაყენებაც კი გახდა შესაძლებელი.

ნათლისმცემლის მონასტერს ონოფრე მაჭუტაძემ გაუმაგრა კე-



დელი და დაუდგა კოშკები. 1702 წელს ნათლისმცემლის წინამძღვრად ხარიტონი განაწესეს. ესეც ძალზე ცდილობდა მონასტრის გაძლიერებასა და ბერთა კრებულის გაზრდას.

მონასტრის მკვიდრთათვის მტკიცე წესები იყო დაკანონებული. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა კათოლიკოს იოანე დიასკიმიდისა და სხვა სამღვდელთა განაჩენი, რომელშიც შემდეგი წერია: „ვინც იქ მღვდელი იყოს და ვინც დადგეს, მისის სიტყვის (წინამძღვრის) მორჩილნი და ხელქვეითნი იყვნენ, მონასტერს ერთგულად მოუდგნენ, და მდაბლად მსახურონ; ვისაც იქ დგომა და მოღვაწეობა უნდოდეს. მამის მორჩილობით და ნების მყოფელობით იყოს... რაც წირვით ან სხვის მოღვაწეობით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მიაბარონ...“ ვინც „ამ ჩვენს ბრძანებასა და განაჩენს გარდვიდეს, მონასტერს მართლად არ მსახუროს, ეს ჩვენი განაჩენი მოშალოს, მონასტრიდამ განიდევენოს და შეჩვენებული იყოს“.

ბერს მონასტრიდან წასვლა არ შეეძლო. ბერ-კონაზვნული ცხოვრების დატოვების უფლება არ ჰქონდა. 1702 წელს ევდემოს კათოლიკოსი, ნიკოლოზ ალავერდელი და იოსებ ნინოწმიდელი წერდნენ: „რომელიც ბერი დავით გარესჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და მერმე კვლად უკუნჩქეს და დაუტევოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს ჩვენდა შეუნდობლად და ერის გამოურჩევლად... წყეულ იყოსო.“

მონასტრებში ძალზე მძიმე პირობები იყო. ბერები ლოცვით ათენებდნენ ღამეებს, სხეულს იგვემდნენ... სენაკებში ცხოვრება იყო „ღამის თევითა, დაუცხრომლად ფსალმუნებითა, გალობითა და შესხმითა სულიერითა და შემდგომად ამისა არა რა იყო ნუგეშინის საცემელი... ხორციელისა საზრდელისათვის მოსარეწვლად...“

იქაური ბერები ყოველდღე ლეკთა თავდასხმის მოლოდინში და შიშში იყვნენ. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებდა მათ ცხოვრებას და მეტად აუტანელს ხდიდა მას.

ასეთ გარემოში და ასეთ ვითარებაში ცხოვრობდა საბა ორბელიანი. დიდი მწერალი და დიდი საზოგადო მოღვაწე ბნელი სენაკის ბინადარი გახდა.

საბას მონასტერში ყოფნის დროს შეინიშნება სამეფო სახლის ზრუნვა მონასტრების მატერიალურა კეთილდღეობის ამაღლებაზე. საბას აღზრდილი ვახტანგ ლევანისა-ძე 1707 წელს სოფლებს სწორავს ნათლისმცემელს; სათანადო სიგელში ის წერს: „შემოგწირეთ თრიალეთზე ჩვენი სახასო სოფელი უზნარიანი და ძველუზნარიანი, რომელსა კარუკულმართობით აწ სახელსდებენ...“

ვახტანგს არც შემდეგ დაუკლია ყურადღება მონასტრისათვის. 1708 წელს მისი ბრძანებით დამსხდარან „ორბელისშვილი სარდალი ბატონი ლუარსაბ, ორბელისშვილი მდივანბეგი ბატონი ერასტი“ და სხვანი უზნარიანისა და კარუკულმართის ბეგრის გამოსაღების გასარიგებლად. „უამთა ვითარებით აოხრებული“ სოფლები ვახტანგს აუშენებინა, „ახალი ნაშენი“ იყო, „გაბეგრული არ იყო.“ ამიტომაც შეიკრიბნენ დიდებულნი. მათ ნათლისმცემლის წინამძღვარი ხარიტონიც მიიწვიეს და ისე „გაბეგრეს“ სოფლები.

ვახტანგის ასეთი ყურადღება ნათლისმცემლის მონასტრისადმი, ორბელიშვილთა (საბას ძმისა და ბიძაშვილის) მონაწილეობა გარეგების საქმეში, და ბოლოს, მონასტრის წარმომადგენლის მოწვევაც იმას უნდა გვანიშნებდეს, რომ საბას ბერად შედგომის შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერი ბაგრატიონ-ორბელიანთა მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ნათლისმცემლის მეუღაბნოენი ცდილობდნენ ქალაქ თბილისთან მკიდრო კავშირი დაემყარებინათ, იქ გლეხები ჰყოლოდათ და სადგომი ჰქონოდათ. ამ მიზნით მათ ვახტანგ ლევანის ძესთან თხოვნით გაუგზავნიათ საბა ორბელიანი. მისმა თხოვნამ გაჭრა და 1708 წლის ზაფხულს ვახტანგმა „ერთგულსა და წესისაებრ ნამსახურს, უდაბნოს მყოფს ორბელიშვილს მონაზონს საბას“ და ნათლისმცემლის კრებულს ქალაქში გლეხები უბოძა.

უფრო ადრე წინამძღვარს ხარიტონს, კრებულს და „სულხან-ყოფილს საბა მონაზონს“ ვახტანგმა და მისმა ოჯახმა საუფლისწულო სასახლის მიწებიდან სასახლის ადგილი მოუჭრა ქალაქს ჩამოსულ ბერთა სადგომად.

ბერები შემდეგშიაც დიდად ცდილობდნენ ქალაქში სადგომის მოპოვებას და გაფართოებას. ამ მიზნით მათ მამულებიც კი უყიდიათ თბილისში 1709 წელს. ნასყიდობის წიგნში საბაც იხსენიება.



სულხან-საბა ორბელიანი ბერად შედგომის შემდეგ



1710 წელს დავით ერეკლეს ძესთან მისულან წინამძღვარი ხა-რიტონი, საბა და სხვანი. „საზრდო და მამული“ უთხოვიათ. კახე-თის მეფეს იორს გაღმა სოფელი ბალბიანი უბოძებია.

საბა ორბელიანი აქტიურად იყო ჩაბმული სამონასტრო ცხოვ-რებაში. ის დღენიადაგ მონასტრის გაძლიერებისა და განმტკიცე-ბის ცდაში იყო, მაგრამ დიდ მოაზროვნეს არ აკმაყოფილებდა და-მისთევა და ლოცვა. მისი შემოქმედებითი უნარი ვერ ჩაკლა გარე-ჯის ხრიოკმა უდაბნომ. საბას გენია მონასტერშიც იჩენდა თავს. ნათლისმცემელში ყოფნისას დაწერა საბამ ძალზე საყურადღებო თხზულება „სწავლა-მოძღვრებანი“, რომელშიც ნათლად ჩანს ავ-ტორის მგზნებარე პატრიოტიზმი და მხურვალე მამულიშვილური გრძნობა.

ქართლის პოლიტიკური მოვლენების მსვლელობამ კვლავ მოით-ხოვა საბას გამოსვლა სამოქმედო არენაზე. სამშობლოს სიყვარუ-ლით აღზნებული საბა კვლავ ებმება ქართლის პოლიტიკურ ცხოვ-რებაში და გაძლიერებული ენერგიით უბრუნდება სახელმწიფო მო-ღვაწეობას.

### საღვთისმეტყველებს დაუბრუნებენ პოლიტიკურ საქმიანობას

გიორგი მეთერთმეტე შაჰის კარზე დიდ პატივში იყო. ძალე მან შაჰს ქირმანს მყოფი ქართველი ტყვეების განთავისუფლება სთხოვა. შაჰს გიორგის გულის მოგება სურდა, ამიტომაც არ გააწბილა და გაათავისუფლა თამაზ ორბელიანი, დავით ერისთავი და პაპუა მუხ-რან-ბატონი.

გიორგის 600-მდე ქართველი მეომარი ახლდა. სპარსელებს დი-დად აფექრებდათ ეს სამხედრო ძალა, მათ შიში ჰქონდათ ქართვე-ლი მებრძოლებისა. ამიტომ მოსთხოვეს მათ გამაჰმადიანება ან ქართლს გაბრუნება. ქართველებს „შეექმნათ ჭმუნვა დიდი, თავად რჯულის დაგდებისათვის, მერმე პატრონის გაყრისათვის.“ დიდი ყოყმანის შემდეგ გამაჰმადიანდნენ გიორგი არაგვის ერისთავი. და-ვით ქსნის ერისთავი და სხვანი. გიორგი მეფესთან დარჩა 200-მდე ქართველი, სხვები ქართლს დაბრუნდნენ.

გავიდა ხანი. სპარსეთის საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. სამეფოს აღმოსავლეთ პროვინციებს ბელუჯნი და ავღანნი არბევდნენ. განსაკუთრებით ქირმანი იყო ეუღლღეში, მტერი ზშირად ესხმოდა. სპარსელნი ეომებოდნენ, მაგრამ მტრები „მარადის მძლე ექმნებოდნენ.“ სპარსეთის შაჰი ხსნას ეძებდა...

1699 წლის ნოემბერში შაჰმა მიაწვია გიორგი, ლხინი გადაუხადა, უბოძა ქირმანის ბეგლარბეგობა და უწოდა შაჰ-ნავაზ. ქართლის მეფეს ქართლი სურდა, მაგრამ არა გაეწყობოდა...

გიორგის მსლბელნი გამხიარულდნენ — „არა ქირმანისათვის, არამედ საქმისა და წყალობის გამობრუნებისათვის.“

გიორგის ძმამ ლევანმა ქირმანის ნაიბობა მიიღო, წავიდა ქირმანს, იახლა სეხნია ჩხეიძე და ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი. ქალაქში დიდის სიხარულით მიიღეს. იმხანად ბელუჯთა ჯარი ბანდარის ქვეყანას არბევდა. ლევანი შეხვდა მტერს. „ახლდა თათარი აკარგად ექვსასი ოდენ, ქართველნი ორმოცნი.“ ქართველი ბატონი-შვილი არ შეუშინდა მრავალრიცხოვან მტერს, ვაჟაკურად წარუძღვა ლაშქარს. „უფანგებოდ ეერას მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანიო“, — მოიგონა დიდი რუსთველის სიტყვები ქართველმა სარდალმა, მიეტანა მტრის ურდოს და „მარბიელნი სპანი დიდნი მოსრნა.“

გიორგი და ლევანი მუსრს ავლებდნენ ბელუჯ-ავღანთა ჯარებს... შაჰმა 1701 წ. ლევანს მისცა ირანის მდივანბეგობა, ხოლო მალე მის შვილს ქაიხოსროს — ისპაანის მოურავობა. ლევანმა შაჰს იმერეთის შეხიზნული შვილის — ვახტანგისათვის დახმარების აღმოჩენა სთხოვა. შაჰმა ერეკლეს მისწერა: ვახტანგი გადმოიყვანე და საუფლისწულო დაუბრუნეო. ერეკლეს არ ესიამოვნა, მაგრამ „ვერ ურჩ-ექმნებოდა ყენსა“ და ვახტანგი მოიწვია (1701 წ.).

გიორგიმ „დაამშვიდნა ყოველნი ურჩნი“, დაამარცხა ხორასნის მარბევი ლაშქარი. ამ დროს ბელუჯნი ყანდაარს აოხრებდნენ. მათ გმირულად ებრძოდა გიორგის ერთგული თამაზ ორბელიანი, „მრავალ-გზის სძლო“, მაგრამ შემდეგ ისიც მოკლეს (1701 წ.) და მეომრებიც ამოუწყვიტეს. სულხან ორბელიანის ბიძამ შორეულ ყანდაარში ჰპოვა სამარე.

1703 წ. შაჰ-სულთან-უსეინმა გიორგის უბოძა ქართლი და ირა-

ნის სპასალარობა, ყანდაარის ბეგლარბეგობა და გირიშკი. ქართლის საქმეთა გასარიგებლად გიორგიმ ლევანი გამოგზავნა. ირანის მსაჯულთ-უხუცესის ნაიბობა ქაიხოსრომ მიიღო...

ერეკლე პირველი შაჰმა მიიწვია, ყულარალასობა მისცა. კახეთი მის ძეს — დავითს დაუმტკიცა, მეორე ძეს — კონსტანტინეს ისპაანის მოურავობა მისცა.

ქართლს დაბრუნებულმა ლევანმა ენერგიულად იწყო სამეფოს მართვა. მალე მან გიორგის ჯარი დაახმარა—1000-მდე მეომარი გაუგზავნა სულხან ორბელიანის ძმის ვახუშტის მეთაურობით. ამ პერიოდში აქტიურ მოღვაწეობას იწყებენ ვახტანგ ორბელიანის სხვა შვილებიც. მდივანბეგის პოსტზე ერასტი ჩანს. სამოღვაწეო არენაზე მინდება სულხან-საბა ორბელიანიც, ვახტანგ ლევანის ძის აღმზრდელი. ლევანი დიდად წყალობს მას და „ერთგულობისა და მრავალფერად ნამსახურობისათვის“ გიორგის მიერ ბოძებულ შოშილეთსაც უმტკიცებს.

ლევანი მალე სპარსეთს გაიწვიეს. ქართლის გამგებელი გაემართა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და თან ვაჟიშვილი იესე წაიყვანა.

ქართლის ჯანიშინობა ვახტანგ ლევანის ძემ მიიღო. მისი მოღვაწეობის, — ჯანიშინობისა თუ მეფობის, — ხანა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ვახტანგი იყო დიდად განათლებული მწიგნობარი, გონიერი და გამჭრიახი მმართველი, მართლმსაჯული გამგებელი, ნიჭიერი პოეტი და დახელოვნებული მთარგმნელი, მახვილგონიერი კომენტატორი და ცნობილი მეცენატი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: ვახტანგი იყო „ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი... ვახტანგ აღამენა და განავრცო ქართლი, რამეთუ რომელნი ეამსა ერეკლე მეფისასა შთასრული იყვნეს კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყვანნა ყოველნი და დასხნა თვისთავე ადგილთა ზედა. ამას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოიღო მბეჭდველობა ვლახეთიდან და განამრავლა წიგნნი... განაწყყნა სპანი როქითა მცველად თვისად. დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის-ყიდვა,

დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი. აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღამენნა მრავალნი დაბნები.“

ვახტანგმა დასაჯა და გადააყენა ერეკლე პირველის მომხრე დიდებულები, თავის უფლებებში აღადგინა ერეკლეს მიერ დასჯილი თავადები — გიორგის მოკავშირენი; აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი და, ქართლას კათოლიკოსად თავისი ძმის დომენტის არჩევით, ეკლესია შემოიმიტკიცა; კახეთს აპყარა ქართულ გლეხთა დიდი ნაწილი და ძველ მებატონეებს დაუბრუნა, ქართლს ჩამოსახლა, ააგო და აღადგინა გზები და ხიდები, სასახლეები და ქარვასლები, სარწყავი არხები და ეკლესია-მონასტრები; დააარსა და ამუშავა ქართული სტამბა (1709 წ.), იწყო ქართული წიგნების ბეჭდვა; მოაწესრიგა სახელმწიფო სამართალი და დაადგინა კანონთა კრებული; „სწავლულ კაცთა“ კომისიას გაამართვინა საქართველოს ისტორია და სხვა. ასე მრავალფეროვანი იყო ვახტანგის საქმიანობა.

მდივანმა გავი თუმანიშვილმა ეპიტაფიაში ასე დააჯამა ვახტანგის ღვაწლი:

„მე უმცირესი ძმათაგან ვახტანგ-ყე სახელდებული,  
ოთხს წელ ვქენ მცხეთა. ურბნისი, სადგრის კამარა გებული,  
ტფილის სიონი ხელახლად შეეძერწე ქანდაკებული,  
და ჩემთვისაც სახლი საჩქისა, შიგ ლხინი მოწონებული.  
სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,  
ქციის რუ ხუნანს ჩავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,  
მაშავერის რუ ტბას შევრთე. შიგ ჩავსხი თევზნი ყველანი,  
და ესე მთა მოვანადირე, ვხოცე ირემნი, მგელანი.

სამართლის წიგნი აღვწერე, სამსჯავროდ არა ცალობად,  
„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნობა, სხვას წვრილთ რალა ვქნა  
თქმულობა,

ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქნია კარგა ზრდილობა,  
და ბოლოდ მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა.“

ვახტანგის აღმზრდელი, როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანი იყო. მისი ასეთი შინაარსიანი საქმიანობა და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა სულხან-საბას დიდი აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი იყო.



სულხან-საბამ გარკვეული როლი ითამაშა ვახტანგის სახლობის აღზრდაშიც. ვახტანგს ის ძალზე უყვარდა, დიდი მოწიწებით იხსენიებდა მას, უწოდებდა „დიდად საყვარელს“, „ყოვლად საყვარელს“, „ბატონ ბიძას“ და სხვა. სულხან-საბაც შენიშნავს, რომ ის იყო „ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი.“

ბერად შემდგარი სულხან-საბა აქტიურად ებმება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ საქმიანობაში. ისაა ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, ისაა ვახტანგის ეკონომიური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი. ყველა კულტურული წამოწყება ვახტანგისა მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია მისი დიდებული აღმზრდელის სახელთან.

სულხან-საბას ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება, მისი სახელი და დიდება მატულობს, მისი გავლენა სამეფო კარს სცილდება. ის უკვე „მთელ საქართველოს მამად მიაჩნია.“ ერთი თანამედროვის ცნობით, „სულხან-საბას საქართველოში გავლენა აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზე.“

სპარსეთში მყოფი ქართველთა ლაშქარი განუწყვეტელ ბრძოლებს აწარმოებდა ავღანებისა და ბელუჯების წინააღმდეგ. ქართველთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. ერთი მხრივ ადგილობრივი კლიმატი ვნებდა მათ, მეორე მხრივ მტრის რიცხვს სათვალავი აღარ ჰქონდა. ქართველი მეზობლები სწველ ადგილებში იყვნენ. ერთი ქართველი მეომრის გადაკარბებული თქმით. ერთხელ „ტყვია გააბტყელეს და დასდვეს ზარბაზნისა ზედა და ორ საათს შუადღეს უკან ტყვია დაადნო.“ იგივე ქართველი მოლაშქრე იგონებს: „ეს მინახავს აქაურის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილი და დასხმული მზისაგან შემწვარიყოს და ციხის საღს კლდეზე პური მიეკრას და გამამცხვარიყოს.“ აუტანელ სიცხეს ერთოდა ქარაც: „სალამო უამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდენ...“ ყანდაარსა და ქირმანს იყო „ადგილი კლდოვანი და უდაბური“, უწყლო, ხრიოკი. „ის ალაგები გზათაც არავის გაველო, არამ-თუ საომრად ვინ წავიდოდა.“ ქართველ მეომრებს მაინც ვერ აშინებდა მტრის დევნა და ბრძოლა. „ასე სიხარულით

მივდიოდით, ვითარცა ქორწილსა შინა წვეულ ცყოფილიყავითო“, აგონებს ლაშქრობის მონაწილე.

ქართველთა ლაშქარი თავგამოდებით ებრძოდა მტერს, უმოწყალოდ ელტდა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს, მაგრამ დიდ ბრძოლებში მრავალი გამოჩენილი ქართველი მამულიშვილიც დაიღუპა, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის ძმა ვახუშტი ორბელიანიც. გიორგი XI-ს ვახუშტის დაღუპვა ძალზე ეწყინა. მღაენის ცნობით, „წაიშინა თავსა და მრავალი იცა... მწარედ იტირა... თორმეტს დღეს კარში არ გამოსულა, ღიად დაიტირა...“

1709 წლის 21 აპრილს მემამბოხე მირვეისმა ლალატით მოკლა გიორგი XI. მეფის თანამოლაშქრე სეხნია ჩხეიძე ასე აღწერს ამ სურათს: მეფეს „ჯარი აღარ ახლდა. მიუხნდა (მირვეისი—ლ. მ.) განთიადსა, დაესხა თავსა, რა სცნა მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდსა მისსა, გაიკრა ხელი; თავმან მისმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა. რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი, როგორც დევი ისე იბრძოდა. ჰკრეს თოფი ამა მორკმა-დიდების პატრონსა და მოკლეს.“

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ქართველებმა, გიორგის ძმის აღექსანდრეს სარდლობით, სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მირვეისის წინააღმდეგ. ვერ ძლიეს, მაგრამ დიდი ზიანი მიაყენეს და გასაოცარი სიმამაცით დაიხიეს უკან. მირვეისმა გიორგის მოკვლა არ აკმაყრა: „აჰყარნა ხატნი და ჯვარნი... და ფსალმუნნი, რომელსა იკითხვიდა ეამსა მას“ და შაჰს გაუგზავნა, ნახე როგორ გატყუებდაო. მირვეისს სურდა ზიანი მიეყენებინა შაჰის კარზე დარჩენილი ქართველებისათვისაც.

გიორგი მეთერთმეტის შემდეგ მალე გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილიც (13. V. 1709).

შაჰმა „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“ უბოძა ქაიხოსრო ლევანის-ძეს, რომელიც ერთ ხანს ისპაანაჲ მოუტრავი იყო, ხოლო შემდეგ — მდივანბეგის ნაიბი. ის იყო „ბრძოლათა შიგან გულსრულად შემტევებელი, მრავალკეტა რაზმთა შემადრწუნებელი და მძებნელი სახელისა და მეომრობისა.“

ქაიხოსრო მეფეც (1709—1711) სპარსეთში მოღვაწეობდა. მას



306068 VI



წილად არ ხვდა ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა. ჯანიშინად კვლავ მისი ძმა ვახტანგი დარჩა.

სპარსეთის შაჰმა ქაიხოსროს დაავალა ბრძოლის გაგრძელება და სპარსეთის მტრების ალაგმვა. ქართველთა მეფეს არ ჰქონდა სპარსელთა ჯარის იმედი და ქართველთა ლაშქარი დაიბარა. ვახტანგმა 1500-მდე მეომარი შეკრიბა და გაუგზავნა ძმას....

სულხან-საბა ორბელიანი ქაიხოსრო მეფესაც მტკიცედ და ნუხრელად ერთგულობდა. ასევე ერთგულობდა მეფეს სულხან-საბას ძმა ერასტი მდივანბეგიც. მეფემ სპეციალური სიგელი მისცა ორბელიანებს. „თქვენი უხუცესი ძმა სულხან ყოფილი საბა, კურთხეულსა და ამაღლებულს სახელოვანს ბიძა და მამა ჩვენზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილი იყო და მათ მისთვის საჯილდოოდ ჩაჩიკაშვილი გივის შვილები თავისის სოფლებითა და აგარაკებით ებოძა და კვლად ქციის ხევზე სოფელი შოშილეთი ებოძა. ჩვენც გავსინჯეთ და მისი ნამსახურობა თქვენ აღარ ჩაგიტარეთ და გიბოძეთ“ ყოველივე ხსენებულიო.

სულხან-საბა ორბელიანი ქაიხოსრომ სპარსეთს გაიწვია. ჩანს, სულხან-საბა ორბელიანს სპეციალური დავალება ჰქონდა და მისი მისიაც მალე დამთავრდა. 1710 წლის 1 დეკემბერს წასული 1711 წლის 20 თებერვალს უკან გამობრუნდა და 11 მაისს ქართლს მოვიდა....

ქაიხოსროს ჯარი კვლავ თავგამოდებით იბრძოდა სპარსეთის შორეულ პროვინციებში. შაჰი თავდადებისათვის ქართველებს ძალზე აწინაურებდა. იესე ლევანის-ძემ ქირმანის ბეგლარბეგობა მიიღო, როსტომ ლევანის-ძემ — ისპაანის მოურავობა.... სპარსეთის ცბიერ შაჰს ამით სურდა ქართველთა გულის მოგება, მაგრამ ამაოდ. ქართველები სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ....

სპარსეთის ამბებმა შეაშფოთა ქართველობა. სპარსეთის მტრებთან ბრძოლას ქართველმა მამულიშვილებმა სიცოცხლე შეაღიეს, მაგრამ ომს დასასრული არ უჩანდა. ამ ბრძოლებში დაიღუპა ორი ქართველი მეფე (გიორგი XI, ქაიხოსრო), რამდენიმე ბატონიშვილი (ლევან, ალექსანდრე) და მრავალი ქართველი დიდებული (თამაზ ორბელიანი, ვახუშტი ორბელიანი და სხვა). ქართლში გლოვა

შეიქნა. ქართველმა დიდებულებმა ბჭობა დაიწყეს. შაჰმა ვახტანგი დაიბარა. ამ უკანასკნელმა ქართლის გამგებლად თავისი ძმა სიმონი დატოვა, მეუღლე და შვილები გორს დაასადგურა და თვით ისპაანის გზას გაუდგა (23. IV. 1712). იახლა ქართველი დარბაისლები „მცირელი“, „დიდი იყო სამასი კაცი.“ მათ შორის იყო მისი აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანიც.

შაჰი ვახტანგს ფლიდურად დახვდა, პატივი სცა და ლხინი მოუწყო. ვახტანგი გრძნობდა საფრთხის მოახლოებას. მალე მას შაჰმა რჯულის დაგდება მოსთხოვა და სანაცვლოდ ქართლის ტახტი აღუთქვა. ვახტანგი არ დათანხმდა და ჯიქურად უპასუხა: „მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ვიყო წინაშე შენსა.....“

შეპირებულმა ვახტანგმა გადაწყვიტა ევროპაში ელჩის გაგზავნა და იქაურ ხელისუფალთათვის დახმარების თხოვნა. მისი არჩევანი სულხან-საბა ორბელიანზე შეჩერდა. ვახტანგმა თავისი აღმზრდელი მალე გამოაბრუნა სპარსეთიდან. ლექსიკონის მინაწერში სულხან-საბას შესახებ ვკითხულობთ: „ქორანიკონს ჩლიბ (1712), აპრილს კგ (23) ისპაანს წაიღია, მეფე ვახტანგს გაჰყვა. ბ (2) ნოემბერს გამოაბრუნა. დეკემბერს კ (20) ქართლს მოვიდა.“

ქართლს დაბრუნებული სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში ვასამგზავრებლად და ვახტანგის მფარველთა დასაძებნად მოემზადა.

## მოგზაურობა ევროპაში

დასავლეთ ევროპასთან ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ დამყარებული კავშირი. მაჰმადიანთა რკალში მომწყვდეული ჩვენი წინაპრები ყოველმხრივ ცდილობდნენ ქრისტიანი მოკავშირეების შეძენას, შეკავშირებას და თურქ-სპარსთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლას. ქრისტიანული დასავლეთი მუდამ ატყუებდა ქართველებს. მიუხედავად ამისა, ურიცხვ მტერთან ბრძოლით ღონემიხდილი ქართველი მეფეები და მთავრები უკავშირდებოდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეფეებსა და მთავრებს, რომის პაპს. აღსანიშნავია, რომ რომის პაპსაც არა ერთხელ მოუმართავს

ქართველებისათვის, დახმარება უთხოვია და შეკავშირებისაკენ მოუწოდებია. რომის პაპი ძნელბედობაში არ ეხმარებოდა ქართველებს. ხოლო დასახმარებლად და სალაშქროდ თამამად იწვევდა.

მე-15 ს. ოსმალთა მომძლავრებამ შეაშფოთა ქრისტიანული სამყარო. კონსტანტინოპოლის დაცემამ (1453 წ.) შიშისზარი დასცა ქრისტიან ხალხებს. რომის პაპები აპირებდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას და კონსტანტინოპოლის ოსმალთაგან განთავსუფლებას. პიოს მეორემ მოკავშირეთა შემოკრება იწყო. მას კარგად ესმოდა, რომ დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად საჭირო იყო ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული სამეფოების ამოძრავება. ამ მიზნით მან აღმოსავლეთში გამოგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელი. ქართლის მეფე გიორგი მერვე (1446—1466) და ქართველი მთავრები სიხარულით შეხვდნენ პაპის მოწოდებას და ჯარით აღუთქვეს დახმარება. თუ პაპისათვის მთავარ და ძირითად მიზანს კონსტანტინოპოლის აღება წარმოადგენდა, ქართველები უფრო დიდ მიზანს ისახავდნენ. მათ ოსმალეთის დამხობა-განადგურება სურდათ. ლუდოვიკო ბოლონიელს ქართველი დესპანები გაჰყენენ, ისინი ჯერ უნგრეთს მიჰადნენ, შემდეგ გერმანიის იმპერატორს ეახლნენ, ხოლო 1460 წელს რომს ჩავიდნენ. იქ პაპმა კარგად მიიღო, მაგრამ სანუგეშო ვერა უთხრა რა; მას დასავლეთის ქრისტიანი მეფე-მთავრები ვერ აემხედრებინა, რადგან მათთვის კონსტანტინოპოლი სავაოდ შორს იყო და ოსმალთა ძლიერებაც არ იყო საშიში. პაპმა ქართველ დესპანებს ურჩია საფრანგეთის მეფისა და ბურგუნდიის მთავრის ნახვა.

1461 წელს ქართველი დესპანები თხოვნით წარუდგნენ საფრანგეთის მეფეს კარლოს მეშვიდეს, მაგრამ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმაზე ვერ დათანხმეს. ქართველი ელჩების პარიზში ყოფნისას კარლოსი გარდაიცვალა, გამეფდა მისი ძე — ლუდოვიკო მეთერთმეტე. ელჩები მასაც ეახლნენ, მაგრამ ამოდ... უნაყოფო გამომდგარა ბურგუნდიის მთავართან ხლებაც. ქართველები გაწბილებულნი გამობრუნდნენ, ევროპელებს მათთვის არ ეცალათ. კონსტანტინოპოლის ბედი დასავლეთის მეფე-მთავრებს ნაკლებად აფიქრებდათ. ოსმალთა წინააღმდეგ ერთობლივი გალაშქრების ჯეგმა დასავლეთში შემუშავდა, პაპმა ქართველებს სთხოვა დახმა-

რება, ხოლო შემდეგში საქმე ისე წარიმართა, რომ ქართველები სთხოვდნენ დასავლეთ ევროპელებს ბრძოლაში მონაწილეობას. აი. პაპისა და დასავლეთ ევროპის მეფე-მთავრების კიდევ ერთი დახმარება.

მოდლებულ მტერთან უსწორო ბრძოლამ მეფე კონსტანტინესაც (1479—1505) აფაქრებინა მოკავშირეთა ძებნა. ამ მიზნით მან წერილი გაუგზავნა რომის პაპსა და ესპანეთის დედოფალს იზაბელას. ქართლის მეფე მათ ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრებისა და კონსტანტინოპოლის დახსნისაკენ მოუწოდებდა. არც ამ ცდამ გამოიღო შედეგი.

ესპანეთის მეფესთან დაკავშირება თეიმურაზ პირველმაც სცადა. მან დასავლეთ ევროპაში — რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან გაგზავნა ელჩი — ნიკიფორე ირბაზი-ჩოლოყაშვილია. თეიმურაზი ესპანეთის მეფეს სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ერთობლივ ბრძოლას განუზრახავდა. დასავლეთ ევროპელებს სპარსეთთან ომი არ სურდათ, რადგან სპარსეთი ოსმალეთს ებრძოდა და ამით დასავლეთ ევროპელების ერთი დიდი მტრის ძალებს აბანდებდა და ზიანს აყენებდა.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, დასავლეთი ევროპა ქართველებს ატყუებდა. ევროპას არ სურდა ქართველთა დახმარების გამო ოსმალეთთან სპარსეთი გადაემტერებინა. ევროპის სახელმწიფოთა მმართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ქართველთა მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვან მტერთან გაუთავებელი ომებით გადაღლილი ქართველები დახმარებას კვლავ დასავლეთიდან ელოდნენ. ამ ამედიტ გაუმგზავრა დასავლეთ ევროპაში ვახტანგის ელჩი სულხან-საბა ორბელიანი.

1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი უცხოეთისაკენ წარემართა, „საფრანგეთს გაიპარა“. მისი გამგზავრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მისიონერი რიშარი. ეს უკანასკნელი ერეენიდან მოვიდა თბაღისს, სადაც ქართლის გამგებელმა სიმონმა გააჩერა, შემდეგ გამყოლნი მიუჩინა და შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაისტუმრა. გორში რიშარს შეხვდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც საფრანგეთსა და იტალიას გამგზავრე-



ბას აპირებდა. მან მისიონერს კარგი პატივი სცა, სამეგრელოს გზით შავ ზღვამდე მიაცილა და იქ განუცხადა: „დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკო მეთოთხმეტის) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნება... თან წამიყვანეთ.“ მისმა მზღებლებმა რუსუდან დედოფალს შეატყობინეს ვახტანგის აღმზრდელის განზრახვა. ამან შიკრიკები და დიდებულები გამოუგზავნა. დედოფლის, ბაქარისა და სხვათა წერილებმა გული აუჩვილა მოხუცს. მას აუწყეს, „რომ დედოფალმა რა შეიტყო თქვენის წასვლის ამბავი, მეტის ტირილით სიკვდილის პირად არისო.“ ელჩმა ყველა ანუგეშა, მალე დავბრუნდები, კარგად მოვივლი ევროპას, მშვიდობით ჩამოვალ. განაგრძეს გზა. სამეგრელოს მოვდელმთავარმა კათოლიკე მისიონერების გამოგზავნის საქმის მოგვარება სთხოვა მისიონერ რიშარს...

რიშარი და სულხან-საბა გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლსაკენ. მოხუცი ელჩი გზაზე დიდად შეწუხდა. მისთვის საკმაოდ ძნელი იყო შორი გზა, აღსაესე უსაამოვნო თუ უბედური შემთხვევებით.

კონსტანტინოპოლში რიშარმა სულხან-საბა ორბელიანი წარუდგინა საფრანგეთის ელჩს. დეზალური ძალზე კარგად შეეგება, თავის სასახლეში დააბინავა და აღუთქვა პირველსავე მარჯვე შემთხვევაში გასტუმრება საფრანგეთისაკენ.

4 ნოემბერს რიშარმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა ვახტანგის ელჩის კონსტანტინოპოლში დაბრუნება.

28 ნოემბერს სულხან-საბამ ტყვეობაში მყოფ ვახტანგს გაუგზავნა წერილი და კონსტანტინოპოლს მისვლა და დაბინავება აუწყა. ეს წერილი ვახტანგმა მიიღო 1714 წლის 14 თებერვალს. მასთანვე მიიღო დეზალურის წერილიც.

ვახტანგი ტყვეობაში მძიმე ყოფაში იყო, მაგრამ წერილებს მაინც დებულობდა. 1714 წლის 19 თებერვალს მან მიიღო საფრანგეთის მინისტრის წერილი. ქართლის გამგებელმა უპასუხა წერილობით, მაგრამ რადგან სპარსელების შიში ჰქონდა, თვით არც დაწერა, არც ხელი მოაწერა, სხვას დააწერინა. მან მადლობის წერილი დეზალურსაც მისწერა. მასვე გაუგზავნა სულხან-საბაშათვის გადასაცემი წერილი.

„საბა სულხანს. დიდად საყვარელო ჩემო ბატონო ბიძავ, თქვენნი გავლილ 28 ნოემბერს კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი

წიგნი მივიღე 14 თებერვალს. დიდად გამახარა. მასთანავე ერთად ზვილუ პატრიოსანი წერილიც მათის უმაღლესობის საფრანგეთის იმპერატორის ელჩისა, რომელმაც დიდად დამავალა თუ იმ პატივით, რომელიც თქვენა გცათ და თუ თავის სათნოებიანი და გულითადი რჩევით, რომელსაც მე მიძლევს ბატონი რიშარის პირით. იმას ისე მოვეპყრობოდი და დავავალებდი, რომ თავის დღეში ვხსომებოდი, მაგრამ რა მექნა, რომ ჩემს მამულში არ ვიყავი...

დიდად შევწუხდი, როცა შევიტყე, რომ გზაში მეტად შეწუხებულხართ, მაგრამ ვნუგეშობ თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთსა. სადაც, იმედი მაქვს. ნახოთ ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი და ყველაზე გულუხვი მეფე...

ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერსა გწერ, რადგან მეშინია ჩემი ძმის, არტილერიის გენერლის იუსენის. რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრალებს გარს, რათა ჩამთქას; ამას ყველას შეიტყობთ თქვენის ძველს მეგობრის იოსებისაგან. როდესაც ის საფრანგეთს მოვა. იმედი მაქვს ამ დიდ მარხვის შემდგომ წამოვიდეს. ძლიერ მეძნელება იმისი გამოშვება, რადგან მარტო ესაა, რომელიც ყოველდღივ ჩემთან მოდის და მანუგეშებს, მაგრამ რა ვქნა, სხეანაირად არ შემიძლია. ეს არი მიზეზი, რომ ჩემის ხელით არა გწერ...

დავშთება მარად, როგორც აქამდე ვიყავი, ჩემი ყოვლად საყვარელი ბატონის ბიძის უმდაბლესი დისწული. მეფის მაგიერ მათი ყოვლად მდაბალი, ერთგული, დიდად დავალებული და ერთგული მონა, იოსებ ფრეზერატი, ვერონეზელი, 20 თებერვალს, 1714.

ბატონ სულხან საბას, საქართველოში წმიდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის უფროსს წმიდა ბასილის მონაზონებისას“.

კონსტანტინოპოლიდან წასული ორბელიანი 1714 წლის 23 იანვარს ჩავიდა მარსელს. ქალაქის თავი კარგად დახვდა, პატივით მიიღო. შორმა გზამ ძალზე დაღალა მოხუცი. მისმა ჯანმრთელობამ დააფიქრა რიშარი. ამ უკანასკნელმა 1 თებერვალს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ეან ბატისტ კოლბერი დე ტორსის (1665—1746) აუწყა მათი ჩამოსვლა. აი, ის წერილი (ოდნავე შემოკლებით): „მოწყალე ხელმწიფე. მგზავრობამ ეგოდნად დამ-

ღალა, რომ იძულებული გავხდით ერთი სხვა საიმედო პირის საშუალებით მომეწერა თქვენის დიდებულებისათვის და მეუწყებინა, რომ ამ თვის (იანვარი) 23-ს მოვედით მარსელს მე და წმიდა ბასილას წესის მონაზონი ბატონი საბა-სულხანი, ბიძა საქართველოს მეფისა. ამას მოაქვს პასუხი იმ წერალებისა, რომელიც კეთილინება და მისწერა ხელმწიფემ და თქვენმა დიდებულებამ. ბატონმა არნუმ (მარსელის ქალაქის თავმა) კეთილინება და ისეთი პატივით მიიღო, როგორადაც... კონსტანტინეპოლში ბატონმა დეზალურმა... იმედი მაქვს, რომ ბატონი არნუ თქვენს დიდებულებას უკვე აცნობებდა აქ ბატონ სულხან-საბას მოსვლას და მის ნატერას მეფის ნახვისას, რის გამო მარსელში ბევრხანს დარჩენა არ უნდა. გარნა დიდად მაფიქრებს მგზავრობისაგან მისი დაღალვა, მისი ხანში შესულობა, ზამთრის სუსხი და აგრეთვე მომავალი დიდმარხვა. რომელიც კიდევაც დაწყებული იქნება, ვიდრე თქვენი ბრძანება მოვიდოდეს. გარნა ისე მოვიქცევი, როგორც თვით ინებებს და ჩემის შხრით, რაც შემიძლია, სიფრთხილის ზომებს ვიხმართ, რათა გზაში ავად არ გახდეს...“

სულხან-საბა ორბელიანი ისე მოქმედებდა, როგორც გაწაფულ დიპლომატს შეეფერებოდა. 1714 წლის 11 მარტს მან წერილი გაუგზავნა კარდინალს (რომში), გააცნო მისი ჩამოსვლის პოლიტიკური და რელიგიური მიზეზები, რომის პაპს მფარველობა სთხოვა და სანაცვლოდ საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმეში დახმარება აღუთქვა. ამით სულხან-საბას რომის პაპის დაინტერესება და საფრანგეთის სამეფო კარზე მისი ავტორიტეტის გამოყენება სურდა.

აი, ეს წერილადაც:

„დიდსა და ღირსს უფალსა:

ქ: დიდებულო. ვიცი რომ თქვენ ვერ მიცნობთ: მე, თქვენის სამსახურის ღირსი, სულხან-საბა ორბელიანი, წმიდისა ბასილას მონაზონთაგანი: — სიწმიდისა თქვენისა მოხსენებას ვაკადრებ; — თქვენს ღირსეულებას რომ პატრი კაპუჩინება ჩვენს ქვეყანას გამოგზავნა მათგან შევიტყე, (რომ) თქვენ მართლის სარწმუნოების გამრავლებას დიად ცდილობთ ჩვენ ქვეყანას: — ამისთვის დიდად

მადლს გადვიხდი და თქვენს სიწმიდეს თაყვანსა ვცემ სრულ ქართველიანად:

რადგან მაღალსა და დიდად ქრისტიანს, დიდებულს ფრანცისის მეფეს ჩვენს მეფისათვის წიგნა მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ... მეჩმე ამისი ნდომა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპის... ბრძანებით უფრო მრავალი პატრები გაიგზავნოს, რომ ჩვენს ქვეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: — ამისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩვენი მეფის მოხმარებას ეცადოს, რომ თავის უნდომლად აჯამშია და ის თავის ქვეყანას მოვიდეს. მისი საქმე ვიცი, გუნებით და სიყვარულით ახლოა ამ წმიდას რჯულზედ და მალე ის გაამრავლებს. ეს ვიცი, თუ უფროსად წმიდა მამა ჩვენი თავის შვილს ფრანცისას მეფეს ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მოინდომებს, ჩვენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩვენთვის დიდი საქმე იქნება...”

ქართლის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. პოლიტიკური ვითარება რთულდებოდა. ტახტის მემკვიდრე, ისპაანს დატყვევებული ვახტანგი მძიმე ვითარებაში იყო. სულხან-საბა ორბელიანისაგან საიმედო ცნობა არ მოდიოდა. ვახტანგი ჯიქურ პოლიტიკაზე ხელს არ იღებდა, ქრისტიანობას არ გამოხატავდა. ის მწარედ გოდებდა და გულისტკივილით იგონებდა სამშობლოს:

„პირველ მალხინა სოფელმა შამბიანთ არე-მარებასა,  
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებასა,  
სხევას რას შექცევას, რას შევებას, არ კაცთა დასახარებასა,  
აწ დამსვა მარტო, გასქვრიტეთ, ქუჩუკას სახლსა, სარებას!“

სპარსელებმა ვახტანგს არ აკმარეს ისპაანს ტყვედ ყოფნა, 1714 წლის 10 მარტს „გაათახსირეს“ და ქირმანს გაგზავნეს; ქართლი მის მამამდიან ძმას იესეს მისცეს. ვახტანგის მხლებელი ქართველები იესეს აახლეს, ქართლს გამოისტუმრეს.

„ქილილა და დამანას“ ანდერძში ვახტანგი წერს: „მომიძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომად ამისსა, თვისთაცა ჩემთა ნაცვლად კეთილისა მომავეს ბოროტა. და აღმიგეს შურად, და ამის მიზეზითათვის ტყვე-მყვეს და შემდგომად ამისსა ქირმანს წარმომგზავნეს...”

მეტყვიან ხვალმე, რასთვის გაქვს ჭირი, კმუნვა და წყინება?  
ქუჩუკას სახლსა ვაჭუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება!  
ახლა ქირმანსაც დამქარგეს, დამვიწყდა ამის წინება,  
არ ვეკვობ შერჩეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება“.

სულხან-საბა და რიშარი მალე ჩავიდნენ პარიზს. სამეფო კარმა  
ორი მოსამსახურე შეაგება. ჩამოსულნი დაბინავდნენ. ორბელიანმა  
თავისი ჩამოსვლა კანცლერ ლუი პონშარტრენს (1643 — 1727) აუწყა  
და მიღება სთხოვა. ამასთანავე მისწერა: „ჩემთან უფალი მუსსუ  
რუმარ მღვდელი არის, რომ ქართლიდამ ამან მომიყვანა. რა ვახ-  
ტანგ ეს შეისწავლა, დიად გაეწყო. ამისთვის ეთქვა თავისი პასუხე-  
ბი. რადგან ამან ყოზილბაშური-თათრული კარგად იცის, ამის სიტ-  
ყვას უკეთ შეიტყობ და ჩემსა ეს შეიტყობს და ჩემი საქმე და სან-  
დომი რაც არის, ამან ყველაკაი იცის და თუ უბრძანებთ ყველაკას  
ეს მოგახსენებს...“ (23. III. 1714).

აპრილში სულხან-საბა ორბელიანმა ინახულა ლუდოვიკო მეთოთ-  
ხმეტე (1638 — 1715) და მას ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მოხ-  
სენებაში მან იმპერატორს გააცნო საქართველოს მდგომარეობა,  
აუწყა ვახტანგის ტყვეობა. დახმარება სთხოვა და სანაცვლოდ კა-  
თოლიკობის წარმატება აღუთქვა:

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია და საქართველოს ერ-  
თიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ და-  
ბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანედ  
დარჩებიან. არამედ კიდევ შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თა-  
ვიანთი მეფის, მაგალითისამებრ. რომელიც საამისოდ მზად არის  
და რომელმაც აღთქვა, რომ მობრუნდება თავის სამშობლოში თუ  
არა, კათოლიკობა მიიღოს. რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს  
იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარ-  
და ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა  
მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა  
და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა...“

იმედი მაქვს, ამ წერილმა წადილსა გვწიოს და დაავალოთ ყვინს,  
რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველო-

ში გამოგზავნოს. უკეთუ შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყეინს დაავალდებენ, რომ მალე აღასრულოს.

ამნაირის საშუალებით ვერავინ გაიგებს, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ რომელსამე საქმის შესასრულებლად, ჯერ შეპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ ასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი უნდა მიეცეს, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

დავასახელოთ თუ რა გვარი დახმარება იქნება საქირო. საქიროა 300.000 ეკიუ და კიდევ კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ქნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანე მეფეა და, იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრს მეფეებსა და მთავრებს, რომელთაც სხვადასხვა უბედურების დროს შეეწია და კვლად ეწევა ეგოლენის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელმწიფება....

თავის გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამის სისრულეში მოყვანისათვის არის, რომ ანებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საქირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეძლოს სპარსელთა მოწინავე პირთა გულის მოგება; აგრეთვე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც იქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფრისა ჰქონდეთ“.

სულხან-საბა ორბელიანი დიდად ცდილობდა საფრანგეთის იმპერატორის დაინტერესებას საქართველოს ბედით. ამ მიზნით მან სპეციალურად შეადგინა საქართველოსა და მის მეზობელ მხარეთა რუკა და წარუდგინა იმპერატორს. სამწუხაროდ, ვერც რუკამ დააინტერესა ქართლის საქმით საფრანგეთის სამეფო კარი...

„შემანახულია ერთი ანეგდოტი. როდესაც სულხან-საბა ორბელიანი, ვითარცა საქართველოს სახელმწიფო ელჩი წარუდგა ვერ-

სალში ლუი მეთოთხმეტეს, უკანასკნელი ახალი ნააგადმყოფარი იყო და თავს მეტად სუსტად გრძნობდა. საბამ მიულოცა ავადმყოფობისაგან მორჩენა, რაზედაც საფრანგეთის მეფემ უპასუხა, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს — ავადმყოფობას, მაგრამ მას თავს დაესხა მეორე მტერი — სიბერე.

— ეს ადვილი საქმე არაა, სამოც წელს გადაბიჯება! — დაასვენა ლუი მეთოთხმეტემ, რომელიც უკვე სამოცდაათსაც გადაცილებული იყო.

-- ხელმწიფო, — უპასუხა საბამ, — თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისეთი გრაციით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო!

საბას პასუხი მეტად მოეწონათ ლუი მეთოთხმეტესა და მის კარისკაცებს“.

როგორც აღვნიშნეთ, 11 მარტს სულხან-საბამ კარდინალს წერილი გაუგზავნა. საპასუხოდ (14 აპრილს) კარდინალმა მისწერა, თქვენი სურვილი და თხოვნა პაპს ვაუწყე, პაპი წერილს უგზავნის ფრანგთა მეფეს და ის დაგეხმარებაო. სულხან-საბამ მიიღო წერილები რომიდან და მაისში მეორედ წარუდგა სამეფო კარს, ლუდოვიკოს პაპის წერილი მიართვა.

მეფემ ამჯერადაც დიდი პატივით მიიღო ვახტანგის ელჩი. მიწიონერების გაგზავნას შეჰპირდა, ფულთი კი არ დახმარებია.

საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. გაუთავებელმა ომმა არმია მოქანცა, სახელმწიფო მმართველობის აპარატი მოშალა, ხალხის ეკონომიკა გააჩანაგა. ამას ერთოდა ვერსალის ბრწყინვალე სასახლას უზომო ხარჯები, დიდებულთა ფუფუნებისა და განცხრომისათვის განკუთვნილი უდიდესი ფინანსები, ბრწყინვალე ამალისა და დიდი მოსამსახურე შტატის შენახვა და სხვა. მოხუც იმპერატორს აღარ შეეძლო იმპერიის მართვა.

საფრანგეთისათვის ქართლი ნაკლებად საინტერესო მხარეს წარმოადგენდა; საფრანგეთი უშუალოდ არ იყო დაინტერესებული ქართლის ბედით და არც სპარსეთის მომდურება სურდა. ამიტომ სულხან-საბას ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა.

„სეფიანთა ირანს დღე ელეოდა და საქართველოს „გამოხსნისა

და აღდგომის“ მარჯვე დრო დგებოდა... (მაგრამ) ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ირანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არას მოიმოქმედებდა: ინგლის-პოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური მეგობრობა ირან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

1714 წ. მაისში სულხან-საბა ორბელიანი ემზადება პარიზის დასატოვებლად და რომისკენ გასამგზავრებლად.

საქართველოს ეკლესიას ადრიდანვე ჰქონდა კავშირი რომის პაპთან. ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში პაპთან მიწერ-მოწერა ჰქონდა ქართლის კათოლიკოსს კირიონს; მე-12 საუკუნეში ონორი მესამესთან დაკავშირებული იყო რუსუდან დედოფალი; გრიგოლ მეცხრე წერილებს უგზავნიდა რუსუდანსა და დავით ნარინს... იმავე ეპოქაში საქართველოში მოვიდნენ კათოლიკე მისიონერები, დაიწყო საქართველოს მისიონის მუშაობა ქართველთა გაკათოლიკებისათვის.

კათოლიკე მისიონერები საქართველოში განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში გამრავლდნენ. იმ დროს ჩვენში მოღვაწეობდნენ პავლე მარია ფიანცელი, გრიგოლ ორსინი, ქრისტეფორე კასტელი, არქანჯელო ლამბერტი, ავიტაბლე და მრავალი სხვა.

კათოლიკე მისიონერები ახლო იყვნენ თეიმურაზ პირველთან. მწყალობელი თვლით უტკერდა მათ ვახტანგ მეხუთე. კიდევ უფრო მფარველობდა გიორგი მეთერთმეტე. იმავე პერიოდში კათოლიკობა მიიღეს ქართველმა დიდებულებმა — ბარძიმ მღვიანბეგმა, თამაზ ბარათაშვილმა და სხვებმა.

კათოლიკეთა საქმიანობამ დიდ წარმატებას მიიღწია მე-18 საუკუნის დასაწყისში. ამას ძალიან შეუწყო ხელი ვახტანგ მეექვსემ.

მისიონერებმა განსაკუთრებით სახელი გაითქვეს მკურნალობით, მაგრამ ქართველი ხალხის ხორციელ განკურნებასთან ერთად მისიონერები მეორე საქმესაც აკეთებდნენ, რაც მათთვის მთავარი



და ძირითადი იყო,—ხალხს მოძღვრავდნენ, რომის პაპის მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ.

რომის პაპის მისიონერების მიზანი საქართველოს ეკლესიის პაპის ტანტისათვის დამორჩილება იყო. ქართველები კი ძლიერ ქრისტიან მფარველს ხედავდნენ პაპში და ისწრაფოდნენ მისკენ, რომ დასავლეთიდან სამხედრო-პოლიტიკური დახმარება მიეღოთ. ქართველთა მიზანი იყო სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერი მოკავშირისა და დამხმარის შეძენა კათოლიკური საფრანგეთისა თუ სხვა ქრისტიანული სახელმწიფოს სახით.

„მისიონერების დახმარებით, — წერს აკად. კ. კეკელიძე, — ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპების ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით — დასავლეთ ევროპის ხელმწიფეებისა. რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისიონერები, როგორც ცნობილია. ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასავლეთ ევროპის კაპიტალისა და პოლიტიკურ-კოლონიური ექსპანსიისა აღმოსავლეთში, კერძოდ ჩვენშიც. ჯერისა და სახარებეს მატარებლებს უკან მოკვებოდნენ სხვადასხვა ჯურისა და პროფესიის მოგზაურები, რომელნიც გარკვეული მიზნით, თავიანთ მემუარებს, მოხსენებებსა თუ შრომებში საგანგებო ინტერესს იჩენდნენ ჩვენი ქვეყნისა და მისი მდგომარეობის მიმართ“.

სულხან-საბა ორბელიანს ძლიერ სურდა დასავლეთის (რომი, საფრანგეთი) დაინტერესება ქართლის საქმით და ამიტომ ეზიარა კათოლიკობას. მე-17 ს. 80-იან წლებში მწერალმა სიმპათიად გამოამყვანა კათოლიკობისადმი. ხოლო ევროპაში ყოფნისას ფორმალურადაც მიიღო იგი. მისი გაკათოლიკება პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნას.

„გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, — წერს აკად. გ. ლეონიძე, — რომ საკითხი საბას კათოლიკობისა უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნებოდეს და არა ვიწრო რელიგიური მისწრაფებით. საკითხი კათოლიკობისა საბასათვის იყო საკითხი პოლიტიკური ორიენტაციისა“.

1714 წლის ივნისის შუა რიცხვებში სულხან-საბა ორბელიანმა დატოვა საფრანგეთი, გამოაცხიდა ქ. ანტიბს და იტალიისკენ

აიღო გეზი. მალე მივიდა სავოიის საჰერცოგოში. იმხანად სავოიის ჰერცოგს საკმაოდ დიდი სამფლობელო ჰქონდა. ქართველი დიპლომატის ყურადღება მიიქცია თოვლიანმა მთებმა, დიდმა კლდეებმა, ღრმა ხეობებმა.

მოგზაურნი სასადილოდ ნაპირზე გავიდნენ (ქ. ლაფრანგას). სავოიის ჰერცოგმა ქართველი ელჩის ამბები იცოდა, ქალაქის თავი გამოუგზავნა და მიიპატიჟა. სულხან-საბამ მადლობა შეუთვალა, ძღვენი მიიღო, მაგრამ არ ეახლა. როდესაც ის სავოიის ნაპირებს გამოსცილდა, ნაპირიდან ქვემეხების სროლა დაიწყეს, სადღესასწაულო სალუტი გამართეს.

მოხუცი მოგზაური იგონებს: „მასთან (სავოიის ჰერცოგთან — ლ. მ.) მისული არ ვიყავი, მპატიყეს, არ ვეწვიე და ასე დაგვიხვდნენ...“

ვახტანგის ელჩი მივიდა ქ. მონაკოს, დაბინავდა ზღვისპირა სახლში. მეფემ იწვია, მაგრამ „ბოდიში და დაღალულობა“ შეუთვალა, რიშარი აახლა და მოიკითხა. მეფემ პატივი სცა, შემდეგ დარბაისლებიც აახლა.

16 ივნისს დილაადრიან სულხან-საბა ორბელიანმა დატოვა მონაკო.

ქართველი მოგზაური და მისი მხლებლები მალე მივიდნენ ქ. მონტე-კარლოს. ქარი მძლავრობდა, ამიტომ ერთ ხანს იქ დარჩნენ. 17 ივნისს შუალამით დაიძრნენ და გენუისაკენ გაემართნენ. სულხან-საბა აკვირდებოდა დიდ ციხეებსა და მონასტრებს, დიდებულთა სასახლეებს.

19 ივნისს სულხან-საბა ორბელიანი ჩავიდა გენუას. ამ ქალაქმა ძალზე განაცვიფრა. მისი ყურადღება ზღუდემაც მიიპყრო: „არსად მინახავს მისთანა შორმოვლებული ზღუდე. კონსტანტინეპოლიც ექვსი ეჯია, მაგრამ ჯენევიასთანა შენებულობა და მისის სახლებისთანა შეენიერი გარედამ არსად გვინახავს“.

22 ივნისს სულხან-საბა გაუდგა გზას. კარგა მანძილის გავლის შემდეგ მიუახლოვდა რომს, მივიდა ქ. ჩივტავეთიას. რიშარი ხმელეთის გზით წავიდა რომს, რათა პაპისათვის ეუწყებინა ვახტანგის ელჩის მოახლოება. იქ დიდის ამბით დაიწყეს მზადება შესაგებებლად.

სულხან-საბა გაემართა რომისაკენ. მისი კატარღა მდინარე ტიბ-

რის შესართავს მიუახლოვდა. იქ ორი ეტლი დახვდა, პაპს გამოეგზავნა. ჩაჯდა ეტლში და რომისკენ გასწია.

29 ივნისს ღამის ორ საათზე მოხუცი ორბელიანი შევიდა რომში და დადგა მონასტერში.

1 ივლისს ეწვია საფრანგეთის კარდინალი. 2 ივლისს პაპმა ეტლი გამოუგზავნა: წადი, პეტრეს ეკლესია დაათვალიერე და შემდეგ ჩემთან მოდიო. იწყება მისი მოგზაურობა რომის სიძველეთა დასათვალიერებლად, ეკლესია-მონასტრების გასაცნობად, ძველი ძეგლების სანახავად.

სულხან-საბამ დაათვალიერა პეტრეს ეკლესია — შესანიშნავი ტაძარი აგებული ცნობილი ხუროთმოძღვრის დონატო ბრამანტეს (1444 — 1514) გეგმით და დიდი მხატვრების — რაფაელ სანციოს (1483 — 1520), მიქელ ანჯელოსა (1475 — 1564) და სხვების ხელმძღვანელობით. ამ ტაძარმა მასზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

5 ივლისს სულხან-საბა ორბელიანი ეახლა რომის პაპს კლემენტოს XI (1700—1721). მემუარისტი ასე გადმოგვცემს პაპთან საუბარს: „მე მოვახსენე: წმიდავ მამავ მეთქი, რა შენმა შეიღმა, მტოცე ქრისტიანმა, თავისი საქმე შენზე მოაგდო, მაშინვე გულსავე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ შეფეს არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი... მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაში და მოსვლით მართლმადიდებლობას მოემატება მეთქი...“ ქართველი ელჩი პაპმა კარგად მიიღო და ტკბილი დაპირებით გამოისტუმრა.

პაპის შემდგომ სულხან-საბა შეხვდა კარდინალ საკრიპანტს და გადასცა პონშარტრენის წერილი.

15 ივლისს ბურგუნდიის მეფის ბაღნარში იყო. 17 ივლისს დაესწრო გერმანიის მეფის შვილის კარდინალად კურთხევის ცერემონიალს. 20 ივლისს კარდინალთან იყო, მან კარგად მიიღო, სასახლე დაათვალიერებინა, ზოოლოგიური მუზეუმი გააცნო.

სულხან-საბამ პაპის ბიბლიოთეკაც დაათვალიერა. იქ „ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო.“ ქართველმა მწერალმა ქართული წიგნებიც ეძება, მაგრამ ამაოდ. „მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩნდა,“ — აღნიშნავს გულდაწყვეტილი.

25 ივლისს რიშარი გაემგზავრა საფრანგეთისაკენ. პაპმა მას ლუდოვიკოსთან წერილი გაატანა, ვახტანგისათვის დახმარების აღმოჩენა სთხოვა და განუმარტა, თუ რა წარმატება ელოდა კათოლიკობას ვახტანგის სამშობლოში დაბრუნებით.

31 ივლისს სულხან-საბა პაპმა დაიბარა. მემუარისტი წერს: „მრავალი კაი სიტყვა მიბძანა. თავისი ხელით მიბოძა ძელი ქეშ-მარტი, კარგა გაკეთებული. აკატის კრიელოსანი და ოქროთ გაკეთებული და ზედ ოქროს ხატი, ცოდვით შესანდობლად, ნაწილები წმიდათა. მიბძანა: მიხარიან რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევით და ჭკვიანადო. მრავალი მიალერსა. ნაწილებსა და ჩემს საჯდომს ეტლს გამოგიგზავნიო და ისე წადი ეტლით, წმიდა შვიდი ეკლესია მოილოცეო...“

8 აგვისტოს სულხან-საბა დიდებულთა შვილების აღსაზრდელ მონასტერში იყო, შემდეგ — პაპის სამადლოში. იქ იზრდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები (ბერძენი, სომეხი, არაბი, ეგვიპტელი და მრავალი სხვა). მას უთბრეს, ქართველებიც გამოგზავნეთო. „მათმა ეპისკოპოსმა კიდევ მიხუშრა: ქართველი გვაკლია, ყმაწვილები გამოგზავნეთო, ასე ვასწავლო და იქვე გამოგზავნიო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო. მართლა მთხოვა პაპის ბრძანებითა,“ — იგონებს ორბელიანი.

17 აგვისტოს ის კვლავ პაპთანაა. დახმარების სათხოვნად მოსული ორბელიანი პაპმა ლოცვა-კურთხევითა და ცარიელი დაპირებით გამოისტუმრა. „გამონისტუმრა. მიბძანა: ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე იმას გულს დააკლდებო და წადი მისი საქმე მოიჭირეო“, — წერს სულხან-საბა.

18 აგვისტოს დილით, „ქათმის ყიულობისას“ სულხან-საბა ორბელიანი დატოვა რომი. მალე მივიდა ქ. ფლორენციას. გრანდუკამ მეორე დღეს გამოუგზავნა წინამძღვარი იოანე გავლენტო, რომელმაც ის თავის მონასტერში წაიყვანა და დააბინავა. მესამე დღეს წინამძღვარმა სულხან-საბა წაიყვანა გრანდუკასთან. ეს უკანასკნელი კარგად დახვდა, ტკბილად მოიკითხა, ესაუბრა.

შემდეგ დღეებში სულხან-საბამ ინახულა მონასტრები.

8 სექტემბერს გრანდუკამ კვლავ მიიღო, ნავი მისცა და გამოე-

სალმა. ქართველი დიპლომატის ფლორენციაში ყოფნა ტოსკანის არქივში ასეა ჩანიშნული:

...11 სექტემბერს მოვიდა ფლორენციაში, ჩამოხდა წმიდა ლუიჯის სასტუმროში. მაგრამ გრანდუკას ბრძანებით, ორი ეტლით წაიყვანეს წმიდა სამების სასახლეში, სადაც მშვენიერად მოწყობილია ყველაფერი ამისთანა სტუმრებისათვის. ეს 60 წლისა არის, მალალი ტანისა, მხნე და ძლიერის აგებულობისა, მშვენიერი სახე აქვს და თეთრ-მოწითალო ფერი; ერთ მტკაველზე მეტი წვერი აქვს, როდელიც დიდად უხდება... ქართულის და თათრულის მეტი სხვა ენა არ იცის. ამიტომ მოითხოვა და რომში გაუგზავნენ... პატრი სილიბისტრე, რომელმაც ქართული ძლიერ კარგად იცის, იგი თან ახლდა მოენედ და სხვა საჭიროების დროს. ამის გამო ის პატრი თან მოჰყვა ფლორენციაში. აქ გრანდუკა მიჰყვა პაპის მაგალითს და რაოდენ დაც შეეძლო კარგად მოეპყრო და დიდი პატივი სცა...

20 სექტემბერს. თავის მხლებლებით წავიდა ფლორენციიდან მათი ხელმწიფობის საგანგებო ნავით..."

სულხან-საბა ორბელიანს გრანდუკასათვის მოხსენება წარუდგენია, მაგრამ არაა ცნობილი რა შინაარსისა იყო ის.

10 სექტემბერს სულხან-საბამ დატოვა ფლორენცია და ნავით ალიკორნისაკენ გაემურა. ჩაიარა ქალაქები და სოფლები. მივიდა ქ. პიზას. გალილეის სამშობლოში. მისი ყურადღება მიიქცია მესანიშნავმა ტაძარმა და დახრილმა კოშკმა — დიდებულმა სამრეკლომ.

მეორე დღეს სულხან-საბამ დატოვა პიზა და ლივორნას მივიდა. ამ ქალაქში ფრანგთა კონსული დემალაა შეხვდა, თავის სახლში მიიწვია, მაგრამ ქართველი ბერი მონასტერში დადგა. კონსული ხშირად მიდიოდა, ნახულობდა. „ალიკორნელი ფრანციცის მეფის კონცული მრავალს გაისარჯა ჩვენზე. დია კი კაცი იყო. ფრანცისის ნავში ჩავსხა“. -- წერს ის. აქედან მას მალთას სურდა წასვლა, მაგრამ „ის ხომალდი სიცილიის ქვეყნისაკენ მივიდოდა, მისინა ქალაქს“. ამით გზა უგრძელდებოდა; სხვა ხომალდი უნდა დაეძებნა, მაგრამ მგზავრის გადაყვანისათვის მეხომალდე ნაკლებ ფულს ითხოვდა და საბამაც სიცილიისაკენ გასწია. დიდი დღევა იყო, ქარი პირს სცემდა. ქარის გამო ხომალდი მისინას ნაცვლად ქ. პალერმოს

მივიდა. მეორე დღეს ფრანგთა კონსული მივიდა, ხომალდშივე ინახულა ქართველი ელჩი და ეტლით წაიყვანა, ქალაქი აჩვენა.

9 ოქტომბერს ხომალდი გაუდგა გზას და მალე მივიდა ქ. მისინას. ფრანგთა კონსულმა ინახულა ელჩი, წაიყვანა, დააბინავა. 10 ოქტომბერს ეტლი გამოუგზავნა, ქალაქის დასათვალისწინებლად მიიწვია. სულხან-საბა ჯერ კონსულს ეახლა სახლში, შემდეგ ეკლესიამონასტრების დათვალისწინება დაიწყო.

16 ოქტომბერს სულხან-საბა გამოემგზავრა მისინადან. გზაზე აკვირდებოდა მიწებს. ვულკანებს, ქალაქებს, სოფლებს. გულდასმით აკვირდებოდა მიწისძვრით დაზარალებულ ადგილებს.

რამდენიმე დღის შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი მივიდა მალთას. კუნძული ძალიან მოეწონა. კარგად გაიცნო იქაურობა, დაათვალიერა ქალაქი, დაუახლოვდა დიდებულებს. მალთის „გრან მაგისტროსაც“ ეახლა. მალთაში მან ნახა ტყვე ქართველები, რომლებიც ოსმალთათვის წაერთმიათ მალთელებს.

კარგა ხნის შემდეგ მოვიდა ფრანგთა ხომალდი, რომელსაც საბა კონსტანტინოპოლს უნდა წაეყვანა. მეორე დღეს სულხან-საბა ეახლა მალაიელთა უფროსს. გამოემშვიდობა და მალთიდან გამოემგზავრა.

1715 წლის 17 იანვარს ღამით ხომალდი კონსტანტინოპოლს მიადგა. ქარი ქროდა. ხომალდი ნავსადგურში ვერ შევიდა, იქვე ტრიალებდა, საფლობში მოხვდა. „ღმერთმან შეგვიწყალა, ქვა არ იყო, არც რიყე, თვარა ხომალდი გასქდებოდა“, — იგონებს საბა. დილით დაიძრა ხომალდი და მივიდა კონსტანტინოპოლს.

19 იანვრის დილას ფრანგთა კონსულმა ნავი შეაგება. სულხან-საბა გაეშურა ქალაქისაკენ.

„ჩვენი მოსვლა რა ელჩს შეეტყო წინ ნავი მოეგებებინა, ხომალდიდამ მოგვიყვანეს. თუ ის ნავი არ მოგვესლოდა, არ ვიცოდა თათრები რას იქმოდნენ. რომ ნახეს თათრებმა, ვეზირს მოახსენეს; მაგრამ ელჩის საქმით მოერჩით; როგორც უწინ, ისევ დიდი პატივით დაგვყავნა, კაის ხელისშეწყობითა. ჩვენზე მრავალს ირჯება“, — წერდა დაბინავებული სულხან-საბა პონშარტრენს. ქართველმა ელჩმა დახმარების მოლოდინში დიდი ხანი დაჰყო კონსტანტინოპოლში. 1715 წლის 18 თებერვალს მან კონსტანტინოპოლიდან მისწერა მი-

ნისტრ პონშარტრენს: „აქ ვახტანგ მეფის და ჩემი ძმების წიგნები დამხვდა მონაწერი: ვახტანგს ივნისის თვეში მოეწერა. აჯამთ ქრისტეს სარწმუნოებისათვის დიად შეუწუხებიათ. მაგრამ მიხარიან რომ მაგრა მდგარა, და რამდენიც შეაწუხონ, უფრო გამაგრდება.“

ჩემთვის ეს მოუწერია: „ჩემი იმედი, ღვთის გარდა, არა იყო რაო. და შენ იცი ჩემს საქმეზე რასაც გაირჯებიო. და დიდი მეფის შეწევნა და შევლის ძაყურებელი ვარო“; თქვენ ხომ მრავალს გაისაჯენით. მაგრამ ამას გეხვეწება. კიდევ უფრო გაისაჯოთ, რაც დიდმა ძედმა თქვენს უტყუარი პირით წყალობა მიბძანა, მისი მომლოდინე ვარ.

თქვენ მიბძანეთ „წადი, კონსტანტინეპოლს დაჯეგო. ჩვენც ელჩს მივსწერთო, რომ იქ რაც ვახტანგს ერგებოდეს ის ქნათო“. და აქ ამა ელჩს ბრძანება არა მოსვლია რა.

ჩემს ძმებს ხვეწნა მოუწერია ჩემი მისვლისა. ჩემი ქვეყანა აშლილა. ეველას უნდა მალე მივიდე. მაგრამ თუ მეფის წყალობა და ან იგი მოცულები არ მოვლენ, მე ვერ წავალ...

ჩემი აქ ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის. თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება...”

საკელისხმოა, რომ მას არ სურდა მისი მოგზაურობის (დიპლომატიური მისიის) გამკლავება. ჩანს, ეს საკმაოდ ფარულად მოეწყო.

მომლოდინით დაღონებულმა ორბელიანმა მალე სხვა წერილი გაუგზავნა პონშარტრენს:

„...დიად გულით დაუბარებიათ ჩემს ძმებსაცა და სხვა დიდს კაცებსაცა, რომ ჩემი თავი ეჭირება მათ. მაგრამ ვერ წავსულვარ, რომ თქვენსა და მეფის ბრძანებას ველი. მანდ რომ გვიბძანეთ: „კონსტანტინეპოლს მიდიოთ, იქ ელჩთანაო და ჩვენც კაცს გამოგიგზავნიოთ“, ამ ამბების მომლოდინე ვარ და მისიონერებთა. არსად მისიონერები გამოჩნდნენ. ამ საქმემ დიად დამაღონა. — ვახტანგის შევლის დრო ეს არის, თუ დიდ მეფეს ეპრიანება. ყოზილბაშნი ერთ პირზე არ დადგებიან, მუსუ რიშარპაც კარგად იცის და თუ მისი შეველა გინდათ, მალე უჯობს. თუ არა, ეს ახალი მოსვლა (იესეს გაბატონება ქართლში — ლ. მ.) ბატონო, კათოლიკებისათვის კარგი არ არის, თვარამც თქვენც შეიტყოთ.“

სულხან-საბა მინისტრს ატყობინებს ქართლის მძიმე ამბებს.

გამაჰმადიანებული იესეს მოსვლა (20. X. 1714) ქართველთა ნაწილს არ მოსწონებია. ამიტომაც ქართველნი გაყოფილან. ნაწილი გახიზნულ ბაქარს მიდგომია, იესესთვის ზურგი უჩვენებია, მტრობა დაუწყაა.

„ჩვენის ქვეყნიდამაც წიგნი მომივიდა და ვახტანგისაგანაც. რომ ვახტანგ ქრისტიანობისათვის აღარ გამოუშვიათ. იქ ერთი მისი უფროსი ძმა იყო თათრად, ის გამოუგზავნიათ. ქართველნი შუა გაყოფილან: ზოგი იმასთან მისულა, ზოგი ბაქართან მისულა, ვახტანგის შვილთან და კავკასიის მთის ძირს დამდგარან მაგრა და ამაში დიდს აშლას გავს.“

რომმა დანიშნა სამეგრელოში გასაგზავნი მისიონერები. მათი შენახვა საფრანგეთის მეფემ დაივალა, გამოჰყო სათანადო თანხა. პაპმა სულხან-საბას მისწერა წერილი, აუწყა მისიონერების დანიშვნა და დახმარების აღმოჩენა სთხოვა.

კონსტანტინოპოლს მისული ორბელიანი თავის მდგომარეობას და საქართველოს ამბებს რომსაც აუწყებდა. იესეს გამეფებამ რომიც ააღელვა.

სულხან-საბა ორბელიანი დიდხანს იცდიდა კონსტანტინოპოლში. დაპირებული დახმარება არსად ჩანდა. საფრანგეთის მთავრობას რიშარი ელჩად უნდა დაენიშნა სპარსეთის შაჰის კარს, თითქოს მას უნდა ეზრუნა ვახტანგის გამოხსნაზე, მაგრამ გარდაიცვალა ლუდოვიკო მეთოთხმეტე (1715. 10. VIII) და საფრანგეთის მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. დაპირება დაპირებად დარჩა...

იმედდაკარგულმა და სასოწარკვეთილმა სულხან-საბა ორბელიანმა 1716 წლის 13 მაისს დატოვა კონსტანტინოპოლი. საფრანგეთის ელჩმა ხომალდი უშოვა, წამომყვანს 400 მარჩილი მისცა: სულხან-საბა და მისი მსლებელნი ქობულეთს მიიყვანე, გურიელს ჩააბარე და მაგათი წერილი ჩამოგვიტანეო. თან პირობა ჩამოართვა, რომ ხომალდი ხალხით არ დაეტვირთა. მიუხედავად პირობისა, ხომალდის პატრონმა ხომალდი პირველსავე შემთხვევაში ოსმალებით აავსო. მოხუცი დიპლომატი შეწუხდა. ზევით ადგილი აღარ იყო, ქვემოთ იყო ჩასული. „მაშინვე შევიტყევე სიმუხთლე, მაგრამ რა მექნა, დაბრუნებხის ღონე აღარ იყო და ტკბილის სიტყვით გვატყუებდა“,—წერს ის.



მეხომალდემ ტრაპიზონის ფაშას და გონიის სანჯახს შეატყობინა, დადი კაცი მომყავს, ფრანგები ახლავს და დიდი საქონელი მოაქვსო. სულხან-საბას სამი პატრი მოჰყავდა თბილისს. მათ გარდა ახლდა ერთი შირვანს მიმავალი პატრი და განჯას მიმავალი ბურსელი ვაქარი ხოჯა აივაზა ჩალაბი შვილით.

მგზავრობის მეათე დღეს ხომალდი ათინას (შავი ზღვის სანაპიროზე) მივიდა მეხომალდის სახლებთან. მეხომალდემ გზა აღარ განაგრძო: „მე გურაას ხომალდს ველარ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია. მეშინიანო და თუ გინდათ პატარა ნავით წადითო, გინდა გურიას. გინდა ახალციხეზედაო,“ — უთხრა მგზავრებს. სხვა გზა აღარ იყო. ერთი ნავით სულხან-საბა და პატრები წამოვიდნენ, მეორეთი — აივაზა ჩალაბი. ზღვა აღელდა, ნავეები დაცილდნენ ერთმანეთს. აივაზას ნავი ხოფას გააგდო, მეორე ნავს დაეხმარნენ ოსმალნი (ამით იმერეთიდან ტყვეები მიჰყავდათ კონსტანტინოპოლს), მგზავრნი გამოიყვანეს. „თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდენ, სრულ წაუვდებოდით.“ — იგონებს მგზავრობით დატანჯული სულხან-საბა. ოთხი დღე სანაპიროზე დაჰყევს. ზღვა კვლავ ღელავდა...

ნავეებით მიიღწიეს ხოფას. იქ გონიის სანჯახი დახვდა. ნავეები შეაგება, დაიჭირა, წაიყვანა. იმ დროს იქ იყო კონსტანტინოპოლს მიმავალი ახალციხის ფაშის დისწული ალიბეგი. მან იხსნა მგზავრები. გაათავისუფლა და თავის სადგომს წაიყვანა. იმ ღამეს აივაზაც მოვიდა, სულხან-საბას აუწყა, ალიბეგი ხვალ კონსტანტინოპოლს მიდის და აქაურები კარგ დღეს მაინც არ დაგვაყრიანო. გადაწყვიტეს ოსმალთა მოჭრამევა. ოთხმოცი მარჩილი გონიის ბეგს მისცეს. დილით ალიბეგმა ცხენები უჭირავა, ახალციხის ფაშის კაცი აახლა და არტანუჯისაკენ გამოისტუმრა. აივაზა იქვე დარჩა. მოგზაურებმა ცხენებით მთელი დღე იარეს. ღამე ჩხალას გაათიეს. გონიის ბეგმა გაისტუმრა რა ალიბეგი, დაედევნა მათ და დილით დაეწია. სულხან-საბას უთხრა. შენი ბარგი გადაარჩიე. ეს ფრანგები მე მომეც, ხონთქრის ბრძანებაა. დასავლეთის კაცი ამ მხარეში არ უნდა შემოღშეთო. ორბელიანმა ეს წინადადება შორს დაიჭირა, არ ჩააბარა პატრები. განრისხებულმა ბეგმა ყველა შეიპყრო, ქონებაც წაართვა...

ენგიჩარებმა ქვეითად მოსიარულე ტყვეები გონიისაკენ წაიყვა-

ჩეს. სულხან-საბას აცხელებდა. დაღლილობას ავადმყოფობაც დაემატა. უკანასკნელი გროვებიც წაართვეს. ამ დროს აივანზე წამოეწია, ოსმალებს ფული შეჰპირდა (1400 მარჩილი) ტყვეთა განთავისუფლებისათვის. ტყვეები მთის წვერზე დააყენეს, აივანზე ფულისთვის ქავიდა. აუგვიასდა. დაბინდა. სულხან-საბა იგონებდა: „წაგვიკრეს ხელები, თეთრი სოფვატყუეო. და ამ ღამეში გონიისაკენ გაგვგზავნეს. წვიმა და ნალღი. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჰირით ჩავიარეო. ენით არ ითქმის...“ შეჰლამეს ერთ სახლში დააყენეს. სოვიდა აივანზე, ფულსაც სოკოტასა. გათავისუფლა ქართველი ელჩი და მისი თანამგზავრები. გამოეგზავრნენ. ერთი უბელო ცხენზე მჯდომი ენგიჩარი წამოეწია, სულხან-საბას საწვიმარი წაართვა. სიცივე და წვიმამ „უარესი უყო“... ნიგალის ხევშიც არ ასვენებდნენ მეკობრენი. ხან სად გადაუდგებოდნენ წინ და ხან სად. ფული სულ აივანსი იხარჯებოდა. ახალციხის ფაშამაც წაართვა 600 მარჩილი. ბილოს მოაღწიეს სამშობლოს. „მოვაწიეთ ჩვენა ქვეყანას. მოვედი აბოცა“, — წერს ნაწამები მამულიშვილი.

## სამშობლოში დაბრუნება

სულხან-საბა ორბელიანი იმედგაცრეებული და სასოწარკვეთილი მოუხატოვდა სამშობლოს. მწერალი ასეთ ცნობებს გვაწვდის: „მაშინ ქართლში მეფედ იესე იჯდა... ნათესაობაც შეეშალა და ვერც ჩემზედ იყო კაის გულითა. მე ვალა მრავალი მემართა ბურსელის ეპარქიისა, რომ რაც გზაზე წამართვეს, მათგან ავიღე და იმერეთს მათ აღარ გამიშვეს. ჩემს ძმებსაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაეშალათ, მაგრამ ღონე აღარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი მცა. მაგრამ ასრე სრვა განშორებულყო, მრავალი სული ამოეწყვიტა და თბილასიც აყრას და ხიზენას აძირებდა. ჩემი მოვალეები განჯას აბრეშუმისათვის მიღშურებოდნენ. ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდენ და ასე შეკრეს ყოველა: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე დარბაისელნი. ვერავინ შემომეწია. ვალის მიცემაც გამიჭირდა. თბილისს ერთი დაერდომილი ნათლიდგდა მყვანდა კათოლიკე მართლმადიდებელი. მან დაიწყო სიარუ-

ლი. მას ავს დროს თავისის მოყვრებისა და მეცნიერთაგან, რაც ვალი მემართა, სულ მოაგროვა და მოვალეები გაისტუმრა“.

სულხან-საბა ქართლში 1716 წლის ივლისში დაბრუნდა. სამეფო ტახტზე ვახტანგის მამადიანი ძმა იესე იჯდა. ეს „იყო ფრიად მიქცეული მამადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი.“ მან, როგორც სულხან-საბა აღნიშნავს. „ნათესაობა შეშალა“ და ცოლად შეირთო სულხან-საბას ძმის (ერასტი მდივანბეგის) ასული მარიამი. მამადიანმა მეფემ შემდეგში ერეკლე პირველის ასული ელენეც შეირთო (1715 წ.).

იესეს მტარვალობამ და უზნეობამ აღაშფოთა ქართველობა. ახალმა მეფემ ქართლის საქმეებს თავი ვერ გაართვა, ლეკიანობა ვერ მოსპო.

სპარსეთის ვითარება კვლავ მძიმე იყო. მტერი მძლავრობდა. შაჰმა ვახტანგი დაიბარა ქირვანიდან (1. VI. 1716), გაამამადიანა, მისცა ქართლის მეფობა და სპარსეთის სპასალარობა, უბოძა თავრიზი და ბარდა. ქართლის ნაიბობა ვახტანგის შვილმა ბაქარმა მიიღო. ის გადმოვიდა რაჭიდან და მოადგა თბილისს, დადგა მცხეთას (17. IX. 1716), რადგან იმხანად თბილისში ეამიანობა იყო. იესე კახეთს გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და თბილისის ციხეში გამოკეტეს.

1717 წლის 1 აგვისტოს ბაქარმა ქართლის მეფობა მიიღო. ვახტანგი შაჰის ბრძანებით კვლავ სპარსეთს დარჩა. იქაურ საქმეს არიგებდა.

სულხან-საბა ორბელიანს სამღვდელო პირებმა შევიწროება და უწყეს. გაკათოლიკებული და რომს ნამყოფი ორბელიანი ექვს იწვევდა ქართული ეკლესიის წარმომადგენლებში. საეკლესიო ბრძოლას ერთოდა პირადი შუღლიც. მწერალი მძიმე ვითარებაში იყო. განსაკუთრებით გაძლიერდა მისი დევნა ბაქარის დროს.

სასულიერო საქმეების გამო ატეხილი ბრძოლის შესახებ სულხან-საბა წერს: „სამღვდელთ შფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე (იესე—ლ. მ.) ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერე მეფე ბაქარ დაჯდა მეფედ. ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი, ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს. მცხეთას, ჩემი სიყ-

ვარული და სამსახური სულ დააეწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდევს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარყვავ და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყყენოდა და ყოველნი დაეტუქსა“.

სულხან-საბას აუმხედრდა კონფესიურ-სარწმუნოებრივა ფანატიზმით შეპყრობილი ქართველი სამღვდლოება, საეკლესიო-კლერიკალური წრე, ყოველი ჯურის რეაქციული ელემენტი. გაბატონებული საზოგადოების მდაბალმა ეგოისტურმა ზრახვამ დალუპვის კარად მიიყვანა მსოფიანი მწერალი.

საგულისხმოა, რომ ეპოქის ვითარებამ, სასახლის კამარილიამ და ფეოდალური წყობის გახრწნილებამ სულხან-საბასა და მის აღზრდილ ვახტანგს შორისაც ჩამოაგდო უთანხმოება. სულხან-საბას ცნობით, „ამ სოფლის სიმუხთლემ (ისა და ვახტანგი) ერთმანეთს მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს“.

სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის სამი ავტობიოგრაფიული არაკი: „მზე და ვარდი“, „ზღვა და დელფინი“, „მეფე და მეძებარი“. ამ არაკებში ოსტატურადაა მოთხრობილი ავტორისა და მის აღზრდილს შორის მომხდარი კონფლიქტის ისტორია.

პირველ არაკში მოთხრობილია, რომ „იყო წალკოტსა შინა“ ვარდი. ის შეიყვარა მზემ და სხივს არ აკლებდა, „სხივთა ზედაზედ მიაყენებდა“, „ცის ცვარით ნიადაგ რწყვიდა“, „აფერიანებდა და ასუნნელებდა“. ვარდის წყალი მრავალ სნეულს ჰკურნავდა. მისი წყალობით განკურნებულნი („მისგანვე განკურნებულნი“) „აღუშურდენ“ ვარდს, ააკვამლეს ჰაერი და „განფინეს ნისლი“. მზემ ველარ დაინახა ვარდი, ვერ მიაწვდინა სხივი. ვარდი დაქკნა, მისა სურნელება გაქრა.

აქ ვარდი სულხან-საბაა, ხოლო მზე — ვახტანგი. ჩანს, ავტორი მოქიშპეთა მუხანათობის მსხვერპლი გამხდარა.

მეორე არაკში მოთხრობილია ზღვისა და დელფინის ამბავი. ზღვაში იყო ერთი დელფინი, რომელიც ზღვას უყვარდა და კარგადაც ზრდიდა. დელფინი ძალზე ეხმარებოდა ადამიანებს. მისი ვედრებით ზღვა „მეთევზურთა თევზითა ბადეთა აღუყსებდას“. დელ-

ფინი „მენავეთა წინა-უძლოდის და ნავსაყუღლად მიუძღვის...“ მაგრამ კეთილი საქმე არ დაუფასდა. „მისგან გამოზრდილნი კაცნი“ „აუმტერდენ“, ზღვა ააღელვეს და დელფინი ხმელეთზე გარიყეს. ოდეს დაწყნარდა ზღვა, მოიკათხა თავისი დელფინი, ყველაფერი გაიგო, მაგრამ ველარა არგო.

აქ ავმოყვარეთაგან დასჯილი დელფინი სულხან-საბა ორბელიანი.

განსაკუთრებით საყურადღებოა არაკი „მეფე და მეძებარი“. ერთ მეფეს ჰყავდა ძალზე ერთგული მეძებარი. მეფეს ის უყვარდა, არ იშორებდა, აპატიებდა და კარგად ზრდიდა. არც მეძებარი აკლებდა სამსახურს, ღამით სახლს იცავდა, ნადირობისას მხეცის კვალს აგნებდა. კეთილი მეძებარი მეფის სურსათით ზრდიდა სხვა ძაღლებს. ხშირად მეფესაც აწუხებდა მათ გამო („თავს აწყინებდა“), ზოგჯერ არისხებდა კიდეც. სიკეთის ნაცვლად ძაღლებმა ბოროტი მიაგეს. შურით ალბორგდნენ, მეძებარს ცილი დასწამეს, მეფეს შეაბეზლეს და საყვარელი ძაღლი გააგდებინეს, მეფესაც საკმაოდ აენეს. გავიდა ხანი. „მეფესა მისის მეძებრისა სახელიცა დაავიწყდა“. გამოჩნდა „ერთი უცხო ნადირი“. მეფეს ძალზე სურდა მისი მონადირეობა, მაგრამ თავისა საყვარელი მეკვლე მეძებარი აღარ ჰყავდა. მოაგონდა რა თავისი ძაღლი, დაუსტვინა. მოვიდა მეძებარი „ყინვისაგან ფრჩხილდაცვეთილი, შიმშილით თვალ-დაკლებული, და ხმელის ძვლის ღრღნით კბილ-შემუსვრილი, და სიბერითა დღე-მოკლებული“.

„რითღა უნდა შესძლებოდა ძაღლსა მას შეპყრობა მის ნადირისა?“ — მწუხარებით შენიშნავს სულხან-საბა, რომელმაც თვით განიცადა მსგავსი ტრაგედია.

მწერალს განსაკუთრებით აღელვებდა მოყვარეთა ლალატი და გაუტანლობა:

„მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა,  
ეგრე მტერმან ვერ მატკანა, მოყვრისაგან შემაღონა!“

მას კარგად ესმოდა, რომ ავ ენას ბევრი რამ შეუძლია, ის „მხცოვანსა და ბრძენსაც აღრე მოატყუებს, თუ არ გასინჯა. თუ არა, გამოუტყდელისა რა დასაბრალებია?“

საბედნიეროდ, ვახტანგმა შეიგნო აღმზრდელის სიმართლე და

სცადა მასთან შერიგება. მას სულხან-საბასათვის „ქილილა და დამანას“ თარგმანი „გამოეგზავნა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოლიშები:

აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,  
ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რუღია“.

ეს თარგმანი იყო ზემოხსენებული „უტხო ნადირი“, რომლის შეპყრობა, ანუ „გემოიანად გაჩაღხვა“ ეწადა ვახტანგს. სულხან-საბამ ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ვახტანგიც შეი-რიგა.

1719 წელს შაჰმა ვახტანგი ქართლს გამოისტუმრა. ბაქარი მას ლორეს საზღვარზე შეეგება. მასთან იყვნენ ლუარსაბ სარდალი საბარათაშვილოს „დროშით“, სხვა „დროშებიც“, სამღვდელონიც. მეფე მოვიდა თბილისს, ავიდა ტახტზე, „შეჭფიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მიწისა მტკიცედ ერთგულებასა ზედა.“ ვახტანგმა იწყო სამეფოს მართვა. მან ტყვეობიდან გამოიყვანა იესე და აპატია დანაშაული, უბოძა მუხრანბატონობა და დანიშნა მღვიანებგად. ქართლის მეფე დაუკავშირდა დავით კახთა მეფეს და მასთან ერთად შეუტია ლეკთა მოთარეშე ბრბოებს.

ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი დაბრუნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ამოუდგა მხარში მეფეს და მისი მრჩეველი გახდა.

სპარსეთში დარჩენილი ქართველები კვლავ თავგამოდებით ებრძოდნენ მეამბოხე ავღანელებს. 1722 წელს ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა ყულარადასი როსტომი. შაჰმა ყულარადასობა ბაქარს მიწცა და სპარსეთს მიიწვია. ბაქარი ტაშირს დადგა, წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მამამ დააბრუნა. მეფემ დიდებულნი შეჰყარა, რჩევა ჰკითხა. „ამათ არა ინებეს წარსვლა ისპაჰანს, რამეთუ დაშთების ქართლი უკაცური და არიან მტერნი მრავალნი“.

ამ პერიოდში განჯას მიადგნენ ლეკები. შაჰმა ვახტანგს განჯელებისათვის დახმარების აღმოჩენა დაავალა. ამ დროს მეფესთან ოსმალეთის ხონთქრის კაცი მოვიდა და ოსმალთა მორჩილებისაკენ მოუწოდა. ქართველები შაჰის დავალებით განჯას წავიდნენ, „მოსრნეს ურჩინ“ და თბილისს დაბრუნდნენ.

1722 წლის აგვისტოში შაჰმა ვახტანგს შირვანს გალაშქრება და იქიდან ლეკთა განდევნა მოსთხოვა. „შეაყარა სპა ლაშქარი ქართ-ველთა“. ამ დროს მოვიდა სპარსელები წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის ამბავიც.

## რუსეთისაკენ

მე-17 საუკუნის მიწურულსა და მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის იმპერიას მართავდა გამოჩენილი სარდალი და ნიჭიერი გამგებელი პეტრე პირველი. ის ყოველმხრივ ცდილობდა რუსეთის გაზრდასა და განვითარებას, აფართოებდა რუსეთის ტერიტორიას, ეძებდა ზღვებზე გასასვლელს. როგორც ცნობილია, პეტრე დიდ ყურადღებას აქცევდა დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებს, ხანგრძლივ ბრძოლას აწარმოებდა შვედთა წინააღმდეგ (1700—1721). ამავე დროს, დიდი გულისყურით ეკიდებოდა აღმოსავლეთის საკითხსაც.

პეტრეს ძალზე იზიდავდა სპარსეთი. კასპიისპირა მხარეს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იყო საამშენებლო მანალები, ნავთობი, აბრეშუმი, ბამბა, ხილი, ღვინო... დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზას, რომლის ხელში ჩაგდებათ რუსეთი იქცეოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზად. კასპიისპირა მიწების შემოერთება კიდევ უფრო მეტად გაამდიდრებდა მემამულეებს, ვაჭრებს, ხაზინას. გარდა ეკონომიური მიზნებისა, პეტრეს ჰქონდა წმინდა სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიც..

მე-18 ს. 20-იან წლებისათვის შეიქმნა სათანადო მომენტი. ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო მთიელთა აჯანყება. დაუდ-ბეგი და სურხაი სათავეში ჩაუდგნენ მემამბოხეებს, მიუდგნენ ოსმალეთს და შიიტ-ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს. პოლიტიკური ბრძოლა რელიგიურ სამოსში იყო გახვეული. დაუდ-ბეგი ცდილობდა დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხელში ჩაგდებას. ლეკებმა 1721 წლის 7 აგვისტოს შამახია აიღეს და ოსმალეთის მორჩილება განაცხადეს. ამრიგად, მემამბოხე ტომებმა ოსმალეთს ხონთქარი მოიწვიეს ჩრდ. კავკასიაში გასაბატონებლად. ეს კი რუსეთისათვის სავსებით არ იყო ხელსაყრელი.

შეედებთან ომის დამთავრებისა და ნიშტადის ზავის რატიფიკაციის შემდეგ (X1. 1721) რუსეთმა იწყო მზადება სპარსეთის საკითხის მოსაგვარებლად. მოსამზადებლად კი ძალზე მცირე დრო იყო. იმპერატორმა ლაშქრობა 1722 წლის ზაფხულისთვის დაადგინა. საზღვარზე თავი მოიყარა დიდძალმა ჯარმა.

1722 წლის 15 მაისს პეტრე პირველი გამოვიდა მოსკოვიდან, 15 ივნისს უკვე ასტრახანში იყო....

სპარსეთის ოპერაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს. ქართლ-კახეთის სტრატეგიული მნიშვნელობა პეტრესათვის ნათელი იყო, ამასთანავე, აქედანვე შეეძლო მას დიდძალი ჯარის მიღება. პეტრეს კარგად ესმოდა, რომ კასპიის მხარის შემოსამტკიცებლად საჭირო იყო არა მარტო ზღვისპირა ვიწრო ზოლის დაჭერა, არამედ ამიერკავკასიის შემოერთებაც.

პეტრეს გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რა დიდ დახმარებას ნიშნავდა მისთვის ამიერკავკასიის ხალხების მხარდაჭერა (რუსთა არმია უზრუნველყოფილი იქნებოდა სურსათით, მას ეყოლებოდა გზის მაჩვენებლები...). პეტრეს იზიდავდა ქართველთა ლაშქარი, რადგან ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა სპარსთა და ლეკთა ბრძოლას ფანდები და გააჩნდა მაჰმადიანებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება. ამიტომაც იმპერატორი ძალზე ცდილობდა ქართველებთან დაკავშირებას.

1722 წლის ივლისში პეტრემ ქართველთა მეფეს ბორის თურქისტანშიელი გამოუგზავნა, სპარსეთის წინააღმდეგ რუსთა მხედრობას გამოსვლა აუწყა და გალაშქრებისაკენ მოუწოდა. ვახტანგს ძალზე გაუხარდა, საჯაროდ მიიღო ქრისტიანობა, რუსებს მიემხრო და ერთგულება შეჰფიცა.

„ვახტანგ მეფეს სინამდვილედ ესახებოდა საოცნებო მდგომარეობა, როცა დიდი სახელმწიფოს დახმარებით მოძალადე შაჰის ხელთაგან განთავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ მინატაცებ სამცხე-საათაბაგოს უკან დაიბრუნებდა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ვახტანგი განჯას მივიდა. თან ახლდა დიდძალი მხედრობა. ქართველები განჯის მიდამოებში დაბანაკდნენ. ერთობლივი მოქმედების გეგმით რუსებს დარუბანდი და ბაქო უნდა აეღოთ, ხოლო მათ-



თან შეერთებულ ქართველებსა და სომხებს — შამახია. ქართლის ჯარი რუსებს დარუბანდ-ბაქოს გზაზე უნდა შეხვედროდა. ვახტანგი პეტრესგან ნიშანს ელოდა, მაგრამ ამოდ.

რუსი მეომრები ერთ ხანს ძლევამოსილად მიიწევდნენ წინ, დარუბანდიც აიღეს, მაგრამ მალე რთული ვითარება შეიქმნა ჩრდილოეთ საზღვარზე. პეტრემ დარუბანდში გარნიზონი დატოვა და თვით ასტრახანასაკენ გაბრუნდა (1722 წლის შემოდგომაზე), ხოლო იქიდან სატახტო ქალაქს მიაშურა. ოპერაცია მომავალ წლისათვის გადაიდო.

განჯიდან ვახტანგი გაწბილებული გამობრუნდა. მისი იდეალი შეუსრულებელი დარჩა, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. რუსეთისათვის მხარდაჭერის გამო შაჰმა მას ქართლი ჩამოართვა და 1723 წლის 10 იანვარს კახეთის მმართველს კონსტანტინეს მისცა. კახთ ბატონის წინააღმდეგ დაირაზმა ვახტანგის ერთგულ მებრძოლთა ლაშქარი. მეფემ სახლობა გორს გახიზნა, ხოლო თვით თბილისის დასაცავად ბრძოლა გააჩაღა. კონსტანტინემ ლეკთა დახმარებით 4 მაისს ქალაქი აიღო. ლეკებმა უმოწყალოდ გაძარცვეს მოქალაქენი და შეურაცხვეს ეკლესიები. ამ დროს ქართლს მოადგა ოსმალთ ჯარი იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით. ვახტანგი გაქცეული აყო. ბაქარი და იესე ტაშირს დახვდნენ ოსმალებს და თბილისისკენ წაიპოყენენ. 1723 წლის ივნისში ოსმალნი უომრად შემოვიდნენ თბილისში, დაიჭირეს ქალაქი, შეიპყრეს კონსტანტინე და ქართლი ბაქარს მისცეს... მალე ოსმალთა ბატონობაც აუტანელი შეიქმნა, ბაქარმა იწყო ანტიოსმალური საქმიანობა. ოსმალებმა ქართლის მეფობა იესეს მისცეს.

1724 წელს იესე და ოსმალთა ჯარი ვახტანგს მიესია. დამარცხებულმა ვახტანგმა რუსეთს წასვლა გადაწყვიტა. მას სანშობლოში აღარ ედგომებოდა.

ძლეულმა ქართლის მეფემ დახმარება სთხოვა მოსკოვს მყოფ დარეჯან არჩილის ასულ ბაგრატიონსა და ასტრახანის გუბერნატორს. ის სწერდა: „ჩვენის თავის ამ საქმეზედ წახდენა სიხარულად შეგვერაცხია. თუ მაგათის (პეტრეს—ლ. მ.) დიდებულობის შარაევანდელი ან აქ გვარგებს, ან მანდ გაგვიყვანს — კარგია. თუ

არა და ჩვენი ქვეყანაცა და ჩვენცა, საეკველი არ არის, საურჯულოდ გახდება“.

სამშობლოს მიძიმე მდგომარეობით გულდასერილმა ვახტანგმა რუსეთს მისვლის ნება მიიღო. 1724 წლის ზაფხულში ქართლის მეფე რუსეთის გზას გაუდგა. მას „გაპყვენენ ქართველნი ყოვლას სახლიდამ და კახნიცა მრავალნი... ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ.“ მხლებელთა რიცხვი ათას ორასს აღემატებოდა. აქ იყვნენ მეფის ოჯახის წევრები (დედოფალი რუსუდანი, ვახტანგის შვილები: ბაქარი, ვახუშტი და გიორგი; ვახტანგის ძმები: სვიმონ, კონსტანტინე და ადარნასე; ვახტანგის და ხვარაშანი; ქაიხოსრო მეფის შვილები: დავითი და ანა და სხვა), სარდლები (მემარჯვენე ზემო ქართლის სარდალი ვახტანგ აეთანდილის შვილი ამილახვარი. მემარცხენე — ლევან პაპუნას შვილი მუხრან-ბატონი, მეწინავე სარდალა საბარათაშვილოსი მამუკა თამაზის შვილი ორბელისძე). სახლთუხუცესები, მღვდელმთავრები... მრავლად იყვნენ დიდებული გვარიშვილები (აბაზაძენი, ბარათაშვილები, ზედგინიძეები, თუმანიშვილები, მაჩაბლები, რატიშვილები, ფავლენიშვილები, ციციშვილები...).

სამეფო გვარის თითოეულ წარმომადგენელს მრავალი პირი ახლდა. მაგალითად. ვახუშტი ბატონიშვილს ახლდა მეუღლე, ორი ვაჟი. ორი ქალი, ერთი გამდელი. 13 მოახლე, 25 მსახური, 4 თავადი 6 ყმით და 19 აზნაური 17 ყმით.

ვახტანგის გამგზავრებამ ქართველობა შეაშფოთა. „ქართველნი ბევრს გვეხვეწნენ არ წამოვსულიყავ და ან ერთი ჩემი შვილი დამეგდო“, ეგებ „მომშველის გამოჩენამდინ სულ არ წაეხდეთო“, მაგრამ აღარ უარყავ განზრახულიო.—წერდა ვახტანგი დ რეჯანს.

ვახტანგის თანამედროვე პოეტი იესე ტლაშაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველთა მეფის წასვლით ქართლში მკმუნვარება შეიქნა, „უმასოდ ქართლში ვინც დარჩა, ზის და გულმდულრად ტირისა“. გამოჩენილ მებრძოლთა წასვლამ ქართლის მდგომარეობა გააუარესა.

რუსეთს გამგზავრებულ ვახტანგ მეექვსეს თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც. მრავალჭირნახულმა აღმზრდელმა და თავდადებულმა სახელმწიფო მოღვაწემ არც ამჯერად მიატოვა თავისი აღ-

ზრდალი და სორეულ ჩრდილოეთში წაჰყვა მას. სულხან-საბას ნათლად აქონდა გააზრებული არსებული ვითარება. მას კარგად ესმოდა, რომ რუსეთთან კავშირზე იყო დამოკიდებული საქართველოს მოსავალი ცხოვრება. ევროპაში ყოფნამ სულხან-საბა დაარწმუნა, რომ რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველო ეხსნა სპარს-ოსმალთა მონობისაგან. სულხან-საბასა და მის აღზრდილს — ვახტანგ მეექვსეს დიდი ამედი აქონდათ რუსეთის დახმარებისა. ამიტომაც მათი არჩევანი რუსეთზე შეჩერდა, ისინი რუსეთის გზას გაუდგნენ. ისტორიამ სავსებით გაამართლა და ბრწყინვალედ დაადასტურა ასეთი არჩევანის სისწორე. სულხან-საბას და მეფის ამაღლაში რამდენიმე ორბელიანი იყო.

1726 წლის დოკუმენტში ვახტანგი წერს: „ჩვენ რომ რუსეთს წამოვედით, საბამ მოხუცებულმა სამოცდაშვიდისა წლისამან, ჩვეულებისაჲებრ ჩვენი მამა-ბიძათ სიყვარული და ჩვენი ერთგულობა არა უდებ ყო და თან გვიახლა სამის ძმითა და ორის ძმისწულითა“.

1730 წლის სიგელში მეფე ასახელებს კიდევ აღმზრდელის ახლობლებს: „ურუმთ ჯარა ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დაგვინდევს და საქართველოში ველარსად დავდეგით, წამოვედით რუსეთის ხელმწიფესთანა და თან გვიახლა... სულხან ყოფილი საბა... თბილელმიტროპოლიტი ნიკოლოზ, დედოფლის სახლთუხუცესი დიმიტრი, ცოლით და შვილით, ზაალ ყოფილი ზოსიმე და (სულხან-საბას ძმისშვილი) ბენედიქტ“.

ამრიგად, ვახტანგს ჰხლებიან სულხან-საბას ძმები: ნიკოლოზ, დიმიტრი და ზაალი. მათ ახლდნენ ოჯახის წევრები და ხელქვეითნი. \*

ცხინვალიდან ვახტანგის ამაღამ მდ. ვაწას ხეობა აიარა და რაქას გადავიდა. აქედან ამაღა ჩრდილოეთის გზას გაუდგა, „განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მალალსა კავკასიასა, მსგავსსა ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომ-

\* ვახტანგ მეექვსის მხლებელთა სიაში იხსენიება: მეფის სახლთუხუცესი ელჩხარ ვახუშტის შვილი ორბელისძე, დედოფლის სახლთუხუცესი დიმიტრი ორბელიანი, საბარათაშვილოს სარდალი მამუკა თამაზის შვილი ორბელისძე, დედოფლის მოლარეთუხუცესი გივი ორბელიშვილი. მროელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი ძმისწულით, „თავადიშვილი საბა, ამისი ძმა ზოსიმე—ორწივე შწირნი ბერნი.“

დანარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრედ ძნიად გასავლელ იყო კაცთათვის, უკეთუ შთავარდნილ იყოსმე ქვესკნელსა ამას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცადა თუ ესეოდენსა ურიცხვთა დედაწულთა“. მეფის ამაღას ყინვაროვანი ზეკარი გადაუვლია. მოხუცი სულხან-საბასათვანს უღელტეხილის გადალახვა ძალზე ძნელი იყო.

ქართველებმა გადალახეს კავკასიონი და გადავიდნენ პარიჟით მხარეს. იქ მათ ავაზაკნი ესხმოდნენ. მეფემ მრავალი ძვირფასი თვალი და მარგალიტი მისცა მათ და ტანჯვით მიადწვია დიგორს. აქ მოვიდა ჩერქეზთა ბატონიშვილი და ვახტანგის ამაღა ჩერქეზეთს მიიყვანა, დიდ ყაბარდოში (ვახტანგი სიძე იყო მათი, ცოლად ჰყავდა და მეფის ასული რუსუდანი, რომელიც ახლაც თან ახლდა).

ჩერქეზებმა სიძე და მისი ამაღა კარგად მიიღეს, „ფრიად ეტრფიალენ“, „უმასპინძლეს ერთობით“. მეფემ დიდად დააჯილდოვა ისინი, „ძვირფასი საბოძვარი“ მისცა. მარიამობა აქ გადაიხადეს. შემდეგ ნოეგებნენ „ჩრდილოეთისა სპათა მხედრობანი, რაოდენნიმე ათასნი ჩინგიზთა მხედრობათა სპანი თვალთ წვრილნი, პირით პტყელნი, სრულიად ქარქაშხილიფოსანი. და მით განვლო მეფეჲან ჩერქეზთა ადგილები და რაოდენამე მდინარენი“. ესენი იყვნენ ნოღაელები, ყალმუხები... ამაღამ განვლო ჩრდილო კავკასიის ველები, ყალმუხებითა და ნოღაელებით დასახლებული ტრამალები, დაღესტნის ვაკე... მეფეს ახლა რუსთა მხედრობა ახლდა მცველად და თანამგზავრად. შემდეგში შეხვდა „უმჯობესი ჯარი, ქვეითოსანი. მოეგებნენ მეფესა და თაყვანი სცეს მთავართა მათთა რაოდენითამე თვითეულისა გვართა საკრავითა, დროშებითა და დაფებითა“. ასეთი ჯარის თანხლებით ქართველები მივიდნენ სოლალს. გამოეგება სარდალი გ. კროპოტკინი და დიდი ზარზეამით შეეგება მეფეს. „მოსცეს ხმა ქუხილისანი ზღუდეთა ზედა გარდმოკიდებულთა ზარბაზანთაგან და სპათა წყობილთა ხელის თოფისაგან...“ მეფე დაბინავდა „ტურთა სახლში“. შესაფერად მოეწყვნენ მსლუბელნიც. ამ ციხიდან ვახტანგმა პეტრეს გაუგზავნა ამილახვარი...

მეფის ამაღამ ოქტომბერში ასტრახანისკენ გასწია. ქართველები ხომალდებით წავიდნენ, მაგრამ უამინდობამ შეუშალა ხელი, 27

დღე ზღვაში დაჰყვეს. 8. XI-ს ამაღა ჩავიდა ასტრახანს. იქაური სარდალი „დახვდა მასპინძლობითა დიდითა“.

„ამა ქალაქთა უფროსთა ქნეს მასპინძლობა, რიგება, დიდთა და მცირეთ ყოველთა შექნეს თვალისა მიგება.

აღზინებლიან ბატონებს, ფიანდაზები იგება,

თქვენთვის სჯობს ვხარჯოთ ქონება, თორ მინც გარდაიგება.“

ასტრახანიდან ვახტანგმა პეტრეს გაუგზავნა თავისი წარმომადგენლები, მათ შორის ძალზე მოხუცებული, მაგრამ დიდად გამოცდილი დიპლომატი და დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანიც. ისინი რუსთა იმპერატორის სანახავად და ქართლის საქმეების მოსაგვარებლად პეტერბურგისკენ გაეშურნენ და რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვს მიაღწიეს.

ქართველები მოსკოვში მრავლად იყვნენ. ცნობილია, რომ 1653 წლის 27 დეკემბერს მოსკოვს მივიდნენ თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ნიკოლოზი (შემდეგში ერეკლე პირველი) და დედამისი ელენე. მალე მათ იქ ყოფნაში მოსკოვში ჩავიდა ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი (1658 წ. 20 მაისი). ის იყო პირველი ქართველი მეფე, რომელაც მოსკოვს ეწვია. შემდეგ მოსკოვს ჩავიდა არჩილ მეფეც (1685 წელს). იმ დროს უკვე რამდენიმე ქართული ოჯახი იყო მოსკოვში, ქართული კოლონია საკმაოდ მომაგრებული იყო. ქართველთა სამკვიდროდ იქცა ს. ვაჟ-სვიატსკოე (ამჟამად მოსკოვის ფარგლებშია). ქართველთა „საძვალედ“ დადგინდა არჩილისეული დონის მონასტერი. იქ დაკრძალეს არჩილი, მისი მეუღლე, შვილები: ალექსანდრე, დავითი და მამუკა...

ვსესვიატსკოეში ცხოვრობდა არჩილის ასული დარეჯანიც, რომელსაც ძალზე დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა. პეტრე პირველი დიდ პატივს სცემდა მას. ცნობილია, რომ შვედებთან ომის დამთავრების გამო გამართული ზეიმი პეტრემ დაიწყო ვსესვიატსკოედან, არჩილის სასახლიდან. ზეიმის წინა ღამე, 1722 წლის 30—31 იანვარი, პეტრემ დარეჯანის სასახლეში გაატარა. საფიქრებელია, იქ წარმოებდა მოლაპარაკება სპარსეთისაკენ გალაშქრების შესახებ. დარეჯანი რუსეთის იმპერატორს ქართლის მეფის სახელით ესაუბრებოდა...

დარეჯანის სასახლე ქართველთა სადგომს წარმოადგენდა. შორი გზით დაღლაღმა და დაქანცულმა სულხან-საბა ორბელიან-მაც მას მიაშურა, დარეჯანს ეწვია. ნატანჯი სხეული ქანცმილუ-ული იყო. მოზუც მწერალს გზის გაგრძელება აღარ შეეძლო. დარეჯანის სასახლე გახდა მისი უკანასკნელი სადგომი. სულხან-სა-ბა იქ გარდაიცვალა.

ვახტანგი წერდა: „სოფლის ვალი ჩვენთან გარდინადა და სულ-ხან-საბა ჩვენთან აღესრულა მოსკოვს,“ „საბა რუსეთს ჩვენთან მიიწვალა“.

უფრო ზუსტი და გარკვეული ცნობა ლექსიკონის მინაწერს დაუტყავს; ის ზოსიმეს უნდა ეკუთვნოდეს და ექვს არ იწვევს.

„საბა მიიწვალა ქრისტეს აქეთ ჩლკე (1725), იანვარსა კვ (26), მწუხრს. დიდს მოსკოვს. სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახ-ლეში და იმავ საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარ-ჯითა და თან-წყოლითა და დიდის პატივითა ბატონისშვილის და-რეჯანისათა“.

ქართული მხატვრული ლიტერატურის დიდი ოსტატი და მეზნებარე მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა მოსკოვს, 1725 წლის 26 იანვარს. მისი ძმის, დიმიტრი ორბელია-ნის სიტყვით,

„ფრიად მამერალი მუშაკი. მოკვდა. დაეფლა

რუსთ ველსა.“

# სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება

## „სიბრძნე-სიცრუისა“

სულხან-საბა ორბელიანი ნაყოფიერი მწერალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“, მაინც პოულობდა დროს მხატვრულიტიერატურული და ფილოლოგიური მუშაობისათვის. დიდი ცოდნით, ენციკლოპედიური განათლებითა და საქმის სიყვარულით სულხან-საბა ორბელიანმა უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული საგანძური შექმნა. მისი მემკვიდრეობა მრავალხრივი და მრავალფეროვანია. მასშია უბადლო მხატვრული შედეგები და ბრწყინვალე მეცნიერული შრომა, მხატვრულ-დოკუმენტური პროზა და გამართული შესანიშნავი ლექსი. დიდი მწერლის შემოქმედებითი ძალა განუზომელაა.

სულხან-საბა ორბელიანის ფასდაუდებელი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „სიბრძნე-სიცრუისა“. ეს უკვდავი წიგნი უტკნობი შარავანდედით მოსაჯეს უბადლო იგავმწერლის დიად სახელს. „სიბრძნე-სიცრუისა“ იმთავითვე შევიდა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში და საკმაოდ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

„სიბრძნე-სიცრუისა“ იგავ-არაკთა საინტერესო კრებულია. ფაბულარული თხრობის ფონზე ოსტატურად გაშლილი, ორიგინალურად მოფიქრებული და ღრმა იდეურობით აღბეჭდილი არაკები ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული იდეით. მათ უშუალო ორგანული კავშირი აქვთ ერთმანეთთან. იგავ-არაკებთან ერთად თხზულებაში ქარბად გვხვდება აფორიზმა, სენტენცია, გამოცანა, შეგონება, ანდაზა და სხვა.

„სიბრძნე-სიცრუისა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე შედეგს წარმოადგენს. სულხან-შაბა ორბელიანს მხოლოდ ეს თხზულება რომ დაეწერა, ამითაც დიდად საპატიო ადგილს დაიკავებდა ქართული ლიტერატურა ისტორიაში.

„სიბრძნე-სიცრუის“ ავტორს მოქმედ გმირებად მრავლად ჰყავს გამოყვანილი ფრანველები და ცხოველები. ალეგორიული გადმოცემა აზრისა კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის შემეცნებით-აღმზრდელობით ხასიათს. იუმორისტულ-სატირული ხერხი მეტყველებისა მეტად საინტერესოს ხდას თხზულებას.

იგავ-არაკული ჟანრის ძეგლები ადრეული ხანიდან გვხვდება. ამ ჟანრის დამწყები ბერძენი ეზოპეა. მას მრავალი მიმდევარი და მიმბაძველი გამოუჩნდა ძველ საბერძნეთში, მონათმფლობელურ რომში, საშუალო საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოებში. სოციალ-პოლიტიკური ვითარება მწერალს იძულებულს ხდოდა გადატანით გამოეთქვა თავისი აზრი. იგავ-არაკისათვის ძირითადი იყო დიდპტიკურ-მორალისტური ელემენტი. ამის გვერდით მოცემული იყო არსებული ნაკლის გაკიცხვა. საზოგადოებრიობის მანკიერი მხარის გამოვლინება და დაგმობა.

ცნობილია მრავალი კრებული იგავ-არაკებისა: „ქილილა და დამანა“, „ბახთიარნაჲ“, „თიშარანი“, „მელაჲ წიგნი“ და სხვა. „სიბრძნე-სიცრუისა“ თამამად უდგება მხარდამხარ მსოფლიოში სახელგანთქმულ კრებულებს და საპატიო ადგილსაც იკირს მათ გვერდით.

სახელწოდება „სიბრძნე-სიცრუისა“ შესანიშნავად მოფიქრებული და მიზანშეწონილად გააზრებულია. სიცრუეში, ზღაპარში ორგანულადაა ჩაქსოვილი სიბრძნე.

თხზულების სათაურს ჯერ კიდევ ილია ქავჭავაძემ მოაქცია ყურადღება. ქართული მხატვრული სიტყვის ბუმბერაზმა ოსტატმა გენიალურად გაიზარა და ბრწყინვალედ განმარტა აღნიშნული თხზულების სახელწოდების არსი.

„საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, — წერდა ილია, — სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებოდა ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსა-



ტანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშნამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აულაა ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნილი ყოველ პატიოსან კაცისაგან.

საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და ხაზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გეხატავს ზორცმესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. საბა ორბელიანის სიცრუე... უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგინამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხილია, ცოცხალა ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით“.

თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: იყო ერთი სახელოვანი და ფრიად გამოჩენილი ხელმწიფე ფინეზი. მას მრავალი კეთილი საქმე ჩაედინა; მისი „სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღარაცხოდა.“ საქვეყნოდ ცნობილი იყო მისი სიუხვე, ღმობიერება და ალერსიანობა. ასევე განთქმული იყო მისი შეუბრალებლობა და უმოწყალობა მტერთა მიმართ.

ფინეზს ჰყავდა ერთი ჭკვიანი და განსწავლული ვეზირი სედრაქი. გონიერსა და ბუნებით კეთილ კარისკაცს სამეფო კარზე კარგი სახელი ჰქონდა. მეფესაც ძალზე უყვარდა თავისი ერთგული ვეზირი და სათანადო ანგარიშს უწევდა მის რჩევას, მფარველობდა და ჯეროვნად წყალობდა.

სამეფო კარზე მოღვაწეობდა მეორე კარისკაცი რუქა. ის ვერაგი და მუხანათი, ცბიერი და მზაკვარი, ბოროტი და დაუნდობელი საქურისი იყო. მეფის კარზე მას კარგი ადგილი ჰქონდა მობოვებული და თავგამოდებით ცდილობდა მის შენარჩუნებას. გულჩქარი და ფიცხელი სეფეთუბუცესი ყველას გესლავდა. მისი ავი და ბოროტა ბუნება არავის ინდობდა.

ფინეზი უძეო იყო. მემკვიდრის უყოლობით ის ძალზე შეჭირვებული იყო. მეფემ დიდი სიმდიდრე გასცა, განძი გლახაკებს დაურიგა, „რათა ევედრონ ღმერთსა ძეობისა მისისათვის.“

რუქას არ მოსწონდა მეფის სიუხვე და ხელგამლილობა, უწუნებდა საბოძვრის გაცემას; „რომელსა მეფეთაგანსა გარდაუვგია ესე ოდენი საქურკლეო“, — ეუბნებოდა ის ფინეზს.

სედრაქი მეფის მხარეზე იყო და ამართლებდა მეფეს: „ვერც ასეთს გასცემს კაცი, რომ სხვას არ ექნას და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს.“

გავიდა ხანი. ფინეზს შეეძინა ძე. უფლისწულს ჯუმბერი უწოდეს. როდესაც ის წამოიზარდა, მეფემ თავის ერთგულ სედრაქს აჩვენა. ამ უკანასკნელმა ჯუმბერი დალოცა და უსურვა „გულისხმიერება ვიარისა, ერთგულობა ძაღლისა და ძალი ჯიანჭელისა.“

მეფემ თავისი პირმშო აღსაზრდელად მიაბარა გონაერ ჭაბუქს ლეონს. ამან ჯერ მიიღო მეფის პირობა, რომ განუკითხავად არ დაისჯებოდა და შემდეგ იწყო ტახტის მემკვიდრის აღზრდა.

ლეონმა „აღაშენა სახლი სამეფო“ და დაიწყო წვრთნა უფლისწულისა. ასწავლიდა განუწყვეტლივ. ზრდიდა საქმათ სიმკაცრით. მეფის სასახლეში „აღარ მიიყვანის ხშირად.“ როდესაც ლეონი ნადამობდა, ეს ზოგჯერ სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა, ჯუმბერი მწდედ იყო, ღვინის მიმწოდებლად. აღმზრდელმა ის „არც დასვა და არცა აქამა“. ასეთმა ყოფამ ძალზე დაქანცა ჯუმბერი. „ფეხზე დგომით და შიმშილათ ესრეთ უღონო იქმნა. ქვე დაეცა და შეწუხდა“. ლეონმა მხოლოდ ამის შემდეგ დართო მას ნება პურის ჭამისა.

აღმზრდელი ნადირობის დროსაც ასე სასტიკად მოექცა უფ-

ლისწულს. თვით ცხენზე შეჯდა, ხოლო „ჯუმბერს ქორი ხელთა შეუსვა. უცხენოდ წინ წაიძღვანა, საღამომდის არბენინა.“ მეორე დღეს ნწევრები ჩააბარა და „მთათა და გორათა არბენინა.“ გატანჯულ ჯუმბერს „ფერხთსაცმელი გასცივდა და ფეხები დაუსქდა. სისხლმან დენა დაუწყო“. ლეონმა მას მესამე დღეს შიკრიკობა დაავალა. ჯუმბერი გადაიღ.ლა. „მეტად დაშვრა, მალმალ დაეცემოდის“, მაგრამ ლეონი არ მოეშვა და სადგომამდის არბენინა.

ლეონი არც ცემას აკლებდა აღსაზრდელს. ერთ დღეს „შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა“.

ცბიერ რუქას ადრევე არ მოეწონა ლეონი. ის „დიდი მტერი იყო ლეონისა“ და კიდევ აბეზღებდა მეფის წინაშე. ერთხელ აღშფოთებით მოახსენა ფინეზს: „ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან ვის ასმია? შიმშილათა დაპნედილა და ფერხზე დგომით ტერფი დახეთქია“. სედრაქი ლეონს მუარველობდა, მაგრამ, როცა რუქამ მეფის შვილის ცემა გაიგო, ეელარა შესძლო.

რუქა მეფეს ეახლა და განრისხებულმა მოახსენა: „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთ ღვთის წყრომით აღვსებულს კაცსა. შეუპყრია, ასა არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამეშდის სულს ვერ მიატანს და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად.“

აღშფოთებულმა ფანეზმა დაიბარა ლეონი. მეფის მრისხანებას საზღვარი აღარ ჰქონდა. „ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიპრიდებდა, მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა“. ვერაგი საკუთრისი არ ცხრებოდა, „ცეცხლის გზებას უმატებდა.“ მეფის ბრძანებით ლეონი „თრევათ მოიღეს.“ მეფე მის მოკვლასაც აპირებდა. ლეონმა, პირობასამებრ, საკითხის გარკვევა და განხილვა მოითხოვა, „მოვედ და ვისამართლოთო.“

მეფე დაწყნარდა. ლეონმა იწყო საუბარი, ლაპარაკობდა შესანიშნავად, „თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა?“ მან დაიწყო თავის მართლება, თავისი აღმზრდელობითი მეთოდების დასაბუთება:

მეფემ რომ კარგად მართოს სახელმწიფო და ჯეროვანი ხელმ-

ძღვანელობა გაუწიოს ხალხს, საქიროა კარგად ესმოდეს ხალხი: გულისწადილი და ზრახვა. მას უნდა ჰქონდეს გამოცდილი მრავალგვარი ჭირი და ვაება. მეფემ უნდა იცოდეს, რა სიძნელე დგას მსახურთა წინაშე, რა სიმწარე სდევს მათ ცხოვრებას. მაგრამ მეფე თვით თუ არ გამოსდის ყოველივე ამას, საიდან გაიგებს? „თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი მცნება, სამსახური ვით სცნას, რას მიიჭირებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარ იყო, რამცა იცოდა, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საქმელი აკლია? იგი ყოველს კეთილსა სქამს და სევამს, არ მიიმშვეს.“

ლეონმა იცის, რომ მდიდარს ღარიბისა არა გაეგება, რომ ღზანს-მყოფი ძვირად გაიგებს ჭირსმყოფის ვაებას. „მაძლარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშენეტდა და ზედა აყვედრადა, რად ღორულად სქამო!“

საქიროა მეფემ იცოდეს, რა გასაჭირში არიან მისი ბაზიერნი და შიკრიკნი. მას უნდა ესმოდეს სასჯელის სიმკაცრე. ჯუმბერს: „თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშველობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ეცნა, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა? იგი შერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვადოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებძანა ასიასა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის შეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?“

ფინეზმა მოისმინა ლეონის „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ და მოიწონა მასი საქმიანობა.

ლეონის წინააღმდეგ გაილაშქრა რუქამ, ხოლო ამ უკანასკნელის ავი ზრახვისაგან ლეონის დაცვა ითავა სედრაქმა. მისი დევიზი იყო: „არცა ჯუმბერ უღეონოდ და არცა ლეონ უჯუმბეროდ.“ დიწყო მძაფრი კამათი. მასში მონაწილეობდა მეფე და სპეციალ-

რად მოწვეული ჯუმბერაც. მეფეს მოეწონა თავისი მემკვიდრე და მისი აღმზრდელიც. გამარჯვება ლონს ზედა წილად, ბოროტი რუქა ძლეულ იქნა. ფინეზმა კამათს ასეთი სიტყვებით მოულო ბოლო: „ჰე სედრაჟ ვეზირო! მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკადება, მაგრამ ასრე ვგონებ: ვერც შენ გადაურჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე. ამიტომ, რომ თქვენი ამგვარი საუბარი არასოდეს არ დაიღვევა. ჩემი ისმინეთ და იკმარეთ ესოდენი გაკიცხვა ერთმანეთსა და მით დაასრულეთ საუბარი თქვენი.“

თხზულების სიუჟეტური რკალი მტკიცედ შეკრული და სახსებით დასრულებულია.

„სიბრძნე-სიცრუისა“ დიდაქტიურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებია. ავტორის იდეალს არსებული წყობილების გამოჯანსაღება, ზნეობრივად დაავადებული საზოგადოების განკურნვა წარმოადგენს.

„სიბრძნე-სიცრუისა“ დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სენს... მასში გაკიცხულია სიძუნწე, ფარანეკლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება, უმადურობა, მოტყუილება, სხვისი ყვლეფა, სარწმუნოებრივი პირობოთნობა და იმდროინდელი ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები. ამავე დროს, ნაკლულოვანებათა გამოწწორების მიზნით, ავტორი იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს. იმდროინდელი სოციალური ცხოვრების შესასწავლად თხზულება წარმოადგენს მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან დოკუმენტს“ (აკად. ჯ. კეკელიძე).

სულხან-საბა ორბელიანი გადაჭრით ილაშქრებდა ყოველგვარ უზნეობის წინაშე და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველა ამორალურ პირს. მის მიზანს ზნეობრივი ნაკლის მხილება და გამომზეურება შეადგენდა. მწერალი თვით იყო მორალური საწმინდის განსახიერება და ზნეობრივი სისპეტაკის დაცვას სხვისგანაც მკაცრად მოითხოვდა. სწორედ ამიტომ წამოსწია მან წინა პლანზე ზნეობის საკითხები.

სულხან-საბა ორბელიანი დაუნდობლად ამხელს და დაუზოგავად კიცხავს უვარგის მეფეებს. ის მთელი სისასტიკით ესხმის თავს სახელმწიფოს უხეირო მმართველებს, კილავს ხარბსა და გაუმაძღარ მეფეებს. სულხან-საბას აზრით, „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“.

ერთ არაკში („უმოწყალო შარვანშა“) გაკიცხულია ქვეყნის ამოხრებელი და გამაპარტახებელი, უსამართლო და უმოწყალო მეფე, რომელიც არავის არ აძლევდა გასაქანს, მომჩივანთ კლავდა, ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა. მისი საქციელი დაგმობილია, მეფე შერცხვენილი და გამათრახებულია.

სხვა არაკში („ხალიფა და არაბი“) ნაჩვენებია მეფის სიხარბე და გაუმაძღრობა. ავტორი ასეთ მეფეს უპირისპირებს მშრომელ, გამრჯელ, პატიოსანსა და ალალ-მართალ არაბს. ბაღდადის ხალიფას ამ არაბმა უქანასკნელი სამი თხა დაუკლა და მიართვა. ხალიფამ პატივისცემის გადახდა აღუთქვა, მაგრამ არაბმა არა ითხოვარა. შემდეგში არაბმა განძი იპოვა, მაგრამ ხალიფამ წაართვა. ვეზირი პირით სულხან-საბამ ამხილა ხალიფას უწესო ქცევა: „ერთს გლახას არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგისტვის მიუცია და მასაც შენ ართმეე?“

სულხან-საბამ იცის, რომ მეფობა დადი საქმეა, რომ „მეფენი საქურისთა და სხვათაცა საქმეს სცნობენ და მეფეთა საქმესა ვერაინა სცნობენ... რომ მათი საჯდომი მალალია, დაბლიდან არ ინახება.“ მწერალი ამიტომაც მოითხოვს მეფის განსწავლულობასა და გონიერებას. ამის გარეშე მეფე საქმეს ვერ გაუძღვება, მოვალეობას ვერ შეასრულებს ხარისხიანად.

მეფეს მსახურებზე მეტი ჰქუა და განათლება უნდა ჰქონდეს. მწერალი ერთ გმირს მეფისთვის შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „თუცა ყმანი ჰქუთ მყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დემონე“.

საყურადღებოა, რომ ავტორი ზოგჯერ თამამად ალაპარაკებს ჯუმბერსაც. უფლისწული მამას ეუბნება: „რა გინდ დიდებულნი და მძღვრი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი.“

სულხან-საბა განათლებული აბსოლუტიზმის მქადაგებელია. მ-

სა აზრით, მეფე უნდა იყოს ზრდილი, თავაზიანი, გონიერი, გამკრიახი, განათლებული, წინდახედული, შორსმკვრეტი, განმსჯელი, მოსამართლე, დიდბუნებოვანი, ქველმოქმედა, კეთილი და სწორად გამგებელი, მტრის რისხვა და ერთგულთა მფარველი, კაცთმოყვარე და ხალხის გულისნადების შემცნობი. კარგი მეფე კარგ მწყემსს უნდა ჰგავდეს. „მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძროს, ამოდ ატაროს, დაკოდელი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს, საწყისო შეუმცირდეს. აგრეთვე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდბულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ქირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ქაჟა და მიცემა იცოდეს.“

პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მესაქე მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი ბუნების მქონე ადამიანი უნდა იყოს — ასეთია სულხან-საბა ორბელიანის მრწამსი. ამიტომაც მას მთელი კოდექსი აქვს მოცემული მეფეთა საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

მეფის კარისკაცი, მწერლის აზრით, უნდა იყოს ფრთხილი და წინდახედული, მისი ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს გამოზომილი და მოფიქრებული; კარისკაცს უნდა ესმოდეს, რომ „მეფისათანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს ზის სიცხე დასწევას და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზრავს.“ მეფის ახლო მყოფ პირს, კარგ კარისკაცს ბევრი სიკეთის ქნა შეუძლია, „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია, თავსა თვისსა დასწევას დასხვათ განუნათლებს“. კარისკაცს უნდა გააჩნდეს გარკვეული დიპლომატიური ნიჭი, უნდა შეეძლოს მეფის გულის მოგება და საკუთარი აზრის შენიღბვა. მას უნდა შესწევდეს თვალთმაქცობისა და საზრიანობის უნარიც. კარისკაცს „ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველ უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტეს ხედვიდეს და მეორეს თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს; აგრევე ცალი ყური ასმინოს და ერთი ყური დაიყრუეოს; გული ფუნდუკისაგან უდიდე ჰქონდეს, რაც ყურიდან შევიდეს დაიგროვოს და შეინახოს; რომელიც არ ვარგიყოს გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და

ჰკუთ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას; ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს.“

კარისკაცმა ანგარიში უნდა გაუწიოს მეფის პირად აზრს, „რომელი კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს“ და მასვე ავნებს; „ვასიც სიტყვა ეამება“, ის უნდა უქოს, თორემ თუ უძაგა, „არ ეძაგება“ და შერასხავს; მეფის გულითად პირს უნდა დაუახლოვდეს.

კარისკაცისათვის მოხერხებულობა და მახვილგონიერობა აუცილებელია. საინტერესოა ერთი არაკის შინაარსი: ლავდიკიის ბრმა მეფეს საკუთარი მხატვარი ჰყავდა. ის ძალზე სძულდა და დასჯის მიზნებს ეძებდა. ერთ დღეს საკუთარი სურათის დახატვა მოსთხოვა. შეძრწუნდა მხატვარი: „თუ ბრმა დაეხატო, მომკლავს: ვით მკადრეო, თუცა ორთვალი, მომკლავს: როდის არის მსგავსი ჩემიო?“ ბოლოს მოძებნა გზა: მეფე ირემზე მონადირე დახატა, თოფით, თვალმოხუჭული. ასეთი ხერხით გადაირჩინა თავი ხელოვანმა კარისკაცმა და მეფის გულიც მოიგო.

ამრიგად, კარისკაცი ვალდებული იყო მეფის ავიც კარგად ეჩვენებინა, მანკი ღირსებად წარმოედგინა.

სულხან-საბა ორბელიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გონიერსა და გამჭირიან ვეზირს. მას ესმის, რომ ვეზირზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მას ბევრი კარგი შეუძლია გააკეთოს, ბევრი ავიც.

„ვაზირთა მეფისა და ქვეყანისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცა.“ ამიტომაც საჭიროა ვაზირი იყოს წყნარი და ჰკუიანი, სიტყვა მარჯვე და წინდახედული, გონებამახვილი და აზრიანი. ამასთანავე, შორსმჭვრეტი და მოხერხებულიც.

„ვაზირა გონიერი, წყნარი და სიტყვა მარჯვე ხამს, ამაღ რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს:

ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს;

მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყნაროს;

მესამე: პირიდან ავი სიტყვა არ წაიციდინოს;

მეოთხე: სიტყვის თქმის ყამი აცოდეს;

მეხუთე: რაც თქვას, ყოველს კაცს მოაწონოს.“

სამეფოს გასაძლიერებლად საჭიროა კოლეგიალობა, რჩევა,



ერთხმიანობა. ვაზირთა ერთხმიანობა მომავლის უკეთესობის საწინდარია.

„ვაზირთ წესია, რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ. ერთი ჰქუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ იქნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს.“

ვაზირნი ერთმანერთის მოყვარულნი ხამს.

ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობითა არ ვარგა. თუ ვაზირი ბატონის ერთგულია, მტერი უნდა დაიმოყვროს, თავისი აუგიც აპატიოს, გული გაიერთონ და დაემტკიცოს მეფობა პატრონისა მათისა.

ვაზირი ზეაშვიადის შემნახავი ხამს. თუცა ერთმანეთში შუღლი მოხდა, ზეაშვიადი გამეღავენდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიციემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ: მან თქვა, არა მას უთქვამსო.

ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს. რა მეფე ერთს წყალობას უზამს, მეორე მისი ქიშპი გაორგულდების.

ვაზირი ღმერთის მავედრებელი, ჰკუის და საბრძნის მრჩეველი ხამს და რა კაცმა თავისი მტერი დაინახოს, გული აუღულდეს და ჰქუა და მცნება დაეფანტოს.

ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან. მტერნი ხომ არაა ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ და თუ შეამოწმებენ, კიდევ დამოყვრდებიან.“

სასახლეში არიან ბოროტი და კეთილი ვეზირები. ზოგი ვერაგი ვეზირი თავის მდგომარეობას სხვათა საზიანოდ იყენებს და ბევრ ვნებას აყენებს სხვებს. მეფე არ უნდა აპყვეს სხვათა ნათქვამს, ერთგული აღვილად არ უნდა შეიძულოს. „პატრონსა თუცა მონა უყვარს, აღრე არ უნდა შეიბეზლოს.“ მუხანათი კარისკაცები ცდილობენ მეფეს შეაძულონ ერთგული პირი, აბამენ ინტრიგის ქსელს და ზრაკებს აწყობენ („ინდოთ მეფე და ვაზირი“). ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, „მეფის საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ზრაკითა მასცა შეაძულებენ“.

თხზულების გმირები გადაჭრით ილაშქრებენ ავი და ანგარებით სავსე კარისკაცის წინააღმდეგ. მეფე ფინეზა, სათნო და კეთილი სედრაქი, ბრძენი ლეონი და განსწავლული ჯუშბერი მთელი სისასტიკით ესხმიან თავს რუქას. რუქა კაცთმოძულეა. შენ „ყოველი კაცი გაყვარს და მე ყველანი მძულან“, — ეუბნება ის სედრაქს. ბოროტი კარისკაცი ეკამათება მეფეს, ებრძვის სედრაქს, პირველ ნახვითანვე გესლავს ლეონს: „დიდად ბედუკეთური თურე ხარ და უკუღმართიო.“ ფლიდსა და გაიძვერა, ცბიერსა და გაქნილ რუქას არ სწამს სიკეთე, კარგის მოქმედება. მისი აზრით, „არას კაცსა კარგის მოქმედებრათვის კარგი არ უქმნია“. ამიტომაც ის სიკეთეს არავის არ უკეთებს.

სულხან-საბა ორბელიანი საჭურისს უპირისპირებს დადად განსწავლულსა და გონიერ სედრაქს. ეს სიკეთის მქნელია, ესმის სიკეთის ფასი და მნიშვნელობა; სწამს, რომ სიკეთე არ დაიკარგება, „კარგისათვის ავს ვინ უზანს კაცს“, თუ არა ბოროტი და ავიო. სედრაქის მტკიცებით, კაცს „კარგსა საქმესა ღმერთი (არ) დაუკარგავს“.

სულხან-საბა მხოლოდ რუქას არ კიცხავს. მას სხვა საჭურისიც ჰყავს სააწკარაოზე გამოყვანილი. ალაბელი დიდებულის საჭურისმა თავისი პატრონის ცოლს მოაკვლევინა ქმარა და შემდეგში თავის მეგობარს შერთო. „ყოველი მონაგები მისი მას მისცა.“ ასე უწუხთლა საჭურისმა პატრონს. ამ არაკის გადმოცემის შემდეგ ლეონი მკაცრად მიმართავს რუქას: „ყოველი მსგავსი შენი უარესსა იქმს, ამისთვის რომე, არა ეშანის ღვთისა და არცა სცხვენის კაცუა.“

ბოროტი კარისკაცის გადამტერებას შეუძლია დიდი ზიანი მიაცუნოს კაცს. სულხან-საბა მოითხოვს მტრისადმი შეუბრალებლობას. ამავე დროს საგანგებოდ ახასიათებს შენიღბულ მტერს და მოითხოვს დიდ სიფრთხილეს. სულხან-საბამ კარგად იცის, რომ „მტერა რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუარულებს მტერობს.“ ამიტომაც საჭირო ფრთხილად ყოფნა; მუდამ საფრთხის წინაშე ყოფნა მოითხოვს ძალთა მობილიზაციასა და დაძაბვას. მართალია, „ყოველი მტერი იმის ცდაშია, რომე დრო შემოაგდოს და წაახდინოს“, მაგრამ „დიდს მტერს

კაცი ან შეიხვეწება და ან გარდაეხვეწება. სწორ მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება“, ხოლო მცირე მტერი დროს ელის და მალულად ხაფანგს ამზადებს, შენიღბულია და საშიში: „ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაქექ, ხელს დაგწავს; ცოტა მტერი რა კაცზე დროს იმოვნის, აღარას ღონით არ გაუშვებს, არ გადარჩესო; ცოტა მტერი ორმოსა ჰგავს, თივას ქვეშ დამალულსა, რა შესდგე ჩაყარდები. ამისათვის უფრო უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხილდეს, საფათურაკო იგია.“

აეი გულისა და აეი ენის პატრონს ბევრი აეი მოტანა შეუძლია. სულხან-საბა ორბელიანი ენას დიდ მნიშვნელობას აძლევს. ენა მიჩნეულია ყველაზე უტკბესად და ყველაზე უმწარესად. ერთმა ხელმწიფემ უტკბესი საკმელი მოითხოვა, ვეზირმა შემწეარი ენა მიუტანა და აამა. შემდეგში მეფეს უმწარესი საკმელი მოესურვა, ვეზირმა კვლავ ენა მიართვა. გაოცდა მეფე: „უმწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბალი ვითხოვე და ენა მომიტანე.“ ვეზირმა უპასუხა: „არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისააო“.

ენის ზიმწარე რამდენჯერმეა აღნიშნული. ერთ დათვეს ძმობალი კაცის ცოლმა აწყენინა, „ენით დაკოდა.“ დათვემა მეგობარს სთხოვა, ცული დამკარ თავშიო. ძმობილმა ყოყმანის შემდეგ დაპკრა და გაუხეთქა თავი. დათვი ტყეში წავიდა, თავი გაამთელა და შემდეგ შემოხვდა ძმობილს: „შენის ცულით დაკოდილი თავი კი გამამთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.“

სულხან-საბას კარგად ესმის, რომ „ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს.“

სულხან-საბა ორბელიანი დიდ როლს ანიჭებს მასწავლებელს. მისი აზრით, აღზრდა-განათლების საქმეში მასწავლებლის მნიშვნელობა განუზომელია, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. დახელოვნებული ოსტატი საკმაოდ დაახელოვნებს და სათანადოდ გააფთავს აღსაზრდელს.

თხზულებაში საგანგებოდაა ხაზგასმული მასწავლებლის საპატიო

და სასახლო საქმიანობის უაღრესი მნიშვნელობა. ჯუმბერი გაბედულად ეუბნება მამას: „ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკვებებ და ნურც მე მადებ. გლატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია, თუ მხედრისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე — შენგან და წვრთილობა — ლეონისაგან.“

უფლისწული სხვა შემთხვევაშიც ამაყად აცხადებს: „კარგის ნერგის (ფინეზის — ლ. მ.) ხილი ვარ, ხელოვანის მებალის (სედრაჟის — ლ.მ.) შეწვრთილი, ფრთხილის შემნახავის (ლეონის — ლ.მ.) ბარებულო.“ „სიბრძნე-სიცრუისა“ სწავლა-განათლების კეთილმყოფელობის ქადაგებაა.

სულხან-საბა ორბელიანი ერთობის მქადაგებელია. მის იდეალს სახელმწიფოს ერთიანობა წარმოადგენს. მწერალს კარგად ესმის, რომ შეკავშირება არის სახელმწიფოს ძლიერების წყარო. ეპოთა სიავისა და ძნელბედობის ხანის მოღვაწე გამოდის შეკავშირების ლოზუნგით. საყურადღებოა შემდეგი არაკი: „მეფე ვინმე იყო დიდებულის. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა: თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გაგტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა.“

სულხან-საბა ორბელიანი ებრძვის პარტიკულარიზმს, გათიშულობას, გმობს გამოთიშველებსა და მოქიშპეებს, ამათრახებს შინაომის წამომწყებთ. მისი კალამი ამათრახებს პოლიტიკური ცენტრალიზმის მოწინააღმდეგეებს, კინკლაობის მოთავეებს, ინტრიგის ქსელის გამბმელებს. მწერლის იდეალს ერთსულოვანი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გამსჭვალული საზოგადოება წარმოადგენს. მან იცის, რომ შეთანხმება-შეკავშირების გარეშე საქმე არ მოგვარდება. ამიტომაც დასცინის სოფლის მშენებლებს —

ძალსა და მამალს, — ყეფითა და ყივილით საქმეს არ ეშველებაო. ძალისაგან დაგლეჯილი მელა ირონიით ეუბნება „სოფლის მშენებლებს“: „მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო.“

სულხან-საბა ორბელიანის იდეალს წარმოადგენს ერთგული, თავდადებული და გამტანი მეგობარი. აი, რა მხურვალე გრძნობით წერს ის მეგობრობაზე:

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერაჲინ იყიდის.

„ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მალალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრაადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბშელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოას თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნის? რად გძულან, რად ეშუღვლი, რად ეკამათები? მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

ამხანაგი თუ არ სიყვარული, საქმიშპარი არა არის რა.“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ე. წ. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალს ასე დიდებულად არ შეუძგია მეგობრული გრძნობა. მოტანილი ადგილი მეგობრობის გრძნობის სახობტო ჰიმნს წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანი ამ ჰიმნით შესანიშნავად ეხმაურება რუსთველს უკვდავი პოემის სახელოვან იდეას.

თხზულებაში გაკიცხულია ყალბი მართლმსაჯულება, მზაკვარ მოსამართლეთა მანკიერება. ავტორს მოქმედ პირად ყალი ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ უცხო მოსამართლეში ადვილად შეინიშნება ქართველ მსაჯულთა განხრწნილი სახე. სულხან-საბა ულუმობლად ამხელს მოსამართლეთა ბნელ საქმეებს, პირუთვნელად ამათრახებს და მწარედ დასცინის მათ. საილუსტრაციოდ საკმარისია არაქი „ქოსა და ყალი“. ერთ ქოსას ძროხის გაყიდვა სურდა. ქალაქელმა ვაჭარმა იაფად მოისურვა ძროხის ხელში ჩაგდება და სხვა ვაჭრები მიიმხრო. ქოსას ყველა ერთხმად ეუბნებოდა: ეგ ძროხა კი არა, თხააო. ვაჭარმა მსუნაგი და მექრთამე ყალიც დაითანხმა, სანაცვლოდ ტყავი აღუთქვა. გაწილებულ ქოსას ძროხა თხად ჩაუთვალეს და დაჩაგრული დააბრუნეს სოფელში. ქოსამ მხოლოდ კუდი წაიღო. ასე უსამართლოდ გადაწყვიტა ეს საქმე ანგარებიანმა ყალბმა.

სულხან-საბა გმობს ამ ფაქტს. თხრობა გრძელდება. ქოსამ შემდეგში ხელთ ჩაიგდო ყალი და ძროხის კუდით სცემა. ხან ქალის სამოსით მოველინა. ხან მექისედ. ხან მეაქლემედ. ბოლოს ძროხის სანაცვლოდ ქოსამ დიდძალი ქონება მიიღო. ხოლო ყალი ავ საქმეს შეეწირა.

სხვა არაქში („ყალი და ჯორი“) ყალი კიდევ უფრო დამცირებული, გამასხრებული და შერცხვენალია.

მოსამართლეთა დიდი დაცინვაა მატყუარა მელას სიტყვები: „ლომნადართ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო“. მოსამართლე, მდივანბეგი შედარებულია წუწკსა და გაუმადლარ მელასთან. საგულისხმოა, რომ ამ წიგნის დაწერის პროცესში ქართლის მდივანბეგად ავტორის მამა იყო. ეს გარემოება კიდევ უფრო ამაზვილებს ამ სიტყვების მნიშვნელობას.

გაიძვერა მოსამართლეებთან ერთად მწერალმა ამხილა და გაკიცხა გაქნილი მომჩივნებისა და გაიძვერა ცრუმოწმეების, მატყუარა მუთაკაცებისა და ფლიდი მოპრიგებლების ავზნიანობა. ასეთ მოსამართლე-მომჩივანს მწერალმა დაუპირისპირა მშვიდი, პატიოსანი და მშრომელი ბრალდებული. ავტორის ჩვენებით, ცილისმწავებელი სასტიკად ისჯებოდა. ეს მომენტი ოსტატურადაა გადმოცემული ერთ არაქში: თხა და მელა დაძმობალდნენ, მოსავალი მოიყვანეს. მელამ ხვავი მოითხოვა, თხას ბზე შეაძლია. ვერ მო-

რიგდნენ. მელამ ბიძა-მგელი მოიყვანა. თხამ ადრევე მოიყვანა და ბზეში ჩამალა ორა ქოფაკი. როდესაც მსუნაგი მგელი მომჩივან მელას მოჰყვა, ქოფაკები წამოუცვიდნენ და ეცნენ. ავტორის მორალი ცხადია: ყველა ფლიდი და ცრუ მომჩივანი და ბოროტი და მსუნაგი მოწმე-მოსამართლე სასჯელს არ ასცდება და მზაკვრობა არ შერჩება.

სულხან-საბა ორბელიანი მეფისა და დიდი მოხელეების გვერდით იგონებს წვრილ მოხელეებსაც. მწერლის მახვილი და დაკვირვებული თვალი კარგად ამჩნევს მოხელეთა თავგასულობასა და უმსგავს მოქმედებას. მწერალს სააშკარაოზე გამოჰყავს სოფლის მაწუხებელი გზირი და დაგმობილი აქვს მისი საქმიანობა.

კლარჯეთის თემს, ერთ სოფელში ყოფილა მეტად ანჩხლი და გაიძვერა გზირი. მისი მზაკვრობით ხალხი დიდ ტანჯვას განიცდიდა. აღსასრულის მოახლოებისას გზირმა სოფლელებს სთხოვა: „მე თქვენთვის ბევრი შემეცოდებია და რათაგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფუცებთ ღმერთსა. რა მოგვედუ, თოკი ყელთ მომაბით. გავათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთო.“ სოფლელები ასეც მოიქცნენ, ჩამოკიდეს ბოროტი გზირი. როცა თათრებმა ეს ნახეს, სოფელი დაარბიეს. „ცოცხალმან მოგვთხარა და მკედარმან აგვაოხრაო“, — ამბობდნენ მოტყუებული და გამწარებული სოფლელები.

„სიბრძნე-სიცრუეში“ ფართოდ არის წარმოდგენილი ვაჭართა საზოგადოება. მწერალი აკრიტიკებს ვაჭრების მოქმედებას. სიხარბესა და გაუმაძღრობას. განსაკუთრებული სიმკაცრით ავტორი ამათრახებს და დასცინის ძუნწ ვაჭრებს.

ერთმა დიდმა ვაჭარმა „სიბერემდე არცა სეა, არცა ჭავა, არცა ლა შეიმოსა“ და ქონება ისე დააგროვა. თავის სალაროსთან მისულს სალაროდან ხმა შემოესმა: „თუცა შენი იყო, ღლეისამდე არცა შენ იხმარე და არცა ცოლსა და შვილსა ახმარეო.“ მალე ეს განძი ბაღდადეღ ხუროს, ნაზარას ერგო. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოუხმარებელი ქონება არაფერს არ წარმოადგენს პატრონისათვის, მას ფასი არა აქვს და შეიძლება სხვასაც ჩაუვარდეს ხელში. შემდეგში ეს ვაჭარი ცხოვრების გზამ მეფის სალა-

როთუხუცესობამდე მიიყვანა. როდესაც სალაროს „კლიტე გაელმდა, ორი ფული არ გამოიმეტა, რათა მჭედელს გაეკეთა“, აიღო ქვა, კლიტე კედელს მიადო და ქვა დაკრა. კედელი ცალპირი აგურისა იყო, გადაინგრა და მეფის სახლობის სადგომა გამოაჩინა. ვაჭარს ეს ბოროტმოქმედებად ჩაუთვალეს. საქურისთა შებეზლებით, მეფემ მას თვალები დასთხარა. აი, სადამდის მიიყვანა ის სიძუნწემ, სიხარბემ და გაუმადლობამ.

სულხან-საბა დასცინის ვაჭართა ფლიდ და მოლალატე ცოლებს, ამათრახებს მათ ქმრისადმი ორგულობისა და მრუშობისათვის („დიდვაჭარი სპარსი“).

სულხან-საბა დაუნდობლად ესხმის თავს ქურდსა და უპატიოსნო ხელოსნებსაც. ერთ არაკში გამოყვანილია ქურდი მკერავი, რომელიც ძალზე ბევრს იპარავდა. „რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის.“ იმდენად მიეჩვია ქურდობას, რომ გაფრთხილებამ და შიშმაც ვეღარ მოაშლევინა ეს მანენ ჩვევა.

სულხან-საბა ორბელიანი უღმობლად ამათრახებს სამღვდელოებას. ქართული ეკლესიის სიძლიერე მწერალს აიძულებდა მოქმედება სხვა ქვეყანაში გადაეტანა და მოქმედ პირებად გამოეყვანა არაქრისტიანი სასულიერო პირნი, მაგრამ თხზულებაში აღწერილ სცენებში და დახატულ პირებში ადვილად შეინიშნება ქართული სამღვდელოების დამახასიათებელი თვისებები. მწერალი გმობს სამღვდელო პირთა ფლიდობასა და მატყუარობას, თვალთმაქცობასა და გარყვნილებას, მსუნაგობასა და ჭაუმაძღრობას, სამღვდელოთა ფარისევლობას.

საინტერესოა ბერად შემდგარი მელას ამბავი. ერთი მელა ნა-სოფლარში დადიოდა, ლილით სავსე სამღებროს ქვევრში ჩავარდა და შევად შეღებალმა იწყო სიარული. გზაზე შემომხვდარ მამალს მელამ უთხრა: „ჩემნი ღლენი ცოდვის ქმნით დავალამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდექე, იერუსალიმს მინდა წავიდეთ“ (ავტორი ირონიულად გვაცნობს მრავალცოდვიანისა და სიავის მქნელის ბერად შედგომას. მან იცის, რომ ბევრი ბოროტი თავის ცოდვას ბერის სამოსით ფარავს). ასეთი ფლიდობით მელამ შემოიერთა მამალი, ძერა და ოფოფა და „ცოდვათა შენდობა“ დაუწყო. სასაცილოდაა აღწერილი წმიდა



ზიარება და საიდუმლო აღსარება. მხილებულია სამღვდლოთა თვალთმაქცობა. მსუენამა მელამ მამალი და ძერა მოკლა, მაგრამ ოფოფს კი თავი გადააყოლა.

სამღვდლოების კრიტიკა ამ არაკში უმაღლეს წერტილს აღწევს.

სულხან-საბა არა მარტო რიგით სამღვდლო პირს კიცხავს, არამედ ეკლესიის მეთაურსაც. ერთ არაკში გამოყვანილია რჯულის თავი სადრი, „ქალაქის მომთხრელი ქურდი.“ დღასით ის სიწმიდის მაგალითს აძლეოდა, ხოლო ღამით დაქირავებულ ქურდებს ქალაქს აძარცვინებდა და ქონებას იმატებდა. აქ განათრახებულია საქსულიერო საზოგადოებრიობის უმაღლესი წარმომადგენლის მოქმედება, მხილებულია მისი თვალთმაქცობა და ნაჩვენებია მისი ნამდვილი სახე.

სამღვდლო პირი არც მრუშობას ერიდებოდა. ერთი მოლა ასეთი ქცევისათვის შეიპყრეს და ორმოში ჩაადგეს. მწერალი არც ამ ავზნეობას იომენს და პირუთენელად კიცხავს მას.

თხზულებაში შეინიშნება დაექვეება ღვთის ძლიერებაში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი არაკი. ავტორს გამოყვანილი ჰყავს ბოროტი კაცი, რომელმაც ანგელოზს სთხოვა: „თუცა სამოთხე არ მომეცემის და სხვა სათხოვარს აღმისრულებთ, ესრეთ დიდი შემქმნას (ღმერთმა—ლ. მ.), ჩემს მეტი ჯოჯოხეთში ვერვინ დაეტიოსო.“ ამით მან ღმერთს აჯობა; „ეს ვეღარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსა.“ ღმერთი დამარცხდა, კაცი განარჯვებული გამოვიდა, კაცმა ღმერთი მოატყუა. სადღაა ღვთის ყოვლისშემძლეობა? სულხან-საბას ძეგლი ძალზე გაბედულ აზრს წეიცავს. იმხანად ღვთის ძლიერებაში ასეთი დაექვეება და კაცის გამოყვანა გამარჯვებულის როლში დიდი სითამამე და გაბედულება იყო.

სხვა შემთხვევაში ღმერთს დიდი საყვედურით მიმართავს გლახაკი: „დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვირემ კაცს სისხლს არ დაანთხევიანებ, არას მისცემო.“

ერთ არაკში ღმერთი და ანგელოზი ძალზე დამცირებულია. მჯე ღვთის სახელს ითვისებს და ღმერთობას იჩენებს. მისი ვეზირი ანგელოზად მაიჩნევს თავს. ისინი სასწაულის მოხდენის

სურვილით სასახლეს დააღობენ ნეხვით. ვეზირი ირონით ეუბნება მეფეს: „შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვივაო!“ ღმერთი, ანგელოზი და სასწაულთმოქმედება აქ ძალზე გამასხრებელი და დამცირებელია. სულხან-საბას „სიბრძნე-სიტყვისა“ რელიგიური ნიჰილიზმისა და ანტირელიგიური სატირის შემცველი თხზულებაა. დადი მწერალი მკაცრად აკრიტიკებდა სამღვდლოებას. მისი წიგნი მძლავრი პროტესტია კლერიკალიზმის წინააღმდეგ.

სულხან-საბა ორბელიანი გმობს და კიცხავს ადამიანთა სიხარბესა და გაუმადლობას, მსუნაგობასა და ბევრის მდომლობას, ანგარებასა და მედიდურობას, ბრიყვობასა და რეგვენობას, უმადურობასა და დაუფასებლობას.

ერთი ქვის მთლელი გამდიდრდა და გამედიდურდა: „ალარც გლახაკი“ მოაგონდა და „ალარც ღმერთი“, „ესრეთ სიხარბეს“ გაპყვა. კეთილის მქნელი და კარგ ბედში ჩაშვდები გადაავიწყდა. ამიტომაც დანსაჯა და წერაქვი გაუხდა საძებარი. ავტორის აზრით, „თურე ყოველი კაცი სიდიდეს და პატავს ვერ შეიფერებს, ისევ სიგლახაკე უჯობს.“ სულხან-საბა მკაცრად აფრთხილებს ასეთო ქცევის ადამიანებს, ხარბებსა და გაუმადლებს. მოაგონებს მათ მოსალოდნელ სასჯელს. ამავე მაზნითაა გამოყვანილი ერთი მცელავი, რომელმაც მეტი მიწისა და თივის მისაკუთრებას ცდაში თავიც დაკარგა, სიხარბემ თავი გააგდებინა („თივაზე მოცილენი“). ასევე მკაცრად ისჯება მსუნაგი მელა არაკში—„ბერად შემდგარი მელი“. ის ბატის სურვილით იღუპება. მამალსა და ძერასაც ჰკარგავს. „ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენსო“, — დასძენს სულხან-საბა:

მწერალი ამათრახებს ფანტაზიორებს, ბაქიებს, მოლაყბეებს. ერთ არაკში გამოყვანილია გლეხი, რომელსაც ერთი ქილა ერბო ჰქონდა. მან გამდიდრება მოისურვა, ოცნება იწყო. ფიქრში ქილა გატეხა და ერბო დაღვარა. ასე დაელუპა გლეხს თავისი ქილა ერბო ზედმეტ სიმდიდრეზე უსაფუძვლო ოცნების გამო.

სულხან-საბა ორბელიანი ამჩნევს ძველი ადამიანების რღვე-

ვას, გრძნობს, რომ ძველ ადათებს ფაა დაეკარგათ. საინტერესოა ყასაბისა და მყიდველის არაკი. ერთმა კაცმა ყასაბს ცხვრის ხორცი სთხოვა. გამყიდველმა ირონიულად უთხრა: „შენ არ გეკადრება ხორცი სიარულა, მსახური გამოგზავნე, „შენი თმის ბეწვი გამოგიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიგზავნიო.“ იმ კაცმა ასეც გააკეთა, მონას გამოატანა თმის ბეწვი და ხორცი მოსთხოვა. ყასაბმა მონას ასე უპასუხა: „ვეაო! თვით აქ იყო, წვერიცა და უღვაწიც ზედ ესა. არამც თუ თმის ბალანა, და ერთი გამოსაცოხნელი არ მივეც, და ახლა ერთის ბალნით ბევრს რათ გაუგზავნიო?“

ბეწვით ანგარიშიანობა დროგადასული იყო. აღებ-მიცემობა ახალი ფორმების დამკვიდრებამ ძველი კარჩაკეტილი მეურნეობის დროინდელი წესი დაეიწყებას მისცა. სოციალური ყოფის ცვლამ გააიიწვია მორალის ცვლაც.

სულხან-საბა გულისტიკვილით აკვირდება ძველი ადათების გაქრობას. ცხოვრებაში ძირითადი ხდება ანგარიშიანობა. ქორწინებაც კი ანგარებაზეა დამყარებული. მასაც ანგარიშიანობა განსაზღვრავს. ერთ არაკში („მეფე და მქედელი“) მეფე თავის ძეს ცოლად მოკვების მდიდარა მქედლის შვილს. დიდებული ხელწიფე არ თავილობს მშრომელის ქალი მიიყვანოს სპასხლეში, ოღონდ სიმიდრე შეიმატოს.

ძველი სოციალურ-ეკონომიური წყობილების რყევამ და ადათ-ჩვევების დაიწყებამ, პრაქტიკული საქმიანობა არსა და ანგარიშიანობამ გააუფასურა მადლიანი, კეთილი საქმეც. სულხან-საბა მოითხოვს კეთილსაქმიანობას, ქველმოქმედებას, უძლურთათვის დახმარების აღმოჩენას და ხელის გაწვდას. სიკეთის ქნა დაუყვედრებლად უნდა ხდებოდეს, დაყვედრება არ ვარგაო.

ერთმა კაცმა ორმოში ჩადებული ტყვე მეფე გადაარჩინა, ორმოდან ამოიყვანა, მაგრამ ყვედრებით თავი მოაძულა. გამწარებულმა მეფემ იყვირა: „ვიინა ხართ, ამ კაცმან გამაპარაო.“ შეიპყრეს და კითხეს, რად იყვირეო. „ვირემ ამომიყვანდა, საყვედურით აპაესაო. თუ შინ მიმეწვია, კიდევ დამარჩობდა, აქა ყოფნა ვარჩიოო.“ — განაცხადა მან. ყვედრებით აღსაესე თავისუფლებას მეფემ ტყვეობა არჩია.

სულხან-საბა მოითხოვს გლახაკთათვის დახმარების დროზე აღ-

მოხენას: „ყოველი კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობს და სიკეთის ქმნას დაეწუროსო.“ სხვა ადგილას მეფეს ასეთ რჩევას აძლევენ გმირები: „სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიძღვანო და გლახაკს უბოძო, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებულსი ლაპარაი იქნებაო“.

„სიბრძნე-სიცრუისა“ ალეგორიული ხასიათის ძეგლია. ავტორს განზრახ გამოჰყავს მოქმედ პირებად ცხოველები თუ ფრინველები. თითოეულ მათგანში ადვილად შეიკნობა ადამიანის ხასიათი და თვისება. ავტორს განზრახ გადააქვს მოქმედება სხვა ქვეყანაში. სხვა ქალაქში (არაბეთი, ინდოეთი, იტალია, საფრანგეთი, ჩინეთი; ბაღდადი, ედესი, თავრიზი, იერუსალიმი, ისპანი, კონსტანტინეპოლი, შირაზი... აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მწერალი საქართველოს პუნქტებსაც ახსენებს — პოლნისი, კლარჯეთი, ქობულეთი). განზრახ გამოჰყავს მოქმედ პირებად მაჰმადიანი უცხოელები (შაჰი, სულთანი, ყადა, მოლა). თხზულებაში აღწერილი ვითარება დამახასიათებელი იყო ქართველთა სამეფოსათვის, აღნიშნული მანკიერი თვისებანი ქართველებსაც გააჩნდათ.

სულხან-საბას წიგნს ახლავს სატირულ-იუმორისტული იერი. მწერალი დასცინის უხეირო ადამიანებს, მათ ავ საქმეს, ბოროტ თვისებებს. თხზულებაში ერთ მოტივრალს ჰკითხეს: „ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო.“ მან უპასუხა: „რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შკრებიან, საუკუნო სასჯელი დაუფიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო.“ მოცინარმა კაცმა კი ამავე კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა: „ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შკრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დაუაჯერებინე რა და აწ სიცოცხლს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან რა მათი სარგებელია?“

ირონია, დაცინვა, გაკილვა ხშირია ძეგლში. ერთმა გლახაკმა სიზმარში სამასი ცხვრის გაყიდვა მოინდომა დიდ ფასად, მაგრამ მყიდველს ვერ მოუპოვდა. ცილობაში გაელევიდა, შეწუხდა, თვალი მოხუჭა და მყიდველს უთხრა: „ოროლი კირმანეული მომეც, მოგ-

ცემო.“ სულხან-საბა ირონიულად შენიშნავს: „ანუ ვინაა მისცემ-  
და ვერცხლსა, ანუ ვისლა მიჰყიდდა?“

ერთ დიდ მეფეს ომი ჰქონდა. მის სანაზარეულოს ცხრა ათასი  
აქლემი ძლავს ძრავდა ადგილიდან. დამარცხდა მეფე. ჯარი აწო-  
უნყდა. მცირე ხორცი მოხარშა, ძალმა ჭეპიანად მოატაცა. გაე-  
ცანა მწარედ: „გუშინ ცხრა ათასმა აქლემმა ვერა ზიდა ჩემი სა-  
ნაზარეულო და დღეს ერთს ძალსა ესუბუქაო.“

ცრემლნარევი სიცილი სხვაგანაც შეინიშნება. ცრემლი მსუბუ-  
ქი ირონიის საბურველითაა შემოსილი.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ დაწერილია ხალ-  
ხურ-სასაუბრო კილოთი. მაღალფარდოვანი მწიგნობრული სტილის  
ნაცვლად მწერალმა სასაუბრო კილო წარმოაჩინა. დიდგვაროვანი  
ფეოდალი ხალხური ენით გვესაუბრება. მისი ენა მსუბუქი და ად-  
ვილად გასაგებია, მოქნილი და დახვეწილია. აზრი სხარტად და  
მკაფიოდაა გადმოცემული, შეკუმშული და დაწურულია. გამოთქმა  
მოკვეთილი და ამომწურავია. მეტყველება ლაკონურია. სიტყვა ნა-  
ქედი, კარგად შერჩეული, მოფიქრებული და გააზრებულია. ლექ-  
სიკა დიდებულია, ხალხურთან ახლოა; არის არქაიზმებიც (გვიძა,  
ხვანტავი, სპასალარი და სხვა).

სულხან-საბა ორბელიანს ახასიათებს ეკონომია სიტყვისა, ნაქე-  
დობა ფრაზისა, ფერადოვნება სტილისა. ამასთანავე ის იცავს  
და ინარჩუნებს გრძნობის სიცხოველესა და აზრობლივ სრულყოფი-  
ლობას.

მისი ენა ძალზე მდიდარია აფორისტული გამოთქმებით. მწერა-  
ლი აქ ხალხთან დიდ სიახლოვეს იჩენს. რამდენიმე მაგალითი:

„ქარი ხელითა არ დაიჭირვის, თვალს ზარმაცი ვერ მიეწევის“.

„ბედი მომეც და ნეხვთა დამფალ“.

„ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს და რა ადგილით დაიძე-  
რის გასუბუქდესო“.

„რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია  
კაცთათვის“.

„არ ქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია“.

„ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუქასა“.

ასეთი ძველი თქმანი თხზულებაში ხშირია. მათ ახლავს ცნობა:

„არაკად თქმულა“ ან „ძველთაგან თქმულა“. არანაკლებ მრავლად გვხვდება შეგონება, დარიგება, დამოძღვრა. მაგალითად:

„უმეცარ კაცსა გულით ნუ მიენდობი;  
შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები;  
ყოველ ჟამს ფრთხილად იყავი, შენი სახლიც იყოს;  
მშვიერს სტუმრად ნუ ეწვევი;  
გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა!“

სულხან-საბა ორბელიანს ძირითადად აზრის გადმოცემა აინტერესებს. ამიტომაც „სიბრძნე-სიცრუეში“ იდეურ-თემატიკობა გაცილებით წინა პლანზეა, ვიდრე მხატვრულობა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს რომ სულხან-საბას არ შეეძლო მხატვრული ადგილების გამოკვეთა და სრულყოფა. მართალია, ის დიდ ზიძუნწეს იჩენს, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს იმეტებს ამისათვის, მაგრამ ამ სტრიქონებშიც კარგად ვლინდება მწერლის დიდი მხატვრული შესაძლებლობა, დახვეწილი გემოვნება და ბრწყინვალე გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი.

სულხან-საბა ორბელიანი მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი და სიტყვაკაზმული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენელია. მან საყოველთაოდ გაბატონებული პოეზიის გვერდით წამოსწია და აამალა ქართული მხატვრული პროზა. სულხან-საბა ორბელიანი დიდად დახელოვნებული პროზაიკოსია.

როდისაა დაწერილი „საბრძნე-სიცრუისა?“

თხზულებას ხელნაწერში შემოუნახავს ასეთი სახელწოდება: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისაგან ჟამსა სიკბატუისა მისისა“. ამრიგად, დაწერილია ის სულხანის ბერად შედგომამდე, 1698 წლამდე (წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსენიებული იქნებოდა მწერლის მეორე სახელი საბა ან სულხან-საბა). თხზულების ხასიათი, წერის მანერა, იდეოლოგიური მიზანდასახულობა, პირუთვნელი კილო და მამხილებელი ტონიც ამის სასარგებლოდ მეტყველებს. საფიქრებელია, რომ ბერად შემდგარი მწერალი ასე მწარედ ვეღარ გაამათრახებდა სამღვდელოებას. მართალია, ასეთი რამ „ქილილა და დამანაშიცაა“, მაგრამ ჯერ ერთი,

სულხან-საბა ორბელიანი მასზე ვახტანგის დავალებით მუშაობდა და მეორეც, მისი მუშაობა მხოლოდ რედაქციული ხასიათისა იყო.

საინტერესოა „ჭაბუკის“ სულხან-საბასეული განმარტება: „ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაქს (ეწოდების) ჭაბუკი“. მამასადაძმე, ჩვენი მწერლის ჭაბუკობა 1678—1688 წლებზე მოდის. ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სიბრძნე-სიცრუის“ შედგენა-შეთხზვა ავტორმა მე-17 ს. 80-იან წლებში დაიწყო. ეს ის დროა, როდესაც ის ვახტანგ ლევანის ძეს ზრდიდა. საფიქრებელია, რომ დიდი იგავთმწერალი შემდეგშიც განაგრძობდა „საბრძნე-აიცრუენზე“ მუშაობას.

„სიბრძნე-სიცრუის“ არაკთა პარალელები სხვადასხვა ენაზე არსებულ ანალოგიურ კრებულებში მრავლად მოიძებნება (პანჩატანტრა. პიტოპადეშა, სინდბადი, ბარამგურიანი, მელის წიგნი, შვიდვეზირიანი, მეფეთა სალარო, ქილილა და დამანა...), მაგრამ სულხან-საბა ორბელიანს ამ ძეგლების ლიტერატურული გავლენა არ განუცდია. მას ეს არაკები აუღია ხალხური ზეპირსიტყვიერების წიალიდან, მისი საფუძველი ქართული ხალხური შემოქმედებაა.

აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს წერდა: „საბას მისი იგავ-არაკები ჩვენს ქვეყანაშივე, საერო ზეპირსიტყვიერებისაგან აუღია.“

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბრწყინვალე ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს.

„ორბელიანის არაკებში მოცემულია ნამდვილი ქართული ზღაპრის თვისებანი, ხალხური ვარიაციები ხასიათებისა, გმირები ქართული ზღაპრებისა. ამ შემთხვევაში ორბელიანი გვევლინება, როგორც ხალხური ზღაპრების დიდებული იმპროვიზატორი.

ქართულ ზღაპრებს ორბელიანის ხელში დიდი რედაქციული დამუშავება განუცდია. ტრადიციული ფაბულები მან გააცოცხლა თავისი ინტელექტუალური სიმანვილით, დაკვირვებით, გამოცდილებით, ეპოქის გემოვნებისა და განწყობილების მიხედვით“ (აკად. გ. ლეონიძე).

## „სიზყვის კონა“

სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ლექსიკონი. ესაა დიდი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი. ხანგრძლივი საქმიანობის ფრიალ სასახილო ნაყოფი.

სულხან-საბა ქართული ენის გენიაა. მასი ლექსიკონი ქართული სიტყვიერი საუნჯის ულავი არსენალია.

„საბას ლექსიკონი ნამდვილი საუნჯეა ქართული ენისა... სიტყვათა განმარტება სადაა და არსებითს მკვეთრად გახაზავს. განმარტების სიმკვეთრე-სიზუსტისა და ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მხრივ საბას ლექსიკონი შესანიშნავი ნაშრომია.

ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მიხედვით საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას. ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები“ (აკად. ა. ჩიქობავა).

ქართულ ენაზე ლექსიკონი ადრეც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიკარგა. სულხან-საბას წინამორბედი და გზის გამკათავი ჩვენთვის უცნობია. ის თვით გვაუწყებს, რომ „ქართლისა ქვეყანასა ლექსიკონი აღარ იპოებოდა“. „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო“. ლექსიკონის დაკარგვას ცუდი გავლენა მოუხდენია ქართველებზე. ენა წარყვნილა, დამახინჯებულა, დაუკარგავს თავისი დიდებული იერი და ბრწყინვალეობა. ქართველებს „ვინათგან ჰატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ.“ ქართული ენა დადგა საფრთხის წინაშე. ეროვნულ ენას კატასტროფა ელოდა. სულხან-საბა ორბელიანი დიდი ეროვნული განცდითა და მწვევე შინაგანი ტკივილით გვაცნობს ამ ფაქტს. ჩანს, ის დიდად განიცდიდა ამ ნაკლს.

ქართული ენის სიწმინდისათვის საკმაოდ ზრუნავდნენ და ენის დაცვას დიდ ყურადღებას აქცევდნენ გიორგი მეთერთმეტე, არჩილ მეფე და ლევან ბატონიშვილი. სამეფო კარმა ქართული ლექსიკონის შედგენა სულხანს დაავალა. მწერალი გვაუწყებს: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელყოფაო“, ხოლო სხვაგან გვაცნობებს, რომ „მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის... ბრძანებით აღიწერა“ ლექსიკონიო.



ზეზღო-მწი რადი იქმან: აღმდგი & აღსიქვით...  
 აღმდგი. ვაძი ზეზღო ზეზღი ზენა აღმდგი  
 ზეზღო-მწი ანხ... & აღსიქვით ზეზღო  
 ზეზღო-მწი სხე-მე-მწი & სხე-მე-მწი ზეზღო  
 თხის: ზეზღო-მწი ან ხე-მე-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. წინა-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

მ-ე-მწი რ. აღმდგი-მწი ზეზღო-მწი...

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ავტო-  
 გრაფული ხელნაწერის ერთი გვერდი



ქართული ლექსიკონის შედგენა ფრიად ძნელი საქმე იყო. საჭირო იყო ბარბაროზმების განდევნა, ახლის დამკვიდრება, არსებულის განმარტება; საჭირო იყო ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურის ღრმა ცოდნა; საჭირო იყო ენციკლოპედიური განათლება, დიდი ერუდიცია, საქმის სიყვარული და შრომისათვის გულისდადება, ბეჯითობა და მუყაითობა.

სულხან-საბასათვის ასეთი დიდი და საპასუხისმგებლო დავალების მიცემა არ იყო შემთხვევითი. ის იყო ქართული ენის კარგი მცოდნე. იცნობდა თანამედროვეობას, შესწავლილი ჰქონდა უცხო ენები. გააჩნდა ულევო ლექსიკური მარაგი, ჰქონდა დიდი მეცნიერული ნიჭი და შესანიშნავი ალღო. მხოლოდ მას შეეძლო ამ დიდი ამოცანის შესრულება.

სულხან-საბამ დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. შეისწავლა ძველი ტექსტები, გაიცნო უცხო ლექსიკონები. მან არ დაზოგა ენერგია, რომ სრულყოფილი ლექსიკონი მიეღო, რათა ქართველებს ესწავლათ „ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული“. მის მიზანს „ენის სისრულით აღწერა“ წარმოადგენდა.

როდის დაიწყო სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონის შედგენა? 1715—1716 წ. წ. ხელნაწერს ახლავს ავტოგრაფული ცნობა: „ქართლისა ქვეყანასა ლექსიკონი აღარ აბოებოდა და ოცდაათს წელიწადს ძვილ შეაწყო განმარტებით. რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო იყო. მაშინ ქორანიკონი იყო ჩქვე (1685)“. ამრიგად, ლექსიკონზე მუშაობას სულხან-საბა ორბელიანი შეუდგა 1685 წელს (მაშინ მწერალი 27 წლის იყო).

„მე, სულხან-საბა ორბელიანსა, კაბუჯობისა ეამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა“, — იგონებდა ის შემდეგში.

რადგან ქართულ ენაზე ლექსიკონი აღარ იშოვებოდა, სულხან-საბამ სხვა ენაზე არსებულ ლექსიკონს მიმართა და ის გამოიყენა. ლექსიკონის ერთი ადრეული ნუსხის ანდერძნამაგში ვკითხულობთ: „სხვისა ენათა ენახე და მეც მათის ბაძით აღვსწერე“. შემდეგდროინდელ ხელნაწერებში მეტი გარკვეულობაა: „ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ენახე, რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდე-

ბის და მეც მათის ბაძით ხელი მიეყავ და, რაოდენ ძალ-მედვა, აღვწერე“. ამრიგად, სულხან-საბას სომხური ლექსიკონით უსარგებლია. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე გარკვეულია, რომ სომხურ ბარგირქს ის მხოლოდ აღნაგობის, ტექნიკის მხრივ იყენებდა. სომხური ბარგირქის წყარო ბიბლია იყო. ჩვენმა მწერალმაც წყაროდ ბიბლია გაიხსადა. მან ბიბლია თავებად და მუხლებად დაყო. დანართი ნაწილები, საკუთარ სახელთა თარგმანება და სიმფონია, სომხური პირველნაბეჭდი ბიბლიიდან (1666 წ.) თარგმნა.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანმა წყაროდ ბიბლია გაიხსადა, ხოლო საკუთარ სახელთა თარგმანი ბარგირქის წყაროდან გადმოიღო.

სომხურ ლექსიკონს გარდა ის სხვა ლექსიკონებსაც იყენებდა, ოღონდ მოგვიანებით.

„მე უწინარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართე და რიცხვებიც წერილთანი თან ჩართვით დაუსხი“, — გვაუწყებს სულხან-საბა. სხვათა შორის, მას უსარგებლია კირილე ალექსანდრიელის (მე-5 ს.) ლექსიკონის ქართული თარგმანით („ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყვათა განმარტებაი ლექსიკონი“).

სულხან-საბა ორბელიანს მრავალი ლიტერატურული წყარო გამოუყენებია. მას კარგად ესმოდა, რომ ძველი ლექსიკა ყველასათვის გასაგები აღარ იყო, ამიტომაც უცდია ყველა სიტყვის ახსნა. მუშაობის პირველ ეტაპზე ის 100-ზე მეტ წიგნს იყენებდა, შემდეგში კიდევ უმატებდა წყაროებს და მეტ სისრულეს და სიზუსტეს აძლევდა ლექსიკონს. წყაროების გამოყენების შესახებ საინტერესო ცნობაა შემონახული ანდერძნამაგში: „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე, სამლო წერილთა და ღვთის მეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ღვთის მეტყველებათა კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათილორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონურის სიტყვის საქცევები აღვწერე, რომელიმე არა მათებრ ღვლარქნილად, არამედ მათივე წმადათა მამა-

თავან საადვილო ვპოე და საადვილონი აღვწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული“.

ლექსიკონის ავტორმა გამოამკლავნა წყაროების გამოყენების დიდი უნარი, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ასტრონომიის, ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, ლოგიკისა და სხვა დისციპლინების ღრმა ცოდნა.

სულხან-საბა გვაუწყებს, რომ მას ცდა არ დაუკლია. ყველა წყაროს გამოყენება უცდია. „რაოდენ ძალმედვა, ვეცადე ელლენთა, ლაჲინთა, სომხურთა. რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე... ამა ენათა რომელნიცა სწორედ თქვეს, გინა რომელმაც დაჰაჯერა. იგი დავწერე“.

სულხან-საბა ორბელიანი კარგად იყენებს ქართულ ორიგინალურ ლიტერატურას. ლექსიკონში გვხვდება სიტყვები, როგორც წმინდა საეკლესიო ხასიათის ძეგლებიდან (ევსტათი მცხეთელის მარტილობა, ნინოს ცხოვრება, შიოს ცხოვრება და სხვა), ისევე ქართული საერო-მხატვრული თხზულებებიდან. ჯეროვნადაა გათვალისწინებული ლექსიკური მასალა „ვეფხისტყაოსნისა“ (ამირბარი, აჯღა, ბალახში, კატაპანი, კენარი, მათრახი...), „ამირანდარეჯანიანისა“ (ამირა, ბადრაგა, მეკობრე...) და სხვა ძეგლებისა. საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი ნათარგმნი საერო-მხატვრული ძეგლები: „ვისრამიანი“ (არნი, ემუდა, მუქსარი, ტაბარი...), „როსტომიანი“ (ბაბრაბი, გურზი, გუჰარი...). გამოყენებულია ქართული საისტორიო ძეგლებიც, მაგ. „ქართლის ცხოვრება“ (ბუმბერაზი, მაშმელი, ნიჯადი და სხვა).

სულხან-საბა ორბელიანი ქარბად იყენებს უცხო ავტორების შრომათა თარგმანებს (არისტოტელის, იოანე დამასკელის, ნემესიოს ემესელის, დიონისიოს არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებელისა და სხვათა შრომებს).

სულხან-საბა ორბელიანს ჰყოლია თანამშრომლები. ჩვენთვის ცნობილია ერთი მათგანის სახელი. ესაა სერგიოსი, რომელიც საქართველოში დოსათეოს პატრიარქს მოჰყვა, თბილისში დარჩა და ვახტანგის „მრჩეველ-თანამშრომელი გახდა სასტამბო-სარედაქციო საქმიანობაში“. სერგიოსი სულხან-საბას ეხმარებოდა, მაგრამ დიდად განსწავლული არ ყოფილა და ჯეროვანი დახმარება ვერ აღ-

მოუჩენია ლექსიკონის შემდგენისათვის. სულხან-საბა წერს: „ამა წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნული სიტყვანი სწერია, რომელიც წიგნით შევიტყვევ, სწორე დავსწერე. და ერთი მღვდელ-მონაზონი იყო ბერძენი, სერგიოს ერქვა. ცოდნას იჩემებდა, რომელნიმე მისის სიტყვით დავწერე. შემდგომად ვცან: არა იცოდა რა, ვინც საზომს მისწვდეთ, გასინჯეთ ასე მომიხდა“. გასაგებია, რომ ასეთი „დამხმარე“ პირი ვერაერთად სარგებელს ვერ მოუტანდა ლექსიკონის ავტორს. მისი სამუშაო კიდევ უფრო რთულდებოდა და მძიმე ხდებოდა. მას უხდებოდა კოლოსალური შრომის გაწევა. აკი თერთონაც შენიშნავდა: „ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედაო“. ამ მხრივ საინტერესოა „ანდერძნამაგი ამის მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა“, რომელშიც ის მოუტყულობასაც ჩივის. ის ხომ „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“. ეს კიდევ უფრო აძნელებდა ამოცანის დაძლევას და დასახული მიზნის მიღწევას. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, სულხან-საბას ფარხმალი არ დაუყრია და წამოწყებული საქმე არ შეუწყვეტია.

„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელიცა ვპოე, ადვილად თან ნოვაწერე, რომელაცა ვერ ვპოე, საცილობელი არ დავწერე, არამედ მუხვე კიდურთა ზედა წითლითა ნიშნად იგივე სიტყვები მოვაწერე, — ნუთუ სხვა წერილთა მისთანა სიტყვა ეწეროს, გამოძიებთ იპოება,“—წერდა ლექსიკოგრაფი.

სულხან-საბა ორბელიანი ცდილობდა ლექსიკონი ყოფილიყო სრული და ამომწურავი. მასში გათვალისწინებული ყოფილიყო ყველა ქართული სიტყვა—ძველი თუ ახალი. მისი ძირითადი მიზანი ქართული ლექსიკური მარაგის სრულად წარმოდგენა იყო. ამიტომაც ის არ ერიდებოდა ლექსიკონში ცუდი სიტყვების შეტანას. მან იცოდა, რომ ეს ყველას არ მოეწონებოდა, მაგრამ ენის სიწარულე მოითხოვდა ყოველი სიტყვის გათვალისწინებას.

„ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კიცხვევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე. თუცა უბედო სახელი აღმოიხოცოს, მერმელა უდა-

რესი მოაკლდეს უღრესსა და ღმერთი-ღა დარჩეს უკეთესი და და სხვა არა-რა და შემცირდების ენა ქართული“.

სულხან-საბამ იცოდა, რომ „მრავალნი საბასრობელად“ დასდებდნენ მის ლექსიკონს, „მრავალთა აქა წერილთა სიტყვათა იუცხოებდნენ“, მაგრამ ეს მას არ აშინებდა და გულს არ უტეხდა.

სხვათა შორის, ის გვაუწყებს ერთი მისი მკიცხველის სახელს. ენაა იობ ფიტარელი — ფიტარეთი უკანასკნელი წინამძღვარი, შესანიშნავი აქადაგებელი. იობი სულხანს გამოხდა ლექსიკონის შედგენისათვის. მაგრამ შემდეგში ლექსიკონის მითვისებაც კი უცდია. სულხან-საბა ორბელიანი გვაუწყებს: „იყო ტფილისის ქალაქთაგანი წინამძღვარი, სახელით იობ, ჩვენის ჟამისა, კეთილად სწავლული, შვენიერი მზრახველი, მეჟამნე, მეფსალმუნე, კათაგამომეტყველი, მგალობლად ქებული, მწერლად გამოჩენილი, ლოცვა-დაუტყაბებელი, შეიძულელი მმარხველი, შესაყრელად საყვარელი. ამა სიტყვის კონაჲა რა ხელი მიეყავ, მგომობდა და მეკიცხოდა. ოდეს გავაარული, ნათა. სოეწონა და გარდასაწერად ვათხოე და გარდაწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა. აღმოხოცა თვის ნაწერთა შინა და თვისი სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დიდად გამიკვირდა: ვით იკადრა მან. სახელოვანმან კაცმან?! „ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსაო“. ვინადგან ჩემს კირნახულში მან ჩემი სახელი არ ჩაურთო და თავისი დაწერა, მე ჩემს კირნახულში მისი ქება ამისთვის დავწერე. ესე ამისთვის ვიჩივლე“.

ლექსიკონის პირველი რედაქცია სულხან-საბა ორბელიანმა ბერად შედგომამდე დაასრულა. მისავე ცნობით, ლექსიკონის შედგენის „შემდგომად მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალმთის წმიდა ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა, ქორანიკონს ჩქეშ (1698). მარტის იშ (18) მონაზონ იქმნა“. ე. ი. ლექსიკონის პირველი რედაქცია ავტორს 1698 წლის 18 მარტამდე დაუმთავრებია. ამ რედაქციის რამდენიმე ნუსხაა ჩვენამდე მოღწეული, ზოგი მათგანი ავტოგრაფულია. ადრეული ნუსხა ავტორს მხოლოდ სულხანის სახელით იხსენიებს („ამა წიგნისა მომღვაწებელსა დიდის ორბელის შვილს სულხანს“... და არა საბას, ან სულხან-საბას, როგორც მოგვიანო ნუსხებშია).

პირველ რედაქციაში სიტყვათა რაოდენობა ნაკლებია, მრავალი

სიტყვა განუმარტავია (განთიადი, გობი, ზათქი, ზამთარი, კოშკი...); წყაროები მითითებულია და დამოწმებულია მხოლოდ ძნელ სიტყვებზე (დაფიონა, ქოქი, შორენეცი...); ზოგი სიტყვა ძალზე ვრცლადა განმარტებული (ჯაჭვი, ართრონი...); სიტყვათა ნაწილს მოეპოვება თურქულ-სომხური შესატყვისები.

სულხან-საბა ორბელიანი ენერგიულად განაგრძობდა ლექსიკონზე მუშაობას და შორეულ უცხოეთშიაც კი არ წყვეტდა მას; ლექსიკონის მეორე რედაქცია მწერალმა კონსტანტინოპოლში დაამთავრა. ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხის ცნობით, სულხან-საბამ კონსტანტინოპოლში „იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოს ათსა და ქორონიკონს ჩლივ (1716), იანვრის ოცს გაასრულა“. ამრიგად, ლექსიკონის ის ნუსხა, რომელიც მეორე რედაქციას წარმოადგენს, ავტორმა გადასწერა 1715 წლის 10 აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე, როდესაც კონსტანტინოპოლში „ფრანცისის დესპანისა იდგა მრავალ კეთილ ხელ შეწყობითა.“ სხვათა შორის, ესაა თარიღის მქონე პირველი ავტოგრაფული ხელნაწერი.

სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონის მეორე რედაქციაში სიტყვათა ოდენობა საკმაოდ გაზარდა; განუმარტავ სიტყვათა რაოდენობა შეამცირა; ბევრი მათგანი განმარტა (განთიადი—დილა მოახლოებული, გობი—ხე ამოჭრილი ქურქლად, ზათქი—დიდის ხმის გასვლა, კოშკი—წვრილი მალალი ციხე და სხვა), მაგრამ ზოგა სიტყვა მაინც განუმარტავი დარჩა (თაქქედი, კულა...); გაქიანურებული განმარტებანი ზოგჯერ შეამოკლა (ჯაჭვი, ჯოჯოხეთი...); პირველ რედაქციაში წყაროთი და დამოწმებით წარმოდგენილ სიტყვათა ნაწილი განმარტა (დაფიონა და სხვა); თურქულ-სომხურ შესატყვისებს დაუმატა იტალიური შესატყვისები; მცირედი ოდენობით წარმოდგინა ზმნის პირიანი ფორმები ქცევის ნიშნებითა და ზოგჯერ პრევერბებითაც, სხვადასხვა მწკრივსა და პირში; განმარტებებში შეიტანა მეტი კონკრეტულობა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი კვლავ განაგრძობს ლექსიკონზე მუშაობას. მან ერთხელ კიდევ გადანუსხა თავისი ნაღვაწი (1716—1721 წ. წ.). შემდეგშიაც ძმასთან ერთად განაგრძობდა მუშაობას და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაგვიტოვა ლექსიკონის მესამე რედაქცია.



უკანასკნელ რედაქციაში ლექსიკური მარაგი გაცილებით მეტია; ადრეულ რედაქციაში განუმარტავ სიტყვათა დიდი ნაწილი განმარტებულია (თავქედი—თავისრის სენი. კულა—ხის სასმისი...), პრევერბიან ზმნათა რიცხვი გაზრდილია; სიტყვათა რამდენიმე მნიშვნელობის ჩვენება ხშირია; სხვა რედაქციებთან შედარებით აქ სულ ახალია გეოგრაფიული პუნქტების შეტანა და სიგრძე-სიგანელების ჩვენება.

სულხან-საბა ორბელიანის მუშაობის უკანასკნელი ეტაპის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ერთ ავტოგრაფულ ნუსხას, რომელიც გადაწერილია სულხან-საბასა და მისი ძმის ზოსიმეს მიერ. ამ ნუსხას აკლია შესწორება-შეცემა. ახლავს ზოსიმეს ანდერძი: „ამა ზემოხსენებული უფლისა საბას ძმა, არა ღირსი ძმობისა, არამედ მონა მისი. ზოსიმე, შევრდომით გვედრები ყოვლთა, რომელნი მიემთხვივნეთ ამა ჩემსა მცირედ ნაშრომსა სიტყვის კონა წიგნსა. გინების ღირსი შენდობით მომიხსენოთ და ღირსი ჩემი გინება მომიბოძოთ. განსრულდა ლექსიკონი ესე ქრისტეს აქათ ჩღკე (1725), აპრილს კჳ (28) მოსკოვს ქალაქში, ქორონიკოსს უიგ.“

ამ წიგნის წერა ქვიშხეთს, ქართლს დავიწყეთ და ძვილ მოსკოვს გავათავე. თეთრს რუსეთს. თუ არ გავირჯებოდით, ნუ შეგვინდობთ. ეს ღვთით სამი სიტყვის კონა წიგნი დამიწერია, რომელ არს ლექსიკონი“.

აღნიშნული ხელნაწერი გადაწერილია 1723 — 1725 წ. წ. ამ ნუსხის გადაწერამდე ავტორი გარდაიცვალა. მან ველარ მოასწრო ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციის დასრულება და შესწორება და, როგორც მისი ძმა დიმიტრი წერდა, „ქარ ღია, ზღუდე მოძრკვილი დაავდო სიტყვის კონანი“. სულხან-საბამ ეს ნუსხაც გულმოდგინედ დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა.

ხსენებულ ხელნაწერში სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ ზოსიმემ ჩაუთო დედნიდან გადმოწერისას გამოჩენილი 50-ზე მეტი სიტყვა და თავის მხრივ დაუმატა 200-ზე მეტი. დამატებული სიტყვები შეიტანა განუმარტებლად (ალიკვალი, აფრინდა...) და განმარტება-დამოწმებითაც (ალშენებული, გამონადები...). ამ სიტყვების გამოკლების შემდეგ დაგვრჩება სულხან-საბახეული უკანასკნე-

ლი რედაქცია, რომელზეც ავტორი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუშაობდა.

ლექსიკონის ნუსხებს სულხან-საბა ორბელიანმა შემდეგი ლექსი დაურთო:

„ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დაიწუნოთა, —

ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას დასარწმუნოთა.

ეს რა შეეპკრიბე, მიქებდენ მაშინ, აწ დასამგუნოთა.

და ყურდგლის გამდრესა ჯორჯს ძალსა არ სდებენ საძებნოთა.

აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაეკარგათ ქართველთა.

უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველოთა.

ახლად შევპკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიწრომე სულ ხანი

და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი.“

ლექსიკონზე მუშაობაში სულხან-საბას განსაკუთრებით ესპარე-ბოდა მისი ძმა ზაალ ყოფილი, ზოსიმე ორბელიანი. ლექსიკონის ხელნაწერთა გადანუსხვა მან ადრევე დაიწყო და ძმის გარდაცვა-ლების შემდეგაც განაგრძობდა. ცნობილია რამდენიმე ხელნაწერი, რომელიც ზოსიმესთანაა დაკავშირებული. მას გადაუწერია 4 ხელ-ნაწერი. რამდენიმე ხელნაწერი გადაუნუსხავს სულხან-საბასთან ერ-თად. ზოსიმეს მუშაობა ლექსიკონზე მარტო გადაწერით არ ამოიწუ-რებოდა. ის იძლეოდა ზოგი აუხსნელი სიტყვის განმარტებასაც.

ზოსიმემ სულხან-საბას შემდეგაც გადანუსხა რამდენიმე ხელ-ნაწერი. 1727 წ. სულხან-საბასეული უკანასკნელი რედაქციის გა-ვრცობილი სახეც მოგვცა, პრევერბიან ზმნათა რიცხვი გაზარდა, ხოლო 1728 წელს თავის ძმას — დიმიტრი ორბელიანს გადაუწერა კიდევ ერთი ეგზემპლარი, რომელშიც პრევერბიან ზმნათა რიცხვი შეამცირა.

ზოსიმეს მრავალი შესწორება-ჩამატება ეკუთვნის სულხან-საბას ლექსიკონში. საყურადღებოა მისი შენიშვნებიც. მაგალითად, ერთ ადგილას სულხან-საბა წერს: „ქაშაგი მოზრდილი ტყვე და ბალანა ჩჩვილი ტყვე.“ ზოსიმე შენიშნავს: „რასათვის დაწერა სულხან-საბამ ესენი? ამრათვის, რამეთუ მას ეამთა ლიხთ-იმერეთს უმეფობა იყო და უღმრთოებასა დაეპყრა დიდნი და მცირენი და ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა კაცთა მამკადიანთ მიჰყიდდენ. და კაცთასა, არა თუ

ოდენ ზორცთა, არამედ სულითურთ ქამდენ და გასასყიდელთა ტყვეთა ასაკისა მათისა მსგავსთა სახელსა უწოდდენ“.

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლექსიკონზე მუშაობაში სულხან-საბას აღზრდილი ვახტანგ მეექვსეც. მისი ხელი აღბეჭდილია ლექსიკონის რამდენიმე ავტოგრაფულ ნუსხაზე. ჩანს, მან იცოდა, რომ ავტორი განუწყვეტილვ ასწორებდა და ავრცობდა ლექსიკონს და ამიტომაც კითხულობდა ყოველ ახალ ნუსხას. გამოცდილი კალმის ოსტატი და დახელოვნებული მწერალი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ კითხვით; ის კიდევ ასწორებდა ტექსტს. იძლეოდა განუმარტავი სიტყვების ახსნას. ზოგჯერ განმარტებულსაც ახალ მნიშვნელობას უძებნიდა და სხვა. მეფე-პოეტი ზოგჯერ სულხან-საბასაც ეკამათებოდა. საგულისხმოა, რომ ვახტანგის შესწორებანი ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაში ავტორის მიერ გაზიარებულია და შეტანილია ანბანის რიგში (უცვლელად ან ოდნავი შესწორებით).

ვახტანგისა და სულხან-საბას დამოკიდებულების გასათვალისწინებლად საინტერესოა შემდეგი დეტალი: ლექსიკონის ერთ ხელნაწერში. იქ სადაც ლაპარაკია ჯოჯოხეთის სიგრძე-სიგანეზე. კიდევ სულხან-საბას მიუწერია: „მზომელს ადლი რატომ არ დაეწვა?“ ჩანს, მოგიზგიზე ჯოჯოხეთის გაზოგვა მას არ სჯეროდა. ამ შენიშვნის საპასუხოდ ვახტანგს შემდეგი მიუწერია: „თმა და წვერი უფრო მოეტუსებოდა საბასა სალხინებელში“. ასეთი ტონი უთუოდ აღმზრდელ-აღზრდილის მეტრსმეტ სიახლოვესა და კეთილგანწყობილებაზე მეტყველებს.

ვახტანგს ლექსიკონის ერთი ნუსხაც გადაუწერია. ესეც მის დიდ ინტერესს ადასტურებს.

ვახტანგმა დაუმკვიდრა სულხან-საბას ლექსიკონს სახელი. მე-18 ს. 20-იან წლებამდე გადაწერილ ხელნაწერებში ანდერძნამაგის ერთი ადგილი ასე იკითხებოდა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა“. 1721—22 წლებში ზოსიმეს მიერ გადაწერილ ნუსხაში „ლექსიკონის“ გასწვრივ ვახტანგს მიუწერია: „რომელ არს ქართულად სიტყვის კონა“. ეს სახელწოდება სულხან-საბამ მოიწონა, შემდეგ დროინდელ ნუსხას „სიტყვის კონა ქართული“ უწოდა და ანდერძნამაგის ზემოაღნიშნულ ადგილს ასეთი რედაქცია მისცა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ეამთა ვითარებითა

უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ეახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კონა უწოდა“.

ვახტანგი დიდად აფასებდა ქართულ ლექსიკონსა და მის ავტორს. ამას მოწმობს მის მიერ ლექსიკონის ხელნაწერებზე მიწერილი ლექსებიც:

„რადგან დამწერა ასრე საბა. ქება მმართვეს აწყა მეცა.

შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა:

სად ვნახედი ასრე კრებით. ქვეყნად მევლო, განდა მეცა,  
დასაქმით სცანით, თუ ვისწავლი. ვით ვინაღელი. ყოდეც მეცა.“

„სიყრმიტგან იყო მუდაჰად საბრძნის სწავლისა მსახველი.

სამოცდაექვს წელს იყოთხა, თქვა: „ვერასი ვარ მმარხველი.“

იარა ბევრი ქვეყანა. ბევრისაც იყო მნახველი.

და ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი.“

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონს ახასიათებს ანბანის რიგზე გაწყობილი უბრევერობო და პრევერობიანი ზმნების პირიანი ფორმების სიმრავლე (ააბი, გააბა, დააბა. შეეეაქრა. წააგო და მრავალი სხვა). ლექსიკონისათვის გამოსავალი საწყისია (დგომა, ზრდა, მღერა, რბევა, სტვენა. ცურვა. ძლევა და მრავალი სხვა). მაგრამ ამით ვერ დაკმაყოფილდა ავტორი და ამიტომაც გაზარდა ზმნის პირიანი ფორმების რიცხვი.

სულხან-საბა გრძნობდა, რომ მის მიერ ნაჩვენები ფორმებით არ ამოიწურებოდა ესა თუ ის ზმნა. საყურადღებოა მისი შენიშვნები. ანთან ავტორს რამდენიმე მაგალითი უწერია (აატარე, ააყენე, აახე-ვინე...). შემდეგ არის შენიშვნა: „ესე ორნი ანნი მრავალზედ მოვალს... მაგრამ აქ სიგრძისათვის მცირე დაწვერე.“ ასევე დონთან (დააბა. დაადგინა. დააქადა. დააჯერა...): „ესრე ყოველთა სიტყვათა ზედა მოვალს. აქა მოკლედ დავსწერე სიმრავლის გამო.“ მსგავსი წარწერაა განთან (გაატანა. გააღვიძა. გააჩანა...): „ესრე მოვალს განის თავს ოროლი ანი ყოელსა სახელსა და სიტყვასა ზედა. აქა ესე ვაკმაე.“

ლექსიკონს ახასიათებს „განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა.“ ავტორი წარმოადგენს „განყოფილებას“, შემდეგ ჩამოთვლის ცალკეულ სახეობას. ასეა წარმოდგენილი გულასწყრომა (რისხვა,

ბორჯა, დარილი), დანა (დანაკი. ღინწი, ცილევი). ზოდიაქო (ვერძი, კირჩხიბი, ლომი, სასწორი. თევზი...), თავაშობა (მოასპარეზობა, მღერა. როკვა...), სიცავე (სიო. სიგრილე. სუხი...), სიცილი (ღიმ-ლი. კასკაი, თქართქარი...) და სხვა. გამმარტება ხშირად ძალიან ვრცელია. სულხან-საბა იძულებულია შეკვეცოს და შეკუმშოს, საინტერესოა კმიანობის შენიშვნა: „კმიანობის განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა აქ მენება. ღა მრავალია. საგრძისათვის არ დაწერე.“

ყურადღებამ იქცევს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხურ-თურქულ-იტალიური ნაწილი. პირველი ორი დამახასიათებელია სამივე რედაქციისათვის. იტალიური განმარტებანი ახლავს მხოლოდ კონსტანტინოპოლში გადაწერილ ნუსხას. ესაა პირველი ცდა ქართული თარგმნითი ლექსიკონისა. სულხან-საბამ ლექსიკონი არა მარტო განმარტებითა, არამედ თარგმნითიც. უცხო შესატყვა-სები მიწერილი აქვს ქართული სიტყვების გასწვრივ. იტალიურ სიტყვათა ოდენობა 1500-ს აღწევს. სომხურისა და თურქულის ორიათასამდე (თითოეული). ბევრი ქართული სიტყვა ქართულად აუხსნელია, მაგრამ სათანადო ახსნა გააჩნია უცხო ენაზე. ზოგი სიტყვა სამივე ენაზეა განმარტებული. მაგალითად, ქარტა-ქალაღი: სომხურად — თუხტ, თურქულად — ქალაზ, იტალიურად — ქარტა.

ლექსიკონის აღნიშნული ნაწილი ფრიად საყურადღებოა თურქულ-სომხურ ენათა ისტორიის, განსაკუთრებით თურქული ფონეტიკის შესასწავლად.

ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციისათვის დამახასიათებელია გეოგრაფიულ სახელთა შეტანა სათანადო განედისა და გრძედის ჩვენებით. შეტანილია 250-ზე მეტი სახელწოდება (გორი, ამთარხანი, ვენეცია, მარჩილია, მოსკო...), ზოგი პუნქტის მდებარეობა მწერალს ვერ დაუზუსტებია (კონსტანტინოპოლი, სივილია, ყაზმინა, შირვანი და სხვა).

სულხან-საბა ცდილობს მკითხველს მიაწოდოს სრული ახსნა-განმარტება. ის ხშირად უთითებს ამა თუ იმ წყაროს (საეკლესიოს, საეროს, ორიგინალურს, ნათარგმნს), იძლევა ვრცელ განმარტებას. მაგრამ ეგებ საკმაო არ აღმოჩნდესო და ზოგჯერ სისრულისათვის

წყაროს ასახელებს. მაგალითად. „ვითარება — ვრცლად კათილორიას 35 თავში სწერია“; „გონება—თუ ვრცლად ცნობა გენებოს 20 კავ-შირში ჰპოო“; „თანამონათესავე—კათილორიას 20 თავში გრძლად ჰპოო.“ ზოგჯერ განმარტება არაა. მაგრამ მითითებულია წყარო (ამეწულა, აბზინდა, კლილი და სხვა).

სულხან-საბას სურს ამომწურავი განმარტების მოცემა, მაგრამ ესმის, რომ ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი. ამიტომ ერთ ადგილას შენიშნავს: „თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორისა კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნარია“.

წყაროთა გამოყენებისას სულხან-საბა ძალზე ფრთხილად იქცევა. ხშირად ასწორებს მწერალთა თუ მთარგმნელთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. ამ მხრივ საგულისხმოა რამდენიმე სიტყვის შენიშვნა. „კარქი რიგია სომხურად და ჩვენ იწერლებს ზოგან გაუხანჯაობით კარქის ნაცვლად კარგი დაუწერია. კარგი კეთილს ჰქვიან. ხოლო კარქი რიგსა“; „რვალი ვიეთთა ნაცვლად სპილენძთასა აღუწერიათ. გასწორება სჯობს“; „ქორეპისკოპოსი უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყვნია. ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვიან“.

სულხან-საბა ადვილად არავის უჯერებდა. ის ბევრს კითხულობდა. რომ სიტყვის ზუსტი ახსნა დაედგინა. ხშირად ყოყმანობდა. საკითხს ვერ წყვეტდა და მკითხველს მიანდობდა არჩევას. „ადონი აედონი — ბერძნულად ბულბულს უწოდენ და იმერელნი იადონსა ბულბულსვე უწოდენ... ფრანცას ერთი რიგი ჩიტი ვნახე. ბულბულის ტოლი და თეთრ მოყვითალო, ზამთარ და ზაფხულ მოუთმენელად ტკბილად მქრინავი. მე ის მგონია. ქართველს მოლექსეთაც ბულბული და იადონი სხვა და სხვად უთქვამთ. თქვენ გაარჩიეთ“.

„ტროპი — კავშირში ეწერა: ტროპი. რომელ არს ცხოვლთ ზურგიო; სხვაში ეწერა: რომელ არს აღშენების ნივთი. რომელ არს ტროპი; მე ორივე ერთი მგონია...“

„ტაბარაკი — ვიეთთა ხერხი მითბრეს, ვიეთთა საფხეკა.“

სულხან-საბას ლექსიკონში მრავალი უცხოური წარმომავლობის სიტყვა გვხვდება. ავტორი მათ საგანგებოდ გამოყოფს და შენიშვნას უმძღვარებს: „სხვათა ენაა“ (აბანოზი, ბაბრი, ბარათი, ბურჯი, ზამ-

ბახი. თარეში. თარხანი. ურღო. ჩინი...), „სხვათა ენა მგონია“ (დას-  
ტახანი), „ქართული არ არის“ (ამაყი, დიბა. მუხუდო და სხვა),  
„ქართულს არა ჰგავს“ (გუფთა). სულხან-საბა მრავალი სიტყვის  
წარმომავლობასაც გვიჩვენებს: „ლომხურია (არჯასპი, ახპარეზი, ბა-  
გინი. ბეძი, კალმასი და სხვა), სომხური მგონია (პაპაკი), ბერძნულია  
(იპოდრომი, კარაენი). სპარსულია (დასტამბო, ტაბარძენი). თურ-  
ქულია (ოდა). ფრანგულია (დუკა. კანაფი, კარბა). ლათინურია  
(მონასტერი). რომაულია (მაგისტრო) და სხვა.

ლექსიკონის სისრულისათვის სულხან-საბა არ ერიდება მასში  
„გლეხურ“ გამოთქმათა შეტანასაც. გვხვდება რამდენიმე მაგალითი  
„სოფლური“ ან „გლეხური“ სიტყვების ხმარებასა:

„გულმისანი — გონებით შემტყობი გლეხურად“.

„ვეკარგავ—სოფლური სიტყვით: დავკარგავ, რომე ველარ ვიპოვებ“.

„ლომბიერი—გონება მშვიდი და წყნარი გლეხურად“.

„ქურდი—მპარავი გლეხურად“ და სხვა.

საქმაოდ არის გამოყენებული ქართველურ ენათა და ქართული  
ენას დიალექტთა ჩვენებანიც:

„დაკავებას უხმობენ გურიულნი დაქერას“.

„კოზუჯი—იმერული ქალამანი“.

„მარა—მაგრამ იმერულად“.

„ოჯიჯი—ბადე მეგრულად“.

„ხადილი—იმერულად სამაპინძლო“.

სულხან-საბა ორბელიანი გრძნობდა რა მისი ლექსიკონის უს-  
რულობას, მკითხველებს სთხოვდა ჩამატებას. „თუ ვინმე სხვაგან  
უცხო სიტყვა ჰპოოთ, ანუ თარგმანი სიტყვისა, გინა წერალთაგან  
გამოიღოთ, ამა წიგნთა შინა ჩაურთევიტ, რამეთუ მე მრავალი სიტყ-  
ვა დამიწმთა, რომელიმე არა-სმენითა და წერილთა უნახაობითა, რო-  
მელიმე ნუსხითა დაკარგვიტა და დავიწყებითა.“ შემდეგ ხანაში მის  
ლექსიკონს რამდენიმე გამეგრცობ-გამგრძელებელი გამოუჩნდა.

ლექსიკონის შემვსებთა შორის აღსანიშნავია დავით და იოანე  
ბატონიშვილები, დავით რექტორი. ამათ შეუტანიათ ახალი სი-  
ტყვები, განუმარტავთ ზოგი განუმარტებელი სიტყვა. შეუტანიათ  
გრამატიკული ცნებანი, მართებებიან წყაროები. დავით რექტო-

რა ზოგჯერ კიდევ საყვედურობდა ლექსიკონის შემდგენელს. მაგალითად, მის ნუსხაში „თურთ“-თან იკითხება: „უფალო საბავ, მგონი ეს თურთ ვერ გამოგიცვნი: შენს დროს ღრამატიკა არ იყო. ეს თურთ არის თანდებული, წარიკითხე ღრამატიკა.“

ლექსიკონში რამდენიმე სიტყვა ჩაამატა სახლთუხუცესმა გრიგოლ წერეთელმაც. მე-18 ს. იესე ქანის ვრისთავმა გალექსა ლექსიკონის ასოთა სახელები.

სულხან-საბას ლექსიკონზე შემდეგდროინდელი მწერლების მუშაობა მეტყველებს აღნიშნული ლექსიკონის დიდ მნიშვნელობაზე და მოწმობს ქართველთა დიდ ინტერესს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი იქცა ქართველთა საყვარელ წიგნად, ხოლო მისი ავტორი აღიარებულ იქნა დიდ მეცნიერად.

შორეულ ყანდაარში მყოფმა გიორგი მეთერთმეტემ წაიკითხა რა ლექსიკონი, მის ავტორს შემდეგი მოსწერა: „ჩემო სანახავად სანატრელო ძმავ, ბატონო სულხან, მრავალი მოკითხვა მომიხსენებოდა... ლექსიკონი გამოგეზავნა და ნეტამც მას (ვახუშტის— ლ. მ.) მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეზავნა, მე ის მეამებოდა, შენმა მზემა, ასრევ მიამა და გავეწყევ: რომე თათრულს წიგნზედ მივმდგარვარ და კიდევ ვისწავლე. ლამის ის გამაშობანოს ამისმა კითხვამ. ბევრი შენდობა მიტქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიად კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია. თუ ამას კაის ხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება, იმაზედ გარდმომიწერინე. დიად დაგიმადლებ...“

ვახტანგ მეფის აზრი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გავიცანით. განსწავლული მწიგნობარი დიდად აფასებდა სიტყვის კონას.

საყურადღებოა სულხან-საბას ძმის — დიმიტრი ორბელიანის სიტყვები, მიწერილი ლექსიკონის მოგვიანო ნუსხაზე.

„თუ ვისმე გწადის ეს წიგნი. ეგრე გმატათ ვითა რუსთველსა“.



„სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობიდან, — წერდა 1928 წ. ქართველი ენათმეცნიერი აკად. ა. შანიძე, — ყველაზე უფრო შესანიშნავია მის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონი, რომელიც არა თუ მისი დროისათვის, მეჩვიდმეტე საუკუნის მწერულსა და ბეთვარამეტის დასაწყისისათვის, არამედ ჩვენის დროისათვისაც, მეოცე საუკუნისათვის, დიდი ღირსებისა და უაღრესი მნიშვნელობისა არის, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მიზნებისათვისაც.“

### „სწავლა-მოძღვრებანი“

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქადაგებათა კრებულს. მისი სახელწოდება (ხელნაწერის ჩვენებით) ასეთია: „სწავლანი ანუ ქადაგებანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ.“ შემონახულია ის ერთადერთი ხელნაწერით, გადანუსხულია ზოსიმე ორბელიანის მიერ მოსკოვს, 1729 წელს. ახლავს ზოსიმეს ანდერძი: „აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრს რუხეთს, ღვთისაგან კურთხეულს სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს. ხელითა ჩემ ცოდვილასა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისათა... ჩღვთ (1729), ნოემბრის 8 (8).“

„სწავლა-მოძღვრებანი“ დაწერილია სულხან-საბას ბერობაში, გარეჯას ყოფნის დროს. ერთ ადგილას ავტორი წერს: „განვემზადებთ ყოველნი და გვიხარას ღღისა მისთვის მხოლოდ არა ერისკაცთა, არამედ ჩვენ, მონაზონთაცა“. ე. ი. სულხან-საბა უკვე ბერად იყო შემდგარი. სხვა ადგილას უფრო გარკვევითაა მითითებული, რომ მწერალი გარეჯის ბინადარი და იქაური მოქადაგეა („სწავლა უდაბნოს მყოფთა თანა მისლვისათვის და მათთა ნუგეშინას მცემელთათვის ქება“).

გარეჯის უდაბნოში საბა 1698 წლის 18 მარტიდან მოღვაწეობდა. ქართლის გამგებლად ვახტანგ ლევანის-ძის დანიშვნის შემდეგ ის კვლავ ჩაება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ 1710 წლამდე გარეჯის ბერ-მონაზონთა კრებულს არ მოსცილვებია. ამრიგად, „სწავლანი“ დაწერილია 1698—1710 წლებში.

„სწავლანი“ ქადაგებათა კრებულს წარმოადგენს. შედგება 46 ქადაგებისაგან. აქაა სწავლანა ეკლესიისათვის, ეკლესიაში დუმილისათვის, აღსარებისათვის, ზიარებისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, ვერცხლისმოყვარეობისათვის, სიმშვიდისათვის, გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის და სხვა. ის ძალზე მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ისტორიისათვის, სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის, ქართული ჰომილეტიკური მწერლობის ისტორიისათვის. ქადაგებათა კრებული „ულტრა-კლერიკალურ მიმართულებასთან ერთად ნაციონალ-პოლიტიკურ ტენდენციებსაც შეიცავს“ (აკად. გ. ლეონიძე).

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის.“ უდაბნოში გაბიზნული სულხან-საბა კვლავ მწვავედ განიცდის სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ძნელებდობას, მას გულს უსერავს ქართველთა ნაწილის მიერ მამაპაპეული ქრისტიანული საჩწმუნოების დაგმობა და ანგარებისა და პატრიუმოყვარეობის გამო მაჰმადიანობის მიღება. მწერალს კარგად ესმის, რომ ძველი საჩწმუნოების დაგმობა და დამპყრობელთადმი მიკერძოება გამოიწვევს ქართველთა ეროვნული ფიზიონომიის გადაკვარებას, ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გახრწნას და ეროვნულ კატასტროფას. ამიტომაც ის უღმობლად ესხმის თავს გამაჰმადიანებულ, გადაკვარებულ ქართველებს, კიცხავს მათ და გმობს მათ ქცევას.

„ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ?“ — ეკითხება აღმფოთებული მწერალი რჯულის დამგმობთ. თქვენ „წარხვალთ მცირედისა ნიჭისათვის. გონა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტეევებთ სჯულსა ქრისტესსა“. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულა, ქედმოუხრელი მამულიშვილი მრისხანებით მიმართავს მერყევ და მოღალატე პირთ: თქვენ ვერაფრით გაიმართლებთ თავს. თქვენი განდგომა არც სიღარიბისა და გლახაკობის ბრალია, არც მტერთა მოძალებისა. ამას გაძლება შეიძლებოდა. თქვენ სიმდიდრემ მოგზიბლათ, ოქრო-ვერცხლმა შეგაცდინათ; იხილეთ „მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე. სტავრა ანუ ოქროქსოვილი, შურისაგან მისისაგან აღივსით“ და ანგარებით შეპყრობილებმა აღი-

არეთ მაჰმადი. თქვენ არ გეპით თქვენი დანაშაულა, არ გაგებებათ თქვენი ცოდვის სიმძიმე.

„ეჲი, უგუნურებასა თქვენსა, არა იცით, რამეთუ გვარი კაცისა უადვილეს არის შესამუსვრელად ვიდრეღა ქიქა ღვინისა. და სიკვდილი უახლობელეს არა ვიდრეღა თვალთა დაწაწამება და სოფლისა ამის დიდებანი უადვილესად განბნევადი არს ვიდრეღა ქარიისა სისასტიკისაგან ბზე“.

სულხან-საბა ორბელიანს ესმის, რომ რჯულის დაგმობნი მტერს ემხრობიან, მოძმეთ ღალატობენ. სამშობლოს ჰყვიან, ორგულნი ხდებიან. ამიტომაც სურს მათი გააოფნისლება, შემობრუნება, შთაგონება. „განიღვიძეთ ძილისაგან მძიმისა, ნუ განსცბრებით სვებითა, ნუ მომედგრდებით გარე ვლითა, ღალადებითა მკარითა!“

სულხან-საბა ანკეტიკურ-მისტიკურ კრებულშიც არ ზოგავს სამშობლოს გამყადველებს. საეკლესიო ორატორი მთელი სისასტიკით კიცხავს მათ. სულხან-საბა უდაბნოშიც დაუღლელად იბრძვის ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის, ქრისტიანობის სამტკიცისათვის, პატრიოტული გრძნობის გაღვიძებისა და ამაღლებისათვის.

„სწავლა-მოდღვრებანი“ პატრიოტული მგზნებარებით აღსავსე თხზულებაა.

სულხან-საბა ამხელს სოციალური უთანასწორობის მანკიერებასაც. კიცხავს და გმობს მირისხანე და მკაცრ, უმოწყალო და უსამართლო მებატონეებს.

„მეპატრონენი ქვეყნისანი, სოსხლთა ყმათაა დასთხევენ. რათა თვით შეიძინონ მსახურებითა მათითა. არა თუ თვისი სისხლი დასთხიონ მონათა თვისათვას“; „უფალნი სოფლისანი წინაშე თვისსა მოაკვდინებენ ბრძოლასა შინა მხედრებთა მათთა, არა თუ თვით მოჴედენ ყმათათვის.“

სულხან-საბას აღშფოთებას იწვევს მებატონეთა გამდიდრება სხვათა ჩაგვრის მეოხებით. ასევე არ მოსწონს მას მშრომელთათვის ფიზიკური სასჯელის მიყენება. სულხან-საბა მკაცრად მიმართავს მებატონეებს: „თქვენ სდევნით გლახაკთა“. „რომელიმე სცემთ მოყვასთა თქვენთა ხელითა, რომელიმე წიხლითა“... მწერალი

პირუთენელად ამხელს სოციალური უთანასწორობის სიმახინჯეს და დაუნდობლად ამათრახებს უმსგავს მებატონეებს.

„სწავლანი“ ლოგიკურა გაგრძელებაა „სიბრძნე-სიცრუისა“. რაც ძველად იგავ-არაკით იყო ნათქვამი, ახლა საეკლესიო ქადაგებით იქნა გადმოცემული. ქადაგებათა კრებული მწერლის მსოფლმხედველობის გასაცნობად შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს. ამ შრომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულხან-საბას სოციალ-პოლიტიკურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა შესწავლისას.

საეკლესიო მწერლობის დარგში. გარდა აღნიშნულისა, სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები (თარგმნილი თუ ორიგინალური):

1. ბიბლიის კონკორდანსია ანუ სიმფონია,
2. „წამებანი წმიდათა წინასწარმეტყველთანი“,
3. „სამოთხის კარის“,
4. „სწავლა მეცნიერთათვის თქმული“.

მასვე შეუსწორებია ჯუსტინე ლიეორნელის მიერ ლათინურიდან თარგმნილი „საქრისტიანო მოძღვრება“.

საყურადღებოა „სამოთხის კარის“ ხელნაწერებში დაცული კალამბური სულხან-საბაზე: „ვიყავ ვერად, მჯობდენ ვერად, ვიქმენ ბერად, ვჯობვარ ვერად“ (ზოგ ნუსხაში: „ვემზგავსე ვერად“ ან „ვიმსგავსე რად?“).

## „მოგზაურობა ევროპაში“

ქართულ სამოგზაურო-მემუარული ხასიათის ძეგლთა შორის პირველი ადგილა უჭირავს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებას: „მოგზაურობა ევროპაში“. ესაა დაკვირვებული თვალით ნახულის ბრწყინვალე აღწერა, ქართული დოკუმენტური პროზის უბადლო ნიმუში. ესაა უცხოეთის მხატვრული აღწერის პირველი ბრწყინვალე ცდა.

ჩვენამდე მოღწეულია მოგზაურობის რამდენიმე ხელნაწერი (სრულად თუ ნაწყვეტების სახით). მათ შორის ზოგჯერ სხვაობაც

შეინიშნება. ყველა ხელნაწერი დეფექტურია, ზოგი თავნაკლულია, ზოგს ბოლო აკლია და სხვა. რით უნდა აიხსნას ხელნაწერთა ასეთი დაზიანება? საფიქრებელია, პოლიტიკური მოსაზრების გამო ავტორის რომისადმი (კათოლიკობისადმი) მიდრეკილებამ განსაზღვრა თხზულების ბედი და ის გახდა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა დევნის ობიექტი. ცნობილია, რომ ამჟვე მზეზით საეკლესიო პირებმა სულხან-საბა მერ დასაბუქდად განზადებული (რედაქტირებული) და ნაწილობრივ აწყობილი ბიბლიაც გაანადგურეს. უთუოდ ასეთი ბედი ეწვია „მოგზაურობის“ ხელნაწერებსაც; კლერიკალებმა კათოლიკობისათვის შერისხულ მწერალს-ლიტერატურული ქმნილებაც დაუზიანეს და ნაწილობრივ მოუსპეს კიდეც.

თხზულება სრული სახით არაა მოღწეული. შემონახული ტექსტი იწყება სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან გამომგზავრებით და მთავრდება მისი სამშობლოში დაბრუნებით. საფრანგეთში ყოფნა აღწერილი არაა, მაგრამ ტექსტის შესწავლით ცხადი ხდება, რომ მწერალს მოგზაურობის ეს მონაკვეთიც აღუწერია. სულხან-საბა ხშირად იგონებს საფრანგეთს, იქაურ ბალებსა და სასახლეებს. საინტერესოა მისი შენიშვნები: როგორც პაპის „წალკოტები და შადრევნები გვაჩვენებს, დია უცხო და კარგები, მაგრამ ფრანცისის მეფისთანა ვერ იყო“; ბურგუნდიის მეფის „წალკოტები, როგორც ფარაზისა დავსწერე... მისთანა იყო“; გენუაში, ერთი დიდებულის სახლში „ასეთები რამ ვნახე, არც ფრანციის მეფის სახლში მინახავს.“ „წალკოტის ქება. ამბები ფრანციისა დამიწერია, მაგრამ ამისი ეს სჯობდა“. --- წერს მოგზაური ფლორენციის გრანდუქას ბაბუე. სამწუხაროდ. მოგზაურობის დასაწყისი ნაწილი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

გასარკვევია თხზულების სახელწოდებაც. ერთ ხელნაწერში იკითხება: „... ფრანცისიდან წამოსვლა სულხან-საბა ორბელიანისა და იტალიაში შეხელა“... ლენინგრადში დაცულ ხელნაწერს ასეთი სათაური შემოუნახავს: „მიმოსლვაი აფრიკეთსა, იტალიას, ჰრომს და ყოველსავე დავაღლეთსა ქვეყანასა სულხან-საბა ორბელიანისა, რომელიმცა თვითოულად აღწერა თვალათ ხილულნი თვისნი, ეკლესია ქალაქი, ციხე სოფელნი“.

სულხან-საბას სამოგზაურო ტერიტორია მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლებოდა. ამიტომაც ძველი დასათაურება „მოგზაურობა ევროპაში“ არაა საეხებით ზუსტი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხზულებას, პირობით, „მოგზაურობა“ ეწოდოს.

სულხან-საბა ორბელიანი ყველაფერს გულდანით აკვირდებოდა, მას ყველაფერი იზიდავდა და აინტერესებდა. ნიჭიერი მხატვარი კარგად და თვალსაჩინოდ გადმოგვცემს ნახულსა თუ გაგონილს. ზოგჯერ ის ვერ ასწრებს და ვერ ახერხებს ყველაფრის ზუსტად დათვალთქვას და აღწერას. ეს გარემოება აწუხებს მოხუც მოგზაურს და გულსატკეპლით ათქმევინებს: „იმ დღეს ამის ნეტი ვერა დავწერე რა, ღამე გვესწრა. წაპოვედით“; „უცბოდ გარიგებულა, არ დაიწერება“; „ეკლესიის ქებას ვერ დაგიწერ“; „ჯერ იმ სიტუცხოვე არა მინახავს რა, არ დაიწერება. რა განიშნო?“

სულხან-საბა ორბელიანი ხშირად გვაცნობს თავის აზრს, შთაბეჭდილებას, სუბიექტურ განწყობალებას. მოგზაურობაში მახელს უშლიდა ხანდაზმულობა და ავადმყოფობა: „მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო, სიცხე.“ ბევრი რამ მოუტლელობის გამო ვერ ნახა და ვერ დაათვალიერა. ამანაც ააღელვა მოხუცი: „მგზავრი ვიყავით. არ გვეცალა საანახავად“, „ფლორენცა მართლა გასინჯვით ვერ ვნახეთ, ნახი არ დაგვცალდა“, — იგონებს მოგზაური.

სულხან-საბა გვაუწყებს, რომ მისი მოუტლელობა სხვა საქმის ბრალი იყო: „საქმემ არ მოგვახდინა ნახვა, არა თუ ჩემი საქმით, სოფლის საქმით“.

მოგზაურს ნახული ხშირად აცვიფრებს. „ჯენევას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცუფრა“; „ბალი და ყაისი მისთანა არასად მინახავს“ და სხვა. მწერალო ზოგჯერ დაღონებით წერს ამა თუ იმ ძეგლზე: „როგორ ითქმის კაცის ენით მისი შენებულების საქმე“. მისი სურვილია მკითხველის დარწმუნება. ამიტომ ხშირად შენიშნავს, რომ მართლაც ანბობს და საკუთარი თვალთ ხილულს აღწერს. „ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემის თვალთ მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით“. „მართლს გეტყე, გარედან მისი მზგავსი სასახლე არ მინახავს.“ თუ როგორი შთაბეჭდილება დატოვა მწერალზე

იტალიის ეკლესია-მონასტრებმა და სასახლეებმა, ჩვენ ზემოთ აუ-  
ნიშნეთ.

სულხან-საბას სურს. რაც შეიძლება ამოწურავი თხრობა  
მოგვეცეს, არა გამოარჩეს. თუ შემთხვევით რაიმე რჩება, სხვა ად-  
გილს ამატებს. „ზემო ფლორენცის აზბავში ერთი ეს დაგვრჩაო“. -  
წერს ის მოგვიანებით და ერთ ნაკვეთს ამატებს.

სახელოვანმა მწერალმა იცის. რომ „გრძელი აზბავი თავის საწ-  
ყენია“, ამიტომ გადაჭარბებას და თავმოებურებას ერიდება, ჰაგრამ  
მეტისმეტო ლაქონურობითაც არ სურს ტუქსტის დამახინჯება.

სულხან-საბა ორბელიანი დეტალურად გვაცნობს მოგზაურობ-  
ის მარშრუტს, გვაუწყებს მოგზაურობას პირობებს. მის თხზულე-  
ბაში ხშირად გვხვდება ასეთი ცნობები: „ქარი პირისპირ გვემდია“,  
„ქარი ჩენი იყო“, „ქაი ქარი იყო“, „ქარმა პირს დაგვიწყო ცემა“,  
„ქარმა გამოგვაბრუნა“, „უქაროდ დავრჩით“. „ცუდად ეიდქით.“  
ქარს გარდა ავტორი ზღვის ლელვასაც გვაუწყებს: „დღე და ღამე  
სულ დიდი ლელვა იყო. დიალაც გაგვიქირდა“. „აგვიღელდა. თორმე-  
ტი მილი სრულობით ლელვაში ვიარეთ“. ასეთი ვითარება ნავით  
მგზავრობას ართულებდა. „პატარას კატარლით ნაპირ-ნაპირ მივი-  
დოდიო“. „ნავი მართლა ვერ იარებოდა“, „ვიარეთ მომცროს ნა-  
ვით“...

მოგზაურობის მძიმე პირობების მიუხედავად სულხან-საბა ორ-  
ბელიანს ადგილთა გაცნობისა და აღწერისათვის თავი არ დაუნე-  
ბებია.

გამოცდილი მწერლის თვალი ყველაფერს ხედავს. ყველაფერს  
კარგად ამჩნევს. მის ყურადღებას ყოველი წვრილმანი იქცევს, მის  
თვალს იტაცებს ციხე. კოშკი, სასახლე. ეკლესია, მონასტერი. ბაილი.  
მინდორი, ველი... მას აღუწერია „მაგარი. კლდიანი“ ციხეები.  
„კლდიანი. ღრმა ხეობიანი“. „მაგარი ადგალბი“. „დიდი მაგარი  
ქალაქები. დიდი ციხეები და დიდი მონასტრები“...

სულხან-საბა ორბელიანი აკვირდება ამა თუ იმ პუნქტის მდებ-  
არეობასაც. გინჯას „ფრანცუცის მხარეს დიდი ლიმენა აქვს და სამს  
ადგილს ზღვაში გალავანი გაუვლიათ ლიმენის უღელგაობისათვის-  
ცა“. მოგზაური ტრანსპორტისაც კი აკვირდება: გენუაში „ფოლორ-  
ცები ეწროებია. ეტლები არ იხმარება. მოაბაებით დადიან.“

ავტორი ცდილობს გეოგრაფიული ხასიათის ცნობები მრავლად მიაწოდოს მკითხველს. არ დატოვოს არც ვულკანო, არც მიწისძვრით დანგრეული ქალაქი. ერთ ადგილას წერს: „ერთა მთა დარჩა, ვერ ვნახეთ. ეტნის ცეცხლი ამოდიოდა. შუა ზღვაში იყო ცალკე კუნძულად. სხვა ეტნის მთა გამოჩნდა. შუა დიდი კვამლი გამოდიოდა. ცეცხლი არა ჩნდა ნახევრამდა. ის მთა სულ დათოვლილი იყო“. ერთი დანგრეული ქალაქის შესახებ წერს: „ესი ქალაქი ყოფილიყო. ოცდა ორს წელიწადს უწინ ძვრას დაექცია. სრულობით გაუსწორებინა. მრავალი სული დაეხოცა. მერმე აეშენებინათ, მაგრამ სხვის ნაშენობისთანა ვერ იყო“.

სულხან-საბას მოცემული აქვს მრავალი საინტერესო ცნობა. ის დეტალურად გვაუწყებს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტთა შორის მანძილს.

მწერალი გულდასმით აკვირდება ბუნებას და ხშირად გვაწვდის სათანადო ცნობა-აღწერილობას. მაგალითად, აკოიის შესახებ წერს: „ტყე ძვირად ჩნდა. ზეთის ხე მრავალი, ვენახოვანი, სახნავი ნაკლები.“ ხე-ტყისა და სახნავის ნაკლებობაც შეუნიშნავს მხცოვან ბერს. ასევე ქ. მონაკოშიც: „ამ თემსა ვიწროობა ეთქმოდა, სულ კლდიანი, სახნავი ძვირად იყო. თვარამ ზეთის ხე, ხილი, ლეღვი, ლელსუარი მრავალი იყო. ნარინჯი, თურინჯი.“ ამავე სახელმწიფოს სხვა ქალაქში — მონტე-კარლოშიც უტყეობა შეინიშნებოდა. „ხის სიძვირეს გვანდა. ტყე არსად იყო. სადაც ხე იყო, სულ ხილნარი იყო“.

ერთ ადგილს მისი ყურადღება მიიქცია ვენახმა. „ვენახოვანი სულ წამხდარყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ. ზედა ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაოხრებულყო. ვიკითხე: რატო წამხდარა მეთქა? მითხრეს: მიწა არ ვარგებულაო, მაგრამ თუ მიწა არ ვარგიყო, იმდენი აუარებელი ვენახი რად ააშენეს?“ — კითხულობს გაკვირვებული მოგზაური.

სულხან-საბა ორბელიანი ხშირად აღწერს ბაღებს, ხეივანებს. აი. ერთი მაგალითი: „წამიყვანეს... წალკოტის სანახავად. წალკოტის ქება, ამბები ფრანციცისა დამიწერია, მაგრამ ამისი ეს სჯობდა. სულ ნარინჯი, თურინჯი იყო აუარებელი. ღობესავით. თუ ქუარქელში ნადგამი. თუ თალარსავით დახურვილი, ერთს რიგზე სხარ-



ტესავით გარდაეგრიხათ-გარდმოეგრიხათ. აღლნაბუარი თუ იყო სიმაღლე. გრძლად დიდს ადგილს და სულ ხშირად ნარინჯ თერინჯი ესხა. ის დიახ მომეწონა.“ საინტერესოა მალთის აღწერა: „მალთა, დიად, თბილი ადგილია. დეკემბერში ისასანი და ყვავილები ჰყვავდა. ლელვს გასცივდა ფურცელო, თვარა ვენახს ისევე ესხა. არც თოვლი. არც თრთვალი, არც ყინვა არ იცის იქაურ ზამთარ.“ მწერალს ერთნაირად აინტერესებს გეოგრაფია. ბუნება, კლიმატი...

ქართველი დიპლომატი დიდ ინტერესს იჩენს პოლიტიკური ამბებისადმიც. მას ძალზე აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. სადაც კი მოხვდება. სურს გაარკვიოს მხარისა თუ სამეფოს პოლიტიკურ-საერთაშორისო მდგომარეობა, მისი წარსული და მისი აწმყო, მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, შეზობელ სახელმწიფოებთან, სხვა ხალხებთან.

სავოიას-მისული სულხან-საბა არკვევს მის მდგომარეობას და წერს: „საბიას ბატონს აქამდინ დუკა ერქვა. ახლა სიცილია მისცეს ამ შერიგებაზე. სპანიის მეფისა იყო. დიდი სამეფოა და მეფედ დაერქვა.“ მას სწორად გაუგია საქმის ვითარება. სავოიის ჰერცოგმა სიცილია სწორედ იმხანად მიიღო (უტრეხტის ზავით — 1713 წლის 11 აპრილს). ასევე გამოუკითხავს სულხან-საბას ქ. ლაფრანგას ამბებიც: გაუგია, რომ ფრანგებს უცდიათ მისი აღება. „მაგარი ციხე იყო. მაგრამ ფრანცისები და ისინი რომ აშლილიყვნენ, ფრანცისებს ზარბაზნით დაეხვრიტათ. ციხე აეღოთ. მაგრამ ვერ დაეჭკიათ. როცა შეირიგება მომზდარიყო, ასევე მიეცათ“.

ქართველი მამულიშვილის ყურადღება მიიპყრო მონაქომ. ..ის ქალაქი ერთის ხელმწიფისა იყო. ყმა არ ვისია. ახლა ფრანცისის მეფისათვის ზურგი მიუყუდებია.“ მართლაც, იმხანად მონაქოს პატარა სახელმწიფო პერონის ხელშეკრულებით (1641) საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იყო.

ქ. გენუაში სულხან-საბა ორბელიანის ყურადღება მმართველობამ მიიქცია. „მის დუკას, — შენიშნავს მწერალი, — ორს წლამდინ დასმენ, მერამე გამოცვლიან. პოპლიკი ეწოდება ამ განოცვლისათვის. დიდრონი თავადები სახლობენ. ხან ერთს დასმენ. ხან მეორეს.“

ავტორი განსაკუთრებული გულსყუროთ აღწერს მალთის მმართველობას: „მალთასელებს უფროსი გრა მაგისტრო, რომელი დიდს ოსტატად გამოითარგმანება. ყველაზე უფროსობს. და იმას გარდა შვიდი თავი კაცნი არიან: სამი ფრანცისი, ერთი იტალიელი, ერთი ნემსა და ორი სპანისა. იმ შვიდთა თვითოს სამსამი შედეგი ჰყავს, რომ ოცდაერთი იქნება“.

საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ „მოგზაურობაში“ მოყვანილი ეკონომიური ხასიათის ცნობები. ის საკვებსაც კი აკვირდება. გვაუწყებს მის ფასს. „ერთს სოფელში სადილი ვქამეთ: თორმეტიოდ ჯერცხი, ცოტა ახალი ლობიო. მოგვიტანეს ერთი კიბორჩხალა. ექვს ფლურის თხოვა დაგვიწყეს, ძლივს ხუთს მარჩილს დაგვეკურდნენ. ესეები ამისთვინ დაესწერე. შეიტყოთ ფრანციაჲს მიფის ხარჯი. თუ ჩემზე რას გაისარჯა, ან როგორ დამიხვდა“. მწერალი ინტერესს იჩენდა სხვადასხვა ხალხის საქმიანობისადმი. მისი წარმოებისადმი. მას გამოუკითხავს ქ. სივონას მოსახლეობის საქმიანობა და დღიურში ჩაუნიშნავს: აქ „აკეთებენ უმჯობეს ფარფურსა და ჩინურებს.“ ეს ქალაქი მართლაც საკმაოდ ცნობილია ფაიფურის ქურჭლის წარმოებით.

მწერალი საინტერესო ცნობებს გვაწვდის მის მიერ ნახული ხალხის ჩვეულებათა შესახებ: გვაცნობს მათ ზეპირგადმოცემებსაც. სულხან-საბა ორბელიანის ყურადღება მიიპყრო დასავლეთ ევროპის ხალხთა ცალკეულმა ჩვევამ. ცალკეულმა თვისებამ. ავტორი ჰარბად გვაწვდის სათანადო ცნობებს. მისი ცნობით, „კარდინალები უწინ არავისთან მივლენ სანახავად, სანამდისინ სხვანი არ ნახავენ.“ ეს საკმაოდ დაკანონებული ჩვევა ყოფილა. ფრანგმა კარდინალმა დაარღვია ეს ადათი. ქართველი ბერი პირველად მოინახულა. მაგრამ ეს პროცედურა ფრიად საიდუმლოდ მოაწყო. ფარულად. „კარამდინ არც გამიგება. არც გამიყოლა, ვითამ ჩემს სანახავად არ მოსულაო“, — წერს მემუარისტო.

ქართველი დიდებულის ყურადღება მიუქცევია ქალის საქმიანობას იტალიასა და საფრანგეთში: „ფრანციაში მოსამსახურე, დამხდომი, მეღვინე. მზარეული სულ ქალია. ბაზარში სრულობით ქალი ზის. დიდ ვაჭრის ცოლები სულ დუქანზე სხედან. დალალი. ამალი. გამსყიდველი, ვაჭარი სულ ქალია. იტალიაში თუ არ სოფლის დე-

დაკაცი. რომ ხილი და რა გინდარა მოაქვს გასასყიდად, თუ არა  
ვაქრად ქალი არ არის.“

ავტორი ძალზე ვრცლად და დეტალურად აკვიწრს გერმანელი  
კარდინალის ჟურთხევის ცერემონიას, რომელსაც თვით ესწრებოდა  
1714 წლის 17 ივლისს. მწერალი განსაკუთრებით აღნიშნავს სტუ-  
მართადმი კეთილმოპყრობასა და დაფასებას. გრანდუქამ კარგად  
მიიღო. მოგზაური ნასიამოვნები დარჩა. „ქართული ამბები და  
წმიდებისა მკითხა. ეტლში თითონ ჩამსეა. დიდხან გამომყვა ეტლ-  
თან. ამას დიდ მეფეებს არ უზამდა. ამისთვის ვსწერ, სტუმრის  
პატივი ჯე უნდა“, — იგონებს კმაყოფილი მოხუცი.

საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ შენიშნული დე-  
ტალი. ქ. პერუჯაში მას ერთი რელიკვია აჩვენეს. „თუ არ მეფეს.  
ან კარდინალს. ან ასე უცხო სტუმართან ერთად მოსულთ, არავის  
არ აჩვენებენ. შვიდის კლიტით არის დაკეტილი. ერთი ვაივადას  
აქვს. ერთი მდივან ბეგსა. ერთი მოურავსა. ერთი ეპისკოპოსს. ერთი  
დეკანოზს და ორი სხვათა თავადთა. ერთად უნდა შეიყარნენ და ისე  
გააღონ.“

სულხან-საბა ორბელიანი მოგზაურობისას კრებდა სტატისტიკუ-  
რი ხასიათის ცნობებსაც.

შორეულ სახელმწიფოებში მოგზაურობისას სულხან-საბა ორბე-  
ლიანს არ სცილდებოდა საყვარელ სამშობლოზე ფიქრი. მწერალი  
წმირად იგონებდა მამულს და მის მომავალზე ოცნებობდა: „ჩემს  
უკან, ღმერთმან ქმნას. ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას“. სულ-  
ხან-საბას ნანახი ადგილები და ადამიანები ზოგჯერ სამშობლოს  
აგონებდა და წყლულს მატებდა. მონაკოს ნახვამ მეტეხი მოაგონა.  
„მოვიდით მონაკო ქალაქსა. ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბი-  
ლისს მეტეხსავეთა. სამგნით ზღვა ეცლო, ცალგნით — ვიწრო უქა-  
ვალი. მაგარი ციხე, დიდად და ძლიერად გამაგრებული.“ ალაკორ-  
ნას დაბალმა ადგილმა ოდიში მოაგონა: „რა ალაკორნის საზღვარ-  
ში შევედით დავაკება შეიქმნა. ოდიშის მსგავსი ადგილი. ტყიანი.  
ბრტყელი“. მალთაში „ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. უფლის ცი-  
ხის მსგავსი ადგილი საჭრელი“. სულხან-საბა სამოსსა და სასმელსაც  
აკვირდებოდა და იქაც პოულობდა ქართულის მსგავსს. ერთი ქალის  
სამოსმა ქართული მოაგონა. „შიშველ ტანს მსხვილი მაზმანური,

ქართველი ქვრივები რომ ჩაიცემდნენ. ისე ქრელი აცვია“. საცილია-ში „ასეთი ღვინო იყო. ატენური ღვინის მსგავსი“ და სხვა.

მოზუცი მოგზაური დიდი სიხარულათ ხვდება ტყვე ქართველებს (ალიკორნას, მალთას), მაგრამ აწუხებს მათი ბედი.

სულხან-საბა ევროპაში ნახულ ყოველივე კარგს ეახტანგისათვის ისურვებდა, მისთვის მიძღვნა სურდა. ერთხელ დედათა მონასტერში იყო. „ეკლესია მომცრო იყო, მაგრამ საკვირველად საკვირველი შამკული იყო. სულ ფერადი მარმარილო, ამის მეტი რა გითხრა. ეახტანგის კარის ეკლესიად დაენატრე: „მე მიმაძღნობანა მეოქი“. — წერს ავტორი.

ერთხელ კარდინალთან იყო. ეპისკოპოსებმა ერთ სახლში მიიყვანეს. საფლავი აჩვენეს მარმარილოსი. ერთი ტილო ანახეს. სანთელი დააღვენთეს, ცეცხლი წაუკიდეს. სანთელი ამოიწვა. ტილო გადარჩა. ცეცხლმა ვერა დააკლო. „ათასი მარჩილი ეძლია ფრანჩოსის კარდინალს და არ მიეცა. მე რით შევიძლებდი სყიდვას. თვარა ეახტანგ მეფისათვის კაი ძღვენი იყო.“ — დაღონებით შენიშნავს დიპლომატი.

საინტერესოა შემდეგი ცნობა: ავტორი გვაუწყებს, დავათვალიერე „რამდენი უცხო სახლი, მაგრამ სხვას სახლში რაც უცხო სულღერო, ზოგი ფრანციაშიც ვნახე: თევზის უცხო რქები, მარტორქისა რქები; მაგრამ ამის სახლში ერთი თევზის წიბო ვნახე: ოთხი ადლი სიგრძე მეტი იყო, მკლავის უსხო. ბატონას სალაროში ღორის კბილსავით რომ კბილია: ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო. კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიაც მინახავს. მეც ვუთხარ ბატონის სალაროში რომ ღორის თავია გაქვავებული. მისი ამბავი.“ სულხან-საბას პალეონტოლოგიური ხასიათის ცნობები ფრიად საყურადღებოა. აქედან ვგებულობთ, რომ ქართლის მეფის კარს თავისებურა ზოოლოგიური მუზეუმი ყოფილა.

საყურადღებოა, სულხან-საბა ორბელიანის განცდები ოსმალთა სამეფოსთან მოახლოებისას. აი, რას წერს ის ზმირინის (სმირნა) ახლო მიდამოებზე საუბრის შემდეგ: „სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა. ამას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ.“ კონსტანტინო-

კოლის შესახებ მოგზაური წერს: „სამართალი და ზიმშიდე იქ არც ერთია და არც მეორე.“ მოხუცი მწერალი აღფრთოვანებულია მალთელთა ბრძოლით ოსმალთა წინააღმდეგ. ქართველთა დაუძინებელა მტრების, ოსმალებს დამარცხება სინჯულით აღაუხებს მოხუცი მამულიშვილის გულს.

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. ავტორმა ქართველ მკითხველს პირველად გააცნო დასავლეთი ევროპა, იქაური ხალხის ადათები, ზნე-ჩვეულებანი; მიაწოდა საინტერესო ცნობები (პოლიტიკური, ეკონომიური. გეოგრაფიული და სხვა). საყურადღებოა, რომ ავტორმა ეკლესია-მონასტრების აღწერისას დაიცვა სათანადო ზომიერება.

სულხან-საბა ორბელიანის ენა მარტივი, ჩამოყალიბებული და გამართულია. მხატვრული სამოსით წარმოდგენილი ლაქონოური ენა დიდ გავლენას ახდენს მკითხველზე.

„მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია. სამოგზაურო-მემუარული მწერლობის უბერო ძეგლია. საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის აღნიშნული თხზულების შემდეგ ქართულ მწერლობაში შეიქმნა ანალოგიური ხასიათის რამდენიმე ძეგლი. მაგალითად, ტიმოთე გაბაშვილის (მე-18 ს.) „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“. იონა გედევანიშვილის (მე-18 ს.) „მიმოსვლა ანუ მგზავრობა...“, რაფიელ დანიბეგაშვილის (მე-18—19 ს. ს.) „მოგზაურობა ანდოეთში“, თეიმურაზ ბაგრატიონის (მე-18—19 ს. ს.) „მოგზაურობა... ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“, გრიგოლ ბატონიშვილის (მე-18—19 ს. ს.) „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე“, გიორგი ავალიშვილის (მე-18—19 ს. ს.) „მგზავრობაი თბილისით იერუსალიმ-სადმი...“ და სხვა.

ორიოდე სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი რუკის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანმა 1714 წლის გაზაფხულზე ლუდოვიკო მეთოთხმეტეს წარუდგინა კასპიის ზღვისპირა ქვეყნების რუკა, რომელზედაც ზუსტად იყო მოცემული დასახლებული პუნქტები, ზღვები, მდინარეები, ტბები და

სხვა. რუკას გააჩნია მინაწერი, რომელიც მოწმობს, რომ ის შედგენილია ფრანგთა მეფისთვის ქართველი თავადის (პრინცის) სულხან-საბას (ორბელიანის) მიერ. რუკა ითარგმნა ფრანგულად აკად. გილომ დე-ლილის მიერ და დაიბეჭდა კიდეც (1723 წ.). აღნიშნული რუკა იმდროინდელი მსოფლიო გეოგრაფიული მეცნიერების მიღწევათა სიმალღეზე დგას და სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული განათლების მაღალ დონეს მოწმობს.

### „ქილილა და დამანა“

„ქილილა და დამანა“ მხრავალმხრივ საყურადღებო და ძალზე გავრცელებული ძეგლია. ერთი მეცნიერის შენიშვნით, ის „მსოფლიო ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტია... რომლითაც საუკუნეებს განმავლობაში მდიდრდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითქმის ყველა ხალხის სულიერი საგანძური“.

„ქილილა და დამანას“ საშობლო ინდოეთია. ირანის შაჰის ხოსროვ ანუშირვანის (531—579) ბრძანებით ინდური კრებული სანსკრიტულიდან ფალაურ ენაზე დაუმუშავებია ბარზუის. იმავე საუკუნეში ფალაურიდან (საშუალო სპარსულიდან) ეს ძეგლი სირიულად უთარგმნია ბოდს (ბუდს). ფალაურ ორიგინალზევეა დამოკიდებული „ქილილა და დამანას“ არაბული თარგმანიც VIII საუკუნისა. ფალაური ორიგინალი დაკარგულია, ამიტომ სირიულსა და არაბულ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. არაბული ვერსია დამუშავებულია იზნ-ალ-მუყაფას მიერ. ეს საფუძვლად დაედვა ტექსტის თარგმანებს ახალ სპარსულსა თუ ევროპულ ენებზე. ახალ სპარსულ ენაზე ცნობილია რამდენიმე რედაქცია (რუდეგისა—X ს., ნასრ ულლაჰისა — XII ს., ყანისა—XIII ს...). ამათგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ნასრ ულლაჰის პროზაულმა რედაქციამ.

შემდეგ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი რედაქცია — „ანვარი სოჰაილი“. ის დაუმუშავებია იზნ-ალი-ალ-ვაიზ-ალ-მერუფ ქაშრფის (გარდ. 1505 წ.) ემირ აჰმედ ას-სოჰაილის ბრძანებით. შემკვეთის სახელი ეწოდა ახლად დამუშავებულ კრებულს („ანვარი სო-  
132

პაილი“ ნიშნავს „მნათობ კანოპუსს, ანუ თავთავირს — სამხრეთის ცის კაშკაშა ვარსკვლავს“).

„ანვარი სოჰაილი“ ძალზე გავრცელდა და გაბატონდა სპარსულ მწერლობაში. აკად. ა. კრიმსკის ცნობით, „ანვარი სოჰაილმა“ „უდიდესი პოპულარობა დაიმსახურა მთელ ისლამურ სამყაროში, ითარგმნებოდა მრავალ აზიურ და ევროპულ ენაზე, აწვევდა ახალ მიბაძველებს და გადამუშავებდას“. ცნობილია მისი რამდენიმე თეული რედაქცია. ქართულად ის ორჯერ ითარგმნა.

ქართული „ქილილა და დამანა“ „ანვარი სოჰაილის“ სახელითაცაა ცნობილი. ის იგავ-არაკთა კრებულია. ყველაზე ვრცელია ქილილასა და დამანას იგავ-არაკი. ძეგლმაც აქედან მიიღო სახელწოდება.

თხზულებას უძღვის ვრცელი შესავალი. რომელშიც არის ხუთი იგავ-არაკი: ორი ტრედი, ქორის ბარტყი და ყორანი, დედაბრის კატა, სვე-ბედნიერი ქაბუკი, ვეფხის ბოჯვერი და ლომი. შემდეგ მოდის 14 კარი.

ქილილა და დამანას ამბავი მოთხრობილია პირველ ორ კარში, შეიცავს 37 იგავ-არაკს, მისი შინაარსი ასეთია: ერთი დიდი ვაჭრის შვილი სავაჭროდ წავიდა სხვა ქვეყანაში. თან ორი აზავერი. მებარგული ხარი ახლდა „საჭვრეტლად ტურთად ლამაზი... მებრძოლად ლომის სახენი.“ ერთს ერქვა შუთურბა, მეორეს—მანდანა. დიდმა გზამ დაღალა ხარები. ვაჭარი „დიდად ხელს უწყობდა. მაგრამ გზის სიგრძემ და თემით-თემ სიარულმან მიაჭირვა და სიმკლე ეუფლათ.“ გზაზე შეხვდათ ტალახი. შუთურბა შიგ ჩაეფლო. ვაჭარმა „მრავლის ღონისძიებით ამოიყვანა“, მაგრამ ხარს სულა აღარ შეეძლო. ვაჭარმა ის ერთ მოჯამაგირეს მიაბარა და მოვლა სთხოვა. მომჯობინებული შუთურბა მოჯამაგირეს პატრონთან უნდა მიეყვანა. ორიოდ დღე მოჯამაგირემ შუთურბასთან გაატარა, შემდეგ მარტობა მოსწყონდა. მიატოვა ის და პატრონს ეახლა, შუთურბას დაკარგვის ამბავი აცნობა. მანდანამ მეგობრის დაკარგვა ვერ აიტანა და მოკვდა.

მცირე ხანში შუთურბამ „ღონე მოიკა და დაძვრა შეიძლო“, კარგი სათაბი ნახა და დიდხანს სძოვა; „მეტად პოხილად გასუქდა“

და ბლავილი იწყო. „მოსვენებამა და სიხარულით გემოვნებამან მა-  
ლალი ყვირილი მონადომა“.

ამ ადგილებში ლომი ცხოვრობდა. ყოველი მხეცი მას ემონებო-  
და, მას ემსახურებოდა. ლომსაც „მისი უფროსი აღარავინ ეგონა.“  
მაგრამ მას „არც აზავერი ენახა, არც ხარის ხმა ასმოდა.“ შუთურ-  
ბას ბლავილმა ის შეაშფოთა, შეაშინა. ლომს არ სურდა მისი შე-  
შინება მის ხელქვეითებს გაეგოთ, ამიტომაც მარტოობა ირჩია და  
ჩაიკეტა.

ლომის შეშინება მხეცებმა მაინც გაიგეს. გაიგეს ეს ტურებმაც:  
ქილილამ და დამანამ.

ქილილა წყნარი, მშვიდი, კეთილი და თავმდაბალი იყო, დამანა—  
პატივმოყვარე, გაიძვერა. ცბიერი, ფლიდი, ვერაგო.

დამანამ განიზრახა ესარგებლა ლომის მდგომარეობით, მისი  
შეშინებით და სახელა მოეპოვებინა. ის „სახელის მძებნელი იყო“.  
ქილილა მას არ უშვებდა ლომთან, არ ურჩევდა სხვის საქმეში ჩა-  
რევა, მაგრამ დამანამ დაიჟინა: „მე საწამლისი ლომისაგან დიდე-  
ბის ხარისხს არ ვიშოვნა და მის წარჩინებულთა შიგა არ გავვრევი,  
თავსა განსვენების სასათუმალზე არ დავსდებ და ფერხთა შვებინა  
საგებელთა ვერ გავიწვდიო.“

დამანა ეახლა ლომს, თაყვანი სცა, ერთგულება აღუთქვა. მომ-  
სახურება დაუწყო. როცა გაიგო ლომის შეშინების მიზეზი, ხარის  
დამორჩილება აღუთქვა. დანაპირი კადეც შეასრულა. შუთურბა  
მიჰგვარა ლომს. ამ უკანასკნელს შუთურბა ძალზე მოეწონა; შეიყ-  
ვარა ის და დაიახლოვა, დააწინაურა და საპატიო ადგილი მისცა.

ბოროტი დამანა აღშფოთდა, შუთურბამ მას გაუსწრო კარზე.  
დამანამ შურისძიება გადაწყვიტა. კეთილი ქილილა ცდილობს და-  
უშვალოს ბოროტი ზრახვა, მაგრამ ამაოდ. დამანამ შეძლო შუთურ-  
ბას დალუპვა.

ავ დამანას საწადელი შეუსრულებელი დარჩა. შემდეგში მისი  
სიმუხთლე გამომჟღავნდა და მას სიკვდილი მიესაჯა. „ლომმა და  
ბრკეებმა დამანას მაგრა შეკვრა და კრძალულად პყრობა ბრძანეს.  
მუნით მძორავით თრევით წაიღეს, ბოროტად ტანჯეს და ბოლოს  
საპყრობილესა შინა მშვიერ-მწყურვალნი, დაყროლებული მძორი შე-  
იქმნა, და მისის ზრიკისა და ხლათისა და ეშმაპურობის ისარი მასვე



!! ეცა. საპრობილეს ჯოჯოხეთით ჯოჯოხეთის საპრობილესა ჩა-  
!! აკრა.“

დასკვნა ასეთია: „ჩხუბის მოქმედი ბოლო ეამს უწყალოს საქ-  
მათ ასრე ორსაჲ სოფელს სატანჯველს მიეცემა.“

„კეთილს კეთილი შეეზღვის, ავს—აეი გარდადებითა.“

„ქილილა და დამანა“ ჯერ კიდევ ე. წ. კლასიკურ ხანაში ითარგ-  
მნა ქართულ ენაზე. ამის თაობაზე ჩვენ გვაქვს ვახტანგ VI-ის პირ-  
დაპირი ცნობა: „უამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა და დი-  
დებულისა, დედათ შევნიერებისა, თვითმპყრობელისა და ღვთიე-  
გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა თამარისა—ესე წიგნი ეთარგმნათ,  
რომელი ცხოვრებასა ქართლისასა წერილ არს.“

„ქილილა და დამანას“ კვალს მართლაც ვხვდებით „ქართლის  
ცხოვრებაში“ (თამარის ისტორიკოსი წერს: „ვითარ ჰითქმას ინ-  
დოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვაეი-  
სა...“). ძველ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. იმავე ვახტანგის  
თქმით, „მაშინდელი (XII ს. — ლ. მ.) ნათარგმნი ეამთა ვითარე-  
ბით დაკარგულ იყო.“ საფიქრებელია, რომ ძველი ქართული თარ-  
გმანი მომდინარეობდა ნ ა ს რ უ ლ ლ ა ჰ ი ს პროზაული ვერსიიდან,  
რომელიც დამუშავდა 1144 წ. ახლოს.

„ქილილა და დამანამ“ დიდა გამოხმაურება ჰპოვა და ფართოდ  
გავრცელდა ხალხში. მისმა იგავ-არაკებმა ხალხური ზეპირსიტყვიე-  
რების უკვდავ საგანძურში ფრიად საპატიო ადგილი მოიპოვა. ამ  
საკითხზე გავაჩნია ვახტანგის ცნობა: „რაოდენსაცა საქართველო-  
ში ანუ არაკსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა ახლა  
იტყვიან, უფროსი-ერთი ამაში სწერა.“

განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი ამ კრებულისადმი ე. წ.  
ალორძინებას ხანაში. მის თარგმნას საკმაოდ დიდი ისტორია გა-  
აჩნია.

ალორძინების ხანაში „ქილილა და დამანას“ თარგმნას ხელი  
მოჰკიდა კახეთის მეფემ დავითმა (გარდ. 1602), ცნობილი ქართვე-  
ლი პოეტის, თეიმურაზ პირველის მამამ. ვახტანგს ამ საკითხზე შექ-  
მდეგი უწერია: „... ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას,

კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოელო, და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც დასრულება დასცალე-ბოდა.“ აქედან უკვე ჩანს, რომ დავითისეული თარგმანი არც სრული ყოფილა და არც უნაკლო. დავითმა თარგმნა თხზულებიან მხოლოდ პროზაული ნაწილი, ლექსებს არც შეხებია. პროზის თარგმანი შედარებით ზუსტი და სრულია. ერთი კი შეინაშნება, დავითი მეტად ცდილობდა შინაარსის ზუსტად გადმოცემას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მხატვრულ მხარეს. ამიტომაც მისი თარგმანი ღარიბი გამოვიდა, მხატვრული მხარე ძალზე დაბალი აქვს.

დავითისეული თარგმანი ხელთ ჩაუვარდა ვახტანგ მეექვსეს. მას კარგად ესმოდა „ქილილა და დამანას“ მნიშვნელობა და ღირსება, ამიტომაც განუზრახავს კახთა მეფის მიერ წამოწყებული საქმის განგრძობა. საამისოდ დამხმარე პარნი მოუძებნია. ვახტანგი გვაუწყებს: „მე ის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე რომ იყო სიტყბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია. და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდა საკითხავი არ იპოებოდა.

ერთს სპარსსა, რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოილო. და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ. რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა: მაგრამ ლექსა, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა.“

ვახტანგის თანამშრომლები ვერ ყოფილან კარგი მწერლები. სპარსელს ქართული არ სცოდნია კარგად. სომეხს არავითარი სამწერლო მონაცემი არ გააჩნდა. თარგმანი ძალზე სუსტი გამოვიდა. სპარსელმა ძალზე შეამოკლა ტექსტი. სომხის თარგმანში სიუჟეტურ-ფაბულარული თავისებურებაც შეინიშნება.

ვახტანგმა კოლექტიური თარგმანი შეუდარა სპარსულ დედანს და შენიშნა თარგმანის უსრულობა. მან რედაქციული მუშაობაც ჩაატარა ხელნაწერზე, შეიტანა არა ერთი რედაქციული ცვლილება. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერს მრავლად შემოუნახავს ვახტანგის ავტოგრაფული ბინაწერები, გაბნეული არსიებზე

და სტრიქონებს შუა. ვახტანგმა ნაწილობრივ შეაესო (—დასაწყისი ნაწილი), ნაწილობრივ შეასწორა ეს კოლექტიური თარგმანი. მაგრამ მისი ცუშობა რამდენადმე ზერელე იყო, ამიტომ აღნიშნული თარგმანი მაინც უხეირო თარგმანად დარჩა.

ისპაანიდან ვახტანგი გაგზავნეს ქარმანს. „რა მიველ მუნ, — მოგვითხრობს მგოსანი, — წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულიაჲც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე.“ ის ნოჰკიდებია ამ დიდ საქმეს, გარჯას აღარ მორიდებია, სამუშაო საკმაოდ კეთილსინდისიერად შეუსრულებია. თავმდაბალი პოეტი დიდად ბოდიშობს: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ: ჩემი ქირი ქვას მქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა...“

თავისი თარგმანის შესახებ ვახტანგი საგანგებოდ შენიშნავს: „სპარსთ ენაში მეტად ტყბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად, რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორ-მუხლი, ანუ ერთ-მუხლი, ანუ ათ-მუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი-ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა, და მე ითავე ამბის გალექსვა მოვინდომე; და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ. განიხჯეთ, რომ სხვის კაცსაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვეღარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიად გაწყობილია.

ეს ქილილა და დამანა, ბრძენთაგან გამოთქმულები, სპარსთა ენისა სიტკბოთი დაშაქრულ-დაამბრულები, ვპოვე და ჩვენად გარდმოვსთქვი ყვაველი ტურფად რგულები, ლექსი-ლექსად და ამბავი, არც ერთი დაკლებულები.“

ვახტანგის თარგმანი ჩვენამდე შემონახულია (დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ყოფ. სააზიო მუზეუმის ფონდში). თარგმანის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ლექსები თარგმნილია პროზაულად, თუმცა, ტაეპობრივი შესატყვისობა კარგადაა დაცული. თარგმანი შესრულებულია ქირმანს, ტყვეობაში (1714—1716 წ. წ.).

ვახტანგს გამოუჩენია საქმისადმი დიდი სიყვარული და გულმოდგინეობა. მას ენერგია არ დაუშურავს სრულყოფილი თარგმანის მისაღებად. მთარგმნელი ზუსტად მისდევს ორიგინალს, მაგრამ არ გვაძლევს ტექსტის სტალისტიკურ სიმკვევრეს, რაც დამახასიათებელია ორიგინალისათვის. ვახტანგის ენასადა და უბრალოა. „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე. რომ მკითხველთ სამძულევაროდ არ უჩნდესთ, და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს“ ან კიდევ: „ვთქვი ენათ მეტად ადვილით,“—წერს ვახტანგი. თარგმანში აქა-იქ შემორჩენილია სპარსული კონსტრუქციაც. მთარგმნელი ცდილობს რამდენადმე შეარბილოს მაჰმადიანური რელიგიურ-მორალური ელემენტები და მათ ხარჯზე თხზულებაში ქართულ-ქრისტიანული მოტივები შეიტანოს. იქ სადაც მაჰმადიანთა დადებით მხარეზეა ლაპარაკი, ვახტანგს მართლმადიდებლების ხსენება ჩაურთავს, სხვაგან მაჰმადი ბრძენით შეუცვლია და სხვა.

ასეთია მისი რელიგიური კორექტივი. ასეთივე ხასიათისაა (იდეოლოგიური) მანდილოსნის პატივისცემისათვის ხაზგასმა ქართულ თარგმანში.

ვახტანგს არ დასცალდა ტექსტის საბოლოო დამუშავება. „კვლავ მახმეს ისევ ისპანს, დამრჩა ეს შეუსრულები“,—გულისტკივილით წერს პოეტი. 1716 წლის 1 ივნისს ის ისპანს გაიწვიეს.

ვახტანგმა მის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ სარედაქციოდ გამოუგზავნა თავის კარის მდივანს ონანას და სთხოვა პროზით ნათარგმნი ლექსების გაწყობა. თავის ანდერძში ონანა გვაუწყებს: „ეს ძლიერი და ამადლებული მეფე დროსა და ეამთა იწროებისაგან უცალოდ იქნა და თვისის სიბრძნით გახალასებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ აავსო და ჩვენ ვვიძახნა ეს ძნიად მისახლომი სამსახური და, თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვენებავს.“

ონანამ პროზას ხელი არ ახლო, არ შეცვალა. მან მხოლოდ სათანადოდ ადგილები გალექსა. ამასთანავე, უცვლელად გაიმეორა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი მასალა. ამრიგად, მას ეკუთვნის ვახტანგის მიერ პროზად თარგმნილი სპარსული ლექსების ლექსად გაწყობა. ონანა საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო და დავა-

ლებაც კარგად შეასრულა, „ქილილა და დამანა“ ჯეროვნად გამართა, მაგრამ მალე უკეთესი რედაქცია გაჩნდა.

1716 წლის ივლისში ევროპიდან დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი. ვახტანგმა „გასაჩალხავად“ მას გაუგზავნა „ქილილა და დამანას“ საკუთარი თარგმანი.

ცნობილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამუშავებული „ქილილა და დამანას“ ავტოგრაფული ნუსხა. მას ახლავს „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანის დიდად შექცირებულ-შეღონებულისა“. ეს ფრიად საყურადღებო დოკუმენტია, შეიცავს საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს, გვაცნობს სულხან-საბას ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებსა და მწერლის განწყობილებას. ამათომ აქვე მოგვყავს ნაწყვეტების სახით.

„ეს წიგნი ქირმანსა და ისპაანს შექცირებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს, გონების ურვის წამლად მოემუშავა მეფესა ბ ვახტანგს ქართველთასა, სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნიებინა...“

ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის ღირსით ქართულად გამოეღო. და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ ეშოვნა, და მირევ-მორევით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კანის მცოდნარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ათრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თუარამ სწორადრე უგემური მოვა. რა გაეთაებინა ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზავნა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდისებნი:

აწ მოაგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,

ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რულია.

და ებრძანა: ეს ჩემი ღირნახული გაჩალხე გემოიანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო.

ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწულა იყო და მისგანვე შეიღწურად გაზრდილი და განსწავლებული. და

ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაწორვა და ჩხუბიანმა კაცებმა პათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ ნიჭრომელი შექნეს, და მერვე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო...

ბერ-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ქილილა და დამანას აკეთებდეს, ვეკობ მეფესაც გაეცინოს..."

როდის მუშაობდა სულხან-საბა „ქილილა და დამანაზე“? როგორც ანდერძიდან ვგებულობთ, ვახტანგმა მას სპარსეთიდან შემოუთვალა, იქიდან სთხოვა „ეს ჩემი ჳირნახული გაჩალხე გემოინანდო.“ ამ დროს სულხან-საბა ეროპიდან დაბრუნებული იყო (დაბრუნდა 1716 წ. ივლისში). ხოლო ვახტანგი კვლავ სპარსეთში იყო (1719 წლამდე). ამრიგად, სულხან-საბამ ვახტანგის დავალება მიიღო და მასზე მინდობილი საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე ბრწყინვალედ შეასრულა 1716—1719 წ. წ.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას არ უთარგმნია ტექსტი. არამედ აუღია ვახტანგის თარგმანი, გადაუმუშავებია რედაქციულად, შეუსწორებია და ლექსები (პროზად თარგმნილი) გაულექსავს, სპარსიზმები წაუშლია და რელიგიურ ეპიზოდები გადაუკეთებია („სადაც სჯულის წინააღმდეგ ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარ“). მუსლიმანური ფატალიზმის იდეა ქრისტიანული აღმსარებლობის კვალობაზე შეუცვლია.

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანს ხელთ ჳქონდა ვახტანგისეული თარგმანი და არა სპარსული ორიგინალი. ამიტომ ვახტანგის თარგმანის დამახასიათებელი ნიშნები აქაც გვხვდება. ის, რაც ზედმეტა იყო ვახტანგის თარგმანში, დარჩა სულხან-საბასეულ რედაქციაში. ხოლო ნაკლები ადგილი, კვლავ ნაკლებად დარჩა. სულხან-საბას რომ ჳქონდა შესაძლებლობა ვახტანგის თარგმანის სპარსულ დედანთან შეჯერებისა, საფიქრებელია, მისი რედაქციული მუშაობა მაშინ კიდევ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებდა.

სულხან-საბა შინაარსობლივად იმეორებს ვახტანგის ტექსტს,







ზეტად გადმოგვეცემს ყოველ ცალკეულ დეტალს: ამავე დროს, ძალზე ცვლის თხრობის სტილს: ახალ სახეს აძლევს ყოველ წინადადებას, წმენდს მას ზედმეტი სიტყვებიდან.

სულხან-საბა სპარსულ ტერმინოლოგიას ქართულით ცვლის. მაგალითად, ვახტანგის ერთი წინადადება — „ყაფასი ჯინჯილხანაში დაატყვევა.“ — მასთან ასეთ სახეს იღებს: „გალიათა დილეგათ: შეამწყვდია.“ რედაქტორი არ ერიდება და თამამად ასწორებს ვახტანგის უხერხულ გამოთქმებს. ასე მაგალითად, ვახტანგის ეპითეტი კატისა „მკლე და მტირალი“. მან ასე შეასწორა: „მკლე და მჩხავანი.“ ცხადია, შესწორება მართებული იყო.

„ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ვერსიის სტილსათვის დამახასიათებელია ენობრივი სისადავე და უბრალოება, ბარბაროზების სიუხვე და ფრაზის სპარსული კონსტრუქციისადმი მიდრეკილება. სულ სხვაა ამ მხრივ „ქილილა და დამანას“ საბასეული რედაქცია. საბას ტექსტს ძლიერად აჩნია განსწავლული მწიგნობარ-რედაქტორის გარკვეული ხელი. საბასეული ტექსტის საერთო ნიშანდობლივი თვისებაა ენობრივ-სტილისტურები რწყინვალება, მაღალი პათოსი, პიტიუტური ზვიადობა, რიტორიული ენაწყლიანობა. ერთი სიტყვით, მაღალ-მწიგნობრული „მტილი“. ეს რაც შეეხება სტილის გარეგან მხარეს, მეორე მხრივ საბას ტექსტის სტილი არქაულობითაა აღბეჭდილი და ქართულ-ნაციონალური კოლორიტის მქონია. საბას რიტორიული სტილის ზვიადობა საუცხოვოდაა გამოხატული ექიმოდ ლექსიკაში. რედაქტორს უხვად გამოუყენებია არქაული მკვერ-ქართული მრავალი ტერმინი. გამოთქმა, თიგურალური სახე და ა. შ.“ (პროფ. ალ. ბარამიძე).

ვახტანგის მიერ ხმარებული სიტყვები (ბაღა, ხერხი, კისერი, კუნძული, ლეკვი, ჯაშუში...) რედაქტორს შეუცვლია არქაულით (წალკოტა, ხრიკი, კინწი, ხერთვისი, ბოკერი, მსტოვარი...).

„ქილილა და დამანას“ ორბელიანისეულ რედაქციას დიდ ნაკლად სდევს რიტორიული ენაწყლიანობით აზრის გაბუნდოვანება. მაგრამ ეს დამახასიათებელია ტექსტის სპარსული დადრისათვის და ამით უნდა აიხსნას, საეკლესიო, რომ მოხუც რედაქტორს საკმაოდ გააჩნდა მიდრეკილება რიტორიკისადმი.

საინტერესოა რედაქტორის დამოკიდებულება ტექსტის რელი-  
გიურ განწყობილებასთან. სულხან-საბა ცდილობს დასძლიოს  
ტექსტი, მისცეს მას გარკვეული იდეური მიმართულება, „გაჩაღ-  
ხოს“ ის ქრისტიანული მორალის შესაბამისად. საყურადღებოა  
ერთი მომენტი. თხზულებით, სოლომონ ბრძენმა სათათბიროდ  
ადამიანებსა და ცხოველებთან ერთად მიიწვია „ქაჯნი, ქვე-წარ-  
მავალნი და ფრინველნი“. ამ თხრობამ აღაშფოთა რედაქტორი, მან  
არშინაზე მიაწერა:

„მიკვირს, ესეთი ტყუილი რად მორთეს მათ მოჩმახითა.

საღეთო წერილი მოშალეს. კაცნი დააბეს მახითა,

დეე-ქაჯნი, გინა პირუტყენი გვირჩევენ. თქვან რა სახითა.

ამის მორწმუნეს დაეცა მეხი თვალ-დასანახითა!“

პირველად უკანასკნელ ტაეში ეწერა „ამისა მთქმელსა...“.  
მაგრამ შემდეგში სულხან-საბას შეწინებია მკითხველს „მთქმელ-  
ში“ ვახტანგა არ ეგულისხმებინა და ამიტომ შეუსწორებია.

სულხან-საბა ორბელიანს ზოგჯერ კარგად ვერ გაუგია ვახ-  
ტანგისეული ტექსტი. მაგალითად, ვახტანგს უწერია:

„ერთმა მუშამ რომ ანთალის თესლი დასთესოს,

შაქრის ლერწმის სიხარბე არ უნდა ქნას.“

სულხან-საბას ეს ადგილი ასე გაუღუქმავს:

„ვინცა მუშაკი სთესვადეს თესლად ნათალსა ხისასა.

შაქრის ლერწამი ვათ მომკოს ნახნავსა ზედა ქვისასა.“

ამრიგად, „ანთალი“ სულხან-საბას „ნათალად“ მიუჩნევია. სი-  
ნამდვილეში ანთალი, სპარსული ჰანზალა—მცენარეა.

სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ თავის აზრსაც ურთავს  
ტექსტში. ერთ არაკში: „ბებერი დედაკაცი და მისი ავადმყოფი  
ქალიშვილი“ მას ეკუთვნის თანამედროვეობისაგან ნაწამები და  
ტანჯული ადამიანის გულის სიღრმიდან ამოსროლილი მწარე  
სიტყვები: „მე ესე მინდა, რომე სცნათ: ესეთი კაცი არ არის, რა  
ქირი მიადგეს. თავი გასცეს და სხვა, თუ შეიძლოს, სანაცვლოდ  
თვისის თავისათვის იგი არ გაიშეტოს!“

„ქილილა და დამანას“ ძველად ჰქონდა დიდი აღმზრდელობი-  
თი მნიშვნელობა. ის წარმოადგენდა მოწინავე საზოგადოებრიობის

პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა ენციკლოპედიას. იგი ვრცლად ასახავს სამეფო კარის გარემოს. საკარო ცხოვრების რთული ეთიკეტი, სოციალურა იერარქია, სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო ვითარება, ომი და ზავი, სტრატეგია და ტაქტიკა, მართვამგებობის წესები, სამართალი, ოჯახი და სხვა მისთანანი შეადგენს ამ შესანიშნავი კრებულის იგავ-არაკების თემას. მრავალი მეფე, წარჩინებული მოხელე, დიდებული, კარისკაცი და სხვა „ქილილა და დამანას“ საშუალებით ეცნობოდა ცხოვრების პრაქტიკულ ფილოსოფიას, ამ თხზულებაში ეძებდა პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო სახელმძღვანელო პრინციპებს. „ქილილა და დამანას“ სიბრძნესა და ზნეობრივს მოძღვრებაზე აღზრდილა და განსწავლულა ბევრი თაობა. „ქილილა და დამანას“ გამაკეთილშობილებელი გავლენა საუკუნეთა განმავლობაში თანაბრად განუცდია სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა მოდგმის. სხვადასხვა რწმენისა და სხვადასხვა კულტურის ხალხებს. ამის პირობას ჰქმნიდა ის მაღალსაკაცობრიო. მოწინავე ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, რომელიც გააღვეს სახელგანთქმულა იგავ-არაკული კრებულის თითქმის ყველა ალევორიულ მოთხრობას“ (პროფ. ალ. ბარამიძე).

„ქილილა და დამანას“ ხელმწაფეთა კოდექსს წარმოადგენს. თხზულებაში საგანგებოდაა საუბარი მეფეთა უფლება-მოვალეობისა და ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. მეფე უნდა იყოს კეთილი და ლმობიერი, მოსამართლე და მოწყალე, ხალხის დამხმარე (და არა „გლებთა მეუდიერე“), გონიერი და წინდახედული—ასეთია თხზულების ერთი ძირითადი ხაზი. „მეფენი მაღლის მთისათვის შეუდარებიათ. თუცა მათ შიგა ოქრო-ვერცხლთა და თვალთა პატროსანთა ლითონი იპოების. მხენი და გესლოვანიც მძრომნი მუნ იშობებიათ.“ ამიტომაც საჭიროა მეფემ აწონ-დაწონოს თავისი საქმიანობა. გაზომოს ნაბიჯი. ის არ უნდა იყოს მერყევი და სუსტი; არ უნდა დააფრთხოს საშიშროებამ. „ხელმწიფე კლდეთაებრ ფერხ-მტყიცე უნდა იყოს. რომე ყოველთა ქართაგან არ შეირყოს და სხვადასხვა ხმისაგან უძრავი იყოს.“ მეფე უნდა იყოს მარად მზად. მარად ფხიზლად. თუ მან სიფხიზლე მოადუ-

ნა, სამეფო დაზიანდება. „თუ მეფეს სძინავს. ქვეყანა ვერ დაიძინებს შეებითა“. ის უნდა იყოს ფრთხალი. საიდუმლო უნდა შეინახოს და „გაუსინჯავად თავისი გულს პასუხი არავის უნდა ანდოს.“ თუ მას არ შეუძლია საკუთარი აზრის დაფარვა, სხვა როგორ შეძლებს:

„შენ თუ არ ძალციც დაფარვა შენისა ხეაშიადისა, ეს ძნელი საქმე სხვისაგან პყრობად ვინ დაიქადისა?!“

ხელმწიფეს მართებს ხელქვეითთა ჯეროვანი დაფასება. სამწუხაროდ, მეფენი „სახელოანთა კაცთა მათისა სიკეთითა არ გააძლიერებენ. ვინცა მათი ნათესავია, ანუ მახლობელი, ანუ სამსახურითა მათთან სიმაღლე ეშოვნოს და მეფედ ნიჭთა ჩვეულ იყოს.— მათაც საქმე გასაჭირი აქვთ...“ მეფესთან სამსახური ძნელია, სახიფათოა. მეფეთა „სამსახურსა შინა შიში უამრავია და მწუხარება დიდი სალხინოსაგან უმრავლესია.“

თხზულებაში დაგმობილი და გაკიცხულია როგორც უფარგისი მეფე. ისე უხეირო და ფლიდი კარისკაციც.

საგანგებოდ აღსანიშნავია თხზულებას ტენდენცია-მოწოდება სახელის მოხვეჭისადმი. შექებულია ფაქიზი. პატიოსანი ადამიანი—სამშობლოს მოყვარული და მეგობართ დამფასებელი. სახელოვანი და სახელის მძებნელი. სახელოვნად დაიუპული:

„სახელოვნად სიკვდილი კაცთაგან სანატრელია“.

გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის განწირვა ნებითა.

სიცოცხლე მოყიენებულსა, აუგიანსა ვნებითა.“

„ვინც სახელოვნად მოკვდება, სახელი დარჩეს ქებული.

ნაზრახს სიცოცხლეს ისა სჯობს, საფლავსა იყოს დებული.“

რუსთველის უკვდავი სიტყვებით შთაგონებულმა სულხან-საბა ორბელიანმა კარგად იცის, რომ „სახელოვნად სიკვდილი სასიერცხოს სიცოცხლეს უკეთესია“. ამიტომაც აცხადებს:

„კაცი სახელის მძებნელი. უკვდავად შემირაცხია.

მკვდრად იგი თქმულა. ვის კი სახელი ზედ არ აცხია!“

სულხან-საბას სწამს, რომ „ერთი წავა და სხვა მოვა სოფლის საძილოსა წვეულად“ და „ერთი თუ წავა, სხვა მოვა. სხვა სხვისა საადგილოსა“. ამიტომაც საჭიროა სახელის მოხვეჭა და სახელოვნად გავლა ცხოვრების გზისა, სამსახურებრივი მოვალეობის კე-

თილსანდისიერად და ერთგულად შესრულება. „გარჯილობა და სამსახურსა არა საუნჯე არ შეედრების.“

„ქილილა და დამანაში“ მეგობრობის იდეა წინა პლანზეა წამოწეული. მეგობრის სიყვარული, მეგობრის ერთგულება. მეგობრისთვის თავდადება — აი, ერთი ძირითადი შტრიხი.

თხზულებით, „საყვარელი მოყვარე ქვეყნად ცოტა იშობა.“ მასში ვხვდებით ძველი მეგობრული გრძნობა-განწყობილების უცვლელად შენახვის, ძველი მეგობრის დაუგდებლობის ქადაგებას.

„ძველს მოყვარესა ნუ სძულობ, ნუ აგდებ ძველსა შარსსა, რა რომ ახალი დაძველდეს, მასცა ისრე იქ, მა რასა?!“

მეგობრის მოყვარული მარად გამარჯვებულია, მეგობრის არ დამჯერე კი მტრის ულუფა ხდება:

„კაცი ბრძენისა მოყვრისა სიტყვათ ყურ-მიუპყრობელი მტერის გულისად გახდება, რომ სწყყოს თვისი მშობელი.“

საპიროა მტკიცე მეგობრის პოვნა:

„მოყვარე და ამხანაგი თუ მოიგო, ესე გვარი: შენი ლხინი ლხანად უჩნდეს, ჳირი ჳირზე არ საკმარი.“

„ესეთს მოყვასსა ეთვისე, კაცურად ყოლე მავალსა, მოყვრისთვის სულ-დადებულსა, მტერს მოუთმენდეს

შრავალსა.“

სულხან-საბა ორბელიანის აზრით, საშიშია შენიღბული, მოყვრულად მოსული მტერი:

„ეგრე მტრისა არ მეშინის. რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი: მემოყვრება. მოცინარობს...“

მოყვრის მტერი არ მაძინებს, არცა თითონ მოძინარობს, გული ჩემი რასა ლამის, რად არ ჩქარობს, რადმცა წყნარობს?!“

კრებულში ხაზგასმულია, რომ საპიროა ბრძოლით გაკვლევა გზისა, ბრძოლით მოპოვება ბრწყინვალე მღვთმარობისა. „არას კაცს, თუ არ ცდითა, თვისი საწადლის მზე აღმოსავალათ არ ამოსკელია და მოუძებნელად კაცსა თვისის ნატვრით მოსავალი ვერ მოუპოვებია.“

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა კაცის გვარიშვი-

ლობას, მის შთამომავლობას, არამედ პირად თვისებებს, განათლებასა და განსწავლულობას.

„გვარ-დიდობასა და კეთილსა მოდგმასა ადამიანის სიკეთესა და ქველის მოქმედებასა შინა რა საქმე უქს? სიდიდისა, მორკმისა და პატიოსნობის მიზეზი ცოდნა-მეცნიერება და მართებულ სპეციელი არის, არა თუ გვარი და მოდგმა და ნათესაობა!“

„კაცი თუ ვარგა. რად უნდა მისის მოდგმისა ცილობა.

თუ თვით არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობა.

რა მარგალიტი დაბერდეს, შეუმცრდეს ფასთა წილობა,

რაცა არა ჩანს რას ვაქებ? რაცა ჩანს—მიყვარს ზრდილობა!“.

თხზულებაში ხაზგასმულია მშვიდობის საკეთე და საჭიროება. ომი დაგმობილი და უარყოფილი. „ქვეიანთა საუკეთესოდ ესე უთქვამთ: ომსა და ბრძოლას კაცი მოერიდოსო, ომითა რაგინდ თათლი შეიშადოს, გემო არა აქვს“.

„თუ იყო გმირთა უმხნესი მისისა მის საზომისა.

პილოსა უძლიერესი, მჯობი მებრძოლად ლომისა,

მაშინც მშვიდობა სჯობია, იმედი ზულთა დგომისა.

არ ვიცით ბრძოლა რასა იქმს, რა გაგებაა ომისა!“

თხზულებაში მკაცრადაა გაკრიტიკებული ადამიანის მანკიერი მხარეები. დაგმობილია თავისი ბედით უკმაყოფილო და სხვისი ქონების ხელში ჩამგდება ადამიანი („დედბარის კატა“). ურიგი და გლეხის მტანჯველი მეფე („დიღვაჭრის შეგონება“), გლეხთა შეუბრალებელი მდიდარი. ძველში არის მოწოდება მდიდრისადმი:

„მდიდარო, საწყალთ მიხედე, იყიდე გლახათ გულია,

იცან, საუნჯე სოფლასა წააველად გაბარგულია!“

საყურადღებოა სიხარბისა და სიძუნწის დაგმობა. სულხან-საბას ოქმით, „სიხარბე კაცსა გააბამს გამოუხსნელსა მახესა.“

ბოროტი ადამიანი სასტიკადაა გაკიცხული. კაცი უნდა იყოს მართალი. პატიოსანი, წმინდა: „კაცი ხამს სწორე გზიანი, გულმართელი, პაემნიანი!“

თხზულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მოგზაურობას. უცხო ქვეყნების ნახვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანისათვის მოგზაურობა სასარგებლოა, მოძრაობა აუცილებელი. მაგრამ

მგზავრობას დიდი ჭირი ახლავს: სამშობლოსაგან დაშორება; მოყვარე-მეგობართა დაცილება, უცხო ჭერქვეშ ყოფნა. მწირობა. ეს თავის დროზე ყოველივე გამოსცადა სულხან-საბამ, მასაც ეცა „უცხოობისა ეკალი“. გააგებია, რომ მის გულს ესალბუნებოდა შემდეგი სიტყვები: „მგზავრობა ასეთი ხეა, რომ მოშორების მოწყენის მეტს არას მოისხამს; და უცხოობა ესეთი ღრუბელია, ნაღვლის წვიმის წვეთის მეტი არა ჩამოედინება რა... უცხოობასა მრავალი გარჯა სდევს... მოყვარეთ მოშორება და ამხანაგთ უნახაობა... ძნელი ჭირია და ფიცხელი სარჯელი...“ საყურადღებოა. მეგობარს დაცილებული და შეჭირვებაში მყოფი მტრედან-ბაზანდას მიმართვა მეგობრისადმი:

„არ ვიცოდი. შენმა მზემა. შენი გაყრა მევენებოდა, რად გაგწირე, რად დაგაგდე. გული ჩემი ვისკენ რბოდა! უშენოსა ცეცხლი ცხელი შენის გაყრათ მედებოდა, შენთან ჯდომით მომელხინა, შენა ნახვა მბედებოდა!“

„ქილილა და დამანას“ იგავ-არაკთა კრებულში აქა-იქ ვხვდებით სოფლის სიმუხთლის გმობას, სიავის ჩვენებას, „სოფლის უხანობის“ გამოვლინებას, „საწუთროს ავთვალობას“ კიცხვას.

მკითხველის ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის კულის სიღრმიდან ამოსროლილი სიტყვები:

„ვის მიუთხრა ჭირნი ჩემნი, გულთა ცეცხლი სადებარა? მკურნალმა-ყე მომაკვდინა. წამალი მცა სავენებარი! მეგობარსა ვინ დაუგმო საქმე სიბრძნით საქებარი. მოყვარემა იგი მიყო. ძნელად სათქმელ-სამბობარი!“

ეპოქის ძნელბედობამ ათქმევინა ასეთი სატყუები დიდ მოაზროვნესა და მხატვარს.

„ქილილა და დამანას“ კანონიკურ რედაქციაში მრავლად ეხვდება აფორიზმი, შეგონება, დარიგება, სენტეცია. სიბრძნე ისტატურადაა ჩაქსოვილი მთელ თხზულებაში. ბრძნული აზრის ისტატური გადმოცემა ზრდის თხზულების შინაარსობლაგ-აზრობლოვ ღირებულებას და მხატვრულ მხარესთან ერთად ხელს ეწყობს მის პოპულარიზაციას.

„თხზულებას, — წერს აკად. კ. კეკელიძე, — დიდი პოპულარობა მოუპოვებია ჩვენში. ის არ ერიდება და უღმობლად ამათ-

ჩაბებს იმ სენს, რომელიც ფესვებს უღრღნიდა და ძალზე არყევდა „აღორძინების“ ხანაში ფეოდალური საზოგადოების კეთილდღეობასა და სტაბილურ მდგომარეობას, სახელდობრ: შუტს. ლალატს, სიზარმაცეს. ანგარებას, ქვეგამზიდველობას, მასაზრდობელი მუშა ძალის, გლეხობის „უზომოდ“ შევიწროებასა და გაძვალტყავებას (ნუ დავივიწყებთ. რომ ამ ხანაში გლეხობა ყიდვა-გაყიდვისა და სპექულაციის საგნადაც კი იყო გამხდარი). არაა დაზოგვილი არც რელიგიური პირმოთნეობა და პედანტიზმი.“

### პოეზიური მემკვიდრეობა

სულხან-საბა ორბელიანი არა მარტო დახელოვნებული პროზაიკოსი იყო, არამედ ნაჟიერი პოეტიც. მწერლის შემოქმედების სრული სპხის გასაცნობად აუცილებელია მისი პოეტური მემკვიდრეობის გათვალისწინებაც.

უპირველესად უნდა განვიხილოთ სულხან-საბას ლექსები „ქილილა და დამანას“ კანონიკური რედაქციისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგმა სპარსული ტექსტის ლექსები პროზაულად გადმოიღო და მისი გალექსვა სულხან-საბას დაავალა: „სადაც ლექსები ჩართული იყოს. აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთო.“ ასეთი მინდობილობა გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის სულხან-საბა ცნობილი იყო როგორც დახელოვნებული პოეტი. მხატვრული პოეტური სიტყვის კარგი ოსტატი. სულხან-საბამ ვახტანგის ეს დავალება კარგად შეასრულა, ვალი პირნათლად მოიხადა.

სულხან-საბამ თავისებურად იწყო „ქილილა და დამანას“ სათანადო ადგილების გალექსვა. ის ცდილობდა ლექსების ტაეპობრივი შესატყვისობის დაცვას, მაგრამ ზოგჯერ არც დარღვევას გაურბოდა. ის ვახტანგის პროზაულ თარგმანს მასალად იყენებდა, აძლევდა მას (ზოგჯერ) სხვა შინაარსობლივსა და ითიორ გააზრებას. მისი ლექსი დედანთან შედარებით უფრო ღრმამინაარსიანია. ხშირად მწერალი ლექსებში აქსოვს თავის პირად განცდა-განწყობილებასაც. ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო მასალიდან გვაძლევს ბრწყინვალე ლექსს. ასეთია, მაგალითად, „ქალი“:



„კარგს ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა,  
 ზრუნვას მოიღებენს, ვინ უჭვრეტს პირსა.  
 ნუმცა შეხვდები ანჩხლსა და ძვირსა:  
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!  
 ავგულნი ქალნი—სახმილის აღნი,  
 რაგინდ ჰშვენოდენ როგორცა ლალნი,  
 მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი:  
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!  
 ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,  
 ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,  
 არად შეირცხვენს შეილის გასყიდად:  
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!  
 თვისსა ნაქმნარსა აბრალებს ქმარსა,  
 დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა,  
 მალ-მალ აგინებს: „ვა, შენს ამარსა!“  
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!  
 ქმარს ზედა სხენან, დეზითა სჩხვლენან,  
 ხელტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,  
 ზედ დაჰყვედრიან: „რად ესრე ჰქენან?“  
 ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი სარცხვინელია!“

რომ გავიგოთ თუ რა დიდი მუშაობა ჩატუტარებია სულხან-სა-  
 ბას ასეთი ლამაზი და ორიგინალური ლექსის მისაღებად, აქვე  
 მოვიყვანთ ვახტანგისეულ პროზაულ თარგმანსაც:

„კარგი დედაკაცი, სიტყვის გამგონი და კარგგუნება  
 ღარიბ კაცს გაამდიდრებს.

თუცა დღედღამე ნაღველსა სქამ, ნაღველა ნუ სქამ,  
 რადგან ნაღველის მაქარებელი ღამით უბეს გაკრავს.

თუცა კარგგულია და კარგენა,  
 მის სილამაზესა და ავთვალადობას ნუ ეძებ.

ქალი ავგული თუ გინდა კეკლუცი იყოს,  
 როდის ექნება გულში ადგილი?

ყაზის საპყრობილეში გაბმა სჯობს იმას,  
 რომ სახლში მისი წარბის ნასკვი ნახო.

ფეხშიშველობა სჯობს ვიწროს მაშინაც,  
და მგზავრობაში ბრძოლა სჯობს სახლში შუღლს.  
სიმხიარულის კარი იმ სახლისა დაკლიტე,  
რომ ქალის მაღალი ხმა გარეთ გამოვიდეს.  
უცხოსაგან ქალის თვალი ბრმა ხამს,  
თუ სახლიდან გამოვიდეს, საფლავეში ჩავიდეს.“

სულხან-საბა ზოგჯერ არა მარტო ტაეპობრივ შესატყვისობას არღვევს, არამედ თავისებურ გააზრებას აძლევს ლექსს, ავრცობს და ღრმა შინაარსიანს ხდის მას. ამ მხრივ ჯაინტერესოა შემდეგი ადგილი ვახტანგისეული თარგმანისა:

„ჩემი ქალაქისაგან მომწყენია და მგზავრობის წდომა მაქვს,  
შენი წაღვლს მეტი, არ ვიცი, რა სარგებელი წავიღო.“

სულხან-საბასეულ „ქილილა და დამანაში“ აღნიშნული ადგილი ასე იკითხება:

„მოგშორდი, სამკვიდრებელო, ვირჩიე მგზავრთა რიგია...  
ვეღარ დავდგები, წაცავალ... სად მივალ, ვერ გამაგია:  
ქმუნვანი ნუზლად შემიკრავს, ურვა საგებლად მიგია,  
სულთქმის მახვილსა ლესულსა, გლახ, გული ზედ ამიგია.“

ამ ლექსში პოეტს ჩაქსოვილი აქვს პატრიოტიზმის მგზნებარე იდეა.

სულხან-საბა ორბელიანის პოეტურ მემკვადრეობაში შეინიშნება ლექსთა დიდი ნაირსახეობა. მწერალი ძველი ქართული ლექსის სხვადასხვა სახეს იყენებს და ამით ტექსტის მრავალფეროვნებას აღწევს.

„ქილილა და დამანას“ კანონიკურ რედაქციაში გვხვდება ლექსის რაოდენიმე სახე. აქაა ლექსი, შაირი, ჩახრუხაული, ტაეპი, შეწყობილი, მრჩობლედი, ფისტიკაური, შერეული, ჩახრუხაული შერეული, წყობილა, რვეული, იამბიკო, ჩახრუხაული ძაგნაკორული, ოთხი-ხუთი ლექსი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ოთხი-ხუთი ლექსი. ასეთი „ქილილა და დამანაში“ მხოლოდ ერთია—„ქალი“. ის შეიცავს ხუთ სტროფს, სტროფი—ოთხ ტაეპს. მეოთხე ტაეპი რეფრენია.

თითოეული სტროფის სამ ტაეპს აქვს საერთო რითმა. მარცვალთა რაოდენობა ყოველი სტროფის სამ ტაეპში უდრის ათს, მეოთხე ტაეპში — ცამეტს. ყოველი სტროფის პირველ ტაეპს აქვს შინაგან რითმაც (ეს საერთოა აღებული სტროფას გარეგანი რითმისათვის). ამ ლექსს ქართული ლექსის რეფორმატორი მამუკა ბარათაშვილი უწოდებს მეორე სახელსაც — „უცხოს“ (ე. ი. კარგს, მშვენიერს).

სულხან-საბა ორბელიანის „ქალი“ მნაშენელოვანი მოვლენაა ქართული ლექსის ისტორიაში. „ესაა პირველი მაგალითი ძველი ქართული პოეზიის ისტორიაში არქაული პოეტურა სალექსო ნორმების დეფორმაციისა. ესაა პირველი მაგალითი ნოვატორული მეთოდის გამოყენებისა ძველ ქართულ პოეზიაში კლასიკურა პერიოდის შემდეგ. „ქალი“ დაწერილია ახალი მეტრით, ახალი კომპოზიციური პრინციპის კვალობაზე... სულხან-საბა ორბელიანი გაბედული და ნაყოფიერი რეფორმატორია ქართული ლექსისა. მან პირველმა შეანგრა ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხესიმაგრე, თამამად მოკიდა ხელი განახლების საქმეს, ზოგჯერ კიდევ გამონახა ახალი ფორმა. ყოველ შემთხვევაში, გზა გაუწაღდა ახალ თაობას“ (პროფ. ალ. ბარამიძე).

საგულისხმოა, რომ „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანისაღებული ლექსები (უცხო, ჩახრუხაული შერეული, ჩახრუხაული მრჩობლელი, მრჩობლელი ფისტიკაური, ჩახრუხაული ძაგნაჯორული, შერეული, მრჩობლელი, შეწყობილი, იამბიკო, რეული, წყობილი, ფისტიკაური, ლექსი) მამუკა ბარათაშვილს დაურთავს „ჭაშნიკისათვის“. არაა ინტერესმოკლებული ის ფაქტიც, რომ მამუკამ „ჭაშნიკს“ ოცდაერთი ლექსი დაურთო და მათში თხუთმეტი სულხან-საბა ორბელიანისა იყო. საყურადღებოა, მამუკას შენიშვნა: „სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და დამანას“ გალექსა. თუცა რუსთველის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი“. სხვა ადგილას მამუკა წერს: „საბამ ქილილა, დაწვნი ილილა.“ „ჭაშნიკში“ შეტანილია სულხან-საბას „ქალიც“. მამუკამ „ქალას“ ბაძვით, მისი საზომით, ერთი ლექსიც შეთხზა.

სულხან-საბა ორბელიანის აღნიშნული ლექსით („ქალი“) უნდა იყოს შთაგონებული ძლიერი სატრფიალო გრძნობითა და მხურ-

ვალე პატრიოტიზმით აღსავსე ლირიკული პოემის „ნარგიზოვანას“ ერთი კარგი: „ქართლი შეენიერია“.

დიდმა ქართველმა მოაზროვნემ იოანე ბატონიშვილმა თავის „კალმასობაში“ გარკვეული ადგილი მიუჩინა სულხან-საბა ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობას და რამდენიმე ლექსი შეიტანა მასში (ლექსი, ფისტაკაური, რვეული, წყობილი, მრჩობლელი, შერეული, მრჩობლელი ფისტაკაური, ჩახრუხაული ძაგნაკორული, ჩახრუხაული შერეული და სხვა).

„ქაშნიკსა“ და „კალმასობაში“ სულხან-საბას ლექსების ასეთი დიდი ოდენობით შეტანა მათ მაღალმხატვრულობასა და ტექნიკურ სრულყოფაზე მეტყველებს.

სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატია. მისი პოეტური ენა გამართული და სრულყოფილია. სულხან-საბა მახვილი პოეტური სპენისა და მძაფრი მგრძნობელობის პოეტია. მისი ლექსი მკითხველს იპყრობს განცდის სიწრფელით, ლირიკული მგრძნობელობით, პოეტური ფრაზის მოხდენილობითა და რითმითა მუსიკალური თანხმოვანებით.

სულხან-საბას ლექსიკა ძალზე მდიდარია. ეს ქართული ენის სიმდიდრის მაჩვენებელიცაა. როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, „ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“.

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბას მიერ რედაქტირებული „ქილილა და დამანას“ პროზა ზვიადი და მწიგნობრულია. ლექსებიც ასეთია, მაგრამ აქა-იქ დაჰკრავს ხალხურ-სასაუბრო იერიც ძირითადი ფონდი ლექსიკისა მწიგნობრულ-არქაულია. გვხვდება მრავალი ხანგადასული სიტყვა.

სულხან-საბას პოეტური ენა მაღალი და მედიდურია, ზოგჯერ სადა და მარტივიც. მწერლის მკაფიო გამომეტყველი სიტყვა ნათელ აზრს მშვენიერ პოეტურ ფორმაში გვაძლევს.

საყურადღებოა პარალელური ფორმების გამოყენება. ლექსებში ძირითადად ნართანიანი მრავლობითი გვხვდება (კაცნი, ლამენი...), მაგრამ ამის გვერდით ებიანი მრავლობითის ხმარებაც

შეინიშნება (ბალები, თვალეზი, თავები, წესები, ფლიდები და სხვა). მოთხრობითი ბრუნვა ძირითადად წარმოდგენილია ძველი ფორმით (დაწყნარებულმან, მზემან, მნათობმან, ცამან, ნიავმან და სხვა), მაგრამ გვხვდება ახალი ფორმითაც (სტუმარმა, სოფელმა, მიწამ და სხვა). აღსანიშნავია, რომ ძველი და ახალი ფორმა ზოგჯერ ერთმანეთს ერთ ლექსში ენაცვლება. მაგალითად:

„წყალობის კარი გააღო, ცამან უხვების მთოველმა,  
მისგან მიიღო შეენება მიწისა პირმა ყოველმა.“

ცალკე უნდა აღინიშნოს ტმესის შემთხვევები (გაცაჰყარა, წაცავალ და სხვა). საინტერესოა არსებითი და რიცხვითი სახელეზის ზმნებად გადაკეთებაც (იცხრე, არვე, გაიმხატვარებს და სხვა).

სულხან-საბა ორბელიანი შესანიშნავად იყენებს მხატვრულ ხერხებს და ლექსის შინაარსობლივ-აზრობლივ მხარეს გადმოგვცემს ბრწყინვალე მხატვრულ სამოსელში. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბას დადად განუცდია ქართული ლექსის ბუმბერაზი ხელოვანის შოთა რუსთველის ცხოველმყოფელი გავლენა. „ქილილა და დამანას“ ლექსებში გვხვდება რუსთველური ხერხები, რუსთველის პოეტური აქსესუარი.

სულხან-საბა ორბელიანი დახელოვნებული ოსტატაა შედარებისა. შედარება წარმოდგენილია ვითარებით ბრუნვაში დასმული სიტყვის საშუალებით („მთვარულად ანათობს“, „თევზურად მცურავი“, „თმანი გველურად ღელარქნილი“, „ცრემლი ღვარულად მჩქეფარე“ და სხვა), გრამატიკული კავშირით ან ნაწილაკით („ვით მთვარე იარებოდა“. „დალალი ამბროსაებრი“, „ზაფრანსავით“, „მზეებრ...“). ხშირია შედარებისათვის ხარისხების გამოყენებაც (უკეკლუცესი, უმჯობე...). ზოგჯერ მთელი სტროფი შედარებითაა წარმოდგენილი. მაგალითად:

„ლაწვი იაგუნდს უგვანდა, სახე—წყალს ჩამდნარესა,  
პირი—მთვარესა გავსილსა, სრულ აშვენებდა არესა;  
წარბი მშვილდურად მოხრილი, წამწამი—ისარს მწარესა...“  
და ა. შ.

„ქილილა და დამანას“ ლექსებში გვხვდება მოხდენილი მეტაფორები. მშვენიერ პოეტურ სტრიქონებში პოეტი ოსტატურად

ხმარობს ცალკეულ სიტყვებს, აძლევს მათ მეტაფორულ გააზრებას და აძლიერებს სიტყვის გამომსახველობით მხარეს.

სულხან-საბას ლექსები ძალზე მდიდარია ეპითეტებით. დავიძღვრებით მეფის ეპითეტურ დახასიათებას:

„მეფე მაღალი, კეთილ სევანი,  
ცნობა კეთილი, მეტად ჭკვიანი,  
დალიქთ მჯდომელი, განგებიანი,  
ხმელთა მპყრობელი, საქმე გვიანი,  
მსჯავრის მოყვარე, სამართლიანი,  
სიბრძნე უფსკრული, ყოვლად გზიანი,  
გვარგვინოსანი, შუქ ნათლიანი,  
კიდის კიდემდე სახელიანი!“

პოეტი მარტივი და რთული ეპითეტების მონაცვლეობით აფერხვინებს ტექსტს. კარგად მოფიქრებული და მშვენივრად გააზრებული ეპითეტების სიმრავლე დიდად ამაღლებს თხზულებას მხატვრულ ღირსებას. სულხან-საბა ორბელიანის ლექსებში ხშირია მიმართვა და შექაზება:

„ჰე, მეფეო! ნუ მოგნახოს სიკედლისა მოციქულმან“.

„ჰე, ბედო! ამას რომ ვხედავ, ცხადი არის თუ ზმანება?“

„ეჰა, ძმაო! ამ მორევსა მე გამიშვი, დამიტევე.“

„ღმერთო, რა გკადრო მადლობა შენდა შეწირვად მოსრული.“

პოეტის საყვარელი მხატვრული ხერხია განმეორება. მას ლექსებში განმეორების რამდენიმე სახეობა გვხვდება. ხშირად აქვს ადგილი სინონიმურ სიტყვათა განმეორებას, მხატვრულ ჩამოთვლას. კარგადაა გამოყენებული პარალელიზმიც. მწერალი აღნიშნულია აძლიერებს შინაარსობლივ-აზრობლივ მხარეს და დიდ მხატვრულ ეფექტს აღწევს. ფრაზა იღებს გარეგნულ სილამაზეს და იმატებს შინაგან გამომსახველობით ძალას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„რას არგებდა, რას აქნევდა, იტყოდა თუ: რამცა სჯობდეს!“

„რად გაგწირე. რად დაგაგდე, გული ჩემი ვისკენ რბოდა!“

„გულთა მკირს ჭიარნი ულხენი, უწამლო, უკუბრუნებელი.“

„შენ გაანათლე ქალაქი, ჩვენი შუკა და ბაზარი.“

„კარდი, ძეწნი და ალვის ხე, ქანდარი ანაზარდა.“

„განძი, თემი და ლაშქარი შენა გაქვეს დაუთვალავი.“

გვხვდება კონტრასტული პარალელიზმის გამოყენების შესახებ. მაგალითად: „ეგეთს კაცსა მოერიდე მაწყენარსა არა დაშნსა.“

სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული მეტყველებისათვის უჩვეულო არაა განმეორება-მიმართვაც.

„ღმერთო, ღმერთო! ვინ შეკრიბა, ანუ ყოლე ვინ გაკრიბა?!“

პოეტი ხშირად უსვამს ხაზს სიტყვას, ან სიტყვის ნაწილს და რამდენჯერმე იმეორებს მას. ასეთი ხერხით ის ფრაზას მატებს გამომსახველობით ძალას.

„ნუ იქმ, ნუ, კარგის მოქმედი ამას არა იქმს, არაო!“

„თუცა ღმერთსა გაუგია, არ მომშორდეს არად არა!“

„ესე საქმე სხვის ხელითა არ იქმნების, არად, არა!“

„ამ საქმის ქმნა არ მოხდების ჩემგან, სცანით—არად, არა!“

საყურადღებოა ზმნების სიუხვე. მწერალი ხშირად მხოლოდ ზმნებით გადმოგვცემს ამბავს. მაგალითად:

„გზად მიმავალი ტიროდა, უკვირდა, ხან იცინოდა.“

ზოგჯერ ზმნათა სიუხვე მთელ სტროფს ახასიათებს. მაგალითად:

„მეფენი ვისცა შერისხვენ, სასირცხოდ გააწილებენ,

სიმაღლით ჩამოაგდებენ, სკორეთა ჩააცილებენ;

ვის მოწყალებით შეხედვენ, სიმაღლეს უნაწილებენ,

გლახაკთა გაამდიდრებენ, ბრმათ თვალსა აუხილებენ!“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ხშირად მიმართავს დაპირისპირების ხერხებსაც. მაგალითად:

„არა ვთქვა, რა ვქნა დამწვარმა?! გული უწყალოდ ბნდებინა!“

„თუ მოყვარეა, რად უხამს ზედა-ზედ პური უცხოსა?!“

„მიკვირს და გამკვირვებია: ნეტარ, შენ ვინ და მე ვინო?“

„კაცი თუ ვარგა, რად უნდა მისის მოდგმისა ცილობა,

თუ თვით არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობა?“

„ავსა იქ და კი გინდა,—ესე ვინმცა მოიგონა?

ავსა ავი არ მიეგოს, მსჯავრი რითლა აიწონა?!“

სულხან-საბა ორბელიანის ლექსებს სიდიადეს მატებს ოსტატური პოეტური ფონეტიკა. მწერალი შესანიშნავად ფლობს პოე-

ტური ფრაზის ორგანიზაციას; ბრწყინვალეა მისი ლექსის ქლერალობა.

„ქილილა და დამანას“ ლექსებს ახასიათებს ბგერული განწყობების ორივე სახე—ალატერაცია და აჰონანსი. პირველი უფრო ქარბადაა გამოყენებული. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„ვითა ქარქვეტი, ქართაგან არ იქმნა მოტაცებული.“

„ადეგ და მოდი, მალიად რბოდი!“

„სიყმილისაგან მოყვარე მოყვარეთ ვერ იცნობდიან.“

„ზნელ ბედსა ბედი მიბედე, ამაღ მადლობად ვარ დია.“

„სწყუროდა, წყალსა ვერ სმიდა, სხეულსა სრულ შეისვრიდა!“

„ჩემს მოყვასსა მიეშველე, მიცურდი და მიეტვეე“.

ქარბადაა გამოყენებული ასონანსიც:

„გულთა მკირს ჭირნი ულხენი, უწამლო, უკურნებელა.“

„ბუნებით უგზო, უგვანი, კაცი, უგვაროდ შობილი.“

„უცებს მოყვარეს იგივ სჯობს უკეთეს უარესითა.“

ხშირად ბგერული განმეორება ტაეპიდან ტაეპში გადადის. მაგალითად:

„მოყვარე მოყვრის მოკითხვად, რადგან სნეულსა უნდესა,

მანამდის მართებს მიესწრას, ვირ სული შეუძრწუნდესა.“

„სჯობს, რომ რაც გქონდეს გაჰყიდო, იყიდო მოყვარენია,

არ გქონდეს, მოყვრის სასყიდლად სულიცა საადრენია.“

„ქილილა და დამანას“ ლექსებში ძალზე ხშირია ბგერულ ნიადაგზე შერჩეულ სიტყვათა ალიტერაცია. ეს დიდად ამშვენებს პოეტურ ფრაზას. შეგვიძლია მოვიტანოთ არა ერთი მაგალითი სიტყვათა ალიტერაციისა.

„მთა მთურსა მთასა არ გვანდა, არც მიწიერსა გორასა.“

„რაცა გაწყენდეს — მოშორდი, მოშორვებითა შორითა.“

„გული გულისა მოყვარე უგულოდ მალ დადნებისა.“

„შავ-გული შენს გულს გაეყარო, ჩემსა შეეწყოს რა გული?“

„ერთი თუ წაუა, სხვა მოვა, სხვა სხვისა საადგილოსა.“

„ვირე ცა ეგოს მბრუნავად, მეფის მზე მზობდეს მზიანად.“

სიტყვათა ალიტერაცია ზოგჯერ მთელ სტროფეს გასდევს.

„არ ვიცოდი, შენმა მზემა, შენი გაყრა მევენებოდა,



რად გაგწირე. რად დაგაგდე, გული ჩემი ვისკენ რბოდა!  
უშენოსა ცეცხლი ცხელი შენის გაყრით მედებოდა,  
შენთან ჯდომით მომელხინა, შენი ნახვა მბედებოდა!“

ცალკე უნდა აღინიშნოს სპეციფიკური სახე ალიტერაციისა, სიტყვათა ნაწილაკების განმეორება. მაგალითად:

„გზა წინა გიცს წასაეალი, წა და სვეჰან წარგიმართო.“

საყურადღებოა სულხან-საბას ანაფორა:

„არცა ღვთისაგან შეშინდი. არც შეგრცხვა შენის თავისა,  
არცა კაცთაგან შეჰკდიმდი, ქმნასა უმატე ავისა.“

„ესე დღე გულთა საღხენი, განსაცხრომელთა მხმობელი,  
ესე დღე დღე-გრძელობისა მტერთა ნიადაგ მფლობელი!“

ანაფორაც ზოგჯერ მთელ სტროფს გასდევს. მაგალითად:

„მოცდა კლიტეა კარისა უნჯისა. სახარჯავისა,  
მოცდით აღეხვას დახშული კარი მის საკრძალავისა,  
მოცდამ აპხოცოს ურვანი გულისა მოსაკლავისა,  
მოცდამ გაგაოს უწყალო ნაბუჭი მტვერი თავისა!“

ორიოდე სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის რითმების შესახებ. მწერლის ლექსის სილიადეს რითმათა სიუხვე და მრავალფეროვნებაც უწყობს ხელს. მისი ტექნიკურად სრულყოფილი და მუსიკალურად უნაკლო ლექსი შემკობილია მშვენიერი რითმებით.

რითმისა და მეტრის ცვალებადობით ის უფრო ამკობს და ამღიდრებს თავის ლექსებს.

„ქილილა და დამანას“ სულხან-საბასეულ რედაქციაში გვხვდება სხვადასხვა სახის რითმები.

ადგილმდებარეობის მიზეზდით აქ შეიძლება აღვნიშნოთ რამდენიმე სახის რითმა. მაგალითად:

ა) გარეგანი:

„რა უწყალოსა მტერზედა ჟამი მოგეცეს, დრონია,  
რადმცა აყოვნებ, დაქოლვა მისიმცა საადრონია!“

ბ) შინაგანი:

„ბნელნი ღამენი, კირნი მწარენი, წვიმა და ელვა ქუხილად  
ხმობდეს.“

გ) შინაგან-გარეგანი:

„კარგს ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჳირსა,  
ზრუნვას მოაღზენს, ვინ უქვერეტს ჳირსა.“

ღ) შინაგანი და გარეგანი:

„კაცი თუ ვარგა, რად უნდა მისის მოდგმისა ცილობა,  
თუ თვით არ ვარგა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობა?“

შეთანხმებულ მარცვალთა რაოდენობის მიხედვითაც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახის რითმა.

ა) ქალური:

„ზამს მეფესთან სამეგობროდ არ შეიქმნა, გქონდეს კრძალვა!  
ვითა ცეცხლსა შეშა ხმელი მიეკაროს, იწყოს ალვა.“

ბ) დაქტილური:

„მოყვარე ძებნე ესეთი: ბრძენი, მართალი, გზიანი,  
სოფლის მოშლამდე თანადი, ვითა სოფელი მზიანი.“

გ) ზედაქტილური:

ხუმარცვლოვანი —

„რა სიყვარული დააგდოს ჳირობის განაკიდარმა,  
გულსა ვით უძღვნას სიბრძნენი სულისა განაზიდარმა?“

ოთხმარცვლოვანი —

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,  
მოყვარესა მტერსა ვუფროთხა: მემოყვრება, მოცინარობს...  
მოყვრის მტერი არ მაძინებს, არცა თვითონ მოძინარობს,  
გული ჩემი რასა ლამის, რად არ ჩქარობს, რადმცა

წყნარობს?!“

ამათგან ძირითადად იხმარება დაქტილური და ზედაქტილური (ხუმარცვლოვანი) რითმები.

თხზულებაში ჩვეულებრივ გვხვდება მოსაზღვრე რითმები. რკალისებური რითმა თავისებურადაა წარმოდგენილი მხოლოდ ჩახრუხაულ-შერეულ ლექსში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანი საკმაოდ ხშირად იმეორებს რუსთველურ რითმებს (კლდოვანი, შხცოვანი, სახელოვანი, გულოვანი; მალვა, კრძალვა, ალვა; ჳიანი, განგე-ბიანი, წყლიანი...).

ლექსებში ჳარბად გვხვდება მაჯამა (ღარია, საღარი, დაგული, ეჭირა, აწვია...).

წარმოადგინეთ. ამავ მიზეზით თავი ავირღვეთ წყაროთა დამოწმებასა და ლიტერატურის დასახელებას.

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილველი ნარკვევის დასაწყერად ლეტალურად შევისწავლეთ უკვდავი მწერლის მრავალმხრივი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

წიგნში განხილული საკითხების შედარებით სრულად და ზუსტად გასაშუქებლად გამოვიყენეთ ჩვენს სიძველეთსაცავებში დატული სამეზუმო-საარქივო მასალები (ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები...), ძველ ქართულ მემკვიდრეობა (ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილის, სეხნია ჩხეიძის, ვახუშტი ბატონიშვილისა და სხვათა) ჩვენებანი, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების (ფეშანგის, ვახტანგ მეექვსის, ფაეღენიშვილის, დავით გურამიშვილის, დიმიტრი ორბელიანის, ანტონ პირველის, იოანე ბატონიშვილისა და სხვათა) თხზულებანი, უცხოელთა (მარტინი, რიშარი...) ჩანაწერები. ქარბად ვსარგებლობდით ქართველ ისტორიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა შრომებით. ამიტომაც წიგნი ნაწილობრივ ადრე წარმოებულ შედევრულ კვლევებზე შედევრების გადმოცემას წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესება ადრევე შეინიშნებოდა. ცნობილია რამდენიმე ნარკვევი ძველი თუ ახალი დროისა. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. ალ. ცაგარლის, რ. ერისთავის, პროფ. ალ. ხახანაშვილის, აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. ალ. ბარამიძის შრომები. ცალკე უნდა აღინიშნოს პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის ნარკვევი, რომელიც არსებითად სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთადერთ ვრცელ მნიშვნეულ წარმოდგენს.

ჩვენს განჯარგულებაში იყო მრავალი მკვლევარის შრომა. გარდა ხსენებულთა, შეგვიძლია დავასახელოთ აკად. მ. ბროსეს, თ. ყორღანიას, აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. ექ. თაყაიშვილის, პროფ. მ. ჯანაშვილის, პროფ. ი. ყიფშიძის, პროფ. ი. ლორთქიფანიძის, აკად. ს. ჯანაშვილის, აკად. ა. შანიძის, აკად. ა. ჩიქაძის, აკად. ნ. ბერენიშვილის, ~~პროფ. ი. ბერიძის~~ პროფ. ილია აბულაძის, პროფ. ს. კაკაბაძის, პროფ. გ. ჩიტაიას, დოც. ს. იორდანიშვილის, დოც. ტრ. რუხაძის, დოც. გ. ზარდალიშვილისა და სხვათა შრომები. სათანადოდ გამოვიყენეთ ქართულ მწერალთა (მ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ჯ. გამსახურდია, ვლ. ტატიშვილი, ა. გაწერელია) წერილებიც.

გარდა ნაბეჭდი შრომებისა, ხელთ გქონდა ლ. ქუთათელაძისა და გ. ჯამბურის გამოუქვეყნებელი სადისერტაციო შრომები და დოც. ს. ყუბანეიშვილის პიერ მონკოვის არქივებიდან გადმოხედილი მასალებიც.

ცხადია, წიგნს ექნება ნაკლოც. ავტორი დიდი მადლობით მიიღებს ყველა მართებულ შენიშვნასა და მითითებას.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

		88-
I.	სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების ბჯა . . . . .	3
	1. სულხან ორბელიანის წინაპრები . . . . .	3
	2. დაბადება და აღზრდა. ქაბუჯობის წლები . . . . .	15
	3. სულხანის მონაწილეობა ქართლის ტახტისათვის გა- ჩაღებულ ბრძოლაში . . . . .	24
	4. გარეჯის უდაბნოში . . . . .	36
	5. სულხან-საბას დაბრუნება პოლიტიკურ ასპარეზზე .	39
	6. მოგზაურობა ევროპაში . . . . .	46
	7. სამშობლოში დაბრუნება . . . . .	66
	8. რუსეთისაკენ . . . . .	71
II.	სულხან-საბა ორბელიანის შემოკვამლება . . . . .	79
	1 „სიბრძნე-სიცრუისა“ . . . . .	79
	2. „სიტყვის კონა“ . . . . .	104
	3. „სწავლა - მოძღვრებანი“ . . . . .	119
	4. „მოგზაურობა ევროპაში“ . . . . .	122
	5. „ქილილა და დამანა“ . . . . .	132
	6. პოეტური მემკვიდრეობა . . . . .	148
III.	სულხან-საბა ორბელიანის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში . . . . .	162
IV	ავტორისაბან . . . . .	166

რედაქტორი—გიორგი ლეონიძე  
გამომცემლობის რედაქტორი—ნ. კალანდარიშვილი, ყდა და ტიტული სამნისა,  
ტექნორედაქტორი—შ. შექმარიაშვილი, კორექტორი — ლ. ფოფხაძე.

სულხან-საბა ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობა მხოლოდ „ქალილა და დამანას“ ლექსებით არ ამოიწურება. გარდა ამისა. პოეტს ეკუთვნის ანბანთ-ქება, სამსტროფიანი ჩანართი „ქეთევან დედოფლის წამებაში“, შვიდი მნათობის ბუნების ამსახველი ორ-სტროფიანი ლექსი და ერთი სასულიერო შინაარსის ფრაგმენტი. საფიქრებელია, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია დიდი მწერლის პო-ეტური მემკვიდრეობისა. დიდი ნაწილი ჯერ კიდევ უცნობია, დაკარგულია თუ მიუკვლეველი.

საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის ანბანთ-ქება.

„აღმას ბასრი გალესული დაჰკვეთს ენათ, ვა მით ზმნათა,

მე თვით იტყვას: კჳარის ღმობა მის ნათქვამთა, ორ პირ

თქმათა;

ჟამად რაჲ სთხოვთ, ტვირთს უმძიმებთ ფუცკით ქმნილთა

ღირსთა ყრმათა

შლის ჩირთს ცა ძლივ წვიმათ, ჳეხით ხე კმელ ჯირკათა

მაი ზი სხმათა“.

ეს ანბანთ-ქება ძალზე საინტერესოა; ყოველი სიტყვა ახალი, ჩართული ანბანის მომდევნო ასოთი იწყება. სულხან-საბას ეპოქა-ში ასეთი ანბანთ-ქება საკმაოდ პოპულარული იყო.

ანბანთ-ქების ეს ტიპი ძალზე რთულია. სულხან-საბას საზახე-ლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ბრწყინვალედ დაძლია სიძნელე. ასეთი რთული ანბანთ-ქების წერა მოწმობს სულხან-საბას მაღალ პოეტურ კულტურასა და დიდ ნიჭს. ასეთი სახის ანბანთ-ქება უწერიან არჩილს (სულხანის პასუხად), ვახტანგ მეექვსესს, გივი თუ-მანაშვილს, ონანა მდივანს, დიმიტრი ორბელიანს, ვახტანგ ორბე-ლიანს, პეტრე ლარაძესა და სხვებს. საყურადღებოა ვახტანგის ან-ბანთ-ქების მინაწერი: „ეს ანბანთ-ქება უცხო და ახლად შეშოლებუ-ლი და არა აღვილად სათარგმანებელნი...“ სულხან-საბას აღნიშნული ანბანთ-ქება რამდენიმე ხელნაწერთაა შემონახული. მათგან ყველა-ზე უძველესი წარმოადგენს არჩილის თხზულებათა კრებულს, გადა-წერილია მე-18 ს. პირველ წლებში (1703 წ.) ცნობილი მდივნის გივი თუმანაშვილის მიერ, ქ. მოსკოვს. მაშასადამე, სულხან-საბასა და არ-ჩილის პაექრობას ჯერ კიდევ მე-17 ს. ჰქონია ადგილი.

რა მიზანი ჰქონდა ასეთი სახის ანბანთ-ქების წერას, რა საკი-რო აყო ყველა ასოს ერთ სტროფში მოთავსება? ამას უთუოდ

წმინდა პრაქტიკულ-პედაგოგიური მიზანი ჰქონდა. ასეთი ანბანთ-  
ქების შემსწავლელი კარგად შეისწავლიდა ქართული ანბანის  
რიგს.

საყოფადღებოა, რომ სულხან-საბას პაექრობა სხვა მწერლებ-  
თანაც ჰქონია. ის გაკამათებია ვახტანგ VI-სა და მდივან გივი თუ-  
მანიშვილს. სამივე ავტორს ერთი თემა აუღია. მათი ლექსები  
ეხება შვიდ მთიებთა ბუნებას. აღნუსხულია მნათობები და გად-  
მოცემულია მათი თვისებანი.

ვახტანგის ლექსი ხუთსტროფიანია, გივისაც ზუთსტროფიანი,  
სულხან-საბას კი ორი სტროფი დაუწერია და მოკლედ და სხარ-  
ტად გადმოუცია მთიებთა ბუნება. რითმა მდიდარია, არის მაჯა-  
მაც.

სულხან-საბა ორბელიანი დაინტერესებული ყოფილა ისტო-  
რიულ-ნაციონალურა თემატიკით. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი და-  
ინტერესება ქეთევან დედოფლის თავგადასავლით.

როგორც ცნობილია, კახეთის გამოჩენილი დედოფალი ქეთე-  
ვანი შაჰ-აბას I-მა აწამა 1624 წელს. მისი თავგადასავალი (მხარ-  
ვრულად) ყველაზე პირველად თეიმურაზ I-მა აღწერა. პოემაში  
„წამება ქეთევან დედოფლისა“ ის დადი ოსტატობით აგვიწერს  
სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული ქართველი  
ქალის, ღვაწლმოსილი დედოფლის მოწამებრივ აღსასრულს. თეი-  
მურაზ I მხურვალე პატრიოტული გრძნობის პოეტი იყო. მან  
კარგად განსჭვრიტა ეპოქის ვითარება და დედის წამება წარმო-  
ადგინა ისტორიულ ფონზე. ეს ძეგლი მძლავრი პატრიოტული  
მგზნებარებით აღსავსე პოეტური ქმნილებაა.

თეიმურაზ I თვით მოითხოვდა ლექსის განგრძობას და ამ-  
ბობდა:

„რაცა დამეკლოს უცებით, რა ნახოთ გამთავებელნო,  
თქვენ შეათავეთ მის მადლსა, მართლისა გამთარგმებელნო.“

ამიტომაც თხზულებას რამდენიმე დამატება შეეძინა. ერთი  
მათგანის ავტორი სულხან-საბა ორბელიანია. ესაა პოემაში ჩარ-  
თული სამი სტროფი, რომელსაც ახლავს წარწერა: „ეს სამი ლექ-  
სი საბა ორბელიანის ნათქვამია“ ან „თქმულია.“

აი ეს ჩანართი:

„დედოფალი ვით შეამკეს მათ უღმრთოთა რჯულის მტერთა,

ნატო ნაცვლად დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტვერთა,  
სამკუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდნენ, ვით ორხუვა, ვითა ტურთა,  
ხან ცემდენ და ხან შეჰკვირდენ, ვითა ხელსა და ტერტურთა.  
მოჰკაზმიდენ შევნიერად, შეუჰმოდენ ფისსა ზილფად,  
ცხელს შამფურსა ქინძისთავად, საოლავად გინდა სკითად,  
ტანჯვას სარკედ, ცემას შარგედ, ნაცარს სურმად, გავსა ჩქიფად,  
აგურს საპნად უსვემდიან, განსაწმენდლად კოხსა ლიფად.  
ცხელსა ქვებსა თავს გვირგვინად, საყურებად ნაკვერცხალსა,  
ყამჩად ბარსა, საყბურად მხურვალესა ნალს ახალსა,  
საქს ამბარჩად, ყელსაბამად მწარეს თოქსა, ვითა მხალსა,  
ქამრად ჯაჭვსა მოუქერდენ, შანთს დასმადენ, ვითა ხალაა.“

თავის ლექსებში სულხან-საბა ორბელიანმა ბრწყინვალედ და-  
იცვა უკვდავი რუსთველის პოეტური ტრადიციები, გააღრმავა  
მშობლიური ხალხური შემოქმედებითი ტრადიციება, წინ წასწია  
მხატვრული აზროვნება და მხატვრული მეტყველება, აამაღლა  
ქართული ლექსის კულტურის დონე. აზრობლივი სიმკვეთრე,  
მხატვრული-გამომსახველობითი ხერხების სამრავლე, ფაქიზი  
და დახვეწილი მხატვრული გემოვნება, მაღალი პოეტური კულ-  
ტურა, სრულყოფილი პოეტური ტექნიკა, აი, რა ახასიათებს სულ-  
ხან-საბას ლექსს. მისი იდეურად შთამაგონებელი და სულაერად  
გამამხნევებელი პოეზია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის  
ბრწყინვალე სამკაულს წარმოადგენს.



## სულხან-საბა ორბელიანის ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში

სულხან-საბა ორბელიანი დიდი ქართველი მოაზროვნე და მხატვრული ზიტყვის ბრწყინვალე ოსტატი იყო.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. სამშობლოსათვის მრავალჭირნახულა მამულიშილი იყო იგავ-არაკული ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების პირუთენელი მამხალებელი, მხატვრული პროზის უბადლო ოსტატი. დოკუმენტური პროზის ფუძემდებელი, ქართული ლექსის რეფორმატორი და ნოვატორი, შესანიშნავი ლექსიკოლოგი და მეცნიერ-რედაქტორი.

„სიბრძნე-სიცრუისა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრს წარმოადგენს. ამ უკედავ თხზულებაში დაგმობილია და გაიკეხული საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები და მოცემულაა იდეალურ პირთა სახეები. მისი შემეცნებით-აღმზრდობითი მნიშვნელობა განუზომელია. სულხან-საბა ორბელიანი უდიდესი ქართველი იგავთმწერალია.

მხატვრული პროზის ოსტატი დოკუმენტური პროზის ფუძემდებლის როლშიც გამოდის. მისი სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია. დიდი მემუარისტის ყოველი ჩანაწერი დიდფასოვანია.

სულხან-საბა ორბელიანი დახელოვნებული მქადაგებელი იყო. მისი „სწავლა-მოძღვრებანი“ ქართული ჰომილეთიკური მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. ავტორი ჭარბად გვაცნობს თავის პატრიოტულ განცდებს და სახელმწიფოს შეღავათი ღირსებას აღდგენისაკენ მოუწოდებს ქართველობას.

მხატვრული პროზის გვერდით სულხან-საბა ორბელიანს გააჩნია საკმაოდ მაღალნიჭიერად დაწერილი პოეტური ქმნილებანი.

მისი ლექსი ქართული სალექსო ფორმის ახალ, ბრწყინვალე საფეხურს წარმოადგენს. მისი პოეტური ენა მკაფიო და ელვარეა.

დიდი შემოქმედი გაწაფული რედაქტორიც იყო. „ქილილა და დამანას“ სულხან-საბასუელი რედაქცია საუკეთესოდ „გაჩაღბული“ და გამართულია. აქ ყველგან შეიგრძნობა გამოცდილი ოატატის ხელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ — „სიტყვის კონა“ — ქართული ენის უღვევი მარაგის ამსახველი შრომა.

სულხან-საბა ორბელიანმა გააძლიერა და განამტკიცა ქართული ენის ეროვნულ-ხალხური საფუძვლები. მისი ენა სასაუბრო-ხალხურია, მკაფიო, ნათელი და მარტივი. სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე განუზომელია. მან კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა და წინ წასწია, ძველი ქართული ეროვნული კულტურა, დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა ეროვნული კულტურის თვითმყოფობისა და წინსვლისათვის ბრძოლის საქმეში.

დიდი პროგრესისტა მწერალი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი და მგზნებარე პატრიოტი იყო. მთელი მისი ცხოვრება ქართველთა კეთილდღეობისათვის გაუთავებელი ბრძოლა იყო. მამულისათვის თავგანწირული და ნოჰსეთა სიყვარულით გულანთებული სულხან-საბა ორბელიანი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სამშობლოს საქმეთა მოგვარებაზე ზრუნავდა.

სულხან-საბა ორბელიანს დიდი ნაჭი და ვრუდიცია აღრევე იქნა შენიშნული და დაფასებული. მე-18 ს. ერთი პოეტი ასე წერდა სულხან-საბაზე:

„სულხან-საბა ორბელის-ძე  
სიბრძნით აღზდა ორბების ზე.“

ზემთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სულხან-საბას ენციკლოპედიურ განსწავლულობასა და დიდ მხატვრულ ნიჭს, ლექსაკოლოგობასა და რედაქტორობას როგორ აფასებდნენ გიორგი მეთერთმეტე და ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი და დიმიტრი ორბელიანი. ამჯერად დავუმატებთ ვახტანგ მეექვსის ერთ სტროფს:

„როსთვლისა ლექსი მეფეა ტახტზედ ჯვირგვინით მჯდომელი,

კვლავ ჩახრუხაძე აგრევე სხვისა რიგისა მდომელი,  
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,  
და საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი.“

სულხან-საბა ორბელიანს დიდად აფასებდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ანტონ კათოლიკოსი. მართალაა, ის კიცხავდა სულხან-საბას კათოლიკურ მისწრაფებებს, მაგრამ არ უარყოფდა მისი ლექსების ღირფასოვნებას.

„საბას არ ვაქებ, ამად ვითარმედ ესე,  
ეკლესიასა, წმიდასა მტერ განუდგა...  
მაგრა შაირნი, მოსნი საქუბელობენ.“

საყურადღებოა დიდი ქართველი ენციკლოპედისტის იოანე ბატონიშვილის შენიშვნა: „საბა ორბელიანი, ერის კაცობასა შინა სულხანად წოდებული,“ ესე იყო ქართულსა ფილოსოფიასა შინა გამოცდილი და საღმრთოთა წერილთა შინა. ესე იყო უცხო პიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი. ეს დაშვრა ფრიად და შეკობა განბნეული და დაკარგული ლექსიკონი და იღვაწა ამაზედ ოცდაათი წელი. ამან ქმნა წიგნი ზნეთსწავლულეზისა, „სიბრძნე-სიცრუედ“ წოდებული. ესე წარვიდა რომსა, მიილო პაპამ კეთილად და აწვია თვისთან წირვად, და დაბანა ფერხიცა, მისცა ნიშნად ძელიცხოვლის ნაწილი და სხვანი წმინდათა ნაწილები და პატივითა გამოისტუმრა. ესე ფრიად დაშვრა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ყეენთან წასვლით. ამანვე შეთხზა წიგნი, „სამოთხის კარად“ წოდებული, გარნა ამაში არ თანეხმენენ ქართველნი მეცნიერნი, ვინაიდგან მიჰკერძა უფრო ლათინთა, და ამა იქვისათვის გალათინებულად აღიარებდნენ საბასა.“

სულხან-საბას შემოქმედებას დიდად აფასებდნენ შემდეგი ხანის მწერლებიც. ცნობილია, რომ დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სულხან-საბა ორბელიანის თაყვანისმცემლები იყვნენ.

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა რაფიელ ერისთავმა სპეციალურად გალექსა სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე არაკი (ვირი და მგელი, კუ და მორიელი, დათვი და გლეხი, მეფე და მხატვარი, ქურდი მკერვალი...) და გამოაქვეყნა ცალკე წიგნად (1878 წ.). წინასიტყვაობაში რაფიელ ერისთავი შენიშნავდა: „მე

განოეკრიბე თხუთმეტი რჩეული იგავ-არაკი საბა ორბელიანისა-  
გან შედგენილს „სიბრძნე-საჯრუთნაგან“ და გავლექსე იმ განძ-  
რახვით, რომ ყმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდენ ბო-  
როტსა მიმოდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებური ქართული  
მდაბიო ენა, რომლითაც საბა ორბელიანი გვიხატავს არაკებში  
მომქმედთა პირთა.“ საყურადღებოა, რომ პოეტმა ვალექსილ იგავ-  
არაკებს ბოლოს ანდაზებიც დაურთო. მაგალითად, „კუ და მო-  
რიელის“ არაკი ასე მთავრდება: „ნათქვამია: „ავი კაცი, აღდგო-  
მასაც ავიაო!..“ „მეფე და მხატვარი“ ასე: „ხერხი სჯობია—უთქ-  
ვამთ—ლონესა, თუ კაცი დროზედ მოიგონებსა.“

დიდი ქართველი მწერლას გავლენა დღესაც შეიმჩნევა. ქარ-  
თული საბჭოთა მწერლობა, ჩვენი დიადი თანამედროვეობა დი-  
დად აფასებს მსცოვანი მწერლის უბერებელ და უკვდავ ძეგლებს.  
საყურადღებოა, ჩვენი ეპოქის გამოჩენილი პოეტის გიორგი ლეო-  
ნიძის ლექსი „სულხან-საბას“:

„დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის  
იბრძოდი სულის ამოხდომამდი:  
გეჩვენებოდა, რომ საქართველო  
იძირებოდა, თითქოს ხომალდი.  
და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა,  
სამშობლოს ცაზე გამოხლართული.  
შენ სამკურნალო ბალახებივით  
მოგიკრეფია სატყევა ქართული.  
რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად  
სიტყვები მაინც გადაგერჩინა...  
ვარდსაც და თაფლსაც და პურის მადლსაც  
მშობლიურ სიტყვის მადლი გერჩინა.  
მე მიყვარს სიტყბო შენი სიბრძნისა,  
შენს ჭალარაზე გადმომწვეთარი...  
მე მიყვარს შენი სიტყვის მარილი, —  
შენი ზალხისთვის დღესაც მწუთ არი.  
ახალნაშენი სამშობლოს შვილი  
შენს მსცოვან აჩრდილს ვეაღერსები;  
შენის ცრემლის რწყვით, შენის ამაგიო  
გამოკვებულა ჩემი ფესვები...“

## ავტორისაგან

ქართველი ხალხის ისტორია სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი პატივისა და ღირსებისათვის ბრძოლის ისტორიაა. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი ქართველი მამულიშვილები თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისათვის, მისი პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობისათვის. მოძალბეული დამპყრობლების წინააღმდეგ გაჩაღებული იმის ქარცეცხლში ქართველი მებრძოლები იჩენდნენ არნახულ ვეჟაკობასა და სასწაულთმოქმედ გმირობას, სულისა და გულის მხნეობას, მუხლისა და მკლავის სიმტკიცეს.

იშვიათად თუ რომელიმე ხალხს გააუცდია ისეთი ძნელბედობა და ეამთა სიაცე, როგორც ქართველობას ხედა წილად ძველ ხანაში, მაგრამ ეს ვერ აძაუნებდა მის ნებისყოფას, ვერ ანელებდა მის მაჯისცემას, ვერ აზომბდა ქართველი მემორების ომახიან შეძახლს. ქართველობა არ ეძღვოდა სასოწარკვეთილებას, პირლუტ, ინარჩუნებდა რა სულის სიმტკიცეს, იცავდა და არ თმობდა მამა-პაპათა სისხლით მორწყულ მშობლიურ მამულს, არ ელეოდა სახელოვან წინაპართა ძვლებით მოფენილ მიწა-წყალს და შეუპოვარი ბრძოლით უმკლავდებოდა თავდასხმეულს.

სამშობლოს უანგარო სიყვარულის უწმინდესი და უფაქიზესი გრძნობით აღვსილმა ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს უცხოელთა ურდოების დამარცხება და უკუქცევა.

დიდი სტალინი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ „სპარსელი და თურქი ასაწორატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აჟამებდნენ და ელუტდნენ სძმებს და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიადწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ — პირიქით — იძულებული გახდნენ... კაპიტულაცია მოეხდინათ“.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო გამარჯვება: როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ფრონტზე.

ქართველობამ საუკუნეთა განმავლობაში შეუბღალავად, ჩირქმოუცხებლად დაიცვა და დიად სტალინურ ეპოქამდე მოიტანა თავისი ეროვნული სახე, წმიდათაწმიდა ქართული ენა, დიდფასოვანი კულტურის დიდებული საგანძური.

ქართული კულტურის ბრწყინვალე და სასახელო წარმომადგენელია სულხან-საბა ორბელიანი — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ნაყოფიერი შემოქმედი.

წინამდებარე ნაშრომი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვის ცდას წარმოადგენს. ნაშრომის მოცულობამ და დანიშნულებამ განსაზღვრა მისი ხასიათი. ის მიზნად არ ისახავს სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულ მიმოხილვას. დიდი შვერლის სრული პორტრეტის წარმოდგენა დიდ დროსა და ღიდ შრომას მოითხოვს, ამჯერად მხოლოდ „მრავლისაგან მცირედს აღიწერა“. ამასთანავე, რადგან წიგნი ახალგაზრდობისათვისაა განკუთვნილი და მოცულობაც განსაზღვრულია, სადავო საკითხებზე მსჯელობას მოვერიდეთ და ცალკეული საკითხების შესახებ სათანადო საბუთებზე აღიარ